შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი

პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

ნატალია ჭყონია

მრავალმხრივი განათლების შინაარსის თანამედროვე პრობლემები

დისერტაცია

განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სპეციალობა - განათლების ფილოსოფია

მეცნიერ ხელმძღვანელები:

სრული პროფესორი - ლია მენთეშაშვილი

სრული პროფესორი - გული შერვაშიძე

ბათუმი - 2013

შინაარსი

შესავალი..... 4

თავი I. განათლება, როგორც ზოგადსაკაცობრიო ღირებულება..... 19

§ 1. განათლების შინაარსი, როგორც პიროვნების განვითარებისა და ფორმირების საშუალება.....19

თავი I I. მრავალმხრივი განათლების შინაარსის საფუძვლები..... 30

§ 1. მრავალმხრივი განათლების შინაარსის ისტორიული მიმოიმოხილვა..... 30

§ 2. აღზრდა - განათლება ძველ საქართველოში..... 44

თავი III. მრავალმხრივი სწავლების თეორიული (პედაგოგიური, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური) საფუძვლები 55

§ 1. მრავალმხრივ უნართა („მრავალმხრივი ინტელექტის“) თეორია (ჰოვარდ გარდნერი)..... 55

§ 2. ეგოცენტრიზმი. აზროვნების განვითარების კანონზომიერება (ჟან პიაჟე)..... 58

§ 3. სოციალური დასწავლის თეორია (ალბერტ ბანდურა)..... 62

§ 4. ჰუმანისტური პედაგოგიკა - სწავლა გამოცდილებით (კარლ როჯერსი)..... 65

§ 5. განწყობის თეორია (დიმიტრი უზნაძე)..... 69

§ 6. მოტივაციის იერარქიული თეორია (აბრაჰამ მასლოუ)..... 73

§ 7. მორალური განვითარების თეორია (ლორენს კოლბერგი)..... 76

თავი IV. მრავალმხრივი აღზრდის პედაგოგიური, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები 79

§ 1. ფიზიკური აღზრდის ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები..... 79

§ 2. ესთეტიკური აღზრდის ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები..... 89

§ 3. ზნეობრივი აღზრდის ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები..... 99

§ 4. რელიგიური აღზრდის ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები.....110

§ 5. პიროვნული აღზრდის ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები.....120

დასკვნები..... 135
პრაქტიკული რეკომენდაციები 139
ბიბლიოგრაფია..... 145

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის მთავარი საკითხია სასკოლო განათლების ცალმხრივობის დაძლევა და მრავალმხრივი, ჰარმონიული განათლების შინაარსის დასაბუთება. ამ საკითხის გადაჭრა XX საუკუნეში ვერ მოხერხდა, სამწუხაროდ, აქტუალურობა მას არც XXI საუკუნეშიც დაუკარგავს, რადგან მთელ მსოფლიოში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები (გამონაკლისთა გარდა) დღესაც ცალმხრივია და კლასიკური პედაგოგიკის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი - პიროვნების „მრავალმხრივი" ჰარმონიული განათლება - კვლავ განუხორციელებელია.

ცნება „განათლებული"უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „მცოდნე". მაგ. უცხო ენის მცოდნე ან ქიმიის მცოდნე (თუნდაც ძალიან მაღალი დონის) არ ნიშნავს განათლებულს. ზოგადი ცნება „განათლებული" მოიაზრებს როგორც განსწავლულსა და აზროვნებაგანვითარებულს, ასევე საჭირო უნარ - ჩვევათა მქონეს, ზნეობრივად აღზრდილსა და სულიერად დახვეწილს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, გამოთქმები „ტექნიკური განათლება" და „ჰუმანიტარული განათლება" მცდარია. მართებულია „ტექნიკური ცოდნა" და „ჰუმანიტარული ცოდნა". ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, მათემატიკური ცოდნა და უნარ-ჩვევების განვითარება გულისხმობს მხოლოდ ერთ მიმართულებას, ანუ - გონებრივ განვითარებას, ხოლო განათლებულობა ზნეობრივ-სულიერ ასპექტსაც მოიცავს (ამის შესახებ თავის დროზე წერდნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი).

ცნება „მრავალმხრივი განათლება" კიდევ უფრო ფართოა, ვიდრე ცნება „განათლება". ,,მრავალმხრივი განათლება'' გონებრივი და ზნეობრივ - სულიერის გარდა, ფიზიკურ, ესთეტიკურ, პიროვნულ, სამოქალაქო - დემოკრატიულ, ეროვნულ, ეკოლოგიურ მიმართულებებსაც აერთიანებს.

განათლება ანტიკურ ეპოქაში მრავალმხრივი იყო. თანაბარი ყურადღება ექცეოდა როგორც სწავლებასა და გონებრივ განვითარებას, ისე ესთეტიკურ, ფიზიკურ, ზნეობრივ და სამოქალაქო აღზრდას (იხილეთ II თავში). ამის დასტურია ცნობილი ძველბერძნული ანდაზაც "ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია", აღსანიშნავია ისიც, რომ ეტიმოლოგიურად სიტყვებს "გიმნაზიას" და "გიმნასტიკას" ძირი საერთო აქვს. კლასიკურ ბერძნულ-რომაულ სკოლაში გიმნასტიკა და მუსიკა ისეთივე მნიშვნელოვანი საგანი იყო, როგორიც მათემატიკა, რიტორიკა, ლოგიკა თუ

ასტრონომია. პითაგორელები მუსიკას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ. მათთვის მათემატიკა განუყოფელი იყო მუსიკისაგან. დოგმატიკურ-ქრისტიანული განათლება კი სხეულებრივ აღზრდას აღარ მიიჩნევდნენ საჭიროდ, რადგან დომინანტი სული და გონება იყო. სწორედ ამ პერიოდიდან განისაზღვრა და დამკვიდრდა სკოლებში 7 "თავისუფალი ხელოვნების" (ანუ საერო დარგების) სწავლება:

"3 გზა" (ანუ 3 მთავარი ჰუმანიტარული დარგი):

1. გრამატიკა (წიგნიერების საწყისით);

2. რიტორიკა (კლასიკური ლიტერატურითურთ);

3. "დიალექტიკა" (არსებითად, ეს იყო ლოგიკა და ფილოსოფიის საწყისები);

"4 გზა" (ანუ 4 მთავარი "ფიზიკური" ანუ საბუნებისმეტყველო დარგი):

4. არითმეტიკა; 5. გეომეტრია; 6. ასტრონომია; 7. მუსიკა. (ვ. სოკოლოვი 1979: 92,93).

ეს დარგები ისწავლებოდა შუა საუკუნეების საქართველოშიც.

შუა საუკუნეების პედაგოგიკაში სწავლების შინაარსზე მეტად სწავლების მეთოდიკა შეიცვალა. ბერძნულ-რომაულ სამყაროში სწავლება მხოლოდ დიალოგური და ინტერაქციული იყო, შუასაუკუნოვან ევროპაში კი, გაბატონებული დოგმატურ-რელიგიური მსოფლმხედველობის გამო, სწავლება მონოლოგურ-ლექციური და სქოლასტიკური გახდა. სქოლასტიკის მთავარი სასწავლო მეთოდია გაზეპირება და დამახსოვრება (როგორც წესი, თვალსაჩინო წარმოდგენისა და გააზრების გარეშე). სქოლასტიკური პედაგოგიკა ყურადღებას არ აქცევდა ბავშვის ფსიქოლოგიას, ის ბავშვს მხოლოდ გამოსაძერწ და მოსარჯულებელ მასალად განიხილავდა, მიზნად ისახავდა ბავშვის ბუნების დათრგუნვას, რადგან იგი ცოდვილად და მანკიერებისკენ მიდრეკილად მიაჩნდა. სწამდა, რომ მხოლოდ ბუნების დათრგუნვით შეიძლება ზნეობრივი და გონიერი ქრისტიანის აღზრდა. ამგვარი მიდგომა, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებში პირქუშმა პროტესტანტულმა ეთიკამ კიდევ უფრო გააძლიერა, XX საუკუნის შუა ხანებამდეც კი შემორჩა. სქოლასტიკური ზეპირობა, სამწუხაროდ, XXI საუკუნეშიც ერთ-ერთ მთავარ სასწავლო მეთოდად რჩება. მხოლოდ რენესანსის ხანაში მოხდა გამონათება და ანტიკური ტრადიციის ქრისტიანული ჰუმანიზმისა და ინდივიდუალიზმის

გაცილებით მაღალ დონეზე განვითარება. რენესანსის ფილოსოფიაში და, კერძოდ, პედაგოგიკაშიც, სქოლასტიკის საპირისპიროდ, მთავარია ბუნების შესაბამისობის პრინციპი (გორფუნკელი 1980: 15, 51) რენესანსის ჰუმანისტებმა (იტალიელები: ვ. დე ფელტრე, პ. ვერჯერიო და მ. ვეჯიო, ჰოლანდიელი ერაზმი, ინგლისელი თ. მორი, ფრანგები: ფ. რაბლე და მ. მონტენი, ჩეხი ი.ა. კომენსკი და სხვანი) კლასიკური პედაგოგიკა დააფუძნეს. რენესანსის ფილოსოფიის თანახმად, ღმერთმა ადამიანი ამ-ქვეყნიურობის გვირგვინად და მეუფედ შექმნა, მოუწყო მას მშვენიერი სამყარო, ლა-მაზი ბაღი, რომელშიც ადამიანი (ამ სიცოცხლეშივე) ბედნიერად უნდა ცხოვრობდეს, გონებით უნდა შეიმეცნებდეს და გულით ესთეტიკურად უნდა განიცდიდეს ამ სამყაროს, ღმერთის დიად ქმნილებას. ამასთან ერთად, ადამიანს ვითარცა კეთილ მეუფეს და კარგ მებაღეს "ტურფა საბაღნაროზე" ანუ ამ სამყაროზე ზრუნვაც ევალება. სიქველე, თავისუფალი შრომა, სიყვარული, შემოქმედება (ღმერთის მიბაძვა) - აი, ადამიანის მოწოდება და ღვთივსათნო საქმე (აქედანაც ნათლად ჩანს, თუ როგორ ძირეულად განსხვავდება რენესანსის სიცოცხლისმოყვარული ფილოსოფია ორთოდოქსული ქრისტიანობის გარდამქმნელი მეორე მძლავრი მოძღვრებისგან, პირქუში პროტესტანტიზმისგან). ჰუმანისტებმა უარყვეს შუასაუკუნეთა სქოლასტიკური საეკლესიო პედაგოგიკა და, ანტიკური ტრადიციების აღორძინებით, მეცნიერებაზე და არა რელიგიურ დოგმებზე დააფუძნეს სწავლება-აღზრდის საერო მოძღვრება (*განათლების მეცნიერულობა*). ეს იყო ჰუმანიზმის ზოგადი ფილოსოფიის გადატანა ბავშვზე: როგორც ადამიანია ამაქვეყნის ცენტრი, ასევე უნდა იყოს ბავშვი სწავლება-აღზრდის ცენტრი, ანუ განათლების მიზანი და არა საშუალება თუ მასალა (თანამედროვე პედაგოგიკაში ამას ეწოდება პედოცენტრიზმი ანუ მოსწავლეზე კონცენტრირება). ყველა ბავშვი განუმეორებელი პიროვნებაა და თავისებური მიდგომა სჭირდება (განათლების *ინდივიდუალიზაცია*); როგორც ადამიანის ცხოვ-რება უნდა იყოს სისხლსავსე და მრავალმხრივი, ისევე უნდა იყოს ბავშვის აღზრდაც მრავალმხრივი: სხეულის, გრძნობის, უნარის, გონებისა და ნების ურთიერთშეწო-ნილი განვითარებით, ანტიკური "გიმნასტიკისა" და სხეულის წრთობის აღორძინებით (ჰარმონიული განათლება) (იმედაძე 2009: 85) უკუგდებულ უნდა იქნეს სქოლასტიკა და დამკვიდრდეს აქტიურ-დიალოგური სწავლება (*აქტიური სწავლების* პრინციპი); მებაღის მუშაობის მთავარი საფუძველი მცენარეთა ბუნებრივი (ღმერთის

მიერ ჩანერგილი) თვისებებია და როგორც მებაღე ზრუნავს და ხელს უწყობს მათ საუკეთესოდ გაფურჩქვნას, ასევე უნდა ზრუნავდეს პედაგოგიკა ბავშვის თანდაყოლილი უნარების გაფურჩქვნასა და ჯანსაღ მიდრეკილებათა საუკეთესოდ განვითარებაზე. პედაგოგიკამ ამასთანავე უნდა "გასხლას" არაჯანსაღი "წანაზარდები". ესაა თანდაყოლილისა და შეძენილის, ბუნებრივისა და სოციალურის კეთილშეწონილება. და ბაღი სწორედ, ბუნებრივისა და კულტურულის ჰარმონიული შერწყმის, ხატოვანი კარგი მაგალითია.

ჰუმანისტებმა, ემპირიული დაკვირვების საფუძველზე, აღმოაჩინეს, რომ დიდი ოდენობის ინფორმაციის მიწოდებისას ადამიანი მცირესაც ვეღარ ითვისებს, რადგან სხვადასხვა ინფორმაცია ერთმანეთს უშლის ხელს (ამ მოვლენას *ინტენფერენცია* ეწოდება). ამიტომ სწავლებისას უმჯობესია არა დიდი მასალის სწრაფად გავლა, არამედ მცირე მოცულობის ინფორმაციის საფუძვლიანად დამუშავება. (*ინტენსიური* სწავლების პრინციპი - საპირისპიროდ ექსტენსიურისა).

ჰუმანისტებმა აგრეთვე გაამახვილეს ყურადღება ბავშვის (ზოგადად, ადამიანის) შემეცნებით უნართა მრავალფეროვნებაზეც: პირველადია უშუალო შეგრძნება (თვალსაჩინოების პედაგოგიკური პრინციპი), რომელიც, მომდევნო დონეზე უნდა განვითარდეს განყენებულ განსჯით აზროვნებად, და მეხსიერებაც მხოლოდ თვალსაჩინო წარმოდგენასა და აზროვნებაზე დაყრდნობით უნდა მუშაობდეს (გააზრებული სწავლების პრინციპი). აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს უშუალო წვდომას ანუ *ინტუიციას*. მიუხედავად თვალსაჩინოების პრინციპის დამკვიდრებისა, რენესანსის გნოსეოლოგია (შემეცნების თეორია) არ იყო ცალმხრივად სენსუალისტური, რადგან აზროვნებისა თუ ზნეობის ფორმების განვითარება შეგრძნებებისა ანუ ღმერთის მიერ მონიჭებული წინარეფორმების (ჩანასახების) გარეშე შეუძლებელია. სწორედ ეს ჩანასახები უნდა განავითაროს და ჩამოაყალიბოს ბავშვის გამოცდილებამ და ბავშვზე პედაგოგიურმა ზემოქმედებამ. ეს შეწონასწორებული პოსტულატი შემდეგ ლაიბნიცის გნოსეოლოგიაში განვითარდა (იმედაძე 2009: თავი 3).

XVII-XVIII საუკუნეთა ქართული პედაგოგიკა (მაგ., სულხან - საბას მოძღვრება) ძირითადად რენესანსის პედაგოგიკას ეფუძნება.

თანამედროვე პედაგოგიკაც თითქმის მთლიანად იზიარებს და ეფუძნება რენესანსის კლასიკურ მემკვიდრეობას, მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ იდეალად, სასურველისკენ მოწოდებად რჩება. საქმე ისაა, რომ რენესანსის მომდევნო საუკუნეებში, ჰუმანიზმის საერთო ჩახშობასთან ერთად, რენესანსის პედაგოგიკაც დაითრგუნა. მას დაუპირისპირდა, ერთი მხრივ, იეზუიტური ან პროტესტანტული, მკაცრად რელიგიური და პირქუში, არა ჰუმანისტური პედაგოგიკა; მეორე მხრივ კი საერო, მაგრამ ცალმხრივად სენსუალისტური თუ მატერიალისტური თეორიები. ერთ-ერთი ასეთი თეორია ჯ. ლოკმა შექმნა. (იმედაძე 2009: თავი 3).

ამ მიდგომის მთავარი მახასიათებელია ცალმხრივი რაციონალიზმი ლოგიკურ-განსჯითი გონებისა და ფაქტობრივი ცოდნის მნიშვნელობის უზომო გაზვიადება და სულის სხვა ძალების უგულებელყოფა (გრძნობების, ესთეტიკის, წარმოსახვის, შემოქმედებითობის, ინტუიციის, პიროვნულობის, ნებელობისა და ზნეობის...).

მატერიალისტურ-რაციონალისტური ფილოსოფია კიდევ უფრო გაძლიერდა განმანათლებლობის ხანაში. XVIII საუკუნის ბოლოს საფრანგეთში ერთხანს ოფიციალურადაც კი ცდილობდნენ "გონების კულტის" რელიგიის დაწესებას და "უზენაესი გონების" ტაძრებიც კი აამოქმედეს. XIX საუკუნეში - მატერიალიზმი, გონება, ფაქტობრივი საბუნებისმეტყველო ცოდნა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი კულტად იქცა . პედაგოგიკაშიც ცალმხრივი რაციონალიზმი გაბატონობდა.

ამას, ბუნებრივია, უკუქმედება მოჰყვა: რომანტიზმი, სიმბოლიზმი, XX საუ-კუნის მოდერნისტულ-ავანგარდული ხელოვნება, ეგზისტენციალიზმი, ჰუმანის-ტური ფსიქოლოგია... ყველა ამ მიმართულების ძირითადი სულისკვეთება მსგავსია-აჯანყება რაციონალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ ამ მიმართულებამ წამყვანი პოზიციები ვერ დაიკავა და არც სახელმწიფო განათლების სისტემებზე მოუხდენია არსებითი ზეგავლენა. მხოლოდ ცალკეულ კერძო სკოლებში ხორციელდებოდა პიროვნების მრავალმხრივი ჰარმონიული აღზრდის პრინციპი (მაგ., ფრენეს ან ვალდორფის სკოლები). გამოჩენილმა ფილოსოფოსმა ორტეგა-ი-გასეტმა საზოგადოდ, მთელი XX საუკუნის კულტურის მთავარ მახასიათებლად დეჰუმანიზაცია მიიჩნია (Философская Энциклопедия, т. 1-5, М. 1960-1970 ; Современная западная философия - Словарь. М.-1991). განათლების ცალმხრივი

რაციონალიზმი რაციონალიზმ - ტექნიციზმ - პრაგმატიზმისა შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ. ცალმხრივი რაციონალისტური განათლება ეპოქაზე უარყოფითად მოქმედებს, ადამიანთა უმრავლესობა ცალმხრივ აღზრდას იღებს, მათ ეს ბუნებრივი ჰგონიათ და სხვაგვარად ვერ წარმოუდგენიათ. ეპოქის ცივილიზაციის ცალმხრივობა კი ამით უფრო მყარდება და განათლების სისტემის ცალმხრივობასაც აძლიერებს. რითაც "მანკიერი წრე" იკვრება.

ამრიგად, პრობლემა პედაგოგიური, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიურია. განათლების ცალმხრივობას მცდარი ფილოსოფიური წანამძღვრები იწვევს.

ცალმხრივმა რაციონალიზმმა გამოიწვია თანამედროვე ცივილიზაციის უსულგულობა, ზნეობის მკვეთრი დაცემა, ადამიანების გაუცხოება, ნევროზები და დეპრესიულობა, შემოქმედებით უნართა დაკნინება, აგრესიულობის მატება და სხვა უმძიმესი მსოფლიო პრობლემები (ვახანია 2009: 18,19). ესაა XX საუკუნის ხელოვნებისა თუ ფილოსოფიის მთავარი თემები.

თანამედროვე განათლების მეცნიერებაში დაწყებულია ამ ცალმხრივობის დაძლევის მცდელობანი. უპირველესად, ესაა ჰ. გარდნერის "მრავალმხრივ უნართა" თეორია (იხ. თავი 3.1).

სწავლების მეთოდიკის უახლესი მიმართულებაა "დიფერენცირებული სწავლება" (ს.ტომილსონი... 2004). მისი მიზანია ცალმხრივი რაციონალიზმის უკუგდება და კონკრეტული საგნების სწავლებაში მრავალმხრივი მეთოდების დამკვიდრება, მათ შორის ისეთების, რომლებიც ემყარება მოსწავლის არა ლოგიკურ, ენობრივ და სხვა რაციონალურ, არამედ ხატოვან, ესთეტიკურ, მუსიკალურ, კინეს-თეტიკურ და სოციალურ - ინტერპერსონალურ უნარებს. მოსწავლეს იმ დოზით უნდა მიეწოდოს მასალა, რამდენის ათვისების შესაძლებლობაც მას გააჩნია. მაგრამ დიფერენცირებული სწავლება არათუ პრაქტიკაში, არამედ თეორიაშიც კი ჯერ მხოლოდ ჩანასახშია.

ყოველივე ეს ცხადად გვისაბუთებს, თუ რაოდენ აქტუალურია ჩვენი საკვლევი თემა - განათლების მრავალმხრივობა.

კვლევის მიზანი

I. მრავალმხრივი განათლების შინაარსის წარმოჩენა და მისი უდიდესი მნიშვნელობის ჩვენება;

II. პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს მრავალმხრივი განათლების დამკვიდრებას განათლების სისტემაში.

კვლევის ამოცანები

1. მრავალმხრივი განათლების მოკლე ისტორიული მიმოხილვა;

2. მცირე ემპირიული გამოკვლევით მრავალმხრივი განათლების შესახებ საზოგადოების აზრის გამოვლენა;

3. ფიზიკური, ესთეტიკური, ზნეობრივი, რელიგიური და პიროვნული აღზრდის პედაგოგიური, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საფუძვლების გამოკვლევა.

ჩვენი კვლევა, სადისერტაციო ნაშრომის მოცულობის შეზღუდულობის გამო, ვერ შეეხება მრავალმხრივი განათლების სხვა, ისეთ მნიშვნელოვან მხარეებს, როგორებიცაა: ეროვნული აღზრდა; სამოქალაქო-დემოკრატიული აღზრდა; ეკოლოგიური აღზრდა; გენდერულ-სქესობრივი აღზრდა.

არ შევეხებით არც ლოგიკური აზროვნების განვითარებისა და ფაქტობრივი ცოდნის შეთვისების საკითხებს, რადგან განათლების ცალმხრივობას სწორედ ისინი განაპირობებენ.

ნაშრომის კვლევის ძირითადი **მეთოდებია**: წყაროების ანალიზი, გამოკითხვა, დაკვირვება, ლოგიკური ანალიზი, შეჯამება, თეორიული კვლევა, კონკრეტული მეთოდების გამოყენება.

კვლევის **ჰიპოთეზა**: უგულებელყოფილია მრავალმხრივი განათლების მნიშვნელობა და ამიტომ საჭიროა ამ მდგომარეობის შეცვლა.

კვლევის მეცნიერული **სიახლე:**

XXI საუკუნეშიც განათლების მთავარ პრობლემად ცალმხრივი რაციონალიზმი რჩება, განათლების ცალმხრივი რაციონალიზმი რაციონალიზმ - ტექნიციზმ - პრაგმატიზმის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ. ცალმხრივი რაციონალისტური განათლება ეპოქაზე უარყოფითად მოქმედებს, ეს კი განათლების სისტემის ცალმხრივობასაც აძლიერებს. რითაც "მანკიერი წრე" იკვრება.

თანამედროვე განათლების მეცნიერებაში ცალმხრივობის დაძლევის მცდელობა დაწყებულია. უპირველესად, ესაა ჰ. გარდნერის თეორია "მრავალმხრივ უნართა" (იხ. თავი 3.1). სწავლების მეთოდიკის უახლესი მიმართულებაა "დიფერენცირებული სწავლება". მისი დედააზრია ცალმხრივი რაციონალიზმის უკუგდება და კონკრეტული საგნების სწავლებაში მრავალმხრივი მეთოდების დამკვიდრება.

სადისერტაციო ნაშრომს აქვს, როგორც **თეორიული** ისე **პრაქტიკული** ღირებულება, რაც შემდგომში მდგომარეობს: ჩვენი თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციებით გამოვავლინეთ მრავალმხრივი განათლების პრობლემები. შევიმუშავეთ პრობლემის გადაჭრის რეკომენდაციები. (ეს უფრო გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს სკოლებში).

კვლევის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა:

ბრსუ-ს ბიბლიოთეკა, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, პირადი ბიბლიოთეკა, ბათუმის სჯარო ბიბლიოთეკები, ინტერნეტრესურსები, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი, სკოლა ლიცეუმი - „ევრო 2000“ და საჯარო სკოლები.

დასაცავად გამოსატანი დებულებები:

1. სასკოლო განათლების ძირითადი ნაწილი არ უნდა იყოს მხოლოდ ლოგიკურ და ენობრივ უნართა მქონე მოსწავლეებზე ორიენტირებული. მცდარია ხელოვნებისა და სპორტის მეორეხარისხოვან, უმნიშვნელო საგნებად მიჩნევა. სწავლება და აღზრდა ისე უნდა აიგოს, რომ არც ერთი ტიპის უნარის მქონე მოსწავლე არ გაირიყოს სასწავლო პროცესიდან და არ დაიჩაგროს.

2. ცნობილია, რომ ინდივიდის ქცევას და განცდას განწყობა განსაზღვრავს და წარმართავს. აქედან გამომდინარე, სწავლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა განწყობით ხდება ის.

3. სწავლა-აღზრდის ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ასაკობრივი და დარგობრივი ეგოცენტრიზმია.

4. მეტისმეტად გადატვირთული სქოლასტიკური სასწავლო პროგრამები იწვევს მოსწავლეთა დაბალ თვითშეფასებას და დათრგუნვას. რის შედეგადაც ახალგაზრდებს გული უცრუვდებათ სწავლაზე და იწყებენ თვითდამკვიდრების

სარბიელის ძებნას სკოლის გარეთ, ქუჩაში. ხშირია აგრესია. სხვადასხვა სახის დევიანტური ქცევა (გადახრები).

5. სკოლამდელისთვის და დაწყებითი კლასის მოსწავლისათვის მავნებელია დიდხანს გაუნძრევლად ყოფნა. სასკოლო მზაობას მოძრაობის იმპულსების შეკავების უნარის განვითარების დონე განმსაზღვრავს და არა აზროვნების განვითარების დონე (რომლითაც 5 წლის ბავშვი დიდად არ განსხვავდება 6 წლის ბავშვისაგან). ამიტომ მიგვაჩნია (და მიაჩნია ბევრ ფსიქოლოგს) არასწორად ხუთი წლის ბავშვის შეყვანა სკოლაში და მისი დასმა მერხთან.

6. ბავშვის ჯანსაღი აღზრდისთვის ხშირად ჯდომა კომპიუტერთან და ტელევიზორის ყურება ხელისშემშლელი და მავნებელია, ეს რამდენიმე მიზეზით შეიძლება ავხსნათ: 1. იზღუდება ბავშვის სენსომოტორული აქტივობა, რაც აფერხებს მის სხეულებრივ განვითარებას; 2. ბავშვის ენობრივ-ლოგიკური და ნებელობითი უნარები ფერხდება, რადგან ეკრანი ზემოქმედებს არა იმდენად სიტყვებითა და აზრებით (რაც ცნობიერების მაღალ დონეს მოითხოვს და რთულია), არამედ - გამოსახულებებითა და სურათებით (რაც ცნობიერების დაბალ დონეზე ხდება და იოლია). ამიტომაა, რომ ბავშვს წიგნთან და ტექსტთან ურიერთობა ავითარებს, ხოლო ეკრანზე მიჯაჭვულობა აფერხებს მის გონებრივ განვითარებას; 3. კომპიუტერთან მიჯაჭვული ბავშვი მოკლებულია ცოცხალ ადამიანურ ურთიერთობებს, ადამიანურ სითბოს. ყოველივე ეს ხელს უშლის დეცენტრაციას, ეგოცენტრიზმის დაძლევას; 4. კომპიუტერის ეკრანს აქვს ნარკოტიკისმაგვარი ჩამთრევი ძალა და ბავშვს ზომიერების დაცვა თითქმის არ შეუძლია. რაც უფრო ნაკლებ დროს გაატარებს მოსწავლე (განსაკუთრებით დაწყებითი კლასის) კომპიუტერთან, მით უფრო ჯანსაღად აღიზრდება იგი.

7. შემოქმედებითი სწავლება მოითხოვს, რომ მოსწავლის ყოველი შემოქმედებითი მიგნება თუ მონდომება საგანგებოდ აღინიშნოს, წახალისდეს. ამისათვის მრავალკომპონენტიანი შეფასება რუბრიკებით, აუცილებელია. მათ შორის უნდა იყოს რუბრიკა "შემოქმედებითობა"; მასწავლებელმა შემოქმედებითი მოსწავლე სწორედ ამ რუბრიკაში უნდა შეაფასოს მაქსიმალური ქულით, ხოლო სხვა რუბრიკებში, მიუკერძოებლად უნდა დაუწეროს ის ქულა რაც ეკუთვნის. საბოლოო ქულა კი ფორმალური წესით უნდა გამოთვალოს.

8. ესთეტიკური აღზრდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხატვრული ცნობიერების, გაგების განვითარების ხელშეწყობას. ამისთვის კი საჭიროა: აბსტრაქტული ფუჭსიტყვაობის, მექანიკური რეპროდუქციის, ზერელობისა და სქოლასტიკურობის აღკვეთა და აქტიური სწავლების გაღრმავება; აქტიური მეცადინეობით მდიდარი კონკრეტული გამოცდილების დაგროვება; წარმოსახვისთვის ფართო სარბიელის მინიჭება; შემოქმედებითი სწავლება და შემოქმედებითობა; ზედმეტი ჩარჩოების უკუგდება; გემოვნების შემზღუდავი რაციონალურობის მოთოკვა, მეტი სილაღე.

9. პიროვნების აღზრდა (მათ შორის ზნეობრივიც) ნებისყოფის აღზრდის პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს.

10. ნებისყოფა და მისი აღზრდა ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია პედაგოგიკაში. არ არსებობს და ვერც იარსებებს ისეთი მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება ყველაფრის სახალისოდ სწავლება. ე.ი. ნებისყოფა, ერთი მხრივ, აუცილებელია იმისთვის, რათა მოსწავლემ ნამდვილი აქტიური ცოდნა შეიძინოს. მეორე მხრივ, ნებისყოფის აღზრდა თავისთავად არის ზოგადი განათლების ერთ-ერთი მიზანი, რადგან უმისოდ ზრდასრული ადამიანი ვერ იქნება სრულფასოვანი ვერც პიროვნება და ვერც საზოგადოების წევრი.

ნაშრომის სტრუქტურას განსაზღვრავს კვლევის მიზანი და ამოცანები. დისერტაცია შედგება შესავლის, ოთხი თავისა (პირველ თავში არის 3 პარაგრაფი, მეორეში - 2 პარაგრაფი, მესამეში - 7 პარაგრაფი, მეოთხეში - 5 პარაგრაფი) და დასკვნისაგან. თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

შესავალში დასაბუთებულია, თუ რატომ შეირჩა აღნიშნული თემა. განსაზღვრულია კვლევის ობიექტი, მიზანი, ამოცანები და მეთოდები. წარმოჩენილია მისი აქტუალურობა, მეცნიერული სიახლე, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მნიშვნელობა და წარმოდგენილია ნაშრომის მოკლე შინაარსი თავების მიხედვით.

პირველ თავში განხილულია, განათლება, როგორც ზოგადსაკაცობრიო ღირებულება, განათლების არსი, მისი შერჩევის პრინციპები და კრიტერიუმები. საუბარია, განათლებაზე როგორც პიროვნების განვითარებისა და ფორმირების საშუალებაზე. ასახულია, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული განათლების

სისტემა, ცოდნის გადმოცემის მრავალმხრივი, კომპლექსური პროცესი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ათვისებული ცოდნისა და უნარ - ჩვევების შემდგომში რაციონალური გამოყენება. როგორც ვიცით, პედაგოგიკა მოწოდებულია იმისათვის, რომ ანალიზის საფუძველზე შეისწავლოს მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემები და შეიმუშაოს რაციონალური რეკომენდაციები, რომლებიც ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის მესვეურებს ცალკეული პრობლემების სწორ გადწყვეტაში ხელს შეუწყობს.

პირველი თავის ბოლო პარაგრაფში წარმოდგელია ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს, თუ მოსწვალეების როგორ აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს განათლების სისტემამ. მისი ამოცანაა, შექმნას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები.

მეორე თავში მოცემულია მრავალმხრივი განათლების შინაარსის ისტორიული მიმოხილვა. რას თვლიდნენ ყველაფრის საძირკვლად უძველესი დროიდან ცნობილი მოაზროვნეები, მეცნიერები და ფილოსოფოსები. მაგ. განხილულია, სოკრატესა და პლატონის შეხედულებები ადამიანის ჰარმონიული განვითარების შესახებ.

პიროვნების ფორმირებისათვის აუცილებელია როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური განვითარება, რადგან მხოლოდ სულიერი განვითარება ზედმეტ **მგძნობელობას** გამოიწვევს, ფიზიკური კი - ხასიათის გადაჭარბებულ სიმტკიცეს. პლატონი მიიჩნევდა, რომ მხოლოდ ჰარმონიულად განვითარებულ ადამიანს ექნება მამაცი და თავმდაბალი სული და სრულყოფილებაც გიმნასტიკური ვარჯიშების ხელოვნებასთან მონაცვლეობით მიიღწევა. თუ აღსაზრდელში ძლიერია სული და სუსტია სხეული, საჭიროა მისი აღდგენა ფიზიკური ვარჯიშით, ხოლო თუ სხეულია ძლიერი და სულიერი ძალა მოისუსტებს, ის მუსიკისა და ფილოსოფიის შესწავლით უნდა განვითარდეს.

მეორე თავში ასევე მიმოხილულია აღზრდა-განათლება ძველ საქართველოში და მრავალმხრივი განათლების პრობლემები ძველ და თანამედროვე საქართველოში.

ბერძნული წყაროებიდან ვიცით, რომ III - IV საუკუნეებიდან, თუ უფრო ადრე არა, დაწყებითი და საშუალო განათლების გარდა კოლხეთში ფილოსოფიური განათლების კერაც არსებობდა.

სწავლების პრინციპი ასეთი იყო: სწავლება ქართულ და ბერძნულ ენებზე

მიმდინარეობდა, ისწავლებოდა ის მეცნიერებანი, რომელსაც იმდროინდელი ბიზანტიის უმაღლესს ფილოსოფიურ სასწავლებლებში ასწავლიდნენ : მათემატიკა, ასტრონომია, ლიტერატურა, ფილოსოფია, სამართალი, მუსიკა. საერო აღზრდისათვის აუცილებელი იყო ფიზიკური აღზრდა და სამხედრო მომზადება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს (რაც დღევანდელობასთან უშუალო კავშირშია) ისიც, რომ წარჩინებული გვარიშვილი, გონებრივ აღზრდასთან ერთად, ხელობასაც ეუფლებოდა, რათა მისთვის არაფერი ადამიანური უცხო არ ყოფილიყო და დაეფასებინა შრომა. აუცილებელი იყო ესთეტიკური აღზრდაც.

მესამე თავი ეხება თემის ერთ - ერთ მთავარ საკითხს - მრავალმხრივი განათლების შინაარსის თეორიულ საფუძვლებს. ჩვენ დავეყრდნობით მხოლოდ იმ თეორიებს, რომლებიც მსოფლიოში პედაგოგიკის მეცნიერების საფუძვლადაა აღიარებული, ხოლო საქართველოში კანონმდებლობითაა დამტკიცებული, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი.(მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. სწავლისა და განვითარების თეორიები).

მრავალმხრივ უნართა, მრავალმხრივი ინტელექტის თეორიებში მიმოვიხილე სხვადასხვა თეორიტიკოსის დასკვნა, აღვნიშნე, რაოდენ მნიშვნელოვნად მიიჩნია გარდნერმა განათლების მრავალმხრივობის საკითხი. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩავატარე კვლევა, გამოვავლინე სხვადასხვა ტიპის უნარის მქონე მოსწავლეები. გავაკეთე დასკვნა, რომ განათლების ძირითადი ნაწილი არ უნდა იყოს მხოლოდ ლოგიკურ და ენობრივ უნართა მქონე მოსწავლეებისთვის. სწავლება და აღზრდა ისე უნდა აიგოს, რომ არც ერთი ტიპის უნარის მქონე მოსწავლე არ გაირიყოს სასწავლო პროცესიდან და არ დაიჩაგროს.

ესაა მსოფლიო პედაგოგიკის უახლესი მიმართულების, დიფერენცირებული სწავლების დედააზრი.

პიაჟეს აღმოჩენამ დაგვარწმუნა, თუ როგორ ზღუდავს ადამიანის ცნობიერებას ეგოცენტრიზმი. ის „ცენტრირებულია“ საკუთარ თავზე, არ ითვალისწინებს სხვათა არსებობას, სხვათა ზნეს და სხვათა სურვილებს.

აქვე უნდა აღინიშნოს მოსწავლეზე ორიენტირებული ანუ ჰუმანისტური სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი - ინდივიდუალური მიდგომა.

მოსწავლეს ისე უნდა შევუწყოთ ხელი, რომ მან თავად მოახერხოს თავისი პროფესიის სწორად არჩევა და ადგილის დამკვიდრება საზოგადოებაში. არ შეიძლება მშობელი ან სხვა ვინმე უხეშად ჩაერიოს არჩევანის გაკეთებაში.

მეოთხე თავში წარმოდგენილია მრავალმხრივი აღზრდის პედაგოგიური, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები. აღნიშნულია, რომ მოსწავლე ითრგუნება გადატვირთული სასწავლო პროგრამებით, რაც ახალგაზრდების ნევროზულობას იწვევს. სიჯანსაღის მთავარი საფუძველია უფლებათა შეუბღალაობა და ტრანსცენდენტაციის სარბიელის გახსნა. ბავშვს არ უნდა დავუშალოთ მოძრაობა, ცელქობა. ბავშვი გაკვეთილებზე იკავებს სენსომოტორული აქტივობის მოთხოვნილებას, ამიტომ ეს დანაკლისი ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებით უნდა ანაზღაურდეს.

ამავე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ წინათ პედაგოგიკა არ იცოდნენ და არც სჭირდებოდათ. ბავშვი იზრდებოდა სათანადო გარემოში და თავისთავად, ძალდაუტანებლად ითვისებდა წინაპართა ადათ-წესებს, ზრდილობას. დაწვრილებით იყო განსაზღვრული, თუ ვინ როგორ უნდა მოქცეულიყო. თუმცა ზნეობა არ იყო პიროვნულ შეგნებამდე ამაღლებული. ადამიანი სწორად თავისი შეგნების გამო კი არა, არამედ კონმფორმიზმის გამო იქცეოდა - ასე მოითხოვდა ღმერთი და სარწმუნოება. ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ განათლებულ ადამიანს ზნეობა ქვეცნობიერ დონეზეც ფესვგამდგარი უნდა ჰქონდეს (ცნობიერთან ერთად). აქვე გაანალიზებულია, თუ რა არის ზნეობა, რომელია ძირითადი ზნეობრივი წესები, რაში ვლინდება ზნეობრივი და უზნეო ქცევა.

კვლევების შედეგებმა და დაკვირვებებმა ცხადყო, რომ ზნეობის საფუძველია დეცენტრაციის უნარი - თავკერძობის ანუ ეგოცენტრიზმის დაძლევა. უმაღლესი ზნეობის ადამიანის უზენაესი განმგებელი არის არა დასჯის შიში (ღმერთისაგან თუ საზოგადოებისაგან), არა სირცხვილის გრძნობა (რადგან იგი მხოლოდ სხვების წინაშეა), არამედ საკუთარი სინდისის ხმა, სინდისის ქენჯნა მხოლოდ საკუთარი პიროვნული ღირსების წინაშე.

აღზრდის ცნების განხილვის დროს, ნათლად იკვეთება პიროვნების აღზრდის დროს რელიგიური ფაქტორების ზემოქმედება. მოიაზრება, რომ რწმენასთან თანაზიარი ცოდნა გვხდის უფლის მეგობრად. სკოლაში რელიგიის და რელიგიის

ისტორიის სწავლება ცოდნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სხვადასხვა რელიგიის გაცნობა რელიგიური ტოლორანტობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ რელიგია სახელმწიფო სკოლებში უნდა ისწავლებოდეს, როგორც საგანი, მაგრამ მოსწავლეებისთვის ჩვენი რელიგიური შეხედულებებისა და გრძნობების თავს მოხვევა მიუღებელია.

დისერტაციის ბოლო ნაწილში ჩამოყალიბებულია, თუ რა კანონზომიერებები უნდა გავითვალისწინოთ პიროვნული აღზრდის დროს. დასმული და პასუხგაცემულია კითხვები: ვინ არის პიროვნება? რა არის პიროვნების მახასიათებელი? აღნიშნულია, რომ პიროვნება უმეტესად საკუთარი მრწამსითა და შეგნებით მოქმედებს და არა წუთიერი გრძნობებით, ან ხალხის გავლენით. შეგნება ადამიანის გაცნობიერებულ, გააზრებულ შეხედულებათა და დამოკიდებულებათა თანწყობაა. მრწამსი არის შეგნების ბირთვი, რომელიც მოიცავს უმნიშვნელოვანესს საკითხებს: შეხედულებას სიცოცხლის, ღმერთის, ბოროტების, ცხოვრების საზრისის და მიზნის შესახებ. სკოლაში აღზრდის ერთ - ერთი მიზანი ბავშვის პიროვნების განვითარებაა. ეს ბავშვის მეობის გაძლიერებასა და საკუთარი თავის აღმოჩენას უკავშირდება.

აქვე მინდა დავსძინო, რომ პიროვნების განვითარების ხერხემალი ნებისყოფაა. მისი განმსაზღვრელი თვისებებია: თავშეკავების უნარი, მოთმინება, მიზანსწრაფულობა. ნებისყოფის აღზრდის მეთოდებია: ბავშვებში ასაკის შესაბამის სიძნელეთა დამოუკიდებლად გადალახვისა და უსიამოვნებათა ატანის ჩვევის გამომუშავება და თავშეკავების ფასად სიამოვნების მიღწევა. ეს ნებისყოფის გაძლიერებით ხდება.

დისერტაციის აღნიშნული ნაწილის სიცხადისთვის მოვიყვანთ დიმიტრი უზნაძის სიტყვებს: „ ახალგაზრდის მოწოდებაა, რომ წინა თაობათა ღირსეული საქმენი ღირსეულად განაგრძოს. წინა თაობა უნდა იყოს მისთვის მაგალითი პიროვნულობისა, ღირსებისა, მამულიშვილობისა, ჰუმანიზმისა, სიცოცხლის სიყვარულისა და დამსახურებული ბედნიერებისა. მხოლოდ ასე აღიზრდება ჯანსაღი მომავალი თაობა”.

მეცნიერთა უდიდესი ნაწილი თვლის, რომ პიროვნების ჯანსაღი

განვითარებისთვის ყველაზე მთავარი მაინც სიყვარულია.

დასკვნის სახით წარმოდგენილი გვაქვს, თემაში დასმული პრობლემა განხილულის საფუძველზე. დასკვნა თავისი შინაარსით პირობითად იყოფა ოთხ ნაწილად: თითოეულ თავში განხილული საკითხების მოკლე შეჯამება (სულ 4 თავი და შეასბამისად 4 ნაწილი) და მთლიანი თემის საბოლოო ანალიზი და შეჯამეება.

I თავი

განათლება, როგორც ზოგადსაკაცობრიო ღირებულება

§1. განათლების შინაარსი, როგორც პიროვნების განვითარებისა და ფორმირების საშუალება

გლობალიზაციის თანამედროვე პრობლემებმა წინა პლანზე წამოწია შედარებითი პედაგოგიკის მნიშვნელობა და ფუნქციები. ეს ბუნებრივია, რადგან მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცე ერთ მთლიანობად იკვრება და ეროვნული განათლების სისტემის ავტონომიურობაც სრულიად ახალ შინაარსს იძენს. მსოფლიო ბაზარი, რომელიც სულ უფრო და უფრო ერთიანი ხდება, გლობალურ კონკურენციას ამკვიდრებს. ამ კონკურენციაში კი წარმატება იმას ხვდება წილად, ვისაც უკეთესი ტექნოლოგია აქვს. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს არა იმდენად ცოდნა, რამდენადაც მისი გამოყენების მეთოდი. ამიტომ აქტუალურია იმის გარკვევაც, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული განათლების სისტემა, ცოდნის გადმოცემის მრავალმხრივი, კომპლექსური პროცესი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ათვისებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემდგომში რაციონალური გამოყენება.

პედაგოგიკა მოწოდებულია იმისათვის, რომ მსოფლიო საგანმანათლებლო გამოცდილების შესწავლითა და ანალიზით შეიმუშაოს რაციონალური რეკომენდაციები, რომელიც სასიკეთოდ წაადგება ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემის მესვეურებს ცალკეული პრობლემების სწორად გადასაჭრელად.

უცხოური განათლების სისტემის შინაარსისა და ორგანიზაციის შესწავლის საჭიროებას ყველა მეცნიერი როდი აღიარებს. ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ აღზრდა, როგორც სოციალური მოვლენა, ეროვნული ფსიქოლოგიის შედეგია და უცხოური გამოცდილება არ გამოგვადგება. ცხადია, აღზრდა ეროვნულ ტრადიციებს არ

შეიძლება მოსწყდეს, მაგრამ, რადგან ადამიანი ცხოვრობს პოლიტ - კულტურულ გარემოში, ამიტომ მისი სწავლა - განათლება და აღზრდა ზოგადსაკაცობრიო გამოცდილებასაც უნდა მოიცავდეს.

პედაგოგიკის კვლევის სფერო დისციპლინათაშორის სივრცეს მოიცავს. იგი ორგანულად უკავშირდება განათლების ფილოსოფიას, პედაგოგიკის ისტორიას, აღზრდის, განათლებისა და სკოლათმცოდნეობის საკითხებს. მის თვალსაწიერშია მოქცეული როგორც თანამედროვე, ისე წარსულის გამოცდილება და მომავლის პერსპექტივები.

მსოფლიო პედაგოგიკური გამოცდილების ათვისება ხელს უწყობს ფართო პედაგოგიკური აზროვნების დამკვიდრებას, განვითარების პერსპექტივებისა და ტენდენციების განჭვრეტას, რაც სწორი დასკვნების გამოტანის წინაპირობაა.

უცხოეთის საგანმანათლებლო თეორიებში მყარად დამკვიდრდა სწავლების ინტეგრირების იდეა. ამჟამად სწავლების ინტეგრირების აუცილებლობაში პედაგოგთა უმრავლესობას ეჭვი აღარ ეპარება. ინტეგრირებული სწავლება - ეს არის სასწავლო პროცესის ისეთი ორგანიზება, რომელიც გათვლილია თითოეული მოზარდის საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე.

საგანთშორისი სწავლების მიზანია მოსწავლეთა უნიკალური უნარების და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ დასახული შედეგების მიღწევას.

ასეთი სწავლების ეფექტი მთლიანად დამოკიდებულია თითოეული მოსწავლის ცოდნის, უნარ - ჩვევების, დამოუკიდებლობის და უნიკალური გამოცდილების გათვალისწინებაზე. რაც ბავშვს უყალიბდება მშობლებთან, თანატოლებთან, მედიასთან და სამყაროსთან ყოველდღიური ურთიერთობით. დიფერენციაციის სტრატეგიის გამოყენება მასწავლებლისაგან სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდის ფლობას მოითხოვს.

თუ წარსულს გადავხედავთ, გავიხსენებთ, რომ გასული საუკუნის 70 - იან წლებში, პოსტსაბჭოთა სივრცეში, ქართველი პედაგოგები ერთ - ერთი პირველები იყვნენ, რომლებმაც ინტენსიურად დაიწყეს სწავლების დიფერენცირების იდეის დამუშავება. 80-იან წლებში იგი, ექსპერიმენტის სახით, აქტიურად ინერგებოდა.

სწავლების დიფერენცირების პრობლემასთან დაკავშირებით შეიქმნა თეორიული და პრაქტიკულ - მეთოდიკური ნაშრომები. მიუხედავად იმისა, რომ სწავლების დიფერნცირების იდეას საქართველოში სერიოზული მოწინააღმდეგები ჰყავდა, იგი მაინც თითქმის საყოველთაოდ მისაღები გახდა. თუმცა იმჟამინდელი განათლების ტოტალიტარული სისტემის ჩარჩოებში იგი ბოლომდე სრულყოფილად ვერ განხორციელდა.

ამრიგად, სწავლების დიფერენცირების იდეები, რაც ზოგიერთი ქვეყნებისათვის სიახლეა, ჩვენი პედაგოგიკისათვის კარგა ხანია ცნობილი და მისაღებია, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ უცხოურ საგანმანათლებლო სისტემებთან ჩვენ სავსებით თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა შეგვიძლია.

განათლების სისტემის რეფორმა საქათველოში სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს. სისტემის გამჭვირვალობის, დემოკრატიზაციისა და განათლების ხელმისაწვდომობის გარდა, ერთ - ერთი მთავარი ვექტორი განათლების ხარისხის გაუმჯობესებაა. პრობლემები განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით მრავალია. შეთანხმება საზოგადოებაში, თუ რა არის განათლების ხარისხი, რა განაპირობებს განათლების ხარისხს, ვინ არის პასუხისმგებელი განათლების ხარისხზე და განათლების მხრივ რა შედეგები გვაქვს, არ არსებობს.

მას შემდეგ, რაც 2004 წლიდან საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში რეფორმებმა ინტენსიური ხასითი მიიღო, სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა განათლების ხელმისაწვდომობის, ეფექტურობისა და ხარისხის ასამაღლებლად. შეიქმნა ახალი ტიპის მართვის სისტემა. სწავლების შინაარსისა და მიდგომების შეცვლის პარალელურად, მიმდინარეობს, საწავლო მასალების შეცვლაც და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაც. ახალი შინაარსისა და მიდგომების შესაბამისად, ლექტორ-მასწავლებლებისადმი ახალი მოთხოვნები შემუშავდა. შეიქმნა პროფესიული სტანდარტები, რომლებიც მოიცავს პედაგოგიური მიდგომების, საგნობრივი შინაარსისა და საგნის სწავლების გააზრებულ ცოდნას.

სხვადასხვა ქვეყანაში განათლების მნიშვნელობა და მიზნები რომ გავიაზროთ, აუცილებელია ეროვნული ტრადიციების გათვალისწინება. ინგლისში განათლებას სოციალური მდგომარეობის შესაბამისად აფასებენ; გერმანიასა და საფრანგეთში შესამჩნევია ინტელექტუალური მდგომარეობის პატივისცემა; აშშ-ში განათლებას

პრაგმატულად უდგებიან. ინგლისელი მეცნიერი მ. სადლერი ამგვარი სიტუაციის აღწერისას შენიშნავს: „როცა განათლებაზე ჩამოვარდება სიტყვა, გერმანელი კითხულობს - რა ეცოდინება, ფრანგს აინტერესებს როგორი იქნება გამოცდები, ამერიკელს - რის გაკეთებას შესძლებს, ინგლისელს - კარიერა“. (ვულფსონი 1996: 77).

დღეს პედაგოგიკის თეორიტიკოსები გვთავაზობენ საგანმანათლებლო დაწესებულებების კრიზისიდან გამოყვანის სხვადასხვა გზას. მათი მიზანია - მომავალი თაობები მოამზადონ მომავალი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული გარდაქმნებისათვის. ისინი არიან ორიენტირებულნი არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ ცვლილებებზე სასკოლო განათლებაში.

დასავლეთ ევროპაში ტრადიციული დიდაქტიკის გავლენა მუდამ ძლიერი იყო. ტრადიციონალიზმი, მაგალითად, დამახასიათებელია ფრანგული პედაგოგიკური აზროვნებისათვის. გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი,პედაგოგი ალენი თავის დიდაქტიკურ მითითებებში ერთგულია ფორმალური განათლების და მთავარ ყურადღებას პიროვნების ინტელექტუალურ განვითარებას უთმობს. სწავლების მთავარი მიზანი, ალენის აზრით, არის „გონების გიმნასტიკა“, „ცოდნაზე მონადირე მშიერი აზრის“ ჩამოყალიბება. (Allan 1948: 25). ამას რომ მივაღწიოთ, მოსწავლეს რაც შეიძლება მცირე მოცულობის ცოდნა უნდა მივცეთ, ანუ მოსწავლეებმა უნდა შეძლონ იმ ფუნდამენტური იდეებისა და გამოცდილებების ათვისება, რაზეც შემდგომში აუცილებელი პროფესიული ცოდნა დაშენდება. ცოდნის ათვისებასთან ერთად, მოსწავლემ უნდა ისწავლოს საკუთარი შემეცნებითი საქმიანობის მართვა.

ალენის მოსაზრებანი პრინციპულად ემთხვევა ჩვენს პედაგოგიკაში დამკვიდრებულ შეხედულებებს, რომელებიც ზოგიერთს კომუნისტური რეჟიმის პროდუქტად ან მეცხრამეტე საუკუნის უიმედო გადმონაშთად მიაჩნია. მაგალითად, ალენის აზრით, დაწყებით სკოლაში სწავლების მთავარი კომპასი თვალსაჩინოებაა, საშუალო სკოლაში კი ძირითადია აბსტრაქტული აზროვნება. ამიტომ მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ სიძნელეთა მაღალ, მაგრამ მისაწვდომ დონეზე. ალენს მიაჩნია, რომ სწავლების პროცესში მოსწავლის ყურადღების დაპყრობითა და მართვით, გულგრილობისა და მოწყენილობის აღმოფხვრა შესაძლებელია. მაგრამ ეს მიღწევადია იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს დასაძლევ სიძნელეს შევთავაზებთ და

საკუთარ ძალებში დავრწმუნებთ. მოსწავლე სასკოლო განათლების საშუალებით უნდა დაეუფლოს ცოდნას და შეეგუოს ცხოვრების სოციალურ პირობებს.

ყოველი ახალი თაობა ცხოვრებას ახალი შინაარსით ავსებს. განათლების მთავარი შინაარსი ცხოვრების მოთხოვნებით განისაზღვრება. სკოლამ ახალგაზრდები ცხოვრებისთვის უნდა მოამზადოს.

ცხოვრებას ჩვენ ფართო თვალსაზრისით განვიხილავთ. პირველ რიგში, ცხოვრება საზოგადოებისათვის აუცილებელი მატერიალური და სულიერი დოვლათის წარმოებაა. ცხოვრობს ის, ვინც ქმნის მატერიალურ, ინტელექტუალურ დოვლათს, ხოლო ცოცხლობს ის, ვინც მხოლოდ მოიხმარს საზოგადოების მიერ წარმოებულ დოვლათს. მატერიალური დოვლათის შესაქმნელად ახალგაზრდები უნდა იყენებდნენ ცოდნას, იმუშავებდნენ ჩვევებს, რათა შეძლონ ცოდნის შრომისთვის საჭირო ძალად გადაქცევა. ამიტომაც ყველა სასწავლო საგანი, რომელსაც სასწავლო გეგმა ითვალისწინებს, უნდა იყოს ორიენტირებული ცხოვრებისათვის ახალგაზრდის მოსამზადებლად.

„განათლება“ მრავალი მნიშვნელობით გამოიყენება პედაგოგიკაში. როცა ვსაუბრობთ განათლების საფეხურებზე, მხედველობაში გვაქვს „განათლების სისტემა“ და ვიყენებთ ცნებებს: „დაწყებითი განათლება“, „საბაზო განათლება“, „სრული ზოგადი განათლება“, „უმაღლესი განათლება“.

როცა ვსაუბრობთ „ განათლების სპეციალიზაციის“ თემაზე, ვიყენებთ ცნებებს „პედაგოგიური განათლება“, „ტექნიკური განათლება“, „სამედიცინო განათლება“ და ა.შ. მაგრამ როცა ვსაუბრობთ განათლების ხარისხსა და ხასიათზე, მხედველობაში გვაქვს განათლების შინაარსი და ვიყენებთ ცნებებს - „ზოგადი განათლება“, პროფესიული განათლება“, „პოლიტექნიკური განათლება“.

ადამიანი განათლებას მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს: ადამიანებთან ურთიერთობებში, ლიტერატურის, ყოველდღიური პრესის კითხვით, ტელე და რადიო გადაცემების მოსმენით, მაგრამ უმთავრეს განათლებას ადამიანი იღებს სკოლაში, სადაც ის მეცნიერულად სისტემატიზირებულ ცოდნას ეუფლება. ეს ცოდნა არსებითად განსხვავდება თვითგანვითარებით შეძენილი ცოდნისაგან იმით, რომ სასკოლო ცოდნა დაფუძნებულია მეცნიერების განვითარების ლოგიკაზე და

პიროვნების მთლიანი განვითარებისკენაა მიმართულია. „განათლების შინაარსი“, - წერს აკად. დავით ლორთქიფანიძე, - გულისხმობს ცოდნა-ჩვევათა იმ ჯამს, რომელსაც ადამიანი სწავლის პროცესში ეუფლება“ . (ლორთქიფანიძე 1983: 111).

ეჭვს აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ განათლება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებას წარმოადგენს. ამას ადასტურებს (მრავალ ქვეყანაში) ადამიანთა კონსტიტუციური უფლება - ,,განათლების მიეღების შესახებ'' და ის ხორციელდება სახელმწიფოებში არსებული განათლების სისტემით. განათლება კულტურის ტრანსლიაციის საშუალებას წარმოადგენს. ის ადამიანს ხდის ქმედითუნარიანს და აქტიურს, როგორც მუდმივად ცვალებად, ასევე მისთვის ნაცნობ სოციალურ წრეებში.

კულტურულ-ჰუმანისტური განათლებით ხდება ადამიანის ზოგადი სწრაფვა ჰარმონიული განვითარებისაკენ. ამასთან ერთად, საგანმანათლებლო სისტემის თითოეული კომპონენტი განათლების ჰუმანისტური მიზნების შესრულების საშუალებაა.

განათლების ჰუმანისტური მიზანი მისი შინაარსის გადამოწმებას გულისხმობს. ის უნდა შეიცავდეს არა მხოლოდ უახლეს მეცნიერულ ტექნოლოგიურ ინფორმაციას, არამედ ჰუმანიტარულ პიროვნულ - განმავითარებელ ცოდნასა და შესაძლებლობებს, შემოქმედებითი მოღვაწეობის გამოცდილებას, ადამიანისა და ბუნების ემოციურად ღირებულ დამოკიდებულებას და მორალურ-ეთიკურ გრძნობას, რაც განაპირობებს ადამიანის ქმედებას ხანგძლივ ცხოვრებისეულ სიტუაციაში.

განათლების კულტურულ - ჰუმანიტარული ფუნქციის რეალიზაცია მიზნად ისახავს სწავლებისთვის საჭირო ახალი ტექნოლოგიების დამუშავებასა და პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული ტექნოლოგიების შესამუშავებლად საკმარისი არ არის არსებული მეთოდების განახლება და სწავლებისადმი მიდგომის ტაქტიკის შეცვლა. განათლების ჰუმანიტარული განვითარება გულისხმობს არა იმდენად ცოდნის დაგროვებასა და მის გამოყენებას, რამდენადაც თავისუფალ პიროვნებაში შემოქმედებითი ინდივიდუალურობისა და ინტელექტის განვითარებას.

ბოლო წლებში, განათლების სისტემის ერთი მიდგომიდან - ცოდნაზე ორიენტირებულიდან, მეორეზე - პიროვნებაზე ორიენტირებულზე გადასვლამ

განაპირობა ისეთი პრინციპების ჩამოყალიბება, როგორებიცაა ჰუმანიზაცია და ფუნდამენტალიზაცია. ეროვნული სასწავლო გეგმა იწყება დიმიტრი უზნაძის სიტყვებით: „ სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არ აქვს, რომელსაც იგი კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის სახით გვაძლევს, არამედ განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას.“ (ეროვნული სასწავლო გეგმა).

ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება განათლების სისტემისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტს, „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს”, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი თაობების აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს განათლების სისტემამ. ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანაა, შექმნას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები. ამ მიზნიდან გამომდინარე, იგი ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას. ამ კონცეფციის აღმავლობას თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ხელი შეუწყო 70-იანი წლებიდან სხვადასხვა სამეცნიერო დარგში (კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, ნეირო მეცნიერებებში, განათლების მეცნიერებებში, ფსიქოლინგვისტიკაში, ენების დიდაქტიკაში და სხვ.) მიმდინარე ინტენსიურმა კვლევებმა, რომლებმაც მეცნიერულად დაასაბუთეს მისი უპირატესობა მყარი, დინამიური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებისათვის, შესაბამისად, ისეთი მოქალაქის აღზრდისათვის, რომელიც თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებს უპასუხებს.

პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი. შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას.

სწორედ ამიტომ ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით. ეს არსებითი მოთხოვნა აისახება საგნობრივი პროგრამების სამნაწილიან სტრუქტურაში.

http://eqe.ge/uploads/Grifireba/saswavlogegma1.pdf

საგნობრივი პროგრამები:

საგნობრივი პროგრამების ზოგადი ნაწილი განსაზღვრავს საგნის სწავლების ამოცანებს და იმ ძირითად ორიენტირებს, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარეობს.

საგნობრივი სტანდარტი განსაზღვრავს კონკრეტულ საგნობრივ კომპენტენციებს, რომელთაც უნდა დაეუფლონ მოსწავლეები დასახული მიზნების მისაღწევად. საგნობრივ სტანდარტში აღწერილი კომპეტენციები მოიცავს სამი კატეგორიის ცოდნას: ა) დეკლარატიულს, ანუ სტატიკური ხასიათის ცოდნას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ცოდნის პროცედურულად გამოყენებას. დეკლარატიულია მოსწავლის ცოდნა, თუ მან იცის კონკრეტული მათემატიკური ოპერაციის წარმოების წესი, თუმცა ვერ იყენებს მას; ბ) პროცედურულს, ანუ დინამიკურ ცოდნას, რომელიც ცოდნის გამოყენების, რეალიზების საშუალებას იძლევა; პროცედურულია მოსწავლის ცოდნა, თუ ის ასრულებს მათემატიკურ ოპერაციას. პროცედურული ცოდნის ათვისება მრავალჯერადი გავარჯიშების გზით ხდება; და გ) პირობისეულ ცოდნას, ანუ ფუნქციურ ცოდნას, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას. პირობისეულია მოსწავლის ცოდნა, თუ მას შეუძლია დასმული ამოცანის ამოსახსნელად შეარჩიოს სათანადო ოპერაცია.

ცოდნის სამი კატეგორია

საგნობრივი პროგრამების ძირითადი ნაწილის - სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება. მასში სწავლების მიზნები ჩამოყალიბებულია კონკრეტული შედეგების სახით, ანუ იმ ცოდნისა და უნარ - ჩვევების სახით, რომლებიც უნდა წარმოაჩინოს მოსწავლემ სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. სტანდარტით განსაზღვრული შედეგებისა და ინდიკატორების სახით მასწავლებელს ეძლევა კონკრეტული მითითება იმის შესახებ, თუ როგორ და რა კუთხით უნდა დაამუშავებინოს მოსწავლეებს ჩამონათვალში მოცემული შინაარსობრივი საკითხები. ის ერთგვარი გზამკვლევია, რომელიც მიუთითებს, თუ როგორ უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი, რათა მოსწავლეებმა ცოდნა გააზრებულად და საფუძვლიანად შეიძინონ.

პროგრამის შინაარსი წარმოადგენს სავალდებულო და სარეკომენდაციო სასწავლო საკითხების ჩამონათვალს.

ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელსაც შეიმუშავებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი - განკუთვნილია ზოგადი განათლების სფეროში მოღვაწე თუ მონაწილე ყველა სუბიექტისთვის.

განათლების შინაარსის ჰუმანიტარიზაციული პრინციპი დაკავშირებულია მოსწავლეში ზოგასაკაცობრიო კულტურის აღქმის უნარის განვითარებასთან. აღქმის უნარის ამ პრინციპს უამრავი ასპექტი გააჩნია, დაკავშირებული როგორც მოსწავლის მსოფლმხედველობასთან, ასევე თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ პრინციპულ სიტუაციებთან, რომელთა შემადგენელი ნაწილებია: ცხოვრებისუნარიანობა და თვითგანსაზღვრის კულტურა, ეკონომიკური და შრომის კულტურა, პოლიტიკური და უფლებრივი კულტურა, ინტელექტუალური, ეკოლოგიური, ხელოვნებისა და ფიზიკური კულტურა, ოჯახური ურთიერთობების კულტურა და სხვა.

http://eqe.ge/uploads/Grifireba/saswavlogegma1.pdf

პიროვნების საბაზო კულტურის განვითარებისა და ფორმირების საშუალებას განათლების შინაარსი იძლევა. ტრადიციულ პედაგოგიკაში, რომელშიც ორიენტაცია საგანმანათლებლო სკოლების ფუნქციებზე ხდებოდა, განათლების შინაარსი შემდეგნაირად განისაზღვრებოდა: „სისტემატიზირებული ცოდნის, უნარის, ხედვისა და თავდაჯერებულობის ერთობლიობა, ასევე აღმოჩენებისა და პრაქტიკული მომზადების გარკვეული დონე, მიღწეული სასწავლო-სააღმზრდელო მოღვაწეობის გზით. (პედაგოგიური ლექსიკონი, 1960: 139). ეს არის ე. წ. ცოდნის ორიენტირებადი მიდგომა განათლების შინაარსის განსაზღვრის მიზნით.

ასეთი მიდგომის დროს ყურადღების ცენტრში დგას ცოდნა, როგორც ძიებისა და ისტორიული გამოცდილების საფუძველზე დაყრდნობილი ადამიანის სულიერი სიმდიდრის ამსახველი ფაქტი. ცოდნა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი სოციალური ღირებულებაა და მასზე ორიენტირებულ განათლების შინაარსს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ის განაპირობებს პიროვნების სოციალიზაციასა და სოციუმში შეღწევას.

ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსი რიჩარდ რორტი (1931 – 2007) როდესაც „ცოდნის საფუძვლების“ შესახებ საუბრობდა, ამტკიცებდა, რომ: „ეს არის ჭეშმარიტი ცნება, რომელიც უდავოა უფრო მეტად თავისი მიზეზების ვიდრე მტკიცებების გამო და ის არის ანალოგია ცოდნასა და აღქმას შორის“ (Rorty 2009: 157).

ბოლო ათწეულების განმავლობაში, განათლების შინაარსის გამოსავლენად, მეცნიერები უფრო ხშირად პიროვნებაზე ორიენტირებულ მიდგომას იყენებენ. ამ მიდგომის მომხრეები არიან ი.ლერნერი, მ.სკატკინი, ვ.ლედნევი და ბ. ბიმ-ბადი.

ი. ლერნერი და მ. სკატკინი მიიჩნევენ, რომ განათლების შინაარსი პედაგოგიკურად ადაპტირებული ცოდნის სისტემას, უნარს, ცოდნას, შემოქმედებით მოღვაწეობასა და თავისუფალი ურთიერთობების გამოცდილებას გულისხმობს. სწორედ მათი ერთობლიობა განაპირობებს როგორც პიროვნების მრავალმხრივ განვითარებას, ასევე თანამედროვე საზოგადოების მატერიალური და სულიერი კულტურის აღმავლობას.

მაშ ასე, განათლების შინაარსის არსის განსაზღვრებისას პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომა ჭეშმარიტ ღირებულებად თვლის თვით პიროვნებას და ცოდნას. ასეთი მიდგომა პიროვნებას ანიჭებს სრულ თავისუფლებას საკუთარი საგანმანათლებლო, სულიერი, კულტურული და ცხოვრებისეული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და ხელს უწყობს მის ინდივიდუალურობასა და რეალიზაციას კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროებში.

ტრადიციული პედაგოგიკა ადამიანის მხოლოდ სოციალურ მხარეს აღიარებდა, რაც მიზნად ისახავდა სოციალურად მნიშვნელოვანი თვისებების ჩამოყალიბებას და ადამიანის, როგორც საზოგადოების ერთ - ერთი წევრის განვითარებას. პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომა კი პიროვნების სრული განვითარებისკენ არის მიმართული და მოიცავს, მის როგორც ბუნებრივ შესაძლებლობებს (ჯანმრთელობა, აზროვნება, გრძნობა,) აგრეთვე სოციალურ (მოქალაქეობა, მეოჯახეობა, შრომისუნარიანობა) და კულტურულ - სუბიექტური თვისებებსაც (თავისუფლება, ჰუმანურობა, სულიერება, შემოქმედებითობა).

განათლების შინაარსი ისტორიულ ხასიათს ატარებს, რადგან ის საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე არსებული განათლების მიზნებისა და შედეგების

მიხედვით ისაზღვრება, რაც ნიშნავს იმას, რომ ის იცვლება ცხოვრებისეული მოთხოვნების, წარმოებისა და მეცნიერული ცოდნის განვითარებასთან ერთად.

განათლება, როგორც სოციალური მოვლენა, ადამიანთა პიროვნული საჭიროების შედეგად გაჩნდა და მათ ცხოვრებისუნარიანობას უზრუნველყოფს. თუმცა, ცოდნის დაგროვებამ და გაღრმავებამ, საზოგადოებაში განათლების ზრდამ ცოდნის კულტუროლოგიური ფუნქციების შექმნაც განაპირობა, რამაც რადიკალურად შეცვალა წარმოდგენა სამყაროზე, ადამიანსა და ხელოვნებაზე.

აღორძინების ეპოქაში, XVIII – XIX საუკუნეებში, ჰუმანისტური იდეების დამკვიდრებასთან ერთად ჩნდება მთლიანი, ჰარმონიული პიროვნების განვითარების კონცეფციები და ხორციელდება მათი რეალიზაციისათვის საჭირო ქმედებები. მთლიან პიროვნებას სული და სხეული ჰარმონიულად აქვს განვითარებული, მისი ქვეცნობიერი და ცნობიერი გაუბზარავია, ანუ მათ შორის წინააღმდეგობა არ არსებობს. ი. პესტალოცი მიიჩნევს, რომ სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბებსთვის, ადამიანის აქტიური ქმედითუნარიანობა აუცილებელია. სწორედ ეს პროგრესული იდეები გახდა საფრანგეთსა და შვეიცარიაში „ახალი სკოლების“ ჩამოყალიბების მიზეზი და ის გულისხმობდა ბავშვის აღზრდას ბუნებაში, თავისუფალ გარემოსა და ბუნებრივ ოჯახური - სიტუაციაში. (სლასტენინი ....1998: 141).

ადამიანის მრავალმხივი განათლების, ერთიან პიროვნებად ჩამოყალიბების და პიროვნების საკუთარ თავთან დაბრუნების იდეა, რომელიც ზოგადსაკაცობრიო აზრსა და ზოგასაკაცობრიო ღირებულებას ატარებს, დღეისათვის დომინირებადი და თანამედროვე განათლების შინაარსის განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა.

II თავი

მრავალმხრივი განათლების შინაარსის საფუძვლები

§1. მრავალმხრივი განათლების შინაარსის ისტორიული მიმოხილვა

გონებრივი აღზრდა. საზოგადოებრივი სარგებლობისათვის, ყველა სარგებლობათა შორის უპირველესი ადამიანის ჩამოყალიბების ხელოვნებაა. კაცობრიობის აღორძინებისათვის აუცილებელია ახალი ადამიანების აღზრდა. ნებისმიერ ადამიანს ხედვის, აზროვნების და გრძნობის საკუთარი მანერა აქვს. აზროვნება ანუ „ობიექტური აზრი“ სამყაროს ძირია. აზრისეული წვდომის იარაღია ინტელექტუალური ინტუიცია.

უძველესი დროიდან ცნობილი მოაზროვნეები, მეცნიერები და ფილოსოფოსები მიიჩნევდნენ, რომ აზროვნება და გონება ყველაფრის საფუძველია. ჰეგელის, აზრით, ყოველი არსებული უსასრულო აზროვნების ანუ ღვთაების რეალიზაციაა, რის საშუალებითაც ღვთაება თავისი თავის შემეცნებამდე მიდის და სამყაროში მიმდინარე პროცესების საბოლოო მიზანიც სწორედ ღვთაების თვითშემეცნებაა. „გონის ფილოსოფიის“ გაგება უსასრულო აზროვნების თვითრეალიზაციისა და თვითშემეცნების კონტექსშია შესაძლებელი. „გონის შემეცნება , ამიტომ უმაღლესი და უძნელესი შემეცნებაა,“ - ამბობს ჰეგელი. (ჰეგელი 1984: 6).

„გონის ფილოსოფია“ არის ფილოსოფიური სისტემის ყველაზე მაღალი სართული და ფილოსოფიის ბოლო სიტყვა. აქ უნდა ითქვას ყველაზე ღრმა და სრული ჭეშმარიტება.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა ნაწილები უსწრებენ გონის ფილოსოფიას? სისტემის პირველი ნაწილი ყველაზე მარტივსა და აბსტრაქტულს უნდა სწავლობდეს. აზროვნების შემსწავლელი ფილოსოფიური დისციპლინაა ლოგიკა.

ლოგიკა იკვლევს ობიექტურ აზრს საზოგადოებაში. აზრი არის სინამდვილე, რადგან აზრი ჭეშმარიტი ყოფიერებაა.

როდესაც ასპარეზზე გამოდის გონებით დაჯილდოებული არსება - ადამიანი, მისი ცხოვრებისა და მოქმედების მთავარი პირობა იდეის გაუცხოება ანუ „სხვადყოფნაა“, აქ ხდება ბუნების უარყოფა. იდეა სრულყოფილ გამოვლენას პოულობს და თავის თავს უბრუნდება. ამიტომაა, რომ ადამიანი გონის ფილოსოფიის ცენტრალური ფიგურაა.

გონების განვითარება ნიშნავს გონების დამოუკიდებლობას თავისი სხეულებრიობისაგან, რადგანაც მას ამ უკანასკნელზე მეტად ძალუძს განვითარება. ბავშვებში ხშირად გონების განვითარება, სხეულის განვითარებას ბევრად წინ უსწრებს. ეს მოვლენა უმეტესწილად ხელოვნების მკვეთრად გამოხატული ნიჭით, კერძოდ კი მუსიკალური ნიჭით გამორჩეულ ადამიანებთან ხდება.

ბავშვობის ასაკი არის ბუნებრივი ჰარმონიის, სუბიექტის თავის თავთან და სამყაროსთან მშვიდობიანი ურთიერთობის ხანა. ბავშვი ცხოვრობს გულაუმღვევლად, ხანგრძლივი ტკივილის გარეშე, მშობლების სიყვარულით და იმ განცდით, რომ იგი უყვართ. ჰეგელი ამბობს, რომ ბავშვს დაბადებამდე ინდივიდუალობა არ გააჩნია. ჯერ არშობილი ბავშვის ცხოვრება მცენარეს ჰგავს. როგორც მცენარე იღებს უწყვეტად საკვებს, ისე ბავშვიც თავდაპირველად უწყვეტი შეწოვით იკვებება და უწყვეტადაც სუნთქავს. როცა ბავშვი სამყაროში შემოდის, იგი სიცოცხლის ცხოველურ წესსზე გადადის. ამიტომ დაბადება უზარმაზარი ნახტომია.

ადამიანი ყველაზე მეტს ბავშვობის ასაკში სწავლობს. ის ამ დროს თანდათან ეცნობა გრძნობადის ყველა სახეობას და გარესამყარო მისთვის ნამდვილი ხდება. იგი შეგრძნებიდან ჭვრეტაზე გადადის. თავდაპირველად ბავშვი მხოლოდ სინათლეს აღიქვამს და საგნებსაც ამით ანსხვავებს. შეხების შეგრძნებით კი ბავშვი ორიენტაციას სწავლობს.

მოზარდობის ასაკში, ადამიანი გარესამყაროს სინამდვილედ, ხოლო საკუთარ თავს ადამიანად აღიქვამს. ამით ის პრაქტიკულ ტენდენციებზე გადადის, და სურს რეალობაში გამოსცადოს თავი. როდესაც ადამიანი მეტყველებას იწყებს, ის ცდილობს ჩაწვდეს საკუთარი ზოგადობის ცნობიერებას და გამოთქვას “მე”.

საკუთარი მეობის დაუფლება, ბავშვის გონებრივ განვითარებაში, უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპია. თამაშიდან სერიოზულ საქმიანობაზე - სწავლაზე გადასვლით, იგი უფრო ცნობისმოყვარე ხდება, სხვადასხვა ამბავით ინტერესდება. უჩნდება მიბაძვის სურვილი. მისთვის მისაბაძ იდეალს ესა თუ ის ადამიანი წარმოადგენს. აღზრდის პროცესში ბავშვის გრძნობებს აუცილებლად უნდა გავუფრთხილდეთ და დავიცვათ.

მოზარდობის ასაკში შესვლისას ხასიათი იცვლება. მოზარდი მეტ დროს ატარებს მეგობრებთან, ან ოჯახის წევრებთან. 6 – 15 წლის ასაკში ბავშვი თანადგომისათვის მიმართავს მშობელს, ხოლო 15 წლიდან მეგობრებს. როცა მოზარდი ცდილობს ოჯახის ზეგავლენიდან გამოსვლას და დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებას, ის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერისათვის თანატოლებს მიმართავს.

თვალი გადავავლოთ ბავშვის სოციალურ ცნობიერებას, რომელიც გულისხმობს ბავშვის უნარს, დაინახოს და ანგარიში გაუწიოს სხვა ადამიანთა აზრებს და გრძნობებს. მოზარდი, რომელიც რეგულარულად უწევს ანგარიშს სხვა ადამიანთა აზრებს და გრძნობებს, უფრო კარგი სოციალური უნარ - ჩვევებით გამოირჩევა, მეგობრებს უფრო იოლად იძენს და საკუთარ თავსაც უკეთ იცნობს. სოციალური ცნობიერების მნიშვნელოვანი ასპექტებია სამყაროს სხვა ადამიანების თვალთახედვიდან დანახვა (დეცენტრაცია) და სოციალური ინფორმაციის გადამუშავება. სამყაროს სხვა ადამიანების თვალთახედვიდან დანახვა აუცილებელია იმისათვის, რომ ნამდვილად გაუგონ და შეეწყონ სხვა ადამიანებს. მოზარდებს უნდა ჰქონდეთ თავისი თავის სხვა ადამიანის ადგილას წარმოდგენის უნარი. (ჯანაშია...2011: 41).

ბავშვის ზრდასთან ერთად იხვეწება სხვა ადამიანების აზრების ამოცნობის უნარი. ბავშვებს უყალიბდებათ გონების თეორია, რომელიც სხვა ადამიანის გონებრივი და ფსიქოლოგიური მდგომარეობის (აზრების, შეხედულებების, გრძნობების, მოტივების და ასე შემდეგ) გაგების უნარს მოიცავს. გონების თეორია ბავშვს შესაძლებლობას აძლევს, გაიგოს, ახსნას და იწინასწარმეტყველოს მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანების ქმედებები და ამის შემდეგ ეფექტური ურთიერთობა დაამყაროს მათთან. განვითრებისა და სწავლის თეორიებში მოცემულ დიაგრამაში

აღწერილია, თუ როგორ იცვლება, პიროვნების ზრდასთან ერთად, მისი გონების თვალსაწიერი და სამყაროს სხვა ადამიანების თვალით დანახვის უნარი.

ბავშვები და მოზარდები ბევრ რამეზე ფიქრობენ, რადგან გაიგონ, თუ რას გრძნობენ და აკეთებენ სხვა ადამიანები. სოციალური ინფორმაციის გადამუშავება მოიცავს იმ გონებრივ პროცესებს, რომლებსაც ბავშვები იყენებენ სოციალური მოვლენების გასაგებად, ასახსნელად და სამოქმედოდ; თანატოლებთან ურთიერთობის დროს შეიძლება ყურადღება გაამახვილონ მათ კომენტარებზე, სახის გამომეტყველებაზე, მიმიკებსა და ჟესტებზე, მათ აინტერესებთ რა დგას დაუფიქრებელი კომენტარის ან მორცხვი ღიმილის უკან. ისინი იყენებენ თავიანთ არსებულ ცოდნას და გამოცდილებას იმისათვის, რომ განსაზღვრონ შესაფერისი საპასუხო მოქმედება.

ჰეგელის აზრით, აღზრდის იმ ფარგლებში, რომელსაც დისციპლინას ვუწოდებთ, ბავშვს არ უნდა მივსცეთ ნება, ის აკეთოს, რაც მოეხასიათება. იგი უნდა გვემორჩილებოდეს იმისათვის, რომ თვითონ ისწავლოს ბრძანებლობა. მორჩილება სიბრძნის საწყისია. „რადგან მხოლოდ მორჩილების გზითაა, რომ ჭეშმარიტის, ობიექტურის ჯერ კიდევ ვერმცნობი და თავის მიზნად ვერმქცეველი ნება - და მაშასადამე, ჯერ ჭეშმარიტ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ვერმიღწეული, ჯერ ჩამოუყალიბებელი ნება - თავისთავს შიგნით ძალას ანიჭებს მასთან გარედან მოსულ გონიერ ნებას და ამ უკანასკნელს თანდათანობით თავისად იხდის“ (ჰეგელი1984: 81).

ამავე დროს ჰეგელი ფიქრობს, რომ თუ ბავშვს ნებას დავრთავთ ის აკეთოს, რაც მოეხასიათება და ხელთ განუკითხაობის გასამართლებელ საბუთებს მივცემთ, ამით აღზრდის ყველაზე ცუდ გზას ავირჩევთ. ამით ბავშვში განსაკუთრებული თავნებობა დაისადგურებს და თავის კერძო სურვილთა დასაკმაყოფილებელ ეშმაკობას ისწავლის. ბუნებით ბავშვი არც ბოროტია, არც კეთილი. თავდაპირველად მას არც კარგის, არც ავის შემეცნება არა აქვს. თავნებობა დისციპლინამ უნდა გადატეხოს, ბოროტების ჩანასახიც მან უნდა მოსპოს.

სწავლება გონივრული იქნება თუ აბსტრაქტულით დაიწყება, ანუ იმით რაც ბავშვის გონებისთვის გასაგებია. ენა ჰაეროვანი სტიქიაა, ის გრძნობად -

არაგრძნობადია. მისი დაუფლებით ბავშვის გონება მაღლდება და ზოგადს ანუ აზროვნებას სწავლობს.

თავდაპირველად ანტიკური სამყარო არ აძლევდა ბავშვს საშუალებას, დიდხანს დარჩენილიყო გრძნობადის ანაბარა. არისტოტელე ზოგადის არსებობას არ უარყოფდა, მაგრამ, მისი აზრით, ზოგადი არსებობს არა იდეათა სამყაროში, არამედ სწორედ აქ, თვალხილულ სამყაროში. ზოგადის წვდომისათვის ადამიანს აქვს სხვა ორგანო. ეს არის აზროვნება. მაგალითად თვალი ხედავს, რომ მზე ამოდის და ჩადის, მაგრამ ვერც ერთი თვალი ვერ დაინახავს იმას, როგორ მოძრაობს დედამიწა მზის გარშემო. ამიტომ დღეს ზეგრძნობადი სამყარო ადრეულ ასაკშივე ახლოს უნდა მივუახლოვოთ წარმოდგენებს. ამას, ოჯახთან შედარებით სკოლა ბევრად უკეთ აკეთებს. რასაკვირველია, მოზარდს უნდა განვუვითაროთ ცნებითი აზროვნება და უნდა გამოვუმუშავოთ განზოგადების უნარი. ოჯახში ბავშვი უყვართ განურჩევლად იმისა, კარგია თუ ცუდი მისი ქცევა. სკოლაში კი მას პატივს ღირებულებებისა და შესრულებული საქმიანობის გამო სცემენ. მას ზოგად განსაზღვრულობათა მიხედვით აკრიტიკებენ და სასწავლო საგანთა მეშვეობით აყალიბებენ. ასე გადაყავს სკოლას ბავშვი ოჯახიდან სამოქალაქო საზოგადოებაში.

მოზარდის ზრდასრულ პიროვნებად სრულყოფის პროცესში აუცილებელია, განათლება - ჩამოყალიბება დასრულებული იყოს. „მარტოოდენ განათლება ვერ გახდის პიროვნებას სრულყოფილ მზა ადამიანად. ამას იგი აღწევს მხოლოდ საკუთარი ცნობიერი ზრუნვით დროში მოქცეული ინტერესებისათვის.“

(ჰეგელი1984: 85).

პიროვნების განვითარებაში გამოყოფენ უახლოესი განვითარების ზონებს. რომლებიც მოიცავს სწავლის და პრობლემების გადაჭრის უნარებს და განვითარებას უწყობს ხელს. პიროვნების უახლოესი განვითარების ზონა იცვლება; პიროვნება გარკვეულ ამოცანებს/მოქმედებებს ეუფლება და მზად არის უფრო რთული დავალებების შესასრულებლად.

ადამიანის გონების განვითარების არსი მიზნის სინამდვილეში გადაყვანის ქმედებაა. ადამიანი პასუხს აგებს არა წარსულზე, არამედ მომავალზე. ადამიანის უნარები და ძალები განიხილება არა იმით, თუ საიდან მოდის, არამედ იმით, თუ

საით მიდის. გონების წარუმატებლობა ისაზღვრება არა წარსულით, არამედ მომავალით.

ზნეობრივი აღზრდა. აღზრდა - სწავლების ფაქტორების როლის საკითხები ძველთაგანვე იპყრობდა ადამიანის სულიერი სამყაროს განვითარებით დაინტერესებულ მოაზროვნეთა ყურადღებას. ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიების ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში მოსაზრებების ნაირსახეობა წარმოიშვა. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ განვითარება მხოლოდ გენეტიკურად განსაზღვრული პროცესია, ხოლო ნაწილი კი ფიქრობს, რომ ის მხოლოდ გარემოებებზე დამოკიდებული მოვლენაა.

ამ საკითხზე მეცნიერთა კამათი ბოლოს ისეთ ჩიხში შევიდა, რომ მის შესახებ ყოველგვარი მსჯელობა უნაყოფო ტვინის ჭყლეტად იქნა მიჩნეული და, ამჟამად მკვლევარები მას ან უბრალოდ გვერდს უვლიან, ან მხოლოდ დეკლარაციულად მიუთითებენ, რომ განვითარება, ერთი მხრივ, თანშობილ მონაცემებზეა დამოკიდებული, მეორე მხრივ კი - გარემო პირობებზე. დღეს ყველა თანხმდება, რომ გენეტიკა და აღზრდა ერთ თოკში ჩაწნული ორი ძაფია და რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება მართებული არაა.(შრომები 2012: 353).

აღზრდა, როგორც განსაკუთრებული საზოგადოებრივი ფუნქცია, წარმოიშვა ადამიანთა საზოგადოების ჩასახვისთანავე. აღზრდის გამოცდილების თეორიული განზოგადების სათავეები უნდა ვეძიოთ ფილოსოფიის წიაღში, რომელიც დიდი ხანია ცნობილია როგორც მეცნიერება და რომელიც სწავლობს სიცოცხლის საზრისს, ადამიანის არსს, მის ადგილსა და დანიშნულებას საზოგადოებაში.

სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს და დემოკრიტეს ფილოსოფიურ შრომებში შეიძლება აღმოვაჩინოთ მკაფიოდ ფორმულირებული იდეები და დებულებები, რომელებიც დაკავშირებულია ადამიანის აღზრდის საკითხებთან, პიროვნების ფორმირებასთან, საზოგადოებაში მისი მდგომარეობის განსაზღვრასთან.

აღზრდის ტრადიციები გადაეცემოდა ოჯახიდან ოჯახს, ვლინდებოდა სახალხო წეს - ჩვეულებებში.

აღზრდა პედაგოგიკური აზრით - ეს არის პიროვნების განვითარებაზე, მის დამოკიდებულებაზე, ხასიათზე, შეხედულებაზე, რწმენაზე, ქცევაზე მიზანმიმართული ზეგავლენის პროცესი და შედეგი. (бабански 1988: 10).

არსებობს სხვაგვარი დეფინიციებიც, მაგრამ ჩვენ უფრო მისაღებად მივიჩნიეთ აკად. დ. ლორთქიფანიძის ,,აღზრდის'' განმარტება, ის წერს: „აღზრდა ზოგადი სახით არის პიროვნების ჩამოყალიბების, ფორმირების, რთული, სოციალური, მიზანმიმართული და ორგანიზებული პროცესი აღმზრდელის, მასწავლებლის ხელმძღვანელობით.“ (ლორთქიფანიძე 1981: 10).

აღზრდის საშუალებით, როგორც ხსნიდა აკად. ალექსანდრე გობრონიძე: „ადამიანი თაობიდან თაობას გადასცემს, როგორც საკუთარ, ისე წინაპართა გამოცდილებას. აღზრდის ამ ფუნქციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საზოგადოებრივი განვითარება“ (გობრონიძე 2000: 15).

აღზრდის იდეის აღმოცენება ანტიკურ, ბერძნულ აზროვნებაში მოხდა. ეს იყო ბერძნების ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება კაცობრიობის წინაშე. საკმარისია, დავასახელოთ ბერძნული ფილოსოფიის ორი კორიფე - პლატონი და არისტოტელე. მათი აზრით, ადამიანი უნდა აღიზარდოს: ფიზიკურად, გონებრივად, ზნეობრივად და ესთეთიკურად.

სოკრატე პირველი ბერძენი ფილოსოსფოსი იყო, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ზნეობის საკითხებს. აღზრდა ეს არის ყოფაქცევის ჩვევები, რომლებსაც იძლევა სკოლა, ოჯახი, გარემო და რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვლინდება. ამრიგად, აღმზრდელობა მეტად საპასუხისმგებლო საქმეა, რომელიც გულისხმობს მოზარდის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში აქტიურ მონაწილეობას, მისთვის საჭირო უნარების განვითარებას, გონებრივი და ფიზიკური უნარების სწორად გამოყენების სწავლებას. აქედან გამომდინარე, აღმზრდელი თავად უნდა იყოს დაჯილდოებული მრავალმხრივი ნიჭით, შეეძლოს სიღრმისეული აზროვნება და ბავშვის შინაგანი სამყაროს წვდომა.

თანამედროვე ყოფაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტოლერანტობა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობის მიმართ. აქედან გამომდინარე, მოზარდ თაობას ადრეული ასაკიდან უნდა ვასწავლოთ თანატოლების პატივისცემა, მათი

აზრებისა და შეხედულებების გაზიარება, მიღება. ასეთ ღირებულებებზე აღზრდილი თაობა უფრო მეტად იქნება შემწყნარებელი, თავისუფალი, ადამიანის უფლებათა პატივისმცემელი, რაც, ცხადია, წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს საწინდარია.

აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული იყო დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვაჟა-ფშაველა. ის წერდა: „ბოროტი არ იბადება არასდროს კაცი. მის გაბოროტებაში, გამზრდელი, მშობლები, თვითონ ჩვენა ვართ დამნაშავე“. ხშირად ადამიანის ცუდ ან კარგ საქციელს მაგალითი განსაზღვრავს. ბავშვი ბაძავს უფროსს, გაუცნობიერებლად იბეჭდავს და იმახსოვრებს თითოეულ მოვლენას, რომელიც მას კარგი ჰგონია. მშობელი, როგორც მასწავლებელი, უნდა აკონტროლებდეს თითოეულ თავის სიტყვას და ქცევას, რადგან ბავშვი ღრუბელივით ისრუტავს ყველაფერს.

ისევ დავუბრუნდეთ დიდი ქართველი მწერლისა და ჰუმანისტის ვაჟა-ფშაველას სიტყვებს: „სიყვარული მთავარია, მაგრამ შვილების სიყვარული საკმარისი როდია; მათი აღზრდისათვის ცოდნა და განსჯაა საჭირო. ოჯახური გარემო და ოჯახში დამკვიდრებული წესები, ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ქცევაზე, ამიტომ პასუხისმგებლობა ჯერ ოჯახის წევრებს ეკისრებათ, მერე კი იმ სოციუმს, რომელიც გარს ახვევია ბავშვს.“

სოკრატე, რომელიც ერთ - ერთი ყველაზე დიდი მოვლენაა დასავლეთის პედაგოგიკის ისტორიაში, ამბობს, რომ შემეცნება, თვითშემეცნება, რომელიც ჭეშმარიტი ცოდნაა, არ არის მთავარი და განმსაზღვრელი მიზანი. ჭეშმარიტი ცოდნა ზნეობას ემსახურება. სიკეთე, სათნოება ცოდნაა, მცოდნე ბოროტებას არ ჩაიდენს. ჭეშმარიტი ცოდნის მიღებით არა მხოლოდ თვითშემეცნებას ვაღწევთ, არამედ იგი ზნეობის სათავეცაა .

სოკრატეს მეორე დებულება „ მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი“, არცოდნის ცოდნა იყო, არცოდნიდან ცოდნამდე ამაღლება, არცოდნის დაძლევა და ცოდნის დაუფლების შესაძლებლობა. ამდენად, მასაც ზნეობა ედო საფუძვლად. თუ არცოდნას დავძლევთ, თუ მივიღებთ ჭეშმარიტ ცოდნას, მივაღწევთ თვითშემეცნებას და, მაშასადამე, ზნეობას.

სოკრატე აფასებდა ახალგაზრდებს, როგორც თანამოსაუბრეებს, განსაკუთრებით მათ, ვინც გამორჩეულ ცნობისმოყვარეობასა და ცოდნას ამჟღავნებდა. ის ახალგაზრდებს უკეთურებისაგან განარიდებდა და უნერგავდა მათ მაღალ ზნეობას: სიკეთეს, პატიოსნებას, სამართლიანობას, თავდაჭერილობას; ასწავლიდა მშობლის, საერთოდ, უფროსის პატივისცემას, უხსნიდა ჭეშმარიტი მეგობრობის, ნამდვილი სიყვარულის არსს, აღზრდა - განათლების აუცილებლობას. ეს, როგორც უკვე ვთქვით, არც ქადაგებით და არც დამოძღვრით არ ხდებოდა. მას ნელა, ნაბიჯ - ნაბიჯ, საუბარში ჩართვით, კითხვა-პასუხით მიჰყავდა მოსაუბრე ძირითად საკითხამდე და ბოლოს - სწორ დასკვნამდე. ეს არ იყო მარტო სწორი დასკვნის გაკეთება, მარტო ჭეშმარიტის დადგენა. „როგორც მოქანდაკე თლის თავის საჭრეთლით მარმაროლოს, ღვთიური სილამაზის ნიმუში რომ შექმნას, ასე აცილებდა იგი თანამოსაუბრეს დაბინდული ცნობიერებიდან ყოველგვარ ზედმეტს, არასაჭიროს და პოულობდა ჭეშმარიტებას მთელი თავისი მშვენიერებით, და თანამოსაუბრე, რომელსაც თავის სულში მიჰქონდა ეს ჭეშმარიტება, უკვე თავისად თვლიდა მას და ტკბებოდა მისით, როგორც მხატვრული ქმნილებით.“ (სინოვსკი 1914).

ქსენოფონტის მოგონებებში აღწერილია, როგორ ესაუბრებოდა სოკრატე ახალგაზრდებს, როგორ აყენებდა მათ სწორ გზაზე, როგორ ათავისუფლებდა იმ მანკიერ თვისებათაგან, რომლის შეძენა მათ უკვე მოესწროთ. დიალოგი ვაჟიშვილ ლამპროკლესთან გვამცნობს, რა ოსტატურად მიიყვანა სოკრატემ დედაზე განაწყენებული ვაჟი იმ აზრამდე, რომ მშობლის უპატივცმულობა უსამართლობა და უმადურობაა, რომ შვილი ვალშია საკუთარი მშობლის წინაშე, რომ მან უნდა დააფასოს მშობლის ამაგი. (ქსენოფონტი 1973: 58, 59).

დღესაც ანგარიშგასაწევია სოკრატეს შეხედულება ოჯახზე, მეგობრობაზე, აღზრდა-განათლების აუცილებლობაზე. სოკრატე, რომელსაც ერთ-ერთ ბრალდებად ოჯახის ავტორიტეტის შერყევა წაუყენეს, ადამიანებს მხოლოდ ოჯახში, მისი ახლობლების და მეგობრების წრეში მოიაზრებდა. ოჯახი მიაჩნდა მას ადამიანური ცხოვრების მჭიდრო ერთიანობის ფორმად, რომლის გარეშეც არსებობა შეუძლებელია. ოჯახიდან იგი ერთსულოვნების იდეალს პოლიტიკური ცხოვრების სფეროში ავრცელებდა და სხეულის ნაწილების მაგალითის საფუძველზე გვიჩვენებდა, რომ არც ერთ მათგანს არ შეეძლო დამოუკიდებელი არსებობა.

მნიშვნელოვანია სოკრატეს შეხედულებები ზნეობრივ გრძნობებზე, მეგობრობაზე. ის ხშირად ესაუბრებოდა მსმენელებს ამ თემებზე. მას აკვირვებდა ის, რომ ადამიანები ცდილობდნენ შეეძინათ სახლი, მიწები, ჯოგი, საოჯახო ნივთები, ზრუნავდნენ, არ დაეკარგათ შეძენილი ქონება და თავს არ იწუხებდნენ მეგობრის შეძენისა და შენარჩუნებისათვის, მაშინ, როცა მეგობარს ვერავითარი ქონება ვერ შეედრება. სოკრატე თავად იყო ჩინებული მეგობარი. იგი უშურველად უნაწილებდა მეგობრებს სითბოს, სიყვარულს, ეხმარებოდა მათ რჩევა-დარიგებით. სოკრატე თვლიდა, რომ მეგობრობა იყო ბაზისი, რომელსაც დიდი ღირებულება ჰქონდა ცხოვრების ყველა ეტაპზე, მაგრამ მეგობრობის ღირებულება განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, ისევე, როგორც მონის ფასი ბაზარზე. ვისაც ეს შეგნებული ჰქონდა, მას კითხვა: რას ნიშნავდა თვითონ მეგობრისათვის? ჯერ საკუთარი თავისთვის უნდა დაესვა. სოკრატეს აზრით, ადამიანი ისეთივე ერთგული და თავდადებული უნდა ყოფილიყო მეგობრისთვის, როგორ ერთგულებასა და თავდადებასაც მისგან მოითხოვდა.

სოკრატე იყო უდიდესი პედაგოგი, აღმზრდელი, რომლის ყოველი სიტყვა, პირადი მაგალითი, ცხოვრების წესი დიდ გავლენას ახდენდა ადამიანებზე, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებზე. ის მსმენელებში სარგებლობდა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. თავის მსმენელებს სოკრატე მოსწავლეებად კი არა, პარტნიორებად, მეგობრებად თვლიდა და მათ ასეც მოიხსენიებდა. სიტყვა „მეგობარი“ ისე დამკვიდრდა მოსწავლეებთან კავშირში, რომ სოკრატეს შემდეგ ლიცეუმებსა და აკადემიებში ჩარიცხული მოსწავლე “ჩარიცხულ მეგობრად” იწოდებოდა (იეგერი 1944:149).

პლატონი(ძვ. წ. 428 ან 427 – 348 ან 347), სოკრატეს მსგავსად, მამაცურად ჩაება ჭეშმარიტი აღზრდა-განთლების გარშემო გაჩაღებულ ომში და მალე მთლიანად დაეპატრონა მის სადავეებს. აქედან გამომდინარე, მისი ფილოსოფია ,,პაიდეია” ადამიანის აღზრდის პრობლემის გადაჭრას ლამობს, მისი ადგილი კი ბერძნულ პაიდეიას ისტორიაში იმით განისაზღვრება, რომ მან განათლების უმაღლეს ფორმად ფილოსოფია და შემეცნება მიიჩნია და ამით ცხოვრებასა და მეცნიერებას დაკარგული ერთიანობა დაუბრუნა.” (იეგერი 1944:139).

პლატონის თითქმის ყველა ნაწარმოები ზნეობრიობისკენ, სათნოებისაკენ მიმავალი გზის ძიებაა, ადრეული წლების შემოქმედება იქნება ეს, მოწიფული პერიოდის ქმნილება "სახელმწიფო", თუ ცხოვრების დასასრულს დაწერილი "კანონები."

პლატონთან აღზრდა და სახელმწიფო ხელოვნება, პედაგოგიკა და პოლიტიკა სისხლხორცეულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. მისთვის ფილოსოფიის და ყველა სხვა მეცნიერების საბოლოო მიზანია ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბება უმაღლესი ღირებულების იდეით, რათა იგი შემდგომ მას სახელმწიფოს უმაღლესი ღირებულებისაკენ გეზის აღებაში დახმაროს. პლატონისათვის "ფილოსოფია და აღზრდა, ლოგოსი და ბიოსი, სწავლება და ცხოვრება, მეცნიერება და განათლება ერთი მთლიანობაა, რომელიც სახელმწიფოებრივ-სოციალური საზოგადოების აგების შუაგულში უნდა ჩაიდოს" (დრიში, ესტერჰაუეზი 1960:67).

დიდი ფილოსოფოსი იძლევა სწავლა-აღზრდის მისეულ სისტემას, რომელიც ათენური და სპარტანული აღზრდის პრაქტიკას ეფუძვნება. ათენურიდან იგი სესხულობს პიროვნების ჰარმონიული განვითარების იდეას, ეგრეთ წოდებულ მეზურ აღზრდას, სპარტანულიდან კი – აღზრდის სახელმწიფოებრივ პრინციპს და ზრუნვას ჯანსაღ სხეულზე. პიროვნების ფორმირებისათვის აუცილებელია როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური განვითარება, რადგან მარტო სულიერი ზედმეტ მგრძნობელობას გამოიწვევს, ფიზიკური კი - ხასიათის გადაჭარბებულ სიმტკიცეს. მხოლოდ ჰარმონიულად განვითარებულ ადამიანს ექნება ერთდროულად მამაცი და თავმდაბალი სული. გიმნასტიკური ვარჯიშების და მუსიკალური ხელოვნების მონაცვლეობის და მათი საჭირო დოზით მიწოდებისას მიაღწევს იგი სრულყოფილებას. თუ აღსაზრდელში ძლიერია სული და სუსტია სხეული, საჭიროა მისი აღდგენა ფიზიკური ვარჯიშით, მოგზაურობით, მკურნალობით; ხოლო თუ ძლიერია სხეული და მოისუსტებს სულიერი ძალა, უნდა მოხდეს მისი განვითარება მუსიკისა და ფილოსოფიის შესწავლით. სულიერი და ფიზიკური აღზრდის შეფარდებისას სულიერი უნდა სჭარბობდეს, რადგან სხეულზე ზრუნვა - ეს არის ზრუნვა მოკვდავსა და წარმავალზე, ზრუნვა სულზე კი – სწრაფვა უკვდავებისა და ბედიერებისაკენ. სწორი აღზრდის გარეშე თვით საუკეთესო ბუნებრივი მონაცემებით დაჯილდოებულნიც კი უვარგისად ჩამოყალიბდებიან.

პლატონის პედაგოგიურ სისტემაში საუბარია მხოლოდ მებრძოლ - გუშაგების და ფილოსფოს-მმართველების აღზრდაზე და გვერდი აქვს ავლილი გლეხების, ხელოსანთა და ვაჭართა ფენის აღზრდას, რომელნიც მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილს წარმოადგენდნენ. იგი თვლის, რომ მოსახლეობის ამ უმდაბლეს ფენას მხოლოდ პროფესიული უნარი და ჩვევა, სათნოებისაგან – ზომიერება მოეთხოვება. მაგრამ არაფერს იმაზე, თუ როგორ უნდა მიაღწიოს ადამიანმა პროფესიულ დონეს და უნარ-ჩვევებს. პლატონი მარტოოდენ შრომის განაწილების საკითხს ეხება, ისიც გაკვრით.

მკაცრად განასაზღვრულია აღზრდა - განათლებაც. ბავშვზე ზრუნვა დედის მუცლიდან იწყება და გრძელდება მოწიფულობამდე.

მისაღებია ის პრინციპები, რომლითაც პლატონი ბავშვებისათვის მოსათხრობი მასალის, კერძოდ, ზღაპრების შერჩევას მოითხოვს. აქ მნიშვნელობა არა აქვს, რა მიაჩნია პლატონს უღირს ნაწარმოებად, მთავარია პრინციპი: გადიები ბავშვებს ისეთ ზღაპრებს უნდა უყვებოდნენ, რომლებიც გააკეთილშობილებს მათ სულებს, ხელს შეუწყობს მათში სათნოების გაღვივებას.

აღზრდა პლატონთან პოლიტიკური ხასიათისაა და მიზნად შეგნებული მოქალაქის ფორმირებას ისახავს, რომელსაც კარგად ეცოდინება თავისი უფლება-მოვალეობანი და შესაბამისად მოქმედების უნარი ექნება.

ცნობილია ძველი გამოთქმა: „სანამ ადამიანი ჭეშმარიტებისაკენ გზას გაიგნებდეს, მანამ მისკენ მიმავალ ყველა მცდარ გზას გამოცდის.“ გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ფუძემდებელი-იმანუელ კანტი (1724-1804) დარწმუნებული იყო, რომ კაცობრიობამ მცდარი გზები პრინციპულად ამოწურა, როგორც ჭეშმარიტების, ისე ზნეობის საფუძვლების ძიების პროცესში. მისი აზრით, ზნეობრივი ქცევის ასახსნელად არ გამოდგება არც პლატონის, არც ეპიკურის თეორია, რადგანაც ზნეობის კანონები მათ გამოყავდათ ან ცდიდან, ან იდეიდან. ე.ი ადამიანის ზნეობა კანონებს ყოველთვის გარედან იღებდა.(თევზაძე 1974:108).

ადამიანის პრაქტიკულ მოქმედებას საფუძვლად უდევს კეთილი ნება უდევს. იგი ფასდება ყოველგვარი მიზნის გარეშე. იგი ყველა ადამიანს აქვს. ყველამ იცის, რომ იგი ვალდებულებაა, მაგრამ ყველას არ აქვს ზნეობრივი ძალა მის

გასახორციელებლად. ვალდებულებაში ყოველთვისაა მოცემული კეთილი ნება, მაგრამ გარკვეული სუბიექტური შეზღუდვებითა და შეფერხებებით. ეს ასეა, რადგან ვალდებულება მოცემულია ადამიანში, რომელიც წმინდა გონება როდია. ადამიანს აქვს ინსტინქტები, რომლებიც ფაქტობრივად გარკვეულ გავლენას ახდენენ მის ნებისყოფაზე. ნაწილობრივ ინსტიქტები განაპირობებს იმ საქციელსაც, რომელსაც ადამიანი ჩადის ყოველგვარი ანგარების გარეშე, მხოლოდ იმიტომ, რომ სიამოვნებას იღებს, როცა სხვებს სიხარულს ანიჭებს. კანტის აზრით: „არავითარი ჭეშმარიტი, მორალური ღირებულების მქონე არ არის. ეს სანაქებო მოქმედებაა, მაგრამ არა მორალური, რადგან ეს ადამიანი თავისი სიამოვნებისთვის მოქმედებს და არა იმიტომ, რომ ასეთი მოქმედება ღირებულებად მიაჩნია (თევზაძე1974: 109).

როცა ადამიანი რაღაც მიზანს ისახავს და მიზნის მიხედვით იწყებს მოქმედებას, მას მაშინ აქვს საქმე სიამოვნება - უსიამოვნებასთან. მიზნის მიღწევა სიამოვნებას ბადებს. როცა რაიმეს ვეძებთ, საჭიროა, საძიებელი შესაძლებელი იყოს და ამასთანავე, არ იყოს აუცილებელი. სიამოვნება - უსიამოვნების გრძნობას კანტი უწოდებს ერთადერთ წმინდა სუბიექტურ ,, ეგრეთ წოდებულ შეგრძნებას, ” რომელიც ვერასდროს ვერაფერს გვეტყვის ობიექტის შესახებ, ე.ი არ გამოდგება მეცნიერებად, მაგრამ შეგრძნებასთან მუდამაა კავშირში ესთეტიკური მსჯელობა. როცა შეგრძნების წყარო შინაგანია, კერძოდ, სუბიექტში მსჯელობის უნარის ორი ძალის (განსჯა და წარმოსახვა) ,,ჰარმონიული თამაშით” წარმოიშობა, მაშინ საქმე გვაქვს ესთეტიკური რეფლექსის მსჯელობასთან. რას ნიშნავს წარმოსახვის ძალისა და განსჯის ჰარმონიულობა? აქ რაიმე წვდომის, შემეცნების უნარი და ახლის შექმნის, წარმოსახვის უნარი ერთ წარმოდგენაში ერთმანეთს ხელს უწყობენ, ერთ ჰარმონიულ მთელს ქმნიან. ეს კავშირი უკვე თავისი ფორმით იწვევს შეგრძნებას ჩვენში. მხოლოდ ეს შეგრძნება შეიძლება იყოს ესთეტთიკური მსჯელობის განმსაზღვრელი საფუძველი.

მსჯელობის უნარით, ბუნებრივი ილუზიებით, გემოვნებითა და შემოქმედების ესთეტიკური მეთოდებით იქმნება ხელოვნების ნიმუშები. ხელოვნება არ იქმნება სპეციფიკური ნიჭის გარეშე. ვარჯიშით, სწავლით, შრომით შეიძლება ნიჭის განვითარება, მაგრამ პრაგმატული, მეცნიერული ნიჭის. მოკლედ, ნიუტონი შეიძლება აღიზარდოს, მაგრამ გოეთე გოეთედ იბადება.

კანტი ამტკიცებდა, რომ ხელოვნებაც გარკვეულ წესს ემორჩილება, რომელიც ცნობიერისა და არაცნობიერების თავისებური სინთეზით წარმოიშვება. მისი ახსნა შეუძლებელია, მაგრამ აღწერა და დაკავშირება შესაძლებელი, რადგან ის გენიოსი ხელოვანის მოქმედებით ვლინდება. გენიოსი ორიგინალური შემოქმედების ნიჭის მქონე ადამიანია: „გენიოსის შემოქმედების ნაყოფი, თვით ყოველგვარი მიბაძვის გარეშე წარმოშობილი, სხვებისათვის ნიმუშს და მაგალითს უნდა წარმოადგენდეს. იგი თვითონ უნდა იქცეს წესად და საზომად სხვა ნაწარმოებთა შეფასებისათვის. თუ როგორ ქმნის ის თავის პროდუქტს, ამის ჩვენევა ან მეცნიერული აღწერა გენიოს არ შეუძლია". (თევზაძე 1974:132).

გენიოსმა თავად არ იცის, თუ როგორ ჩნდება მასში იდეები. არც მისი ნებაა ის, რომ ისინი ნებისმიერად და გეგმაზომიერად გამოიგონოს და სხვებს ინსტრუქციის სახით გადასცეს. ბუნება გენიოსის საშუალებით წესებს განუწესებს არა მეცნიერებას, არამედ ხელოვნებას. გოეთეს სიტყვები კანტის ,, მსჯელობის უნარის კრიტიკის" შესახებ, როგორც იტყვიან, კომენტარს არ საჭიროებს: „კანტის უსაზღვრო დამსახურებაა, რომ ხელოვნება და ბუნება ერთიმეორის გვერდით დგას და ორივეს მიმართ აღიარებს უფლებას, დიადი პრინციპებიდან გამოსულებმა უმიზნოდ იმოქმედონ. ბუნება და ხელოვნება ძალიან დიადნი არიან იმისათვის, რომ მიზნისაკენ ისწრაფოდნენ" (თევზაძე 1974: 132).

§ 2. აღზრდა - განათლება ძველ საქართველოში

ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი პედაგოგიკის ისტორიას და გავიხსენოთ, თუ როგორ ვითარდებოდა სწავლა - განათლება და რა ადგილი ეკავა მრავალმხრივ, ჰარმონიულ განათლებას ძველ საქართველოში.

საქართველოში, ჯერ კიდევ ძვ.წ.აღ. III ათასწლეულიდან ჰქონდა ადგილი, დამწერლობის სისტემის შექმნის გარკვეულ ცდებს - ამბობს ნათელა ვასაძე. ძველი ბერძნული წყაროების მიხედვით, ბერძენი მწერლები დაჟინებით იმეორებდნენ, რომ ქართველებს უხსოვარი დროიდან ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა და ოქროს მოპოვების ხერხი ტყავზე ნაწერ წიგნებში გადმოუციათ. ქართველები ამ დამწერლობას იყენებდნენ გარკვეული ცოდნა-გამოცდილების თაობიდან თაობაზე გადასაცემად. ლეონტი მროველიც გვამცნობს, რომ ძვ.წ. III საუკუნეში ფარნაოზ მეფემ "განავრცო ენა ქართული" და "შექმნა მწიგნობრობა ქართული". ამასთანავე ძვ.წ.356-323 წწ. მცხეთელ ხელოსანთა შორის იხსენიება დამწერელთა ხელობაც.

საოჯახო სწავლებასთან ერთად, უძველესი დროიდანვე სასკოლო სწავლებაც ყოფილა, რასაც უნდა ადასტურებდეს კოლხეთში არსებული გიმნაზიები და დისკოები (სამხედრო სასწავლებლები).

როცა ვეცნობით ბერძნულ წყაროებს, ვგებულობთ, რომ დაწყებითი და საშუალო განათლების გარდა, უკვე ახ.წ. III–IV საუკუნეებიდან, თუ უფრო ადრე არა, კოლხეთში უმაღლესი ფილოსოფიური განათლების კერაც არსებობდა.

კოლხეთში, ფაზისის (დღევანდელი ფოთის) მახლობლად, უმაღლესი რიტორიკული სკოლაც კი არსებობდა, რომელშიც არა მხოლოდ ქართველები სწავლობდნენ, არამედ ბერძნებიც ჩამოდიოდნენ უმაღლესი განათლების გასავრცელებლად და მისაღებად.

ხაზგასმით უნდა აღინისნოს, თუ რა პრინციპით ხდებოდა სწავლება: სწავლება ხორციელდებოდა ქართულ და ბერძნულ ენებზე, ისწავლებოდა ის მეცნიერებანი, რომელებსაც იმდროინდელი ბიზანტიის მსგავს უმაღლესს `ფილოსოფიურ სასწავლებლებში გადიოდნენ (მათემატიკა, ასტრონომია, ლიტერატურა,

ფილოსოფია, სამართალი, მუსიკა). ყურადღება, უმთავრესად, გამახვილებული იყო რიტორიკული ხელოვნების დაუფლებაზე. აკადემიკოს შ. ნუცუბიძის შეხედულებით, კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა კოლხურ-ბერძნული სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის ნიადაგზეა შექმნილი. "იგი სასამართლოს მოღვაწეებს – დამცველებსა და ბრალმდებლებს ამზადებდა." (ნუცუბიძე 1956 : 91). ამ მოღვაწეთაგან ცნობილი არიან ფილოსოფოსები და ორატორები, მამა-შვილი ევგენიოსი და თემისტოსი (ახ.წ. III-IV საუკუნეები).

ქართული პედაგოგიკის ისტორიისათვის საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ადრეკლასობრივ საქართველოში არსებობდა ხელოვნების დონემდე ამაღლებული ხელოსნობა, არქიტექტურა, მხატვრობა, მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობა, და საშუალო და უმაღლესი განათლების კერები.

მაღალი გემოვნების მქონე ოსტატების მომზადება არ იყო მარტივი სასწავლო პროცესი. სწავლისას სიტყვიერ ახსნასთან ერთად, თვალსაჩინოებისთვის, შრომით საქმიანობასაც მიმართავდნენ. ასეთ სასწავლებლებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მაღალი ესთეტიკური გემოვნებისა და შემოქმედებითი უნარის განვითარებას. რიგითი, ჩვეულებრივი სახელოსნოების გვერდით არსებობდა მსხვილი, მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებული სახელმწიფო (სამეფო) სახელოსნოები, რომლებშიც მუშაობდნენ საფუძვლიანი ცოდნის მქონე ოსტატები.

უდიდესი როლი მწიგნობრული ცოდნის დაგროვება-გავრცელებაში, მხატვრობისა და არქიტექტურის განვითარებაში, სასოფლო-სამეურნეო და ხელოსნობის ცოდნის თაობიდან თაობაზე გადაცემაში, მონასტრებმა შეასრულეს. საერო აღზრდისათვის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო ფიზიკური აღზრდა და სამხედრო მომზადება, მრავალმხრივი აღზრდა-განათლება შრომითი ცოდნა-ჩვევების განვითარებასაც ითვალისწინებდა. მაგალითად, უფლისწული, თუ სხვა წარჩინებული, გონებრივ აღზრდასთან ერთად, ხელობასაც უნდა დაუფლებოდა, რათა თავის ქვეშევრდომთა ცხოვრებას ახლოს გაცნობოდა.

თეორიულ ცოდნასა და ზოგად განათლებასთან ერთად, საჭირო იყო ესთეტიკური აღზრდაც. ასეთ აღზრდა,როგორც ეს ადრეფოედალური ბიზანტიის მაგალითიდან ჩანს, სახელმწიფოებრივი ხასიათი ჰქონდა.

მრავალი ისტორიული წყაროდან ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ საეკლესიო-სამონასტრო სკოლებმა, საქართველოში, XIX საუკუნის დამდეგამდე ცოდნის გავრცელებაში დიდი როლი შეასრულეს. როგორც პროფ. გ. თავაზიშვილი წერს, "აღსანიშნავია ანტონ II კათალიკოსის პასუხი საქართველოს მთავარმართებელ კრონინგისადმი; 1801 წლის თებერვალში, შეკითხვაზე – არის თუ არა (საქართველოს) ეპარქიაში სასწავლებლები და თუ არის – სად, რას ასწავლიან და ვინ ინახავს, ანტონ II უპასუხებდა: "ბავშვებს ასწავლიან ქართლისა და კახეთის ყველა ეპარქიაში (დასავლეთი საქართველო მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შეერთებული რუსეთის იმპერიასთან), წერა-კითხვას და გალობას. ამ მოწაფეებს თავიანთ ოჯახებში ინახავენ." (ნ. ვასაძე 1998: 529-530). აქვე გ. თავზიშვილი სავსებით ლოგიკურად ასკვნის, რომ ეს სკოლები, როგორც ანტონის პასუხიდან ჩანს, ელემენტარული წერა-კითხვისლი შემსწავლესკოლები იყო, მაგრამ, მათ გარდა, ეპარქიის ცენტრებსა და საკათედრო ტაძრებთან არსებობდა საშუალო ტიპის სკოლებიც, რომლებშიც ასწავლიდნენ რიტორიკას, გრამატიკას, ფილოსოფიას, ფიზიკას, ლოგიკას, ისტორიას, ღვთისმეტყველებას, რაც იმდროინდელი სწავლების მრავალმხრივობასა და პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაზე მეტყველებს.

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე, საქართველოს სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების გაუმჯობესებასთან ერთად, გამოცოცხლდა მეცნიერული-ლიტერატურული მუშაობა და, შეიძლება ითქვას, პედაგოგიკური აზროვნებაც. XVII საუკუნეში ვხვდებით საერო ხასიათის სკოლებსაც. საგრძნობლად გაიზარდა წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი. აღმავლობის გზას დაადგა ვაჭრობა, ხელოსნობა, საქალაქო ცხოვრება და, შასაბამისად, სახელოსნო განათლებაც.

თუ XVII საუკუნემდე კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობაში უმეტესად სასულიერო პირები იყვნენ ჩაბმული და სწავლა-აღზრდასაც, ძირითადად, სასულიერო-რელიგიური ხასიათი ჰქონდა, შემდგომ, ამ საქმეში საერო პირებიც მონაწილეობდნენ, უმეტესად სამეფო საგვარეულოდან; შეიქმნა მგალობელთა მთელი სკოლა, რომელის მეოხებითაც საქართველოს ყველა კუთხეში ვრცელდებოდა არა მარტო სასულიერო, არმედ საერო მუსიკალური განათლებაც.

XVII საუკუნეში ქართული საზოგადოების მაღალ წრეებში განსაკუთრებით გაძლერდა ინტერესი პოეზიის, უცხო ენების, ფილოლოგიის, გეოგრაფია-

ასტრონომიის, მედიცინის, იურისპუდენციისა და სხვა მეცნიერებებისადმი. ამ დროისათვის ქართველთა საერთაშორისო კულტურული ურთიერთობის არეალიც გაფართოვდა და გაიზარდა უცხო ენების მცოდნეთა რიცხვი;

საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ფიზიკურ აღზრდას ეთმობოდა, რადგან ფიზიკური სიმძლავრე და სამხედრო სიმარჯვე ერთადერთი საშუალება იყო ურიცხვი მტრების მოსაგერიებლად. ფიზიკურ აღზრდაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცხენოსნობა იყო.

საქართველოში აღზრდა-განათლებას ქალებიც იღებდნენ. გოგონებს ადრიდანვე ასწავლიდნენ წამლების დამზადებას, წერა - კითხვასა და ბევრ სხვა ხელსაქმეს. ზოგჯერ ქალები ვაჟებთან შედარებით მეტად განათლებულები იყვნენ. ერეკლე I-ის ასულს, მარიამს, თავისი დროისათვის, ძალიან კარგი განათლება მიუღია. მას ბევრი უცხო ენა შეუსწავლია. 1716 წლიდან მარიამი ალავერდის მონასტერში აღკვეცილა მონაზვნად. მარიამი ქართული კულტურის განვითარების დიდი ქომაგი იყო .

ზოგად განათლებას, ოჯახებში, კერძო მასწავლებელთან თუ ეკლესია - მონასტრებში მოსახლეობის შეძლებული ნაწილის წარმომადგენელთა შვილები ეუფლებოდნენ, პროფესიული განათლება კი უბრალო ხალხის შვილებს სჭირდებოდათ. საქართველოში პროფესიული განათლება უფრო დახვეწილი და სისტემური იყო, რადგან ის ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისი უნდა ყოფილიყო

XVII საუკუნემდე არსებულ წერილობით წყაროებში მრავლად მოიპოვება პროფესიული განათლების კერების ან ინდივიდუალური შეგირდობის (მოწაფეობის) არსებობის დამადასტურებელ ცნობები, ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ, ძირითადად, ოსტატთა დახელოვნება ინდივიდუალური სწავლების გზით მიმდინარეობდა. აღსანიშნავია ისიც რომ, არსებობდნენ ცალკეული დარგებიც, რომელთა ოსტატებიც თავიანთი ხელობის საიდუმლოს მკაცრად იცავდნენ და მას მხოლოდ ახლობლებს, ან უშუალო მემკვიდრეებს გადასცემდნენ.

საერო განათლებაზე მეფე ერეკლეს საკმაოდ პროგრესული შეხედულება ჰქონდა, ამას შვილებისადმი დატოვებული ანდერძი ადასტურებს: “აუცილებელია მეცნიერების დაუფლება, – წერდა მეფე, განსაკუთრებით ღრამატიკის, რიტორიკის,

ფილოსოფიის, ლოღიკის, ხოლო თუ ამაზე მეტს მეცნიერებაში შევლენ და ისწავლიან, ის უმჯობესი იქნება, მაგრამ უამისობა არ იქნება.” (ვასაძე 1998: 213).

XVIII საუკუნის მეორე ნახვერიდან საქართველოში სამეფო - სახელმწიფო სასწავლებლები არსდება და სწავლა - აღზრდაც ორგანიზებულ ხასიათს იღებს. ამ საქმის სულისჩამდგმელი იყო ერეკლე მეორე. მას ხელი შეუწყო ანტონ I კათალიკოსმა (1720-1788). ანტონი თავად გაეცნო სამეცნიერო ლიტერატურას, შეისწავლა საგანმანათლებლო საქმე, სასწავლო პროგრამები და სწავლების პრინციპები. პირველი სემინარიაა გაიხსნა თბილისში 1755 წ. ხოლო მეორე 1782 წ. თელავში. ანტონ კათალიკოსი იყო ამ სასწავლებელების “დირექტორი, პრორექტორი და დიდასკლოსი”. მან თარგმნა სახელმძღვანელოები და მეცნიერული შრომები. იგი აქტიურად მონაწილეობდა ლოგიკის, ფიზიკის, ბუნებისმეტყველების და სხვა სახელმძღვანელოების შედგენაში.

საქართველოში უმაღლესი განათლებისთვის ბრძოლა მე-19 საუკუნის დასაწყისში დაიწყო. კეთილშობილთა სასწავლებლების და თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულებს არ ჰქონდათ უფლება, სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში გაეგრძელებინათ. სპეციალური ნებართვით, მხოლოდ რამოდენიმე სემინარიადამთვრებულმა მოახერხა, იმ პერიოდში, უნივერსიტეტში შესვლა (მაგ. სოლ. დოდაშვილი). 1935 წელს სემინარიის სასწავლო გეგმაში ფრანგული და გერმანული ენების სწავლება შეიტანეს. ამის შემდეგ გაეხსნათ გზა სემინარიის კურსდამთავრებულებს უნივერსიტეტებისა და სასულიერო აკადემიებისაკენ.

თემის მოცულობაში შეზღუდვის გამო, სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ თვალი გადავავლეთ და მოკლედ მიმოვიხილეთ სწავლა - განათლება ძველ საქართველოში. თუმც, ამ მიმოხილვითაც ნათლად წარმოჩნდა, თუ რაოდენ დიდი ყურადღება ექცეოდა, ჩვენს ქვეყანაში, მრავალმხრივად განათლებული მამულიშვილის აღზრდას და რამდენად შორეულ წარსულს განეკუთვნება ქართული პედაგოგიური აზროვნების საწყისები.

უამრავ პედაგოგიკურ იდეებს ვპოულობთ პეტრე იბერის, ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, შოთა რუსთაველის, არჩილ მეფის, სულხან - საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკლაძის და სხვათა ნააზრევებში.

ილია ჭავჭავაძე იშვიათი, შეუდარებელი პიროვნებაა მე-19 საუკუნისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოსათვის. არ არის საზოგადო საქმის, კულტურისა თუ მეცნიერების არც ერთი მნიშვნელოვანი უბანი, რომელსაც იგი თავისი მადლიანი კალმითა და საქმით არ გამოხმაურებოდეს და წარუშლელი კვალი არ დაემჩნიოს მისთვის. ილია ჭავჭავაძე ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი ფუძმედებელი, გამოჩენილი პუბლიცისტი, ორატორი, ფილოსოფოსი, ეკონომისტი, იურისტი, ისტორიკოსი და, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, დიდი პედაგოგი იყო. ილია ჭავჭავაძემ XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად ფასდაუდებელი ამაგი დასდო პედაგოგიკის მეცნიერების ფორმირებასა და განვითარებას საქართველოში. ილია თავისი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე დაინტერესდა მოზარდი თაობის აღზრდისა და სწავლა - განთლების პრობლემებით. პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების დეფინიცია პირველად ი. ჭავჭავაძემ მოგვცა: "პედაგოგია ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს ყმაწვილების აღზრდას, მეცნიერებას ყმაწვილის აღზრდაზედ... არსებობს მეცნიერება – პედაგოგია, რომლის საგანი არის ყმაწვილების აღზრდა." (ჭავჭავაძე 1938 : 136).

ილიას სწავლა - განათლება და მეცნიერება ცხოვრების გარდაქმნის აუცილებელ პირობად მიაჩნდა. იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ყველა საშუალებით შთააგონებდა ახალგაზრდობას, რომ "... ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად სჭრის და ზარბაზნებზედაც უფრო ძლიერია."

ილია ჭავჭავაძის აზრით, აღზრდამ უნდა უზრუნველყოს ადამიანის მომზადება ცხოვრებისათვის, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის. აღზრდამ უნდა განავითაროს ბავშვის სულიერი და ფიზიკური ძალები, შეათანხმოს ისინი ერთმანეთთან ჰარმონიულად. აღზრდასთან ერთად, ის ბავშვის განვითარებაში დიდ როლს ანიჭებდა გარემოს. "იმ წრეს, სადაც ბავშვი პირველი ხანიდანვე ტრიალებს – წერდა იგი, – დიდი გავლენა აქვს ადამიანის მერმისზედ." (ჭავჭავაძე 1938 : 30). მოთხრობაში "სახრჩობელაზედ" ავტორი რეალისტურად აღწერს, თუ როგორ მიიყვანა ორი ძმა სასიკვდილო განაჩენამდე მოუწესრიგებელმა გარემომ, გარემომცველ ადამიანთა გულგრილობამ და უყურადღებობამ.

ძალზე საინტერესოა ილიას აზრი აღმზრდებლობითი სწავლების შესახებ. იგი სავსებით სწორად მიუთითებს, რომ სწავლება და აღზრდა ("წურთვნა") არ არის ,,იგივეობრივი ცნებები'' "წურთვნა სხვაა და სწავლა სხვა, – წერს იგი, – ერთს ერთი საგანი აქვს, მეორეს სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა კი – გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე." (ჭავჭავაძე 1938 : 30) ილიას აზრით, განათლების მისაღებად აღზრდისა და სწავლების ერთმანეთთან დაკავშირებაა საჭირო, მაგრამ, თუ ეს ვერ მოხერხდა, ისევ "გონებაუწვრთნელი კაცი სჯობს ზნეობა უწვრთნელსაო".

ილიას დიდ როლს ანიჭებდა ოჯახს. იგი წერდა: "შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდესი და უდიდესი ვალია მშობლებისა... გაზრდა შვილისა კი – ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველივე ნაწვავ - ნადაგი, ყოველივე ამაგი... დრო ამას უნდა შევახმაროთ... ტანთ მოიკელ, ფერხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩადგები კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, – აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზე იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამაშვილობას ეძახიან". (ჭავჭავაძე 1938: 352). ილიამ შესანიშნავად იცოდა, რომ ჩვენს ქვეყანას პედაგოგიური კულტურის ამაღლება ძალიან სჭირდებოდა. ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობდა პედაგოგიკის კლასიკოსთა მემკვიდრეობას. მის მხატვრული ნაწარმოებებსა და პუბლიცისტურ წერილებში გვხვდება ვიტორინო და ფლეტრეს, იან-ამო კომენსკის, ჟან-ჟაკ რუსოს, იოჰან-ჰენრიხ პესტალოცის, ადოლფ დისტერვეგის, კარლ რიხტერის, კონსტანტინე უშინსკისა და სხვა გამოჩენილი პედაგოგების სახელები, ციტატები, მათი შეფასებები და ანალიზი.

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური იდეები დღესაც საინტერესო და აქტუალურია. ამიტომ ამ იდეების შესწავლას არა მხოლოდ ისტორიულ - კულტურული მნიშვნელობა, არამედ დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულებაც აქვს.

აკაკი წერეთელი, გამოჩენილი სამოციანელი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური, ახალგაზრდების სწავლისა და აღზრდის ხალხურობის პრინციპზე დაფუძნებას დიდ ყურადღებას აქცევდა. ''სწავლებისა და განათლების შინაარსი აღებული უნდა იყოს ხალხის ყოფა-

ცხოვრებიდან და, რაც მთავარია, სწავლება მშობლურ ენაზე უნდა წარიმართოს'', – ასეთია აკაკის პედაგოგიური კრედო.

აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძესთან, იაკობ გოგებაშვილთან, გიორგი წერეთელთან და სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, თავდაუზოგავად იბრძოდა ცარიზმის გამარუსებელი (რაც, პირველ რიგში, ქართული ენის დევნით ვლინდებოდა) პოლიტიკის წინააღმდეგ. აკაკი წერეთელი აღწერს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელიც მშობლიური ენის დევნის გამო შეიქმნა: "როგორც ყოველწლობით, ისე ახლაც ვხედავთ ქუჩა - ქუჩა მომტირალ პატარა ყმაწვილებს და მათთან ერთად დაღონებულ და თითქმის ყველასა და ყოველიფერის მგმობელ გამწარებულ მოხუცებულებს." (წერეთელი 1960 : 193). ამის მიზეზი კი, აკაკის აზრით, ''არის იმ ენის უცოდინარობა, რომელზეც იწყება და მიმდინარეობს სწავლება. რა ბრალია ყმაწვილის, რომ მისი დედა-ენა სხვა არის და არ იცის, ის ენა, რომელზედაც ასწავლიან? იგი რათ უნდა დაიღუპოს საუკუნოდ". (წერეთელი 1960 : 193).

აკაკი დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდების ზნეობრივი აღზრდის პრობლემებს. მისი თქმით, ადამიანი პირუტყვისაგან პირველ რიგში ზნეობით განსხვავდება და თუ ადამიანს არა აქვს მომადლებული ზნეობრივი სიკეთე, ის პირუტყვზე უარესიაო. აკაკის იდეალია პატრიოტი და საზოგადო საქმისათვის აქტიური მებრძოლი მოქალაქე.

აკაკი მიიჩნევდა, რომ მომავალი თაობის აღზრდაში მშობლებსა და აღმზრდელებს უდიდესი როლი ეკისრებოდათ. ''ახალგაზრდებმა უნდა მიიღონ ... განათლება ნამდვილი, ჭეშმარიტი და არა ისეთი ცრუ, რომელიც ჩვენ მიგვიღია, უმცროსებზედ ამაყობა, უფროსების წინ სულმდაბლობა და ტოლებში ფარისევლობა ჩვენი – არის ცრუ გაზრდის მიზეზი" – წერდა აკაკი.

საყურადღებოა აკაკის მოსაზრებები ახალგაზრდობის შრომითი მომზადების, დისციპლინის, საოჯახო აღზრდის შესახებ და სხვ.

დიდ მოთხოვნებს უყენებდა აკაკი წერეთელი მასწავლებელს, აღმზრდელს. ამ პრობლემას მიუძღვნა მან თავისი შესანიშნავი პოემა "გამზრდელი", რომელშიც წარმოაჩინა აღმზრდელის დიდი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი მოვალეობა.

“ახალგაზრდის გულის გატაცებას ბევრი არა უნდა რა და ამიტომაც, თუ მოძღვარ - მოწაფე ვერ შეთვისებულან, ბრალი ყოველთვის პირველს უნდა დაედვასო”, – ამბობდა პოეტი. აკაკი მოითხოვს აღმზრდელისაგან ბავშვის ბუნების, მისი ინდივიდუალურობს საფუძვლიან შესწავლას და სწავლა - აღზრდაში გამოყენებას.

ქართველ სამოციანელთა ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი გიორგი ექვითმეს ძე წერეთელი უნივერსალურად განსწავლული პიროვნება და დაუღალავი საზოგადო მოღვაწე იყო. ის იყო პედაგოგი, მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, არქეოლოგი, ბუნებისმეტყველი, პრესის დიდი ორგანიზატორი და სხვ.

გიორგი წერეთელმა ილია ჭავჭავაძის შემდეგ ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების დეფინიცია: “პედაგოგიკა ნიშნავს სწავლას აღზრდის შესახებ, ეს მეცნიერება გვასწავლის იმას, თუ რა რიგად უნდა აღზრდა ყმაწვილს, ან რა თვისებების არის ყმაწვილის ნორჩი აგებულება, ან როგორ უნდა მოპყრობა ყმაწვილს”, – წერს იგი. (დროება 1866).

გ. წერეთელი აღზრდის იდეალად მიიჩნევს მრავალმხრივ განათლებულსა და მაღალზნეობრივი ახალგაზრდობის მომზადებას, ახალგაზრდობისა, რომელიც მშობელი ქვეყნისა და ხალხის ინტერესების ერთგულია და დაუღალვად იბრძვის მისი კეთილდღეობისათვის.

გ. წერეთელი მკაცრად აკრიტიკებს თავის თანამედროვე სკოლას, შორს მდგომს ჭეშმარიტი განათლებისაგან, რომელშიც დამკვიდრებულია სქოლასტიკა, უაზრო ზეპირობა და “ულმობლად კლავს ჩვენს იმედებს. სკოლებში საჭირო ყურადღება არ ექცევა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, აქტიური, მებრძოლი ახალგაზრდობის მომზადებას და ეს ბუნებრივია – მეფის ხელისუფლებას არ სჭირდება თვითმყოფი, შემოქმედი ადამიანი. პირიქით, ის ცდილობს მოამზადოს ღვთისა და ტახტის ერთგული, უინიციატივო ახალგაზრდობა. ჩვენი ახლანდელი აღზრდა ჩვენი გონებისა და მეხსიერებისათვის ისეთივე საპყრობილეა, როგორც მეტეხის ციხე ყაჩაღებისათვის.” (გ. წერეთელი 1955 : 293).

გ. წერეთელს ფართოდ აქვს გაშუქებული აღმზრდელობითი სწავლების პრინციპი. ის წერს: “ჭეშმარიტი განათლება მდგომარეობს ადამიანის ბუნების სრულ წარმატებაში და გახსნაში; იმან უნდა იმოქმედოს როგორც სულზე, ისე სხეულზედ.

თუ ერთი რომელიმე მხარე დავიწყებულია, მაშინ ვერ ვიტყვით, რომ კაცი სრულიად განვითარებული იყოს.” (გ. წერეთელი 1955 : 293). როგორც ვხედავთ, გ. წერეთელს სავსებით სწორად ესმის სწავლების როგორც საგანმანათლებლო, ისე აღმზრდელობითი მნიშვნელობაც, სწავლებისა და აღზრდის მჭიდრო კავშირის აუცილებლობა.

გ. წერეთელი არა მარტო პუბლიცისტურ წერილებში, არამედ ბელეტრისტულ ნაწარმოებებშიც (“ჩვენი ცხოვრების ყვავილი”, “პირველი ნაბიჯი”, “გულქანი” და სხვ.), ფართოდ აშუქებს ახალგაზრდების სწავლა-აღზრდის ძირითად საკითხებს და გამოთქვამს ისეთ საინტერესო მოსაზრებებს, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ქართველი პედაგოგები აქტიურად იბრძოდნენ ქართველი ხალხისათვის თავს მოხვეული განათლების სისტემისა და სწავლების შინაარსის წინააღმდეგ. “ჩვენი სკოლებისათვის არ გამოდგებიან არც გერმანიის, არც ინგლისის სკოლის წესები, – წერდა რაჟდენ ჯაჯანაშვილი, – იქ ის წესები დაფუძნებულნი არიან ხალხის ხასიათის თვისებაზედ, ხალხის ცხოვრების მოთხოვნებაზედ. ჩვენში ჩვენი სკოლების წესები უნდა იყვნენ დაფუძნებულნი ჩვენი ხალხის თავისებურად, ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილებაზედ.” (რ. ჯაჯანაშვილი, პედაგოგიურ აღზრდაზე, გაზ., „დროება“, 1880, N74).

იმ პერიოდის ქართულ პრესაში ბავრი საყურადღებო მოსაზრება იბეჭდებოდა სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლების, დიდაქტიკური პრინციპების, სწავლების მეთოდების, ცოდნის შეფასებისა და სწავლებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება აღზრდის თეორიის პრობლემებს ექცეოდა.

ზნეობრივ აღზრდას ქართველი პედაგოგები პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მხოლოდ გონებრივი აღზრდა, ძველი სკოლის იდეალი იყო და სრულყლოფილად ვერც იმის გადაწყვეტას ახერხებდა, გვერდზე ტოვებდა ადამიანის შინაგანი ბუნების ზნეობრივად სრულყოფის უმნიშვნელოვანეს ამოცანას. ქართველი პედაგოგებისათვის ზნეობრივი აღზრდა ახალგაზრდების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების სისტემაში ერთ - ერთი არსებითი და მთავარია. მაღალი ზნეობა უკეთესი მერმისისა და ნათელი იდეალებისათვის ბრძოლის საფუძველია.

ქართულ პრესაში ფართოდ შუქდებოდა სახალხო განათლების ისტორიის საკითხები. ქართველი პედაგოგები კარგად იცნობდნენ პედაგოგიკის კლასიკოსებს, განსკუთრებით იან-ამოს კომენსკის, ჟან-ჟაკ რუსოს, იოჰან-ჰენრიხ პესტალოცს, კ.დ. უშინსკის და სხვ. ეყრდნობოდნენ მათს შეხედულებებს ამა თუ იმ დებულების დასამტკიცებლად.

თავი III

მრავალმხრივი სწავლების თეორიული (პედაგოგიური, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური) საფუძვლები

§ 1. მრავალმხრივ უნართა ("მრავალმხრივი ინტელექტის") თეორია (ჰოვარდ გარდნერი)

ჩვენ დავეყრდნობით მხოლოდ იმ თეორიებს, რომლებიც მსოფლიოში პედაგოგიკის მეცნიერების საფუძვლადაა აღიარებული, ხოლო საქართველოში კანონმდებლობითაა დამტკიცებული, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი. (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. სწავლისა და განვითარების თეორიები).

ამერიკელი ფსიქოლოგის, ჰოვარდ გარდნერის „ მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის“ თანახმად, ადამიანს მრავალმხრივი უნარები აქვს (და არა მხოლოდ კოგნიტური უნარები) და შემეცნებისთვის ყველა მნიშვნელოვანია. თუმცა, ცხადია, ყველა ადამიანს ეს უნარები ერთნაირად არა აქვს განვითარებული.

გარდნერმა გამოკვეთა უნართა შვიდი ძირითადი ტიპი:

უნარის ტიპები:

1. ენობრივი, ვერბალური, ლინგვისტური
2. მათემატიკურ- ლოგიკური
3. მხედველობით - სივრცითი
4. მუსიკალური
5. სხეულებრივ - კინესთეტიკური
6. ინტერპერსონალური
7. ინტრაპერსონალური

შესატყვისი აქტივობა და დასწავლის საშუალებები:

1. ენობრივი საშუალებები: წერითი და ზეპირი მეტყველება; ინფორმაციის შენახვა და ახსნა ცნებით ანუ სიტყვათა მნიშვნელობებით. საკითხის შესახებ საუბარი; ტექსტის

ანალიზი; ტექსტის რედაქტირება; სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნა; მოვლენაზე კომენტარის გაკეთება; სიტყვიერი ლოგიკური აზროვნება.

2. ღირებულებისა თუ შედეგების ზუსტი შეფასების მცდელობა; ფორმულებისა და აბსტრაქტული ნიშნების საშუალებით მოდელირება. აბსტრაქტული ლოგიკური აზროვნება; მეცნიერული მსჯელობა; პრობლემების ანალიზი, მათემატიკური გამოთვლები და გაზომვები, მოქმედების დაგეგმვა, სტრატეგიის შემუშავება.
3. ხატვა, დიზაინი, მხატვრობის ინტერპრეტაცია; გამოსახულების შექმნა იდეის მიხედვით. კარგი მხედველობითი აღქმა; ფერებისა და ფორმების განცდა; ვიზუალური ხატების შექმნა და ინტერპრეტაცია; ხატოვანი წარმოსახვა და თვითგამოხატვა.
4. მუსიკის შესრულება, შეთხზვა ან შეფასება; სიმღერა; ინსტრუმენტზე დაკვრა. ტონალური და რიტმული ნიმუშების ცნობა; გრძნობასა და ბგერებს შორის კავშირის განცდა.
5. სხეულის ზუსტი და მოქნილი მოძრაობები; კარგი სენსომოტორული კოორდინაცია; სპორტის სახეობათა ტექნიკის დაუფლება; ჟესტებისა და მიმიკის კარგად გამოყენება; სხეულის ენით გრძნობების გამოხატვა; შეხების შეგრძნება; ცეკვა.
6. სხვათა გრძნობების აღქმა და გაგება; სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, თანამშრომლობა, გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია; გულღიობა, გულზიარობა; ქცევისა და ურთიერთობის ინტერპრეტაცია, ადამიანებსა და სიტუაციას შორის კავშირის გაცნობიერება; სხვისი გუნება-განწყობის წვდომა პირისახის გამომეტყველების მიხედვით; სხვის გრძნობებზე ზემოქმედება.
7. თვითცნობიერება, თვითჩაღრმავება; საკუთარი თავის გაგება, მეობის მიმართება სხვებთან და სამყაროსთან, ცვლილებათა საჭიროების განცდა, რეაგირება პიროვნულ ცვლილებაზე; პიროვნულ ზრდა-განვითარებაზე ზრუნვა; საკუთარი პოზიციისა და შეხედულებათა დაცვა.

როგორც შემდგომ გაირკვა, ეს სია არასრულია. დაემატა უნართა კიდევ რამდენიმე ტიპი. განსაკუთრებით:

8. ტექნიკური: ტექნიკურ მოწყობილობათა ადვილი დაუფლება; სხვადასხვა სახის აპარატურის, მანქანების დაშლა-აწყობა, აგრეთვე მათი მოდელების, პროექტების შექმნა, ტექნიკური სქემების წვდომა და წარმოდგენა. "ტექნიკური აზროვნება".

9. საბუნებისმეტყველო: ცხოველებისა და მცენარეების მოვლა; ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების კვლევა; მიზეზშედეგობრივი კავშირების წვდომის უნარი.

სანამ უნართა მე-8 და მე-9 ტიპები ცალკე გამოიკვეთებოდა, ისინი განაკუთვნებ-დნენ მე-2 ტიპს (მათემტიკური და ლოგიკური უნარები).

ადამიანთა უმრავლესობისთვის არა ერთი, არამედ ორი ან მეტი უნარია ხოლმე წამყვანი. მაგ. თუკი ადამიანი (მოსწავლე) ადვილად არკვევს ტექსტში აზრებს შორის ლოგიკურ კავშირებს, მათ სქემის სახით ხედავს და ახდენს მათ ანალიზს, აგრეთვე ზრუნავს პიროვნულ ზრდა-განვითარებაზე, მას აქვს ენობრივი, მხედველობით-სივრცითი და ინტრაპერსონალური უნარები; ხოლო თუკი სწავლის დროს ცდილობს გამოიყენოს მიმიკა და ჟესტები, გაარკვიოს დასასწავლ მასალაში მოცემული მიზეზშედეგობრივი მიმართებები, მაშინ მასში წამყვანია კინესთეტიკური და ლოგიკური უნარები; თუკი უპირატესობას ანიჭებს მეგობართან ერთად მეცადინეობას, მათთან მსჯელობას, ცდილობს, სასწავლი საკითხები სქემის სახით გამოსახოს, ასეთ მოსწავლეს ძლიერი აქვს იმტერპერსონალური და მხედველობით-სივრცითი უნარები; საკუთარი მრწამსის ჩამოყალიბების ჩვევა ენობრივი და ინტერპერსონალური უნარების მქონე ადანიანისთვისაა დამახასიათებელი.

უნართა განსხვავებულობა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა. მან თითოეულ მოსწავლეს, ცოდნის წარმოჩენისთვის, მისი წამყვანი უნარისთვის შესაფერისი დავალება უნდა შეურჩიოს მაგ., მოსწავლეს, რომელსაც სუსტი აქვს ენობრივი უნარები, მაგრამ ძლიერი აქვს მხედველობით - სივრცითი, უნდა მისცეს არა თხრობით-წერითი, არამედ ხატვა-ხაზვითი დავალებები (მოსწავლემ მოთხრობის შინაარსის დაწერის ნაცვლად, უმჯობესია დახატოს რამდენიმე თანმიმდევრული სურათი). ამასთან ერთად, მასწავლებელმა აუცილებლად უნდა შეუწყოს ხელი მოსწავლის სუსტი უნარის განვითარებასაც.

მრავალმხრივ უნართა გამოსავლენად, ჩვენ კვლევა ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში ჩავატარეთ: მრავალწლიანმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ

მექანიკური განყოფილების სტუდენტების უმრავლესობას ენობრივ უნარები სუსტი აქვს, მაგრამ ეს სტუდენტები ხატვისა და ხაზვის ნიჭით გამოირჩევიან.

ჩატარდა გამოიკითხა (გამოიკითხა 100 კურსანტი).

კითხვა იყო შემდეგი:

შეგიძლიათ ხატვა ან ხაზვა? **a**) კარგად **b)** საშუალოდ **c)** არ შემიძლია

გამოკითხულთა **65%**-მა შემოხაზა - **a; 20% - b**; **15% - c**

აქედან გამომდინარე, ჰ. გარდნერის მოსაზრება, განათლების მრავალმხრივობა აისახოს განათლების შინაარსში, მართებულად მიგვაჩნია. განათლების ძირითადი ნაწილი არ უნდა იყოს მხოლოდ ლოგიკურ და ენობრივ უნართა მქონე მოსწავლეებისთვის. სწავლება და აღზრდა ისე უნდა აიგოს, რომ არც ერთი ტიპის უნარის მქონე მოსწავლე არ გაირიყოს სასწავლო პროცესიდან და არ დაიჩაგროს.

ესაა მსოფლიო პედაგოგიკის დიფერენცირებული სწავლების უახლესი მიმართულების დედააზრი.

§ 2. ეგოცენტრიზმი. აზროვნების განვითარების კანონზომიერება (ჟან პიაჟე)

გამოჩენილმა შვეიცარიელმა ფსიქოლოგმა ჟან პიაჟემ ყველაზე ნათლად წარმოაჩინა ბავშვის აზროვნების თავისებურებანი. მან ჩამოაყალიბა აზროვნების განვითარების ძირითადი კანონზომიერებანი და, აქედან გამომდინარე, განსაზღვრა თუ როგორ უნდა აიგოს სწავლება. ჟ. პიაჟეს აღმოაჩენილია ბავშვის აზროვნებისა და მეტყველების ეგოცენტრიზმი.

ეგოცენტრიზმი (ეგო+ცენტრ+იზმ) ანუ თავკერძობა არის ადამიანის ცნობიერების შეზღუდვა მხოლოდ საკუთარი თავით. "ცენტრირებულობა" საკუთარ თავზე და სხვა ადამიანების ცნობიერების გააზრებისა და აღქმის უუნარობა. მარ-ტივად რომ ვთქვათ, ადამიანი ვერ ითვალისწინებს, ან არ ითვალისწინებს, სხვის არსებობას, თვალსაზრისს, ზნეს, ხასიათსა თუ სურვილს. ეგოცენტრიზმი აზროვნების ძირეული ფსიქოლოგიური თვისებაა, რომელიც აღზრდით თანდათან უნდა დაიძლიოს, ანუ მოხდეს მისი დეცენტრაცია.

ბავშვი ყველაფერს საკუთარი თავიდან გამომდინარე აფასებს. ის არის სამყაროს ცენტრი და მას საკუთარი თვალთახედვა თუ აღქმა აქვს. (ეს მკაფიოდ შეინიშნება მიმართებათა გააზრებისას). მაგრამ ადამიანს ზრდასთან ერთად, ეგოისტური აღქმაც უსუსტდება. თუმცა, რაც უფრო მაღალია მიმართება, მით უფრო გვიანდელ ასაკში ძლევს ადამიანი თავკერძობას. (იხ. აქვე მეორე აზროვნების განვითარების კანონზომიერება) მაგ., სივრცით მიმართებათა აღქმისას I კლასშივე იწყება თავკერძობის დაძლევა. ხოლო ლოგიკურ და, განსაკუთრებით, ზნეობრივ-მიზნობრივ მიმართებათა გააზრებისას თავკერძობის დაძლევა ზრდასრულთა უმრავლესობასაც კი ძალიან უჭირს (ხშირად სულ არ ძალუძთ).

პიაჟე აკრიტიკებს პასიურ სწავლებას. ის ბავშვის თანმიმდევრული, დაუცხრომელი აქტიურობის პრინციპით განვითარების მომხრეა. მისთვის მიუღებელია სწავლების ისეთი თეორიები, რომლებშიც ცოდნა გარესამყაროს პასიურ ასლამდეა დაყვანილი. პიაჟეს აზრით, „ადამიანური აზროვნება ყოველთვის ცვლის რეალობას და მის ფარგლებს გარეთ გადის"(ვახანია 2012: 26).

ყოველივე ამის საფუძველი ბავშვის აქტიურობაა, თავდაპირველად ნივთიერ - სენსომოტორულ დონეზე. ჩვილს თანდაყოლილი აქვს მრავალი კოგნიტური სქემა, რომლებიც უშუალოდ გარემოზეა მიჯაჭვული და სენსომოტორულ მოქმედებებში ვლინდება. ეს სქემები დროთა განმავლობაში ვითარდება, მრავალფეროვნდება, რთულდება და იხვეწება. რაც მთავარია, თანდათანობით ხდება მათი ინტერიორიზაცია (ლათ. *გაშინაგანება*), ბავშვი, ჯერ გონებაში წარმოიდგენს ქმედებას და შემდეგ ახორციელებს . მას პიაჟემ ოპერაცია - გაშინაგანებული უწოდა, ანუ ინტერიორიზებული სენსომოტორული სქემა, რომელსაც ადამიანი ასრულებს გონებაში, გარემოსგან დამოუკიდებლადაც.

აზროვნების განვითარების საფეხურები სხვადასხვა მეცნიერებმა (ჟ. პიაჟე, ლ. ვიგოტსკი, ჯ. ბრუნერი...) სხვადასხვანაირად განსაზღვრა. თუმცა არსი ყველა განსაზღვრებას ერთი და იგივე აქვს (ეს საკითხი კარგადაა დამუშავებული განწყობის თეორიაში: დ. უზნაძის, რ. ნათაძის, ნ. ელიავას, დ. რამიშვილის, ლ. გერსამიას და ზ. ვახანიას მიერ). ძირითადი საფეხურები შემდეგია (ხაზგასმულია პიაჟესეული ტერმინები):

I. **სენსომოტორული ანუ აღქმა-მოძრაობის. ე.წ. "პრაქტიკული ინტელექტი"** - ხელეწიფება მოქმედებანი მხოლოდ კონკრეტულ ნივთიერ საგნებზე. დამახასიათებელია ცხოველებისა და ბავშვებისთვის 1,5-2 წლამდე;

II. **ნივთიერ-ხატობრივი აზროვნებისა ანუ პრეოპერაციული** -

მეტყველებს, ხელეწიფება კონკრეტულ ხატებათა წარმოდგენა და ხილული მოქმედებანი, ბავშვი (ყრმა) 1,5-2 წლიდან 5-7 წლამდე;

III. **წარმოდგენით-ხატობრივი აზროვნებისა ანუ კონკრეტული ოპერაციების** - ხელეწიფება მოქმედებანი ხატობრივ (მეტ-ნაკლებად სქემატურ) წარმოდგენებზე, ყმაწვილი 5-7 წლიდან 9-11 წლამდე;

IV. **ნამდვილი ანუ ლოგიკურ - ცნებითი აზროვნებისა ანუ ფორმალური ოპერაციებისა** - ხელეწიფება ლოგიკური მოქმედებანი აბსტრაქტულ სიტყვიერ ცნებებზე, ყმაწვილი (მოზარდი) 9-11 წლიდან; უმაღლეს დონეს აღწევს, ჩვეულებრივ, 15-18 წლისთვის; ხოლო 20-25 წლის ასაკის შემდეგ მეტ - ნაკლებად ქვეითდება (აზროვნებითი საქმიანობით დაკავებულთა გარდა);

V. **დიალექტიკური აზროვნების ანუ განვითარებული გუმან-ინტუიციის** - ხელეწიფება უშუალო წვდომა და ღრმად ხედვა. უვითარდება ყველა მშრომელ ადამიანს, ცხოვრებისეულ საკითხებში გამოცდილების დაგროვების საფუძველზე. (თუმცა მრავალი ადამიანი ვერასდროს აღწევს მყარ IV დონესაც კი და უპირატესად III დონეზე აზროვნებს).

(ბოლო, მეხუთე საფეხური პიაჟესთან არ არის, იგი მოგვიანებითაა დამატებული).

ცხადია, საფეხურებს შორის არაა მკაფიო საზღვარი, როდესაც ადამიანი მაღალ საფეხურზე გადადის, წინა არ უქმდება: იგი რჩება, ოღონდ პასივში. უპირატესი მომდევნო დონის სააზროვნო ქმედებებია. ამასთანავე საკმაო ხანს გრძელდება "ნარევი", ე.წ. გარდამავალი ხანა; აღსანიშნავია ის რომ, ზოგი უფრო ადრე გადადის მომდევნო საფეხურზე, ზოგი კი უფრო გვიან; მაშასადამე, საფეხურებად დაყოფა და ასაკთა მითითება პირობითია. თუმცა, ცხადია, რომ აზროვნების განვითარება გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება და ამას კაცობრიობის ისტორიაც ადასტურებს.

"პრაქტიკული" = სენსომოტორული "ინტელექტი "- ესაა 1,5-2 წლამდე ბავშვის ან ცხოველის შემეცნებით უნართა ნაკრები. ინდივიდი მხოლოდ აღქმითა და მოძრაობებით შეიმეცნებს სამყაროს, ანუ "კუნთებით აზროვნებს". მისთვის არსებობს მხოლოდ ის, რასაც ხედავს, ან ხელს ჰკიდებს, შეიგრძნობს. საკუთარი აქტიურობით ბავშვს სენსომოტორულ დონეზე უმუშავდება ის სქემები, რომლებიც შემდგომში ლოგიკური აზროვნების საფუძველი ხდება. ამიტომ ბავშვის მოუსვენრობას არა მხოლოდ სხეულებრივი, არამედ გონებრივი განვითარებისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ხატობრივი აზროვნება აზროვნების დაბალი საფეხურია, რომელიც არცაა ნამ-დვილი აზროვნება. ბავშვი დაუფლებულია მეტყველებას, მაგრამ 3-4 წლამდე არ ძალუძს გონებაში მსჯელობა და წარმოდგენილი ხატების შესაბამისად მოქმედება. ის მხოლოდ ხმამაღლა ან ბუტბუტით აზროვნებს, მას შესაბამისი საგნებიც თვალწინ უნდა ჰქონდეს. მისი მეტყველება და ე. ი. აზროვნებაც, მიჯაჭვულია კონკრეტულ, ნივთიერ საგნებზე. 5-7 წლიდან კი აზროვნება ნაკლებად ეგოცენტრული ხდება. ბავშვს ხელეწიფება კონკრეტულ საგანთა ხატების წარმოდგენა გონებაში, ანუ აზროვნებს არა მხოლოდ მოცემული, არამედ გონებაში წარმოდგენილი სურათებითაც (ხატებითაც). ამიტომ ამ საფეხურზე ძლიერია ბავშვის ხატოვანება, მას შესაძლოა კარგი შემოქმედებითი უნარები ჰქონდეს (კარგად ხატავდეს, კარგად წერდეს ჩანახატებს...). ყმაწვილი საკმაოდ გონებამახვილიცაა, ოღონდ ეს გონებამახვილობა, ძირითადად, მხოლოდ ხატოვანებას და ასოციაციურ დაკავშირებას ეფუძნება.

სამწუხაროდ, მომდევნო, ლოგიკური აზროვნების საფეხურზე და სქესობრივი გარდატეხის დროს, შემოქმედებითი უნარები ხშირად კნინდება ან სულ იკარგება. მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭის მქონე ყმაწვილებს შერჩებათ, ან მოგვიანებით აღუდგებათ და ეს უნარები.

ნამდვილი აზროვნება ლოგიკურ-ცნებითი აზროვნებაა, ანუ ისეთი აზროვნება, რომელიც ენობრივ ფორმაშია (ვერბალურია), მიმდინარეობს თანმიმდევრულად, ნაბიჯ - ნაბიჯ (დისკურსიულია) და მიმართულია რაიმე ამოცანის გადაჭრისაკენ.

ლოგიკურ-ცნებითი აზროვნება განუყოფელია ენისგან, გონებაში მეტყველებისგან. მისი მთავარი შემადგენლებია: ცნება, მსჯელობა, დასკვნა. სამივე ენობრივია.

ამრიგად, გონებრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებაა: კონკრეტულიდან - აბსტრაქტულისკენ, ასოციაციიდან - ლოგიკისკენ, აღქმიდან - მეტყველება - აზროვნებისკენ, წარმოდგენიდან - საზრისისკენ, ხატებიდან - სიტყვა - ცნებისკენ.

§ 3. სოციალური დასწავლის თეორია

(ალბერტ ბანდურა)

ცნება "დასწავლა" ბიჰევიორიზმმა შემოიღო. ესაა უნარ-ჩვევის გამომუშავება და განმტკიცება მრავალჯერადი გამეორების (ვარჯიშის, წვრთნის) შედეგად. ბანდურას თეორია ბიჰევიორიზმს ავითარებს, ოღონდ მასში დასწავლა სოციალურია: მთავარია, არა წვრთნა, არამედ მოდელირება (ფრანგ. მოდელე *ნიმუში*...), სხვა ადამიანების ქცევაზე, განწყობა - დამოკიდებულებებზე და ემოციურ რეაქციებზე დაკვირვება და მათი მიბაძვა. რაკი მიბაძვა ძალიან ხშირად ხდება, ადამიანს თავისთავად გამოუმუშავდება და განუმტკიცდება სათანადო ჩვევები (დამოკიდებულებანი). სხვა ადამიანი განიხილება ნიმუშად ანუ მოდელად.

დაკვირვებით დასწავლის შემადგენელი პროცესებია: მოტივაცია, ყურადღება, მეხსიერება, გამეორება.

გარდატეხის ასაკამდე ბავშვის მისაბაძი პირები ძირითადად ოჯახის წევრები და მასწავლებლები არიან. ხოლო მოზარდი თვითდამკვიდრების ამბოხს იწყებს. ამიტომ ცდილობს ამ მოდელების დამხობას. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ამას ვერ ახერხებს, ის მაინც იბრძვის. მისი მოდელები ხდებიან მიმზიდველი და გავლენიანი თანატოლები ან უფროსი ახალგაზრდები, აგრეთვე ფილმებისა თუ ლიტერატურულ ოღონდ ნაწარმოებთა გმირები. სიჭაბუკეშიც ამ მისაბაძ მოდელებს ემატება საზოგადოებაში ცნობილი და გავლენიანი პირები: ცნობილი სპორტსმენები, მუსიკოსები, მსახიობები, ცნობილი ბიზნესმენები ან პოლიტიკოსები.

ახალგაზრდის პიროვნული მომწიფების დროს, მისი მოდელები აღარ ემთხვევა სხვებისას და ინდივიდუალური ხდება. ეს შეიძლება გახდეს კვლავ დედა, მამა ან სხვა ნათესავი, ოჯახის მეგობარი ან თავისი მეგობარი, თანამედროვე ან წარსულის მოღვაწე (მათ შორის - რელიგიური), ნაკლებად ცნობილი პერსონაჟი, რომელიმე მხატვრული ნაწარმოებიდან. მომწიფებული ახალგაზრდა უკვე გააზრებულად ეძებს, ირჩევს, იწუნებს და კვლავ ირჩევს მისაბაძ პირებს (თუმცა, როგორც წესი, ამას მაქსიმალიზმი და იმედგაცრუებანი ახლავს).

ასაკის მატებასთან ერთად იცვლება მოდელებიც და მათი მახასიათებლებიც. მოზარდობის ასაკში მოდელი, ჯერ ერთი, არამყარი და სიტუაციურია, იგი ადვილად იცვლება გარემოებათა ზეგავლენით. მეორეც, მოდელი სინკრეტულია. ყმაწვილი მთლიანად მას ბაძავს, არ მიჯნავს მის კარგ და ცუდ თვისებებს. თავისს ნამდვილ პიროვნულობას მოზარდი, ვიღაცაზე ზერელე მიბაძვას ამჯობინებს. მხოლოდ ჭაბუკობის ასაკში იწყება მისაბაძი პირის თვისებათა შეფასება და მისაბაძ თვისებათა გაცნობიერება. ამას ზოგჯერ თვითაღზრდაც მოსდევს: ჭაბუკი არა მხოლოდ ბაძავს, არამედ შეგნებულად ცდილობს მისაბაძი თვისების გამომუშავებასა და გავარჯიშებას (მაგ.: სიძლიერე, მამაცობა, სილამაზე, მომხიბვლელობა...).

ამას ზოგჯერ ამ ცალკეული თვისების სწორხაზოვანი და კვლავ მაქსიმალისტური გაფეტიშება მოჰყვება. ეს კი ისეთი ადამიანის გაიდეალებასა და თაყვანისცემას იწვევს, რომელიც, ყმაწვილის აზრით, ამ თვისებებს განასახიერებს, მაგრამ რომელიც თაყვანისცემას, ცხადია, არ იმსახურებს. შემდეგ ყმაწვილი ამ მოდელს უარყოფით თვისებებშიც ბაძავს, რაც აღზრდას აძნელებს.

ცნობილია, რომ სოციალური დასწავლის თეორია გამოიყენება აგრესიისა და ფსიქოლოგიურ დარღვევათა ასახსნელად, ანუ ქცევების შესაცვლელად.

აგრესიული ქცევის ჩამოყალიბების მთავარი გზაც მოდელირებაა, კერძოდ კი, სხვების აგრესიული ქცევების მიბაძვა (შესაძლოა, გაუცნობიერებელიც).

ბავშვი აკვირდება და იმეორებს იმ ქმედებებს, რომლებსაც გარშემომყოფებში ხედავს და შესაბამისად მსგავს უნარ-ჩვევებსა თუ ღირებულებებს იძენს. ეს პროცესი ექსპერიმენტებით არის შესწავლილი. სწორედ ეს ექსპერიმენტებია ბანდურას თეორიის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი.

მაგ., ერთ - ერთ ცნობილ ექსპერიმენტში მონაწილეობდა ბავშვების ორი ჯგუფი, რომლებიც აკვირდებოდნენ ზრდასრული ადამიანის ქცევებს თოჯინის მიმართ: ერთი ჯგუფი აკვირდებოდა აგრესიულ ქცევას, მეორე - არააგრესიულს. ისინი, რომლებიც აგრესიულ ქმედებას აკვირდებოდნენ, შემდეგ თავადაც აგრესიულად ეპყრობოდნენ თოჯინას. აღსანიშნავია, ისიც რომ ქცევის მოდელირება მაშინაც კი ხდებოდა, როდესაც ბავშვები უყურებდნენ არა უშუალოდ მოდელის მოქმედებას, არამედ სატელევიზიო ჩანაწერს.

სხვა ექსპერიმენტებით გაირკვა, რომ ქცევის მიბაძვის ალბათობა მკვეთრად იმატებს მაშინ, როცა ქცევა ჯილდოვდება (ეს შეიძლება იყოს პირდაპირი ჯილდო, ან არაპირდაპირი: გამარჯვება, წარმატება, აღიარება,); ხოლო თუ მოდელი ისჯება, მარცხდება ან უარყოფით განწყობას იწვევს, მაშინ მიბაძვა თითქმის არ ხდება. მაშასადამე ქცევის შეთვისებისა და განხორციელებისთვის მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ პირდაპირ განმტკიცებას (როგორც ეს ესმოდა ბიჰევიორიზმს), მნიშვნელოვანია არაპირდაპირი განმტკიცებაც, ე. ი. სხვისი ქცევის შედეგების გათვალისწინებაც.

მოდელირების კანონზომიერება კარგად გვიხსნის მხატვრული ლიტერატურის, თეატრის, კინოს აღმზრდელობით ძალას. გმირების მიბაძვითა და მათი ქცევის გათავისებით მოზარდი თავს მათთან აიგივებს და ამ მიბაძვით თითქოს საკუთარ გამოცდილების იმდიდრებს .

დაკვირვებისა და აღქმულის დამახსოვრების შემდეგ პატარა ბავშვი ბაძავს სხვა ადამიანების (განსაკუთრებით უფროსების) ქცევებს, ანუ იმეორებს მათ. ეს თავისთავად ხდება, რადგან ბავშვს უფროსთა მიბაძვის უძლიერესი თანდაყოლილი ინსტინქტი ამოძრავებს. მოზარდის მიბაძვა- გამეორებისთვის გადამწყვეტია თვითშეფასება, კერძოდ, საკუთარ შესაძლებლობათა შეფასება. თუკი ადამიანი დარწმუნებული არაა, საკუთარ შესაძლებლობებში, მაშინ მოდელირება არ ხდება. მაგ., მუსიკის მოყვარული თაყვანს სცემს მუსიკის შემსრულებელს, ბაძავს მის მეტყველებას, ჩაცმულობასა და მიმოხვრასაც კი, მაგრამ არ უკრავს, რადგან მიაჩნია, რომ მას ეს არ შეუძლია. საზოგადოდ, თაყვანისცემა ყოველთვის არ იწვევს მიბაძვას. მაშასადამე, თვითშეფასება ზეგავლენას ახდენს მოდელირებაზე. თუმცა ეს ორმხრივია, მოდელირებაც ზემოქმედებს თვითშეფასებაზე: ადამიანს თვითშეფასება

ხშირად საკუთარი თავის მოდელთან შედარების შედეგად ეცვლება. თუკი ადამიანი მოდელს თანდათანობით ემსგავსება, მაშინ მისი თვითშეფასება მაღლდება და ადამიანი თავს კარგად გრძნობს. მაგრამ თუკი ნაწილობრივი დამსგავსებაც კი შეუძლებელია, მაშინ ადამიანის თვითშეფასება დაბლდება, რაც ნევროზის მიზეზიც შეიძლება გახდეს. ამის მიზეზი მოდელის იდეალურობაა. მაგ., თანამედროვე ცივილიზაცია მოზარდს მოდელად იდეალური სხეულისა და გარეგნობის მქონე "ვარსკვლავებს" უმკვიდრებს , რომელთა ცხოვრების წესიც ასევე "იდეალურია", მოზარდისთვის.

§ 4. ჰუმანისტური პედაგოგიკა - სწავლა გამოცდილებით

(კარლ როჯერსი)

ჰუმანისტური პედაგოგიკა სათავეს რენესანსის ჰუმანიზმიდან იღებს (იან ამოს კომენსკი, პესტალოცი, დისტერვეგი, უშინსკი, გოგებაშვილი და, საზოგადოდ, კლასიკური პედაგოგიკა). XX საუკუნის დასაწყისში მისი გამოჩენილი მიმდევრები იყვნენ მ. მონტესორი, დ. უზნაძე, რ. შტაინერი, ს. ფრენე... შემდეგ, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის გავლენით, იგი ძლიერ განვითარდა.

ჰუმანისტური პედაგოგიკა (რომელიც თავის მხრივ ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას ეფუძნება) უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებს მიღმასწრაფებას - ტრანსცენდენტაციას, ადამიანის თვითრეალიზებას და მის სულიერ ფასეულობათა სწორად ჩამოყალიბებას. ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას, როგორც თანმიმდევრულ ჰუმანიზმს, ადამიანი მიაჩნია ბუნებით ზნეობრივ და ჰუმანურ არსებად; ხოლო ბოროტებისა და უზნეობის მიზეზად გარემოს დამთრგუნველ-გამამრუდებელ გავლენას თვლის. ფსიქოანალიზისთვის მთავარია ადამიანის წარსული, ბიჰევიორიზმისთვის - წარსული და აწმყო, ხოლო ჰუმანისტური ფსიქოლოგიისათვის - აწმყო და მომავალი.

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის გამოჩენილი წარმომადგენლები არიან: კ. გ.იუნგი, ე. ფრომი, ბ. ფრანკლი, ა. მასლოუ, კ. ჰორნი, კ. როჯერსი...

ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას ნევროზის ძირითად მიზეზად ტრანსცენდენტაციის დახშობა მიაჩნია, ამიტომ განკურნების მთავარ საშუალებად

სახავს ადამიანის თვითრეალიზების გზის მოძებნასა და ადამიანის ნამდვილი თვითობისკენ გზის გაკვალვას. (იხ. პიროვნების აღზრდა).

"ჰუმანისტური პედაგოგიკის" სინონიმებია: პედოცენტრიზმი, მოსწავლეზე ორიენტირებული პედაგოგიკა. იგი უპირისპირდება საგანზე ორიენტირებულ პედაგოგიკას. თანმიმდევრული პედოცენტრიზმი განათლების მთავარ მიზნად სახავს არა მოსწავლის ცოდნა - უნართა სრულყოფას, არამედ მოსწავლის პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას და განმავითარებელ სწავლებას (თუნდაც მისი ცოდნა - უნარები სუსტი დარჩეს).

განმავითარებელი სწავლება მთავარ მიზნად მოსწავლის განვითარებას ისახავს. ესაა ზოგადი პრინციპი, რომელიც მოიცავს არა კერძო მეთოდიკურ საკითხებს, არამედ რამდენიმე მეთოდიკურ პრინციპს: ჰუმანიზმ-პედოცენტრიზმს, შემოქმედებით სწავლებას, აქტიური სწავლების ნაირგვარ სახეებსა და სხვა. ცნებაში "განვითარება" მოიაზრება მოსწავლის მრავალმხრივი განვითარება: პიროვნული, ნებელობითი, ზნეობრივი, სოციალური, სამოქალაქო - დემოკრატიული, ეროვნული, კულტურული, ეკოლოგიური, სხეულებრივი (ცხოვრების ჯანსაღი წესის გათავისება), გონებრივი და, რაც მთავარია, პიროვნული.

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის თანახმად, ადამიანის ქცევას გარე მიზეზებზე მეტად შინაგანი, სუბიექტური საწყისები განაპირობებს. ამიტომ ჰუმანისტური პედაგოგიკა (კოგნიტური ძალების გვერდით) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გრძნობებს. ადამიანის შინაგანი სამყაროს მთავარი (თუმცა არა ერთადერთი) შემადგენელი კი სუბიექტური გამოცდილებაა. სუბიექტს, გარემოსთან ურთიერთქმედების საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, თანდათანობით უყალიბდება მეობის ცნობიერება ანუ თვითცნობიერება ("მე-კონცეფცია" კ. როჯერსი): დამოკიდებულებათა, შეხედულებათა და შეფასებათა ერთობლიობა საკუთარ თავზე, საკუთარ შესაძლებლობებსა და თვისებებზე, ანუ თვითშეფასება საკუთარი თავისადმი სხვა ადამიანების დამოკიდებულებებით. თვითცნობიერების ჩამოყალიბება ბავშვის განვითარების ერთ - ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი იწყება საშუალოდ 3 წლიდან და იწვევს პირველ გარდატეხას ("პირველი ჭირვეულობის ხანა"). თვითცნობიერების ძლიერი განვითარებაა მეორე

გარდატეხის ხანაც (მოზარდობის ხანის ჯიუტობა), რომელიც უმნიშვნელოვანესია ადამიანისთვის და რომელზეც უამრავი რამ არის დამოკიდებული.

თუკი თვითცნობიერება შეესაბამება სუბიექტის ნამდვილ მდგომარეობას, მაშინ ადამიანი მორგებულია გარემოსთან და სწორად მოქმედებს. ხოლო თუ არა, მაშინ ის შფოთავს, ეშინია და ქცევაც თავდაცვითი აქვს, ხოლო აზროვნება - შეზღუდული და გახევებული (რიგიდული).

ზ. ვახანიას „განათლების ფსიქოლოგიაში“ წარმოდგენილია აღზრდის სამი თანმიმდევრული პრინციპი, რომლებიც ჩამოაყალიბა ანი ფროიდმა (ზიგმუნდ ფროიდის ქალიშვილმა), ძნელადაღსაზრდელ ბავშვებთან მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილების საფუძველზე:

1. ბავშვის უპირობო მხარდაჭერა, მისი ნდობა და პატივისცემა; ზრდასრულთა თავკერძობის ძლევა და ბავშვის მისწრაფებათა გაგება,იმის შეგნება, რომ ბავშვი, თავისი განწყობის ფონზე ყოველთვის ყველაფერში "მართალია". ოღონდ საჭიროა ამ სიმართლის (და არა ნაკლისა თუ დანაშაულის) წარმოჩენა და დახვეწა - გადახალასება.

2. ამის შემდეგ ბავშვმა საკუთარი ნაკლოვანება, არცოდნა თუ უუნარობაც უნდა გაიაზროს (უნაკლო ხომ არავინაა) და მისი გამოსწორება მოინდომოს. საამისოდ საჭიროა აღმზრდელთა უსიტყვო პირადი მაგალითები და იმის რწმენა, რომ წინსვლა და ამაღლება სავსებით მიღწევადია.

3. აღზრდა ბავშვის შინაგან წრფელ მისწრაფება - მოთხოვნილებაზე უნდა იყოს მორგებული და არა უფროსთა მიერ დასახული და ბავშვისთვის თავმოხვეული. საზოგადოდ, აღზრდისას, ისევე როგორც სწავლისას, თვით ბავშვი უნდა იყოს აქტიური, ხოლო უფროსი, მისი დამხმარე (ფასილიტატორი), მრჩეველი (და არა მბრძანებელი) და თანამშრომელი.

სწავლების საკითხებში ჰუმანისტური პედაგოგიკა, ცხადია, აქტიური მეთოდების - კონსტრუქციზმისა და ევრისტიკის მომხრეა.

როჯერსისეული "გამოცდილებით სწავლის" ძირითადი პრინციპებია:

I. შინაგანი მოტივაციის უპირველესი მნიშვნელობა (რაც პრაქტიკულად მარია მონტესორიმ განახორციელა); სწავლა მნიშვნელოვანი ხდება მოსწავლისთვის, თუ

იგი მის პიროვნულ ინტერესებს შეესაბამება; განყენებული საკითხების სწავლა კი მხოლოდ გარეგან მოტივაციას ემყარება.

II. სწავლების პროცესი მიუღებელი, შიშისა და შფოთვის აღმძვრელია მოსწავლისათვის, როდესაც მის თვითშეფასებას უქნის საფრთხეს. ამის მიზეზებია: სიმკაცრე, რთული მასალა, გადატვირთული სასწავლო პროგრამები, ხშირი მარცხი, თანატოლთა მხრიდან დაცინვა... პირველკლასელი სკოლაში ხალასი შემართებით და მიდის, მაგრამ ცუდი სასკოლო გარემო და რთული პროგრამა მას თვითშეფასებას უქვეითებს. ამის გამო ბავშვს გული უცრუვდება სწავლაზე და მისი პიროვნების ჩაკვლისა და დამახინჯების ტრაგედიაც აქედან იწყება.

III. სწავლაში ხანგრძლივი და მყარი შედეგი აქვს მოსწავლის მხრიდან გამოვლენილ ინიციატივას.

კ. როჯერსის თანახმად, უფროსკლასელმა, თვითონ უნდა აირჩიოს მეცნიერების რომელი დარგის შესწავლა სურს სფუძვლიანად. სასწავლო სტანდარტებით ან ოჯახის მოხოვნით ძალდატანება დაუშვებელია.

იმის გამოსარკვევად, თუ როგორ არის დღეს ეს საკითხი მოგვარებული, ჩავატარეთ კვლევა. საკვლევ ბაზად ავიღეთ ისევ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი. გამოვიკითხეთ 50 კურსანტი. (ანონიმურობა დაცული იყო).

კითხვა: **საზღვაო ფაკულტეტზე მოეწყო:**

a) მშობლების დაჟინებული თხოვნით; b) მიზანმიმართულად აირჩია პროფესია; c) მეგობრების რჩევით;

გამოკითხულთა შორის **45%**-მა უპასუხა, რომ ჩააბარა მშობლების დაჟინებული თხოვნით. **15** %-მა - თავისი სურვილით, **40** %-მა კი მეგობრების რჩევით.

ამ შედეგებმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ახალგაზრდებს თავისი არჩევანი, უმეტეს შემთხვევაში, არ გააჩნია. ამის მიზეზია ან სოციალური მდგომარეობა და სამომავლო მიზანი - მატერიალური მხარის გაუმჯობესება (რადგანაც მეზღვაურებს შედარებით მაღალი ანაზღაურება აქვთ), ან კიდევ მოზარდის აკადემიური შესაძლებლობა, რომელიც იმდენად შეზღუდულია, რომ ის არჩევანს დამოუკიდებლად ვერ აკეთებს.

როგორც ა. ბანდურას თეორია, ჰუმანისტური პედაგოგიკაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ორმხრივ უკუკავშირს. იგი მასწავლებელსა და მოსწავლეებს "თანამოსწავლეებად" მიიჩნევს. კარგი მასწავლებელი მოსწავლეებისგანაც ბევრს სწავლობს, ისევე როგორც კარგი მწვრთნელი - ტრენინგის მონაწილეებისგან. კარგი მასწავლებელი თვითკრიტიკულია, ცდილობს მოსწავლეთა თუნდაც უსაფუძვლო უკმაყოფილების მიზეზების გარკვევასა და გათვალისწინებას, საკუთარი მუშაობის დახვეწას. ის ყურადღებით სწავლობს მოსწავლეთა სამყაროს, რათა დაეხმაროს მათ სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

მოსწავლეზე ორიენტირებული, ანუ ჰუმანისტური სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია ინდივიდუალური მიდგომა. მაგრამ ინდივიდუალური მიდგომის ბოლომდე განხორციელება მრავალრიცხოვან მოსწავლეებიან კლასში შეუძლებელია. მაგრამ მასწავლებელმა ეს უნდა შეძლოს. მან ყოველ მოსწავლეში განუმეორებელი პიროვნება უნდა დაინახოს, პატივი უნდა სცეს მას და, რაც მთავარია, ინდივიდუალურად მიუდგეს. საამისოდ ზოგადი წესები არ არსებობს. ყველაფერი მასწავლებელზეა დამოკიდებული.

დაუშვებელია მოსწავლის მოხსენიება მსაზღვრელებით "ძლიერი" ან "სუსტი".

მასწავლებელი უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლის ხასიათს, მას (დამრიგებელს მაინც) უნდა ახსოვდეს თითოეული მოსწავლის ოჯახური პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა და იცოდეს რა უჭირს, რა უხარია და რა ეიმედება მოსწავლეს... მასწავლებელი მოსწავლესთან უშუალო და ალერსიანი უნდა იყოს.

§ 5. განწყობის თეორია

(დიმიტრი უზნაძე)

დ. უზნაძის განწყობის თეორიის ოთხი ძირითადი ცნებაა: ფუნქციონალური ტენდენცია; განწყობა; ობიექტივაცია - გაცნობიერება - გააზრება; ნებელობა და კიდევ: აღზრდის ძირითადი ტრაგედია.

ფუნქციონალური ტენდენცია ჯანსაღი ტრანსცენდენტაციის ანუ მისწრაფების მთავარი სახეობაა. სულიერის თანდაყოლილი შინაგანი მისწრაფებაა ყველა შინაგანი

შესაძლებლობის ამოქმედება, მოქმედება და განფენა, მიმართული სრული და სავსე ყოფნისაკენ. ე.ი. სულიერს თანდაყოლილი აქვს არა მხოლოდ ნაირგვარი ორგანოები და ძალები, არამედ თითოეულის აქტიურობის მოთხოვნილებაც.

ფუნქციონალური ტენდენცია ყოველ ასაკში სათანადო შინაგანი ძალების ამოქმედებისა და განხორციელების მოთხოვნილებას აჩენს. ამიტომ სხვადასხვა ასაკის ადამიანის "სამყარო" სხვადასხვანაირია: სამყაროში გამოკვეთილია უპირატესად ის საგნები, რომლებიც ამ ასაკისთვის დამახასიათებელ მოთხოვნილებებს შეესაბამება (მაგ., ვაჟის ცხოვრების მხოლოდ გარკვეულ პერიოდში გამოიკვეთება სამყაროში ქალების სხეულის ფორმის თავისებურებანი).

"აღზრდის ძირითადი ტრაგედია" დ. უზნაძის მიერ შემოღებული ცნებაა. ესაა გარდაუვალი და გადაულახავი წინააღმდეგობა მოზარდისა და აღმზრდელის (მასწავლებელი, მშობელი, მეურვე) მისწრაფებათა შორის: აღმზრდელი ფიქრობს, მოზარდის შორეულ მომავალზე და აქედან გამომდინარე იქცევა; ხოლო მოზარდი წუთიერ სიტუაციური განწყობით იმართება; ჯანსაღ მოზარდს უფრო ხშირად გართობა თუ სეირნობა ურჩევნია ხანგრძლივ მეცადინეობას და ეს ბუნებრივია, ასეც უნდა იყოს. უფროსები კი ხშირად ბავშვისგან ისეთ სიბეჯითეს, შეგნებულობასა და მიზანდასახულობას მოითხოვენ, როგორიც თავადაც არ გააჩნიათ. მაგ. ზრდასულ ადამიანს უჭირს ერთი წლის შემდგომი მიზნისთვის დაძაბოს ნებისყოფა და იმოქმედოს, ბავშვს კი ათი წლის შემდგომი მიზნებიდან გამომდინარე სთხოვს მოქმედებას. დიმიტრი უზნაძის მიხედვით, არ არსებობს ისეთი პედაგოგიური მეთოდი, რომლიც აღზრდის ძირითად ტრაგედიას გადალახავს (სწავლის მოტივირებითა თუ სხვა მიდგომებით) (უფრო დაწვრილებით იხ. ნებისყოფის შესახებ). ამ პრობლემის მხოლოდ შერბილებაა შესაძლებელი. სამწუხაროდ, მოსწავლე დღესაც სკოლას მხოლოდ სქოლასტიკური ცოდნით ან არცოდნით ამთავრებს...

პედაგოგიკას უკავშირდება აგრეთვე დ. უზნაძის მიერ გამოყენებული ორი ცნება: 1. ინტროგენური (ინტრო+გენ) შინაგანი წარმომავლობის, კერძოდ ქცევის ფორმა. მაგ.: თამაში, შემოქმედება...(შეესაბამება მასლოუსეული "პირამიდის" მარჯვენა, ფუნქციონალურ მოთხოვნილებებს). 2. ექსტროგენური (ექსტრო+გენ) გარე წარმომავლობისა, კერძოდ კი ქცევის ფორმა. მაგ.: კვება, თავდაცვა, გაქცევა,

შრომა...(შეესაბამება მასლოუსეული "პირამიდის" მარცხენა, ადაპტაციურ მოთხოვნილებებს). გამორჩეულია სწავლა - იგი ნახევრად ინტროგენური და ნახევრად ექსტროგენური ქცევაა. საზოგადოდ, ეს გამიჯვნა პირობითია . სწავლის მსგავსად, მრავალი სხვა ქცევაც მოიცავს როგორც ინტროგენურ, ისე ექსტროგენურ შემადგენლებს. მაგ: შრომა. ხშირად ისიც ნარევია: მას ასაზრდოებს როგორც ადაპტაციურ - ექსტროგენური ისე ფუნქციონალურ - ინტროგენური მოთხოვნილებანი.

განწყობა - ინდივიდის სულის მთლიანობითი მდგომარეობა: მისი ფსიქიკური და ფიზიოლოგიური ძალების (შესაძლებლობათა) მომართვაა შინაგანი მოთხოვნილებისა და გარე ვითარების შესაბამისი ქცევის განსახორციელებლად. განწყობა წარმართავს ინდივიდის განცდების მიმდინარეობასაც და ქცევასაც; იგი ინდივიდის ისეთი მზაობაა, რომელიც მოთხოვნილებისა და შესაფერისი ვითარების შეჯვარებით წარმოიქმნება და ინდივიდის ძალების მობილიზაცია - მომართვაში ვლინდება.

ინდივიდის განწყობა მის დაბადებასთან ერთად ჩნდება, თანდაყოლილ მოთხოვნილებათა საფუძველზე. იგი თანდათან ვითარდება, ნაწევრდება, ზოგჯერ თვლემს (ღრმა ძილის მსგავს მდგომარეობებში), სიფხიზლეში კი აქტიურია და განუწყვეტლივ ქმნადებაშია, იღებს გაღვიძებულ მოთხოვნილებას და ერგება მარადცვალებად გარემოს.

განწყობის ცნება თითქმის მაშინვე დაიბადა, როგორც კი ფსიქოლოგია დამოუ-კიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა (XIX ს. ბოლო ხანები). ყველაზე ზოგადად და ღრმად ეს ცნება დ. უზნაძემ ჩამოაყალიბა და მასზე დააფუძნა მთელი ფსიქოლოგია.

განწყობისთვის მისი განცდა საჭირო არაა. განწყობა თავისთავადაც ახორციელებს მიზანშეწონილ ქცევას, რადგან თავისთავში აერთიანებს როგორც შინაგან მოთხოვნილებას, ისე გარემოს. სწორედ გარემოს ზეგავლენით და მის შესაფერისად იღებს განწყობა იმდენად ჩამოყალიბებულ და განაწევრებულ სახეს, რომ ქცევის აღძვრა და წარმართვა შეძლოს. ადამიანი კი, უფრო ხშირად, ვერც აცნობიერებს, რომ სწორედ საკუთარი განწყობით მოქმედებს..

განწყობა ანტიციპაციის ფსიქოლოგიური არსია. ანტიციპაცია (ანტი+ცეპტ (ლათ. ანტიციპატიო - *წინასწარ შექმნილი წარმოდგენა, წინასწარი შთაბეჭდილება*) ესაა წინასწარი ჭვრეტა, წინასწარი განცდა, წინასწარი რეაგირება და მზაობა. მაგ. მოძრაობისას: ფხიზელი სულდგმულის მთელი სხეული, ყველა საჭირო კუნთი ყოველთვის მზად არის სასურველი მოძრაობის შესასრულებლად, ესაა განუწყვეტელი კუნთურ- მოტორული მზაობა, დაძაბულობა ანუ ნერვულ - კუნთური ტონუსი.

მარტივად რომ ვთქვათ, განწყობა არის ინდივიდის ფსიქიკური და ფიზიკური ძალების, შესაძლებლობათა ისეთი "განლაგება", "კონფიგურაცია", "დისპოზიცია", "წყობა" ანუ "განწყობა", რომელიც მომზადებულია და მიმრთულია სწორად შესასრულებელ ქცევაზე. ამდენად, იგი პოტენციურად, წინასწარვე შეიცავს ამ ქცევის "ესკიზსქემას"(ვახანია 2012: 31).

დისპოზიცია (დის+პოზიც, ლათ. დისპოსიტიო - მოწყობილი, გაწყობილი) განლაგება, მოწყობა, გაწყობა. *ფსიქოლოგიაში:* ინდივიდის სულის "განლაგება" ანუ მყარად ფიქსირებული, ღრმა, ნაკლებცვალებადი გაანწყობა, რაც ამ ინდივიდის მახასიათებელია, მისი ხასიათია. აქედან გამომდინარე, აღზრდა - ესაა ოჯახისა და საზოგადოებისთვის სასურველი დისპოზიციების ჩამოყალიბება. პიროვნების ხერხემალს მის დისპოზიციათა თანწყობა ქმნის.

ჯანსაღი ინდივიდის ქცევა და განცდები არასდროს არ არის გარემო ზემოქმედებაზე უბრალო რეაქცია. გარემო თავისებურად გადაასხვაფერებს ინდივიდის განწყობას და გარემო მხოლოდ განწყობის საშუალებით ეძლევა ინდივიდს. ასევე, ინდივიდის არც ქცევა და არც განცდა უშუალოდ არ მიმდინარეობს, არამედ, მხოლოდ განწყობისეულად. დ. უზნაძისთვის ძალიან არსებითი იყო იმ "უშუალობის პოსტულატის" უკუგდება, რომელსაც ეფუძნებოდა და ამჟამადაც ეფუძნება თითქმის მთელი ფსიქოლოგია, ლინგვისტიკა თუ გნოსეოლოგია.

როგორც ცნობილია, განწყობა ზოგჯერ მიკერძოების, ილუზიების, შეცდომების მიზეზია. მაგრამ ეს არაა განწყობის არსი. მისი არსი, პირიქით, მიზანშეწონილი ქცევის სწრაფი და ადვილი განხორციელებაა და მის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია. განწყობის დაუფიქსირებლად არ იარსებებდა არც ერთი

ჩვევა თუ უნარ-ჩვევა; არც ქცევის წესები და კულტურა; არც ინტუიცია და შემოქმედებითობა; ბავშვი მშობლიურ ენას ვერ დაეუფლებოდა და საზოგადოდ, შეუძლებელი იქნებოდა მეტყველება, რადგან ადამიანს ყოველი ფრაზის სიტყვები და მათი გრამატიკული ფორმები აზროვნებით უნდა დაეგეგმა და გაემართა (ესე იგი, ერთი წინადადების შედგენას ათწუთიანი შრომა მაინც დასჭირდებოდა).

დიმიტრი უზნაძისეული განწყობის ცნება აერთიანებს იმ საპირისპირო საწყისებს, რომელთა შეთანხმება სხვა ფსიქოლოგიური თეორიების "აქილევსის ქუსლია". ესაა შიდა და გარე საწყისები, თანდაყოლილი და შეძენილი, არაცნობიერი და ცნობიერი. სხვა თეორიებში ერთ-ერთი ეს საწყისი გაზვიადებულად მძლავრობს მეორეზე და მათი ურთიერთქმედება გაუგებარი რჩება, რის გამოც თეორია ცალმხრივია.

“განწყობის თეორია თავ-თავის ადგილს მიუჩენს და აერთიანებს თანდაყოლილსა და შეძენილს, შინაგანსა და გარეგანს, არაცნობიერსა და ცნობიერს... ესაა ამ თეორიის უდიდესი ღირსება. მისი ღირსებანი აღნიშნული ჰქონდათ გამოჩენილ უცხოელ ფსიქოლოგებსაც: ჟ. პიაჟეს, პ. ფრესს, ლ. ვიგოტსკის, ლ. რუბინშტეინს, ანა ფროიდს”...

§ 6. მოტივაციის იერარქიული თეორია

(აბრაჰამ მასლოუ)

აბრაჰამ მასლოუ ამერიკული ჰუმანისტური ფსიქოლოგიის გამოჩენილი წარმომადგენელია. მის თეორიაში მთავარია ადამიანის ძირითად მოთხოვნილებათა გამიჯვნა დანარჩენთაგან და მათი იერარქია. როგორც ცნობილია, მოთხოვნილება - ესაა სულიერის მთავარი შინაგანი მამოძრავებელი, ანუ მოტივაციის ყველაზე ღრმა წყარო და საბოლოო საფუძველი. მოთხოვნილების გარეშე არ ხდება ინდივიდის აქტივობა.

მოთხოვნილებანი ორი ძირითადი სახისაა:

(1) "ადაპტაციური" რაიმეგვარი დანაკლისის შევსებისა ან მავნებელი ზემოქმედების არიდებისა, ზოგადად, გარემოსთან წონასწორობისა, შეგუება - ადაპტაციისა, წყნარი სიცოცხლის შენარჩუნებისა;

(2) "ფუნქციონალური" აქტიურობისა, განვითარებისა, ტრანსცენდენტაციისა.

მაშ , სიღრმისეულად რა ამოძრავებს ადამიანს, საბოლოოდ რისთვის ცხოვრობს ის?.

მასლოუმ ,,დაბალ-მაღალის" მიხედვით მოახდინა ადამიანის ძირითად მოთხოვნილებათა იერარქიული კლასიფიცირება:



ეს მოთხოვნილებანი, ა. მასლოუს თანახმად: „ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, პირველადი და თვითკმარი თანდაყოლილი მისწრაფებებია. მათი არსი სხვადასხვა საუკუნესა და სხვადასხვა ერში დაახლოებით ერთნაირია, მხოლოდ გამოვლენის ფორმები ანუ სახეებია განსხვავებული. ერთი და იმავე ძირითადი მოთხოვნილების კონკრეტული გამოვლინებანი ძლიერ ცვალებადია და დამოკიდებულია საუკუნეზე, ეთნოკულტურაზე, ოჯახურ ტრადიციებსა და, რაც მთავარია, თვით ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებზე. მაგრამ ათასნაირი გარსების მიღმა მსგავსი შინაარსებია; ცნობიერი სურვილები მილიონობითაა, ძირითადი მოთხოვნილებანი კი სულ რამდენიმე ათეულია“ (Маслоу 2008: 60).

მოთხოვნილების ძირითადობა ნიშნავს, რომ იგი თანდაყოლილი და პირველადია ყველა ადამიანისთვის (უიშვიათესის გარდა). ამასთან სხვა მოთხოვნილებებიც გვხვდება, მაგრამ ისინი ძირითადი არაა, ისინი ჯანსაღ ადამიანთაგან მხოლოდ ზოგიერთს ახასიათებს და ამიტომ არაა საყოველთაო.

რაც უფრო დაბალია მოთხოვნილება, მით უფრო მდგრადი, ცხადი და გამოკვეთილია იგი; საშუალო ადამიანი ძნელად იტანს მის დაუკმაყოფილებლობას. ადამიანები, როგორც წესი, ჯერ ყველაზე ქვედა, საფუძველმდებარე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ცდილობენ, შემდეგ ადიან მაღალი დონეებზე, თანაც ჯერ ადაპტაციურ, შემდეგ კი ფუნქციონალურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ. ყოველი მომდევნო დონე წინას ეფუძნება.

მასლოუ ამტკიცებს, რომ „ადამიანის "მაღალი ბუნების" საფუძველი მისივე "დაბალი ბუნების" არა განდევნა-ჩახშობა, არამედ დაკმაყოფილებულობაა, რასაც მეტ -ნაკლებად ხელშემწყობი გარე პირობები სჭირდება, როგორც ეკოლოგიური, ისე სოციალური“ (Маслоу 2008: 75). მაგ., ხშირი მიწისძვრების ანდა ტოტალიტარული წყობილების პირობებში ძალიან ძნელია "მაღალი ბუნების" ჯანსაღად განვითარება.

რაც უფრო მეტად კმაყოფილდება ქვედა დონის მოთხოვნილებანი, მით უფრო ძლიერდება ზედა დონის დაკმაყოფილების სურვილები. თუკი ადამიანს დაკმაყოფილებული აქვს დაბალი მოთხოვნილებანიც და მაღალიც, მაშინ ადამიანი

მაღალს უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ვიდრე დაბალს. მაშასადამე, ადამიანის თვით ბუნებაშია მისწრაფება ქვევიდან ზევითკენ.

§ 7. მორალური განვითარების თეორია

(ლორენს კოლბერგი)

ლ. კოლბერგმა ჟ. პიაჟეს თეორია ზნეობრივი განვითარების კუთხით განავითარა. მის თეორიაში გამოკვეთილია ზნეობრივი განვითარების სამი ძირითადი დონე, რომელთაგან თითოეულს ორი ქვედონე აქვს. უმდაბლესია "ნულოვანი დონე" ანუ სრული თავხედური, მტარვალური ეგოიზმი, რომელსაც ვერაფერი აკავებ და ადამიანი არაფერს ითვალისწინებს, გარდა საკუთარი სურვილებისა. ამ დონეზე ზნეობა არა არსებობს. ნულოვანის გარდა სულ ექვსი დონეა.

კოლბერგის აზრით, I-II ქვედონეებზე სირცხვილი არ არსებობს, ან იმდენად სუსტია, რომ ქცევას ვერ წარმართავს; არც სინდისია, არც ცნობიერება, დანაშაულის თანმდევი ქენჯნაც ძირითადად ქვეცნობიერია. III-IV ქვედონეებზე სირცხვილის გრძნობაა ქმედითი, სინდისის ხმა კი კვლავ სუსტია და ქცევას ვერ წარმართავს; თუმცა ქენჯნა შეიძლება ძალიან მწვავეც იყოს, მაგრამ ეს მხოლოდ ზოგჯერ, დანაშაულის შემდეგ ხდება (Kohlberg 1984: 3).

I-II-დან III-ზე გადასვლისას მთავარია სოციალური გარემოს (ოჯახი, სკოლა, ახლობლები, მთელი საზოგადოება) ზეგავლენა, ბუნებრივი ეგოცენტრიზმის, შემდეგ კი უკვე ეგოიზმის ძლევა და საზოგადოების წევრობის შეგნება. სკოლამდელ ასაკში ზნეობრივი თვითშეფასების საწყისებიც ისახება.

I-II-დან III-IV დონის ანუ პროსოციალური დონის ჩამოყალიბებაში სკოლას, საკლასო საზოგადოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

III-დან IV-ზე გადასვლისას კოლბერგისთვის მთავარია კანონმორჩილების გათავისება, გადასვლა სირცხვილიდან მოვალეობაზე; ხოლო III-IV-დან V-VI-ზე - განსჯა - აზროვნება ზნეობრივ საკითხებზე და პიროვნული შეგნების ჩამოყალიბება (Kohlberg 1984: 5).

III - IV ქვედონეებზე ადამიანი, ხშირად, საკუთარი მეობის დამკვიდრებას (ანუ თვითდამკვიდრებას) მხოლოდ იმ ზნეობრივ მცნებათა დარღვევით ახერხებს, საუკუნეთა განმავლობაში რომ დგინდებოდა და იხვეწებოდა. ამ დროს თავს იჩენს ეპატაჟი, ანუ ისეთი ქცევა, რომლის მიზანია ნებისმიერი გზით, თუნდაც საზოგადოებისთვის მიუღებლით, ყურადღების ცენტრში ყოფნა და აღიარების მიღწევა. მაგრამ აღზევებას ათასიდან მხოლოდ ერთი აღწევს, დანარჩენები კი ახლობლებთან ან თანამშრომლებთან დირექტიულ-სადისტური დამოკიდებულებით იოხებენ გულს.

V ქვედონეზე პიროვნების მრწამსი შეიძლება გახდეს კანონის უზენაესობის რწმენა, ან წინაპრისეული დანატოვრის ერთგულება. ეს კონვენციურ დონეს ჰგავს, მაგრამ სინამდვილეში ის მხოლოდ პიროვნების შინაგანი მრწამსის ნაწილია. ადამიანი ყოველთვის ამ მრწამსით მოქმედებს, მაშინაც კი როცა არავინ ხედავს.

მაშასადამე, მთავარია არა წესების შინაარსი, არამედ ადამიანის განწყობა ამ წესების მიმართ.

VI ქვედონეზე ადამიანი კვლავ "უბრუნდება" საზოგადოებას, ოღონდ მაღალ დონეზე, რადგან ჰუმანისტური მრწამსით იმსჭვალება. ინდივიდუალიზმი დეცენტრაციასთანაა შერწყმული: საკუთარი თავის სიყვარული არათუ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს მოყვასის, კაცობრიობის, ბუნების უანგარო და გულწრფელ სიყვარულს [ერიჰ ფრომი]. მაგრამ ესა თავისუფალი პიროვნების თავისუფალი არჩევანია. ამ პიროვნებას საზოგადოებისა აზრის კი არ ეშინია, არამედ მარადიულ ფასეულობათა სიმაღლიდან უყურებს მას, შემწყნარებლურად, საყვედურითა და სიყვარულით, როგორც ბავშვებს უყურებს კეთილი აღმზრდელი. თუმცა ისიც იცის, რომ ბოროტებისგან არაა დაცული მისი სიცოცხლეც კი.

არც პიაჟესეული, არც მასლოუსეული და არც კოლბერგისეული დონეები არაა მკაფიოდ გამიჯნული ერთმანეთისგან. გაცილებით ხშირია "ნარევი" დონეები. მაგ., კოლბერგთან ცალკეული ქცევებითა თუ მსჯელობებით შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რომელ დონეზეა ადამიანი. ძალიან ხშირად ადამიანი ორი ან სულაც სამი სხვადასხვა დონის შესაბამის ქცევებსა თუ მსჯელობებს ავლენს. უფრო მეტიც, უდაბლეს დონეზე მყოფი დაუნდობელი ეგოისტიც კი ზოგჯერ შეიძლება,

უმაღლესი დონის შესაბამისად მოიქცეს. გვხვდება ინდივიდუალური გადახრებიც, გამონაკლისებიც. მაგრამ, მიუხედავად ყველა გამონაკლისისა, როგორც მასლოუს, ისე კოლბერგისეულ იერარქიებში მთავარი კანონზომიერება, ძირითადი დონეები უცვ-ლელია: პრეკონვენციური - კონვენციური (პოსტკონვენციური). შიში (დასჯისა, ან სასურველის დაკარგვისა) სირცხვილი (ხალხის ან კანონის წინაშე) (სინდისი, მრწამსი).

უფრო მეტიც, როგორც დავასაბუთეთ წინა (თავი I), თვით ლოგიკურ-ენობრივ უნართა მქონე მოსწავლეებისთვისაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ, მუსიკალურ, ფიზიკურ აღზრდას. მაგ.: მომავალმა მათემატიკოსმა, ფიზიკოსმა თუ ასტროლოგმა სკოლაში, სწავლის დროს მაინც, უნდა ეზიაროს სულიერ კულტურას, ესთეტიკასა და ლაღ, არალოგიკურ წარმოსახვას.

ამრიგად, აღზრდის მთავარი თეორიები ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ზნეობრივ და პიროვნულ აღზრდას, როგორც საზოგადოებისთვის, ისე თვით ბავშვის პიროვნებისთვის. ზნეობრივ - პიროვნული აღზრდა სასკოლო განათლების ერთ - ერთ მთავარ მიზნად უნდა იქცეს. ამჟამად, სამწუხაროდ, იგი მეტწილად უგულებელყოფილია და ძირითადად, ძალისხმევა მხოლოდ ცოდნის დაგროვებასა და გონების განვითარებაზე იხარჯება.

თავი IV

მრავალმხრივი აღზრდის პედაგოგიური, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები

§ 1. ფიზიკური აღზრდის პედაგოგიური ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები

მე-20 საუკუნის ფსიქოლოგიაში მთავარი მიმდინარეობაა ჰუმანისტური ფსიქოლოგია. იგია ჰუმანიზმის თანმიმდევრული განვითარება ფსიქოლოგიის მიმართულებით. ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას დაეყრდნო ჰუმანისტური პედაგოგიკა, რომელიც მკაცრად დაუპირისპირდა სქოლასტიკას, სიყალბესა და უსულგულობას, არა მხოლოდ სასწავლებელში, არამედ ყველგან: ფილოსოფიაში, ხელოვნებაში, ცხოვრებაში.

ჰუმანისტური პედაგოგიკა განათლების მთავარ მიზნად ისახავს არა მოსწავლის ცოდნა-უნართა სრულყოფას, არამედ მოსწავლის პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას. ესაა ე. წ. განმავითარებელი სწავლება, რომელიც მოიცავს რამდენიმე მეთოდიურ პრინციპს. ცნებაში „განვითარება“ მოიაზრება მოსწავლის მრავალმხრივი განვითარება: გონებრივი, ზნეობრივი, სოციალური, ფიზიკური, ესთეტიკური...

პედაგოგიკაში სულ უფრო მეტად მკვიდრდება ჰუმანისტური (რენესანსის ხანის) ფილოსოფიისა და თანამედროვე ჰუმანისტური და ეგზისტენციალისტური ფსიქოლოგიის მთავარი მცნება: ადამიანი თავისი არსებით აქტიურად მოქმედი, თავისუფალი, შემოქმედი სულდგმულია, რომლის ცხოვრების მიზანი თუ არა, მთავარი საზრისი მაინც ტრანსცენდენტაციაა - სწრაფვაა ყოველი და ყოველგვარი საზღვრის მიღმა; ყოფიერის მთავარი მახასიათებელია: სწრაფვა სრული და სავსე ყოფნისაკენ (მ. ჰაიდეგერი). ტრანსცენდენტაცია ძალიან ზოგადი და მრავლისმომცველი ცნებაა, მას მრავალი სახეობა აქვს: სიცოცხლის დაუოკებელი შინაგანი მისწრაფება უსასრულო განვრცობისაკენ სივრცესა და დროში (ფ. ნიცშე, ა. ბერგსონი, ვიტალიზმი); ადამიანის ცხოვრების საზრისი და მთავარი მამოძრავებელი - ძირეული, პირველადი და არსისეული მისწრაფება

მარადიულობისაკენ და სრული სისავსისაკენ (კ. იასპერსი, ჟ.პ. სარტრი და სხვა ეგზისტენციალისტები); ადამიანის სულში იმთავითვე ჩანერგილი თვითმიზნური მისწრაფება არაცნობიერი თვითობისკენ, "ინდივიდუაცია" (კ. გ. იუნგი); მისწრაფება თვითაქტუალიზაციისკენ, თვითგანხორციელებისკენ, საკუთარ შესაძლებლობათა (ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ) სულ უფრო და უფრო მეტად ამოქმედებისა და განფენისკენ დაუსრულებლად (დ. უზნაძე, ე. ფრომი, ბ. ფრანკლი, ა. მასლოუ, კ. როჯერსი და სხვა ჰუმანისტ - ფსიქოლოგები); ილია ჭავჭავაძისეული "დაუდგრომელი წინლტოლვა"; პოეტურად: სულ მიღმა და მიღმა, სულ მაღლა და მაღლა; რელიგიურ-მისტიკური - ღმერთთან მიახლოება, საკუთარ სულში ღმერთის განცდა... ფსიქოლოგიურად ესაა სრულ სისავსესთან შინაგანი დაკავშირების, მასთან თანაზიარების მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილებაც მთავარი საფუძველია ადამიანური ბედნიერებისა. მიღმასწრაფება - ესაა დაუოკებელი მისწრაფება წონასწორობის მდგომარეობის, ჰომეოსტაზისა და ადაპტაციის დარღვევისა და საზღვრების გადალახვისკენ, საკუთარი არსის მეტად და მეტად განფენისკენ (ზ ვახანია, „განათლების ფსიქოლოგია“, ნაწ.6).

ადამიანის ტრანსცენდენტაციაც კი, უფრო ხშირად, გაუცნობიერებელია.

„საკვირველია ადამიანის ბუნება. ხშირად წლობით წლობით ცხოვრობს თავისი სინდიდის, აზრის და რწმენის წინააღმდეგ. ბოლოს, თითქოს უეცრად, მოულოდნელად, მის გულში მომწიფდება რაღაც ახალი ძალა და ამ ძალას იგი წინ ვეღარ აღუდგება, თან გაჰყვება დაიღუპება, ან მიაღწევს თავის გულისთქმას. ეს უცნაურად მომწიფებული სინდისის გადაწყვეტილება ზოგჯერ თანდათანობით მწიფდება ადამიანის გულში და დამწიფების ჟამს ერთბაშად ამოხეთქავს, გამომზევდება,“- წერდა არჩილ ჯორჯაძე.

ტრანსცენდენტაცია იმთავითვეა მეტ-ნაკლებად ჩანერგილი არა მარტო თითოეულ ადამიანში, არამედ მცენარებსა და ცხოველებში. ეს მისწრაფება ხშირად თვითგადარჩენის უძლიერეს ინსტინქტსაც კი სძლევს და არათუ შეგუების საწინააღმდეგო ქცევის, არამედ, ადამიანის დონეზე, თვით დაღუპვის რისკის მიზეზიც კი ხდება (მაგ. ალპინისტის დაუოკებელი მისწრაფება მწვერვალთა დაპყრობისკენ).

არსებობს მრავალი სხვადასხვაგვარი გზა, რომლეზეც ადამიანები, მწვავე შეჯახებების გარეშე, ახორციელებენ ტრანსცენდენტაციას საკუთარ თვისობასთან, სხვა ადამიანებთან ან გარებუნებასთან. ესაა ტრანსცენდენტაციის ჯანსაღი გზა. მაგ.: შრომა, სიყვარული, სარწმუნოება, ხელოვნება, მეცნიერება, სპორტული აქტივობა, საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ეროვნულობა, თვითგანხორციელება... შეიძლება ეს იყოს უწყინარი აკვიატებაც, მაგ.: აზარტული ალპინიზმი, კოლექციონერობა (რაიმე აპარატურისა, ავტომობილებისა, მონეტებისა, სამოსისა...), პატიოსანი შრომით ქონება-ფულის დაგროვება და სხვა...

თავისუფლება არის ტრანსცენდენტაციის ჯანსაღი გზის და, ამდენად, ბედნიერების წინაპირობა. ამიტომაა იგი ძალიან მნიშვნელოვანი. თავისუფლების გარეშე ჯანსაღი ტრანსცენდენტაცია ძნელდება.

სამწუხაროდ, ტრანსცენდენტაცი მრავალი არასწორი გზა არსებობს, რომლებზეც ადამიანები ახორციელებენ ტრანსცენდენტაციას, მაგრამ სხვა ადამიანების ან საკუთარი თავის დათრგუნვით: ფანატიზმი, მომხვეჭელობა, კლეპტომანია, შური, ძალაუფლების ჟინი, სადიზმი, ტექნოკრატია, დამნაშავეობა, აზარტი, ლოთობა-ნარკომანია; ეპატაჟი... ამგვარი ტრანსცენდენტაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა სივრცეთა პყრობის ჟინი - ტრანსცენდენტაციის მდაბალი, ცხოველურ - ბიოლოგიური დონე. მაგ.: ცალკეული ადამიანის ჟინი სამფლობელოს გაფართოებისაკენ (მაგ. გ. ლეონიძის "ჩირიკი და ჩიკორტელა");

ადამიანის ტრანსცენდენტაციის ყველაზე ჯანსაღი, წრფელი, ზნეობრივი გზა - ესაა თვითგანხორციელება (თვითაქტუალიზაცია, თვითრეალიზაცია), რაც გულისხმობს პიროვნულ სრულყოფას, პოტენციურ შესაძლებლობათა განხორციელებას. ეს კი გრძნობიერების დახვეწითა და ცნობიერების გამდიდრებით მიიღწევა.

ბევრმა გარე და შინაგანმა ფაქტორმა შეიძლება ადამიანის სწორი ტრანსცენდენტაციის შეფერხება ან გაჩერება განაპირობოს და თვითგანხორციელების სარბიელი შეზღუდოს. ამ შემთხვევაში ადამიანს ეუფლება არასრულფასოვნების გრძნობა, ითრგუნება, ხდება აგრესიული და შურიანი.

გამოკვლეულია, რომ გარედან დახშობის ყველაზე ხშირი მიზეზია მტარვალობა - ოჯახში, საზოგადოებაში თუ სკოლაში; ანდა იძულებითი უღიმღამო, ერთფეროვანი ყოფა. შიგნიდან დახშობის ყველაზე ხშირი და თან ფარული მიზეზებია: 1. არასრულფასოვნების ღრმა გრძნობა (რომელსაც, კერძოდ, გადატვირთული სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები ამკვიდრებს);

2. უნებისყოფობა, რის გამოც ადამიანს არ ძალუძს ისეთი ტრანსცენდენტაცია, რომელიც შინაგანად სწადია. 3. გაუცხოება საკუთარ თავთან: ვიცხოვრო და ვიაზროვნო ისე, როგორც ხალხს მოეწონება, მსურდეს ის, რასაც საზოგადოებრივი აზრი, მოდა და რეკლამა ჩამაგონებს, რასაც მასმედია და ხელისუფლება მიკიჟინებს; ჩემი პიროვნულობა კი გაუთანაბრდეს ჩემი თანამედროვე საზოგადოების წევრობას, სოციალურ როლს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩავატარეთ კვლევა. ხალხი გამოვიკითხეთ ქუჩაში, პარკში, ბულვარში. გამოკითხულთა რაოდენობა შეადგენდა 80 ადამიანს.

კითხვა: ცხოვრობ და აზროვნებ ისე, როგორც: a) ხალხს, საზოგადოებას მოეწონება; b) როგორც მე მსურს;

გამოკითხულთა - **65 %-მა** განაცხადა, რომ ცხოვრობს ისე, როგორც ხალხს და საზოგადოებას მოეწონება, რათა მისი პიროვნულობა გაუთანაბრდეს სოციალურ როლს. დანარჩენმა - **35 % -მა** კი დააფიქსირა, რომ ცხოვრობს თავისი სურვილისამებრ.

ტრანსცენდენტაციის დახშობამ შეიძლება გამოიწვიოს აგრესია. აგრესიის ხშირი მიზეზია სივრცის, სარბიელის უქონლობა ანუ შეხუთვა, საცხოვრებელი ფართის სივიწროვე, ან საქმიანობისა და აქტივობის დახშობა, ან განცდა თუ შიში ამგვარი შევიწროების, შეხუთვის და ჩახშობის.

ეს კანონზომიერება პედაგოგიკაშიც ვლინდება: მოსწავლის პიროვნების დათრგუნვა (მათ შორის გადატვირთული სასწავლო პროგრამებით) არის მთავარი მიზეზი ახალგაზრდობის ნევროზულობა - დამნაშავეობ-ნარკომანიისა.

უფლებათა შეუბღალაობა და ტრანსცენდენტაციის სარბიელის გახსნა როგორც გარედან, ისე შიგნიდან აყალიბებს ჯანსაღ ადამიანს. ეს ეხება როგორც ინდივიდს, ისე მთელ ერს.

ბავშვის დაბადება ტრანსცენდენტაციის პირველი მძლავრი აფეთქებაა. ბავშვი თვითონ იბადება, თვითონ გამოდის დედის იმ წიაღიდან, სადაც ის უზრუნველია და რასაც ვეღარასოდეს მიაღწევს. ასეა ყველა ცხოველი თუ ფრინველი. მაგ. წიწილა, თუ ჯანსაღია, თავისით იჩეკება, ტეხს კვერცხის ნაჭუჭს შიგნიდან და გამოდის სამყაროში, რომელშიც დაღუპვის ალბათობა გადარჩენაზე მეტია.

ა. მასლოუს თანახმად, (ა. მასლოუ, თავი 6) ადამიანის განვითარება ყველა ასაკში, როგორც წესი, მცირე - მცირე ნაბიჯებით მიმდინარეობს; ამასთან, წინ გადადგმული თითო ნაბიჯი ეფუძნება უსაფრთხოებისა და მშობლიური საყრდენის განცდას, და იმ რწმენას, რომ უკანდახევაც შესაძლებელია (ტერმინის "პედაგოგიკა" პირდაპირი ეტიმოლოგიური მნიშვნელობაა - *"ბავშვის ტარება".* არსებითად, ესაა აღზრდისა და სწავლების არსი).

ბავშვის ტრანსცენდენტაციის მთავარი გამოვლინებებია:

I. მოუსვენრობა და მოძრაობის მოთხოვნილება;

II. ცნობისმოყვარეობა და ახალ-ახალ შთაბეჭდილებათა მიღების მოთხოვნილება;

III. 3 - 4 წლის შემდეგ ემატება პიროვნული თვითდამკვიდრების მოთხოვნილება

არ შეიძლება არც ერთი ამ მისწრაფების დათრგუნვა - ეს დაამახინჯებს ბავშვის განვითარებას. მაგრამ ბავშვს ნებისყოფა და პასუხისმგებლობის შეგნებაც უნდა ანუვითაროთ. საჭიროა გაწონასწორებული მიდგომა, ოქროს შუალედის პოვნა: დათმობაც, მოთოკვაც, დათმობაც. მთავარია, განუწყვეტელი ყურადღება (ზ. ვახანია, „განათლების ფსიქოლოგია“)

სულით ჯანსაღ და ჯანსაღ გარემოში მცხოვრებ ბავშვს ტრანსცენდენტაციის უძლიერესი მუხტი აქვს. ძალიან ცუდია, როცა ბავშვს ხშირად ახსენებენ: "არ ირბინო! არ იხტუნო! სად დაძვრები?! ნუ ხმაურობ! გაჩერდი!" ბავშვი მოუსვენარი და მაძიებელი უნდა იყოს. ესაა მისი ჯანსაღი და ბუნებრივი მდგომარეობა.

ბავშვის აღზრდისთვის, როგორც წესი, გადამწყვეტია ოჯახია და არა სკოლა.

მაგრამ ტრანსცენდენტაციის სათანადო სარბიელის შესაქმნელად გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ სკოლას აქვს. ეს ბუნებრივია - სწავლა არის ბავშვის საქმიანობის მთავარი სფერო, სკოლაში ბავშვი უმეტეს დროს ატარებს. სკოლაში მისი საქმიანობა განაპირობებს ბავშვის თვითშეფასებას. სამწუხაროდ, საბჭოთა სკოლა და ამჟამინდელი საქართველოს სკოლა ზღუდავს მოსწავლის თვითმოქმედებას. ამის მთავარი მიზეზებია სწავლების პასიური მეთოდები და მეტისმეტად გადატვირთული სქოლასტიკური სასწავლო პროგრამები. შედეგად ახალგაზრდებს გული უცრუვდებათ სწავლაზე და იწყებენ ტრანსცენდენტაციის სარბიელის ძებნას სკოლის გარეთ, ქუჩაში. რასაც ხშირად სავალალო შედეგი მოჰყვება.

ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ სულიერის მთავარი შინაგანი მამოძრავებელია მოთხოვნილება. მოთხოვნილების გარეშე არ ხდება ინდივიდის აქტივობა. მოთხოვნილებანი ორი სახისაა:

1. ,,ადაპტაციური" - რაიმეგვარი დანაკლისის შევსებისა ან მავნებელი ზემოქმედების არიდებისა, ზოგადად - გარემოსთან წონასწორობისა, შეგუება-ადაპტაციისა, წყნარი სიცოცხლის შენარჩუნებისა;
2. ,,ფუნქციონალური" - აქტიურობისა, განვითარებისა, ტრანსცენდენტაციისა.

დიმიტრი უზნაძის აზრით ''ფუნქციონალური ტენდენცია - ესაა ჯანსაღი ტრანსცენდენტაციის მთავარი სახეობა - სულიერის თანდაყოლილი შინაგანი მისწრაფება ყველა შინაგანი შესაძლებლობის ამოქმედების, მოქმედებისა და განფენისაკენ“ (უზნაძე 1977: 63).

ესე იგი, სულიერს თანდაყოლილი აქვს არა მხოლოდ ნაირგვარი ორგანოები და ძალები, არამედ თითოეულის აქტიურობის მოთხოვნილებაც. მაგ. 3 - 4 კვირის ჩვილს თვალებისა და თავის ტვინის მხედველობითი ზონების ჩამოყალიბებასთან ერთად და ახალი მხედველობითი შთაბეჭდილებების მიღების მოთხოვნილებაც უჩნდება. ჩვილი ხშირად ტირილსაც კი წყვეტს, როცა მას ახალ ბრჭყვიალა ნივთს უჩვენებენ; და პირიქით, შთაბეჭდილებათა ნაკლებობა ჩვილის არა მხოლოდ ფსიქოლოგიურ, არამედ ფიზიოლოგიურ განვითარებასაც აფერხებს, უფრო მეტიც, ის დასნეულების ერთ - ერთი მიზეზიც

კი შეიძლება გახდეს.

დ. უზნაძე მიიჩნევს, რომ თამაშის (ისევე როგორც შემოქმედებისა თუ უბრალოდ გალაღების) ფსიქოლოგიური არსია ფუნქციონალური ტენდენციისა ანუ თვითაქტივობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ესაა ყველა სულიერის თანდაყოლილი მისწრაფება - აამოქმედოს და გაშალოს შინაგანი ძალა თუ შესაძლებლობა. ამისთვის არ არის საჭირო გარე მიზეზი თუ მიზანი, ის დროდადრო თავისით იღვიძებს სულში. ამიტომაც თამაშობს ცხოველის ნაშიერიცა და ზრდასრული პიროვნებაც, რომელსაც დროდადრო შემოქმედებისა და გალაღების მოთხოვნილებაც აქვს.(უზნაძე 2003: 84-94).

ადამიანის ერთ-ერთი შინაგანი ძალაა მეობა, რომელიც აგრეთვე მოითხოვს განფენა-განვითარებას, ეს კი თვითგანხორციელების მისწრაფებას წარმოქმნის, რაც კარგად ვლინდება თამაშის ძლიერ მოთხივნილებაში: „ადამიანს თამაშის მოთხოვნილება ყოველთვის ჰქონდა, - წერს მიხეილ თუმანიშვილი, ეს კარგად ჩანს საქორწინო თუ რელიგიურ რიტუალებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სახალხო წეს-ჩვეულებათა შესწავლა, მაგალითად, საქართველოში - ბერიკაობა, ყეენობა. ევროპაში ყველიერის დასასრულს ყოველ ქალაქში, სოფელში კარნავალი იმართებოდა. რამდენიმე დღის განმავლობაში დღესასწაულობდნენ. დიდი და პატარა - ყველა მონაწილეობდა. ლამაზ, უჩვეულო კოსტიუმებში გამოწყობილი მონაწილენი მხიარულობდნენ. ქალები მამაკაცურად გადაცმულნი, მამაკაცები კი კაბებში გამოწყობილნი სეირნობდნენ. ეს კარნავალის პრინციპია: ყოველივე აკრძალული ნებადართულია ნიღაბქვეშ, ყველაფერი თეატრალიზებულია“.

დ. უზნაძისეული თამაშის ფსიქოლოგიური არსის გააზრება, ამჟამადაც საუკეთესოა. თვით ა. მასლოუც კი ვერ ჩასწვდა მას ბოლომდე (სამწუხაროდ, მასლოუმ არაფერი იცოდა დ. უზნაძის შესახებ, რომელიც 1930-1970 წლებში საბჭოთა „რკინის ფარდებში“ იყო მომწყვდეული). თუმცა ა. მასლოუ წერს: „საჭიროა თამაშის არსის ახლებური გააზრება; საამისოდ კი პირველი ნაბიჯი უნდა იყოს იმის აღიარება, რომ თამაში თვითმიზნურია, არაა გამიზნული რაიმე შედეგზე, რომ იგი არაადაპტაციური ქცევაა“ (Маслоу 2008: 127). ანუ მასლოუ გვისახავს იმ გზას, რომელიც დ. უზნაძემ მასზე 20 წლით ადრე ბოლომდე

გაიარა.

ადამიანის ცხოვრებაში თამაშის არსის და მისი როლის განსაზღვრას დიდ ყურადღებას უთმობდნენ მე-20 საუკუნის ფილოსოფოსები: ჰოიზინგა, თომას მანი, გადამერი... „თანამედროვე დასავლეთის ფილისოფიის“ ლექსიკონში (გვ. 110) თამაში ასეა განმარტებული: „თამაში - ესაა ადამიანის თავისუფალი თვითგამოვლენის ფორმა, რომელიც ხორციელდება შეჯიბრის ან რაიმე სიტუაციის, აზრის, მდგომარეობის წარმოდგენის სახით“

ამ ზოგადი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური წანამძღვრებიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ სწავლება გამზადებული გონებრივი საზრდოს მიწოდება კი არა, შემოქმედებითი (ცხადია, წლოვანების შესაბამისად) პროცესი უნდა იყოს და მოსწავლის შინაგანი ზრდას შეუწყოს ხელი. მოსწავლეს ტრანსცენდენტაციისთვის მხოლოდ ამ გზით თუ შეექმნება სათანადო სარბიელი. გარდა ამისა, გააზრებული, ათვისებული და ქმედითი, აქტიურ-გამოყენებადი ცოდნის მიღებაც, მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი. უდიდესი მნიშვნელობა აქვს კლასგარეშე საქმიანობასაც. გაკვეთილებზე არანაკლებ აუცილებელია მოსწავლეთა წრეების (საგნობრივი თუ შემოქმედებითი) არსებობა. ძველი ჩინური სიბრძნის თანახმად, ჭეშმარიტი განათლება კარგი მებაღის მუშაობას ჰგავს: ის სიყვარულით თავს დაჰფოფინებს მცენარეს, რათა ბუნებრივად გაიფურჩქნოს და კარგი ნაყოფით დაიხუნძლოს. ასევე იფურჩქნება მოწაფის სული ბრძენი მოძღვრის გვერდით და ბუნების მიერ ჩანერგილი საწყისები კეთილ ნაყოფებად მწიფდება.

ბავშვის ქცევა ცხადად გვიჩვენებს, რომ 10-11 წლამდე ბავშვისთვის აუცილებელია მოძრაობის ბუნებრივი მოთხოვნილების, სენსომოტორული მოთხოვნილების, დაკმაყოფილება. უამისოდ ბავშვის ფიზიკური განვითარება შეფერხდება. უფრო მეტიც: ფერხდება მისი აზროვნების განვითარებაც. სკოლამდელისთვის და დაწყებითი კლასის მოსწავლისათვის მავნებელია დიდხანს გაუნძრევლად ყოფნა, რაც კარგად უნდა შეიგნონ ბავშვის მშობლებმა და აღმზრდელებმაც. ხშირად ზრდასრულსაც კი უჭირს გაუნძრევლად ყოფნა - იწყებს თითების ან კალმის თამაშს, ბოლთის ცემას. სწორედ მოძრაობის იმპულსების შეკავების უნარის განვითარების დონეა განმსაზღვრელი სასკოლო მზაობისა და არა

აზროვნების განვითარების დონე (რომლითაც 5 წლის ბავშვი დიდად არ განსხვავდება 6 წლის ბავშვისაგან). ამიტომ მიიჩნევს ბევრი ფსიქოლოგი 5 წლის ბავშვის სკოლაში შეყვანას არასწორად.

დაწყებით კლასებში ბავშვს მეტ-ნაკლებად სენსომოტორული აქტივობის მოთხოვნილების შეკავება უწევს, ამიტომ ეს „დანაკლისი“ ფიზ. აღზრდის გაკვეთილებით, დასვენებაზე თამაშებით, სხვადასხვა სპორტული (ასაკის შესაბამისი) აქტივობებით, ცეკვით და ა. შ. უნდა ანაზღაურდეს.

ჩემი ვაჟი სკოლა „ევრო 2000“- ის მოსწავლეა. გადავწყვიტეთ, კვლევა ამ სკოლაში ჩაგვეტარებინა. მოსწავლეებს მივმართეთ კითხვით: **ხართ თუ არა რომელიმე სპორტული აქტივობით დაკავებული?** (თუ არ იყო, ჰქონდა თუ არა ამის სურვილი).

გამოვიკითხეთ III, VII და VIII კლასის მოსწავლეები. გამოკითხულთა რაოდენობა შეადგენდა **82** ბავშვს.

გამოკითხულთა **70 %** - მა აღნიშნა, რომ დაკავებული იყო სპორტით (ბევრმა აღნიშნა, რომ იყო ჭადრაკის წრეშია გაწევრიანებული). **20% -** მა აღნიშნა, რომ არ იყო დაკავებული სპორტული აქტივობით. ხოლო **10%-მა** თქვა, რომ არ იყო სპორტით დაკავებული, თუმცა სურვილი ჰქონდა, მაგრამ სოციალური მდგომარეობა არ აძლევდა ამის საშუალებას.

სენსომოტორული აქტივობის მოთხოვნილებას უნდა დაემყაროს ფიზიკური აღზრდა როგორც დაწყებით, ასევე მაღალ კლასებშიც. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ მრავალფეროვანი ხალხური თამაშები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავლადაა ჩაწერილი. შეიძლება ითქვას, რომ ეს თამაშები ხალხური სპორტის საუკეთესო ნიმუშებია. თამაშობანი უძველესი დროიდან მოზარდთა ფიზიკური წრთობის საშუალება იყო. მოზარდები ამ თამაშებით სწავლობდნენ მიზანში სროლას, მარჯვედ ხტომასა და სირბილს...

ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ სამყაროში ფიზიკური აღზრდას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. ფიზიკურ აღზრდაზე ზრუნვამ, ჯერ საბერძნეთში, შემდეგ კი რომში სისტემური სახეც კი მიიღო, ის ყველასთვის სავალდებულო გახდა.

სისტემურობა, მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობა; აზროვნების განვითარების ძირითადი კანონზომიერებისა (პიაჟე) და სხვადასხვა უნართა სენზიტური პერიოდების (მონტესორი) გათვალისწინება - აი, რა აკლია ჩვენს სასწავლო დაწესებულებებში სწავლა-აღზრდას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის ჯანსაღი ფიზიკური აღზრდისთვის ხელისშემშლელი, უფრო ზუსტად კი მავნებელია კომპიუტერისა თუ ტელევიზორის ეკრანთან მიჯაჭვა, რადგან: 1. იზღუდება ბავშვის სენსომოტორული აქტივობა, რაც აფერხებს მის სხეულებრივ (და არა მხოლოდ სხეულებრივ) განვითარებას; 2. ზიანდება ბავშვის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ხერხემალი; 3. ზიანდება მხედველობა და ფსიქიკა.

გარდა ამისა, დადგენილია, რომ ფიზიკური აღზრდა დიდად არის დამოკიდებული სასწავლო გარემოზე (სასწავლო გარემოს პირველად სათანადო ყურადღება მარია მონტესორმა მიაქცია და გაითვალისწინა თავის სასწავლო პრაქტიკაში). მოსწავლის (განსაკუთრებით დაწყებითი კლასის მოსწავლის) ნორმალური ფიზიკური განვითარებისთვის ხელისშემშლელი და უფრო მეტიც - მავნებელია პატარა საკლასო ოთახი - ეს პირდაპირაა დაკავშირებული ტრანსცენდენტაციასთან (ბიოლოგიურ დონეზე). როცა ბავშვს შეზღუდული აქვს სენსომოტორული აქტივობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება, რომელიც 9-10 წლამდე წამყვანია და რომელიც მისი ფიზიკური (და აგრეთვე სხვა სახის) განვითარების საფუძველია, როცა მას არა აქვს სათანადო სარბიელი მოძრაობისთვის, ეს იწვევს გაუცნობიერებელ აგრესიას და ნევროზს. განათლების სისტემის მესვეურებმა, როცა ახდენენ სკოლების ან კლასების ოპტიმიზაციას, ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. დაუშვებელია კლასების გადატვირთვა მოსწავლეებით (ან თუნდაც საკლასო ავეჯით).

ჯანსაღი აღზრდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომას. შრომა აჯანსაღებს სულსაც და სხეულისაც. ზომიერი ფიზიკური შრომა (თანაც შეგნებული და არა მონური და იძულებითი) მუხტავს უარყოფით გრძნობებს, ხელს უწყობს ადამიანის სასიცოცხლო ძალების მობილიზებას და, შესაბამისად, სხეულის გაძლიერება-გაჯანსაღებას; აგრეთვე ამტანობის, ნებისყოფის, პასუხისმგებლობის გამომუშავებას.

უშრომელობა, განებივრება - გაფუფუნება კი, გარდა იმისა, რომ ფიზიკურად

აძაბუნებს ადამიანს, იწვევს ეგოცენტრიზმს, მოუთმენლობას, უპასუხისმგებლობას... სწორედ ეს არის ადამიანის, ოჯახის, მთელი საზოგადოებისა და ერის გადაგვარება - გადაშენების მიზეზი. (გენიალური ძველი საბერძნეთი და რომი გარყვნილების ჭაობში ჩაიხრჩო). ამიტომაა მნიშვნელოვანი სკოლებში შრომითი სწავლების მიზანმიმართულად და სრულფასოვნად წარმართვა. გარდა სკოლისა, ბავშვი ოჯახშიც უნდა ეჩვეოდეს ზომიერ სხეულებრივ მუშაობას. ამისთვის მნიშვნელოვანია მშობლის პირადი მაგალითი და მისი დამოკიდებულება შრომის მიმართ, რადგან ბავშვები ახდენენ არა მარტო ქცევის მოდელირებას (ა. ბანდურა), არამედ განწყობის მოდელირებასაც (დ. უზნაძე).

§ 2. ესთეტიკური აღზრდის პედაგოგიურ ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის თანახმად, ადამიანის ქცევას, გარე მიზეზებზე მეტად, შინაგანი, სუბიექტური საწყისები განაპირობებს (იხ. ტრანსცენდენტაცია), ამიტომ ჰუმანისტური პედაგოგიკა, კოგნიტური ძალების გვერდით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გრძნობებს, განსაკუთრებით - ესთეტიკურ გრძნობებს, შემოქმედებითი აზროვნებისა და ზოგადად, შემოქმედებითი უნარების განვითარებას. შემოქმედებითი აზროვნება - ესაა აზროვნება, რომელსაც ახლავს შემოქმედებითი უნარი და ზოგადი შემოქმედებითი, მოქნილი, სხარტი, ორიგინალური აზროვნება, საკმაოდ განვითარებული ინტუიციის საფუძველზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხ. ფიზიკური აღზრდა), სულიერის მთავარი შინაგანი მამოძრავებელია მოთხოვნილება. მოთხოვნილების გარეშე არ ხდება ინდივიდის აქტივობა.

თანამედროვე დასავლურ ფილოსოფიაში: აქტიურად განიხილება ხელოვნების „თამაშური " ბუნება. ხოლო შილერისეული კლასიკური იდეალი ხელოვნებისა, როგორც „უანგარო" თამაშისა, ახალ-ახალ მომხრეებს იძენს, ვკითხულობთ „თანამედროვე დასავლური ფილისოფიის" ლექსიკონში (გვ.110).

აქვე ვკითხულობთ: „ფართოდ გამოიყენება სოციალური და კულტურული

დინამიკის თამაშის მოდელების ევრისტიკული ფასეულობა“(გვ. 111) აქ ევრისტიკა შემთხვევით არ არის ნახსენები: ცნობილია, რომ თამაშისას ადამიანი ხშირად ისეთ რამეს აღმოაჩენს, დაინახავს ან შექმნის, რაც მანამდე არავის მოსვლია აზრად.

თომას მანი თავისი ესთეტიკური პროგრამის ცენტრში აყენებს თამაშს და „ირონიის პრინციპს'', ხოლო ჰოიზინგა თავის ტრაქტატში „მოთამაშე ადამიანი“ მკაფიოდ ასაბუთებს თამაშის დიდ მნიშვნელობას არა მხოლოდ ხელოვნების, არამედ ფილოსოფიის, პოლიტიკის, იურისპრუდენციის და სამხედრო საქმის განვითარებაში. ჰოიზინგა ტოტალიტარიზმის იდეოლოგიასთან სულიერ ჭიდილში ქმნის კულტურის, როგორც თავისუფალი და „პატიოსანი“ თამაშის, უნივერსალურ კონცეფციას... (აქვე, გვ. 111).

სრულიად ორიგინალურია გადამერის დამოკიდებულება თამაშის მიმართ. იგი „განავრცობს თამაშის კატეგორიას ტექსტის, სურათის, სპექტაკლის გაგების პროცესზე, რომელიც გვატყვევებს, მთლიანად გვშთანთქავს თავისი აზრითა და სილამაზით'' (აქვე, გვ.111). სწორედ ამიტომაა, რომ მხატვრულ ტექსტს, სურათს (ნახატს), სპექტაკლს ადამიანზე ასეთი ძლიერი გრძნობით-ესთეტიკური ზემოქმედება აქვს და, აქედან გამომდინარე, ესთეტიკური, შემოქმედებითი აღზრდის საუკეთესო საუშუალებებია.

შემოქმედებითობა, კრეატულობა, ნაწილობრივ თანდაყოლილი და ნაწილობრივ განვითარებული ნიჭია, რომელიც ვლინდება: არასტანდარტულ აზროვნებაში, აღქმასა თუ გრძნობაში, ჩვეული საგნის ახალი კუთხით ხედვასა და თვითმყოფადის შექმნაში. შესაძლოა, ადამიანი მხოლოდ ერთი მიმართულებით იყოს შემოქმედი, თუმცა, ხშირად, ეს ფართო ნიჭია და მრავალ მიმართულებას მოიცავს. მაგრამ ნაყოფიერი ის მხოლოდ იმ მიმართულებებით იქნება, რისი გამოცდილება-გუმანი და ძლიერი ინტერესი აქვს. თუკი ადამიანი შემოქმედებითია, მაგ. ტექნიკაში და წარმატებებსაც აღწევს, მოსალოდნელია რომ მას მიღწევები მუსიკაშიც ჰქონდეს, ოღონდ თუ სათანადო სმენა, გამოცდილება და ინტერესი გააჩნია. სათანადო მონდომებისას ის შეძლებს მეტ-ნაკლებად კარგი და, რაც მთავარია, ორიგინალური, თვითმყოფადი ნაწარმოების შექმნას. მეორე მხრივ, შესაძლოა, ადამიანს ჰქონდეს საუკეთესო სმენა და მუსიკალურობა, მუსიკის დიდი ინტერესიც, იყოს ბრწყინვალე, ვირტუოზი შემსრულებელი,

მაგრამ არ ჰქონდეს ზოგადი შემოქმედებითობა, რის გამოც ვერასდროს შეძლოს ახალი თვითმყოფადი ნაწარმოების შექმნა. ხშირია ისეთი ადამიანები, რომლებიც „აკეთებენ“ ხელოვნების ნაწარმოებებს (უფრო ზუსტად, ნაკეთობებს), კომპიუტერსაც კი შეუძლია ლექსის ან მუსიკის გაკეთება. მაგრამ ამ ნაკეთობებს, თუნდაც საუკეთესოდ დახვეწილებს, აკლია სიცოცხლე, თვითმყოფადობა, სული. ხოლო ბავშვის ან ხალხური მთქმელის მიერ გულუბრყვილოდ შექმნილი ლექსი შეიძლება იყოს ხელოვნების ნაწარმოები, თუნდაც ძალიან სადა, მარტივი, დაუხვეწავი, ნედლი, პატარა, მაგრამ მაინც ცოცხალი და თვითმყოფადი, შემოქმე-დებითი (ლ. ტოლსტოი).

შემოქმედობითობის ერთ-ერთი უმთავარესი შემადგენელია გუმანი, ინტუიცია (მისი საპირისპირო თვისებაა რიგიდულობა).

ცნობილია, რომ შემოქმედებითობა ფსიქოლოგიურად იზომება, მაგ., ამგვარი ტესტებით: ცდისპირს ევალება, რომ შეზღუდულ დროში:

I. ჩამოწეროს რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობა იმისა, თუ როგორ და რაში შეიძლება, მაგ. აგურის გამოყენება; II. როგორ შეიძლება დასრულდეს სურათი, რომელზეც თავიდან მხოლოდ 30 წრეა (ტორენსი).

შენოქმედებით სწავლება არ მოიაზრებს მოუწესრიგებელ, დაუგეგმავ მუშაობას. ეს დაუშვებელია სასკოლო განათლებისთვის. შემოქმედებითი სწავლებასას სწავლება უნდა აიგოს შემოქმედებით მიდგომაზე და არა სტანდარტულ, გახევებულ პროცედურებზე, და რაც მთავარია, მისი მიზანი უნდა იყოს მოსწავლის არა გაწვრთნა, არამედ მრავალმხრივი განვითარება.

ცუდი სწავლების გამო ხალხში დამკვიდრებულია არსებითად მცდარი წარმოდგენა, მაგ., მათემატიკაზე, თითქოს ესაა რაღაც უსაშველოდ რთული და მოსაწყენი საგანი. ასევეა მიჩნეული მშობლიური ენის გრამატიკაც. სწავლება, თუ იგი მართებულადაა აგებული და გამართული, ამგვარ დამოკიდებულებას არ უნდა იწვევდეს. მათემატიკისა თუ გრამატიკის შესწავლა მექანიკურად კი არა, გააზრებულად, შემოქმედებითად უნდა ხდებოდეს. რასაკვირველია, ყოველივე ეს არ გამორიცხავს პროცედურების დასწავლასა და "შავი შრომის" აუცილებლობას.

გამოკვლეულია, რომ ტრადიციული სასკოლო განათლება მთელ

მსოფლიოში, უარეს შემთხვევაში ახშობს შემოქმედებითობას, უკეთეს შემთხვევაში უბრალოდ არ ახალისებს მას. შემოქმედებით მოსწავლეთა საშუალოდ 80 %-ს მასწავლებლები ვერც კი ამჩნევენ. ტრადიციული სწავლება გაცილებით მეტად მოითხოვს შესრულებას, ვიდრე შემოქმედებას. ცხადია, ბავშვის შემოქმედება ხშირად არ არის ნამდვილი შემოქმედება, ის უფრო განსხვავებულის ახირებული ძიებაა (სხვათა შორის, ზრდასრულთა შემოქმედებაც ასეა, თუნდაც გამოჩენილი პოეტებისა). ცხადია, ამის გამო მშობელი თუ მასწავლებელი კი არ უნდა გაღიზიანდეს, არამედ უნდა წაახალისოს მოზარდი. როგორც მოუსვენრობისა და მოძრაობის მოთხოვნილების ჩახშობაა სკოლემდელისთვის დმთრგუნველ - დამაჩლუნგებელი, ისევეა მოზარდისთვის სულოვანი მოუსვენრობისა და სულოვანი მოძრაობის მოთხოვნილების უგულებელყოფაც.

ასეთი გარემო ნიჭიერ მოსწავლეს განსაკუთრებით თრგუნავს და სასწავლო პროცესიდან რიყავს. ნიჭიერი მოზარდი ვერ ეგუება სქოლასტიკურობასა და უშინაარსობას, ულოგიკობას (რაც სასკოლო პროგრამებში საკმაოდ ხშირია) და ამიტომაც ეკარგება სწავლის მიმართ ინტერესი.

გამოკვლეულია, რომ ერთ-ერთი (შესაძლია, ერთადერთი) მეთოდიკა, რომელიც ახერხებს, რომ სწავლების შემოქმედებითობა შეაწონასწოროს სტანდარტულ უნარ-ჩვევათა გავარჯიშებასა და სტანდარტული ფაქტობრივი ცოდნის დაგროვებასთან - ესაა ზ. ვახანიას „აქტიური მზაობის მეთოდიკა“. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ამ მეთოდიკით ნასწავლ მესამეკლასელთა ნაწერებიდან: „გასარკალებულ გაყინულ გუბეზე მზე ირეკლებოდა და ყინულის ქვეშ გაზაფხული იმალებოდა; მოკრიალებულ ცაზე მზე კაშკაშებდა, ღრუბლის ერთი თეთრი ფთილა შერჩენილიყო, ბუმბულივით მჩატე; მათემატიკის ამოცანები იქადნებიან: „ჩვენ ისეთი ძნელები ვართ, რომ ვერც ერთი მოსწავლე ვერ ამოგვხსნის!“; პატარა თითები ჭყიპინებდნენ. მერე ცერა თითი მობამბღლდა და ყველა გააძევა.“

მათემატიკაში, ყველაზე ზუსტ მეცნიერებაშიც კი, საკმაოდ უნდა იყოს ისეთი არასტანდარტული ამოცანები, რომლებსაც არა აქვს ერთმნიშვნელოვანი, ზუსტი პასუხები. საჭიროა ისეთი ამოცანებიც, რომლებიც სხვადასხვა ხერხით ამოიხსნება. მასწავლებელმა არ უნდა აღკვეთოს მოსწავლეთა უცნაური პასუხები, მაგრამ უნდა მოითხოვოს დასაბუთება. თუკი მოსწავლე გონივრულად

დაასაბუთებს თავის მოულოდნელ პასუხს, ის უნდა შეაქონ! აუცილებლად უნდა წახალისდეს ამოცანის ამოხსნის განსხვავებული გზებიც. ყველაზე მნიშვნელოვანი კი შემოქმედებითი ამოცანებია, რომლებიც მოსწავლეს ავალებს რაიმე ახლის შედგენას (მაგ. თვით ამოცანის), შექმნას (მაგ.: წინადადების, ამბის გაგრძელების, ზღაპრის, იგავ-არაკის, რითმის, უცნაური სიტყვისა, ნახაზის, წეს-კანონის, რჩევის...).

მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლეთა შეკითხვები, უაზრო და მცდარი შეკითხვაც კი არ უნდა გაკიცხოს! „შესაძლოა, ზოგჯერ მოსწავლემ საკმაოდ მოულოდნელი შეკითხვა დასვას. ასეთი შეკითხვა, ტრადიციული სწავლებისას, რისხვას, დაცინვას ან, კარგ შემთხვევაში, ჩაფარცხვას დაიმსახურებდა. შემოქმედებითი სწავლებისას კი, მასწავლებელმა განსაკუთრებით უნდა შეაქოს, იმის მიუხედავად, რომ თვითონ არა აქვს გონივრული პასუხი. შემდეგ, ნაჩქარევად ნათქვამ ცუდ პასუხს მეორე დღეს გაცემული გონივრული პასუხი სჯობს, თანაც ასაკობრივად მისაღები“, - წერს ზ. ვახანია („განათლების ფსიქოლოგია“, ნაწ. 5). (ვახანაია, 1995:16)

მისივე აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს შეფასების სისტემასაც. ამის ნათელსაყოფად მეცნიერი განიხილავს ერთ კონკრეტულ შემთხვევას: „ვთქვათ, მოსწავლემ საკონტროლო წერისას არ დაწერა ტექსტი ისე, როგორც ევალებოდა, სამაგიეროდ, შეადგინა და გამოიყენა რამდენიმე ასეთი წინადადება: დადგა „წკარაწკურა გაზაფხული“ როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი? ზოგი მასწავლებელი პირდაპირ უდაბლეს შეფასებას წერს იმ მიზეზით, რომ ნაწერი დავალებას არ შეესაბამება; ხოლო ამ არარსებულ სიტყვას “წკარაწკურა“ შეცდომად მიიჩნევს. შემოქმედებითი სწავლება მოითხოვს, რომ ყოველი ამგვარი შემოქმედებითი მიგნება თუ მონდომება საგანგებოდ წახალისდეს, კერძოდ, მასწავლებელმა საგანგებოდ უნდა აღნიშნოს და შეაქოს ეს ბრწყინვალე ნეოლოგიზმი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ გავითვალისწინოთ მოსწავლის მიერ დავალების არაჯეროვანი შესრულება და მას აუცილებლად მაღალი შეფასება დავუწეროთ. არა. გამოსავალი ადვილია: აუცილებელია მრავალკომპონენტიანი შეფასება რუბრიკებით, და მათ შორის უნდა იყოს რუბრიკა "შემოქმედებითობა"; მასწავლებელმა შემოქმედებით მოსწავლეს სწორედ ამ რუბრიკაში უნდა

დაუწეროს მაქსიმალური ქულა, ხოლო სხვა რუბრიკებში, რაც ეკუთვნის მიუკერძოებლად. საბოლოო ქულა კი ფორმალური წესით გამოითვლება“ (ზ. ვახანია. „განათლების ფსიქოლოგია“. ნაწ. 5).

აქტიური აზროვნების უმაღლესი დონე - ესაა შემოქმედებითი აზროვნება. ასევე, აქტიური სწავლების უმაღლესი დონეა - შემოქმედებითი სწავლება. სამწუხაროდ, როგორც საბჭოთა პერიოდის, ისე თანამედროვე სკოლებში, შემოქმედებითობას სათანადო ყურადღება არ ექცევა. ამ ვითარებას ზუსტად აღწერს ერიჰ ფრომი: "როგორც წესი, კრიტიკული აზროვნების ჩახშობის პროცესი ადრეულ ასაკშივე იწყება. ამის სათავეა ბავშვის მიერ უფროსების არაგულწრფელობის შემჩნევა... შემდეგ ადამიანის მთელი გრძნობადი გამოვლინებანი თუ აზროვნება მიზანმიმართულად მახინჯდება. სკოლის მერხზე პირველად დაჯდომისთანავე იწყება პროცესი, რომლის მიზანია, ბავშვს ჩაუხშოს დამოუკიდებლად ფიქრის ყოველგვარი სურვილი. ბავშვს გამზადებულ ცოდნას და წესებს თავში უდებენ და უდებენ... ბავშვის ბუნებრივი ცნობისმოყვარეობაც თანდათან ითრგუნება... უფროსები არც კი ცდილობენ, რომ ბავშვის მისწრაფებებით დაინტერესდნენ".(Фромм 1994: 200).

ნამდვილი აზროვნება ცნებითია და იგი ენის გარეშე შეუძლებელია. სრულფასოვანი აზრის ჩამოყალიბება მხოლოდ ენობრივი ფორმის საშუალებითაა შესაძლებელი. თანაც ადამიანს აზროვნება მხოლოდ ამა თუ იმ ენაზე შეუძლია. ინგლისელი „ინგლისურად“ აზროვნებს, ინგლისური ენის მსოფლხედვის, მსოფლაღქმის შესაბამისად ხედავს, ანაწევრებს სამყაროს; ქართველი კი ქართული ენის ბუნების შესაბამისად განჭვრეტს გარესამყაროს, აგრეთვე საკუთარ სხეულს, საკუთარ შეგრძნებებს, გრძნობებსა თუ წარმოდგენებს, ანუ თავის შინასამყაროს. ადამიანისათვის სამყაროს ძირითადი სახე ისეთია, როგორსაც მას მშობლიური ენა უჩვენებს. ფსიქოლოგიური ექსპერიმენტებით დადასტურებულია, რომ ენაში სიტყვების სიმდიდრე უბრალო აღქმაზეც კი მოქმედებს. მაგ. ცნობილია, რომ ფერების შესატყვისი რაც უფრო მეტი სიტყვაა ენაში, მხედველობით მით უფრო მეტ ფერს არჩევს ამ ენის მატარებელი ადამიანი. მაგ. თუკი ენაშია მხოლოდ სიტყვა - ცნება „წითელი“, ადამიანი მართლაც ვერ არჩევს ვარდისფერს, შინდისფერს, მეწამულს, ჟღალს, ალისფერს, მრეშსა და სხვა გარდამავალ ფერებს.

ტერმინი “პედაგოგიკა", როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეტიმოლოგიურად "ბავშვის ხელჩაკიდებულად ტარებას" ნიშნავს. მართლაც, დედა ახალფეხადგმულ შვილს სიარულის სწავლაში ეხმარება. არსებითად, ესაა ყოველგვარი აღზრდისა და სწავლების თვალსაჩინო პირველსახე. როგორც ყველგან, პედაგოგიკაშიც აუცილებელია წონასწორობა და "ოქროს შუალედი": ბავშვის არც უყურადღებოდ მიტოვება შეიძლება და არც ზედმეტი მეურვეობა. აღმზრდელი დამოუკიდებლობის მატებასა და დედისგან თანდათანობით დაცილებაში უნდა ეხმარებოდეს ბავშვს! მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამის დაჩქარება. როგორ მოვძებნოთ "ოქროს შუალედი"? მასლოუ მარტივ გზას გვთავაზობს: დავაკვირდეთ თვით ბავშვს, მის გრძნობებს; თუკი ბავშვი უკვე დამახინჯებული არაა, მისი შინაგანი გრძნობა წრფელად ირჩევს სწორედ იმას, რაც მისთვის საუკეთესოა. ბავშვმა თვითონ უნდა აირჩიოს ხოლმე, ბავშვის თავისუფალი არჩევანის ზედმეტი შეზღუდვა მას აკლებს უდიდეს შინაგან სიამოვნებასა და აგრეთვე თვითრწმენას, აფერხებს მის განვითარებას. ნუ ვიჩქარებთ, რომ ბავშვს მზამზარეულად მივაწოდოთ ყველაფერი და ყველაფერი მის ნაცვლად, "უფრო გონივრულად" გადავწყვიტოთ! ამით ბავშვს საზოგადოდ დაეკარგება საკუთარი სამყაროს გაცნობიერების უნარი და საკუთარ წრფელ გრძნობას ვეღარ განარჩევს სხვათა სტერეოტიპებისაგან. (ა. მასლოუ, თავი 6).

ბავშვი ჯანსაღ გარემოში ლაღად და ბედნიერად უნდა გაიზარდოს, მას ყველა პირობა უნდა შევუქმნათ რომ პიროვნებად ჩამოყალიბდეს.

დაწყებითი კლასების მოსწავლე შინაგანადაა მოტივირებული სწავლისთვის „არაა საჭირო, რომ ბავშვი მივაჩვიოთ ცნობისმოყვარეობას. ბავშვი შეიძლება გადააჩვიო ცნობისმოყვარობას და როგორც ჩანს, სწორედ ეს ტრაგედია ხდება ჩვენს სკოლებში“ (ა. მასლოუ, თავი 6). ამის მთავარი მიზეზია გადატვირთული სასწავლო პროგრამები და სქოლასტიკა. ა. მასლოუს თანახმად, მთელ მსოფლიოში გაბატონებული სასკოლო განათლება „ ბავშვს თავს დაატეხს უამრავ ურყევ წესს, რომლებიც ბავშვს ჩააგონებს, რისა სჯეროდეს, რის გამო იგრძნოს თავი დამნაშავედ. ეს სისტემა არ წაახალისებს მოსწავლის ინდივიდულურობას, არ შთააგონებს მას დამოუკიდებელი ძიებებისთვის, უარყოფითად განაწყობს სხვაგვარად მოაზროვნეებისა და განდგომილობის მიმართ. ასევე სტერეოტიპულია

უმაღლესი განათლების სისტემაც“. შინაგანად მოტივირებულ, ცნობისმოყვარე ნორჩ ყმაწვილს ნელ-ნელა უცრუვდება გული შემეცნებაზე, სწავლასა და შემოქმედებაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოზარდობის გარდატეხა იწყება, სკოლა კი, შემცირების ნაცვლად, ყოველწლიურად აძლიერებს სასწავლო წნეხს. გერმანელი ფსიქოლოგი ფილოსოფოსი ერიხ ფრომი (1900 – 1980) წერდა, რომ „პატარა ბავშვი ძალიან აქტიური და შემოქმედებითია, მას შეუძლია შექმნას მთელი სამყარო კენჭებითა და ქაღალდის ნაგლეჯებით. მაგრამ ეს უშუალო და ხალასი აქტიურობა თანდათან ჩაკვდება, როცა ბავშვი სასკოლო აღზრდა - განათლების დოლაბის ქვაბში მოხვდება. ამის შემდეგ მას გარეგანი გართობა ესაჭიროება, მაგალითად, რაიმე ძვირი და რთული სათამაშო. მაგრამ ეს სათამაშო მას მალევე ბეზრდება; ასევე ბეზრდებათ უფროსებს ტანსაცმელი, ავეჯი, მაგნიტოფონი, მანქანა თუ სატრფო“ (Фромм 1994: 210-211).

როცა ესთეტიკურ აღზრდაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს გუმან-ინტუიციის როლი. ინტუიცია (ლათ. შიგ წვდომა) ესაა აზროვნების ერთ-ერთი უნარი, მიხვედრილობის ძლიერი შესაძლებლობა. იგი ვითარდება არა ზოგადად, არამედ რაიმე კერძო, ვიწრო მიმართულებით, სათანადო გამოცდილებისა და ნიჭიერების საფუძველზე. განსხვავებით ლოგიკური აზროვნებისაგან, რომელიც ერთადერთი და უნივერსალურია, არ არსებობს ზოგადი ინტუიცია. იგი ყოველთვის კერძო მიმართულებისაა. ინტუიციას ეძახიან „ინტელექტუალურ ინსტინქტს“ ან „ინსტინქტურ ინტელექტს“ (ზ. ვახანია, „განათლების ფსიქოლოგია“, ნაწ. 5). მისი წამიერი გაელვება ლოგიკურ ინტელექტს უზარმაზარ იმპულს ანიჭებს, რასაც აუცილებლად მოჰყვება შრომა. ინსტინქტით შესაძლოა წვდომა მაგრამ არა ხედვა. ინტელექტით კი ხედვა და არა წვდომა. ხოლო ინტუიცით წვდომაც და ხედვაც (ანრი ბერგსონი).

ნამდვილი აღმოჩენა და შემოქმედება როგორც მეცნიერებაში, ისე ხელოვნებაში, შესაძლებელია მხოლოდ უმაღლესი ინტუიციის დონეზე (და არა ლოგიკური აზროვნებისა და მეხსიერების დონეზე). ინტუიციის უმაღლესი დონე - ესაა ის შემოქმედებითი ინტუიცია, რომელსაც ავლენენ ნამდვილი ხელოვანები და ნამდვილი მეცნიერები.

აქედან გამომდინარე, ესთეტიკური აღზრდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გუმან-ინტუიციის განვითარების ხელშეწყობას. ამისთვის კი საჭიროა: აბსტრაქტული ფუჭსიტყვაობის, მექანიკური რეპროდუქციის, ზერელობისა და სქოლასტიკურობის აღკვეთა. აქტიური და გაღრმავებული სწავლება; აქტიური მეცადინეობით მდიდარი კონკრეტული გამოცდილების დაგროვება; წარმოსახვისთვის ფართო სარბიელის მინიჭება; შემოქმედებითი სწავლება და შემოქმედებითობა; ზედმეტი ჩარჩოების უკუგდება; მეტი სილაღე და გაბედულება... სამწუხაროდ, სკოლა ამ მხრივაც ბევრს სცოდავს. ასე იყო ილიას დროსაც, ასე იყო საბჭოთა სკოლაში, თითქმის ასეა თანამედროვე სკოლაშიც (მიუხედავად მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდებისა და „ახლებური“ მიდგომებისა):

ასეთი პედაგოგიკური მიდგომისას მთავარი მოსწავლე და მისი ინტერესები კი არ არის, არამედ შესასწავლი საგანია. ანუ კონცენტრირება მეცნიერების შესწავლაზეა. ასეთი მეთოდი დამკვიდრდა საბჭოთა კავშირში, 1960-იანი წლების შემდე „ბავშვს შეკითხვებზე კი არ პასუხობენ, არამედ აძალებენ რაღაც მზა შედეგების ჯამს, გაბერილ მარაგს ცოდნისა, რის მიმართაც ბავშვი გულგრილია. ბავშვს ერთხელაც არ ათქმევინებენ, რა სურს, რა აწუხებს, რა ეიმედება. ამის ნაცვლად მას მზამზარეული ფრაზებისა და ფორმულების სთავაზობს ქოლასტიკური სიტყვები ნორჩ სულებს ნაცრის წვიმასავით დასდით თავზე და მათ სულებს მარხავს.“ (რაინერ მარია რილკე).

ასეთი პედაგოგიკური მიდგომით არა თუ ვერ მოხდება ბავშვის პიროვნების, მისი ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარება, როგორც ამას მოითხოვს განათლების მიზანი („ბავშვის უფლებათა საერთაშორისო კონვენცია“, მუხლი 29), არამედ პირიქით, იგი გამოიწვევს მოსწავლეთა დიდი ნაწილის დათრგუნვას, სწავლაზე გულის აცრუებას.

ჰუმანისტური, პედოცენტრისტული სწავლებისთვის კი მთავარია მოსწავლე. სწავლების მთავარი განმსაზღვრელია მოსწავლის ცნობიერება და მისი ინტერესები. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება საგანზე ორიენტირებულ სწავლებას უპირისპირდება, ანუ საგნის ხედვას ვიწრო - დარგობრივი თვალთახედვით. სამწუხაროდ, მრავალ მეცნიერს, მეთოდისტსა თუ მასწავლებელს არ ძალუძს, სასწავლო საკითხებს შეხედოს ზოგადად განათლებული და განვითარებული ადამიანის აღზრდის თვალსაზრისით; არც ბავშვის შინაგან სამყაროს აღიქვამს,

ბუნებრივ ინტერესთა და მისწრაფებათა თვალსაზრისით. ასეთ დროს, მთავარი ხდება საკუთარი დარგის (მაგ. მათემატიკის ან გრამატიკის) ვიწრო, თავისებური და დახშული სამყარო, რომლის თარგზეც უნდა მოიჭრას მთელი სწავლება. ამ დროს არ (ან ვერ) ხედავენ, რომ ბავშვი ვერ სწავლობს, იტანჯება, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ იზეპირებს. სწორედ ესაა „საგანზე ორიენტირებული სწავლება“, რომელსაც უპირისპირდება „მოსწავლეზე კონცენტრირებული“ (ჰუმანისტური) სწავლება. მისი პრინციპია: „ცოდნა მოსწავლისთვის და არა მოსწავლე, ცოდნისთვის“. ეს გულისხმობს მთლიანი სწავლების აგებას ბავშვის ცნობიერების, აზროვნების განვითარების, ასაკობრივი და ზოგადი კანონზომიერებებუს მკაცრ დაცვას. ეს კანონზომიერებები პედაგოგიკურ ფსიქოლოგიაშია დადგენილი (უპირველესად პიაჟეს სამეცნიერო სკოლის მიერ). აღზრდისას (მათ შორის ესთეტიკური) უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ახერხებს მასწავლებელი ამა თუ იმ ასაკის ბავშვის ცნობიერებისთვის ბუნებრივი სამყაროს შექმნას და რამდენად ქმნის ბავშვის ცნობიერების გაღრმავებისა თუ გამდიდრებისთვის შესაბამის პირობებს.

ფსიქოლოგიაშია დადგენილია, რომ მთავარია აღქმისა და აზროვნების დაპირისპირება. პირველი მხოლოდ თვალსაჩინო ინფორმაციას იღებს, ხოლო მეორე, განყენებულ - ცნებითსაც. ცნება არაა სურათოვან- გრძნობიერი, არამედ სიტყვიერ - ლოგიკურია. ამიტომაცაა ძნელად მისაღები და ამიტომაც სჭირდება მას გათვალსაჩინოება, თუმცა ამ შემთხვევაში ზომიერების დაცვა აუცილებელია, მაგ. მავნებელია საკლასო ოთახის გადატვირთვა თვალსაჩინოებით. ეს იწვევს ყურადღების გაფანტვას, შეჩვევას და უემოციურობას.

სამწუხაროდ, ტრადიციული მეთოდიკა ნაკლებად ითვალისწინებს თითქოსდა თავისთავად ცხად და უბრალო ჭეშმარიტებას, რომ სწავლება აზროვნების ასაკობრივი კანონზომიერებით უნდა იყოს განპირობებული.

§ 3. ზნეობრივი აღზრდის პედაგოგიურ - ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები

წინათ აღზრდის პედაგოგიკა არ იცოდნენ და არც სჭირდებოდათ: ბავშვი იზრდებოდა სათანადო გარემოში და ძალდაუტანებლად ითვისებდა წინაპართა ადათ-წესებს, ზრდილობას. საკმაოდ დაწვრილებით იყო განსაზღვრული, თუ ვინ როგორ უნდა მოქცეულიყო ამა თუ იმ ვითარებაში: უმცროსი - უფროსთან, რძალი - მულთან, ბიძა - დიშვილთან, ბატონი - ყმასთან... ყველამ თავისი ადგილი იცოდა და ოჯახური თუ საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვეულებისამებრ წყნარად მიმდინარეობდა (თუკი არ ჩავთვლით გარეშე მტრების შემოსევებს და სხვა გაუთვალისწინებელ უბედურებებს). ტრადიციული საზოგადოებები ამჟამადაც დაახლოებით ასე ცხოვრობენ.

ეს კარგი მდგომარეობა იყო, თუმცა, არა საუკეთესო, რადგან ზნეობა არ იყო პიროვნულ შეგნებამდე ამაღლებული. ადამიანი ზნეობრივად იქცეოდა არა იმიტომ, რომ ასე მოითხოვდა მისი შეგნება, არამედ კონფორმიზმის გამო, იმიტომ, რომ ასე იყო წესი, ასე მოითხოვდა ღმერთი და სარწმუნოება, საზოგადოების ყველა კეთილგონიერი წევრი ასე იქცეოდა და სხვაგვარი საქციელი სირცხვილად და დანაშაულად ითვლებოდა, დანაშაულიც გაცილებით იშვიათად ხდებოდა. ნახევრად გაუაზრებელ ზნეობას ადამიანი ბუნებრივად ითვისებდა ისევე, როგორც მშობლიურ ენას. მაგრამ ჩვენ არ ვკმაყოფილდებით ენის ბუნებრივი ფლობით და ვცდილობთ, ბავშვს ცოტაოდენი გრამატიკაც ვასწავლოთ, რათა განათლებულ ადამიანს ხელეწიფებოდეს არა მხოლოდ აზრის სიტყვებით გადმოცემა, არამედ იმის გააზრებაც. ასევეა ზნეობაც. განათლებულ ადამიანს ზნეობა ქვეცნობიერ დონეზე უნდა ჰქონდეს ფესვგამდგარი, უამისოდ იგი მყარი ვერ იქნება (ეს ბავშვობაში ენის ბუნებრივად და ქვეცნობიერად დაუფლებას მსგავსია, რომელსაც ვერანაირი გააზრებული შესწავლა ვერ ცვლის). მაგრამ უმჯობესია როცა ამას ცნობიერი გააზრებაც ემატება, ისმება კითხვები: რა არის ზნეობა? რომელია ძირითადი ზნეობრივი წესები? რაში ვლინდება ზნეობრივი ან უზნეო ქცევა? და რაც მთავარია: რატომ უნდა იყოს ადამიანი ზნეობრივი ?

ეთიკის მეცნიერება, ისევე როგორც ფილოსოფიის თითქმის ყველა დარგი, ძვ.

საბერძნეთიდან იწყება და მისი მთავარი მცნებაა ზომიერება. ამ ზომიერების შესაცნობად და მისაღწევად კი გონებაა საჭირო. ამიტომ ძველბერძნული ეთიკა რაციონალისტურია. სოკრატეს ფილოსოფია ხომ თვითშემეცნებით იწყება ("მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი"). ეს მოძღვრება განვითარდა, შეჯამდა და დაგვირგვინდა სტოიციზმში, მარკუს ავრელიუსის ბრწყინვალე და ბრძნული მეტაფორით: "მეცნიერება ბაღია, რომლის ნიადაგია ფიზიკა (ბუნებისმეტყველება), ღობეა ლოგიკა, ხოლო ნაყოფია ეთიკა".

ანტიკურობაში აგრეთვე ჰედონისტური ეთიკა - ეპიკურეიზმი ჩამოყალიბდა, რომლის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, ქრისტიანობამ აღმოფხრა.

შუა საუკუნეებში, ცხადია, ქრისტიანული ეთიკა იყო ერთპიროვნულად გაბატონებული. მისი არსია ადამიანის ცოდვილობის შეგნება ღმერთის უსასრულო სიკეთის წინაშე; მონანიება, უპირობო და უკრიტიკო მორჩილება - სათნოება, მიწიერების, სხეულებრიობისა და გრძნობიერების ძლევა (რომლებიც ცდუნებისა და ზნეობრივი ბოროტების წყაროდ იყო შერაცხული), ასკეტიზმი. ზნეობრიობა გათანაბრებული იყო სათნოებასთან: სათნო (ღმრთის) ნების მყოფელი (საბა).

ამასთან, შუა საუკუნეებშივე არსებობდა მეორე, მისტიკური ეთიკური მოძღვრება. მისთვის მთავარი იყო არა ნორმატიული ზნეობა, არამედ დაუცხრომელი მისწრაფება ღვთისკენ, ღვთიური სრულყოფილებისკენ, ანუ რელიგიური ტრანსცენდენტაცია (რაც კარგად ჩანს გოთიკაში).

არსებითი სიახლე იყო რენესანსის ეთიკა და ჰუმანიზმი. იგი არც ანტიკურ ეთიკას იმეორებს და არც კანონიკურად ქრისტიანულია. იგი მოიცავს იმ მარადიულ ზოგადსაკაცობრიო მცნებებს, რომლებსაც ამჟამადაც ეფუძნება საერთო საკაცობრიო ეთიკა, საერთაშორისო სამართლის ნორმები თუ დემოკრატიული ფასეულობანი.

ი. კანტის ეთიკური თეორიის თანახმად, გაცილებით მაღალი ეთიკური ღირებულება აქვს ბუნებით არაგულკეთილი კაცის ზნეობრივ ქცევას, ბუნებით გულკეთილ კაცთან შედარებით. ეს ასეა, რადგან პირველ შემთხვევაში ნებელობითი ქცევაა, ხოლო მეორეში იმპულსურ - განწყობისეული.

როგორც მრავალი ქრისტიანი მოაზროვნე აღნიშნავდა, ზნეობის მთავარი მტერია ეგოცენტრიზმი ანუ თავკერძობაა (გარდა იმ იშვიათი გამონაკლისი

შემთხვევებისა, როცა ადამიანს თანდაყოლილი აქვს პათოლოგიური მიდრეკილებები ასეთთა წილი კი 5 %-ს არ აღემატება).

თავკერძობა, ეგოცენტრიზმი (ეგო+ცენტრ+იზმ) ესაა ადამიანის ცნობიერების შეზღუდვა მხოლოდ საკუთარი თავით, სხვა ადამიანების თვალსაზრისის უგელებელყოფა (ზოგჯერ აშკარა ლოგიკური წინააღმდეგობის მიუხედავადაც კი). მარტივად რომ ითქვას, ადამიანი ვერ ან არ ითვალისწინებს სხვის არსებობას, სხვის აზრს, სხვის ზნეს, ხასიათს და სურვილებს. ეგოცენტრიზმი, ანუ ყველაფრის ცენტრში საკუთარი თავის დაყენება, ადამიანის აღქმა-აზროვნების ძირეული ფსიქოლოგიური თვისებაა.

თავკერძობის კერძო სახეობაა ეგოიზმი (ეგო+იზმ). ესაა ზნეობრივი თავკერძობა, ესე იგი, ადამიანის თვისება, იზრუნოს მხოლოდ საკუთარ თავზე და სხვათა მიმართ გულცივი იყოს. ამ დროს, შესაძლოა, ადამიანი აზროვნებით ყველაფერ ამას ხვდებოდეს, მაგრამ არ ენაღვლებოდეს სხვების ინტერესები (ხშირად ეს ყალბი თავაზიანობითაა შენიღბული). სხვა ადამიანები საკუთარი მიზნების მისაღწევ საშუალებებად (არსებითად, ობიექტებად) განიხილება. თუმცა ისიც შესაძლოა, რომ ადამიანი ამას ვერ ხვდებოდეს (აზროვნების შეზღუდულობისა და თავკერძობის გამო) და უნებურად მოსდიოდეს.

ყოველი ეგოისტი თავკერძაა, მაგრამ არა პირიქით. ამ ცნებებს შორის გვარსახეობრივი, კერძოზოგადობითი მიმართებაა. თავკერძობა არ არის ეგოიზმი მაშინ, როცა ადამიანი სხვის არსებობას ნამდვილად ვერ აცნობიერებს. მაგ., ბავშვი ან გონებასუსტი ადამიანი ბუნებრივადაა ეგოცენტრული, სხვანაირი ვერ იქნება, მაგრამ ეს არაა ეგოიზმი. ეგოისტს სხვათა ინტერესები არ ენაღვლება, ბავშვი კი სხვათა ინტერესებს უბრალოდ ვერ აცნობიერებს (და არა: არ აცნობიერებს). მაგ., ბუნებრივია, რომ 3-5 წლის ბავშვები უმცროს და-ძმას მეტოქეებად აღიქვამენ. ამიტომ უაზრო იმის თქმა, რომ ბავშვი ეგოისტია. ეგოიზმის საპირისპირო თვისებაა ალტრუიზმი ანუ სიქველე.

ცხოველი, თითქოს, უზომოდ თავკერძაა, მაგრამ, თავკერძობის ცნება ცხოველს არ მიესადაება, რადგან ცხოველს არა აქვს ცნობიერება და მისი ქცევა მხოლოდ ინსტინქტებითა და ჩვევებით იმართება. თითქმის ასეა ჩვილიც, რომელიც უკიდურესად თავკერძაა. მაგრამ სხვაა ზრდასრული ადამიანი: ადამიანის

მომწიფების მნიშვნელოვანი მაჩვენებელი სწორედ თავკერძობის ძლევაა.

თავკერძობას მრავალი სახეობა აქვს. ზ. ვახანიას აზრით, ადამიანის ნაკლოვანებათა დიდი უმრავლესობა, არსებითად, თავკერძობის სხვადასხვა განშტოებებია. ცხრილში მოცემულია ადამიანთა ის ზნეობრივი ნაკლოვანებები, რომლებიც თავკერძობითაა გამოწვეული (ზ ვახანია 2012: 11)

ზედმეტი თავდაჯერებულობა	*საკუთარ შესაძლებლობათა გაზვიადებული შეფასება*		*სხვის შესაძლებლობათა შემცირებულად შეფასება*
მედიდურობა, ქედმაღლობა	*საკუთარ ღირსებათა გაზვიადება*	სხვისი დამცირება	*სხვის ღირსებათა, საქმეთა თუ შესაძლებლობათა დამცრობა*
ყოყოჩობა, ბაქიაობა	*საკუთარ შესაძლებლობათა გაზვიადებულად წარმოჩენა*		
დამადლება, დაყვედრება	*საკუთარი სიკეთის გაზვიადება*	უმადურობა	*სხვისი სიკეთის დამცრობა*
გადაბრალება, უპასუხისმგებლობა	*საკუთარი დანაშაულის შეცდომის დამცრობა*	ნიშნისმოგება, ღვარძლიანობა	*სხვისი დანაშაულის ან შეცდომის გაზვიადება*
თვითკრიტიკის სისუსტე	*საკუთარი ნაკლის ვერხედვა*	კირკიმალობა	*სხვისი ნაკლის გაზვიადება*
სიხარბე	*საკუთარ საჭიროებათა გაზვიადება*	მოშურნეობა	*სხვის წარმატებათა წყენა*
სიძუნწე	*საკუთარის გაზვიადება, სხვისთვის*	ანგარებიანობა	*სხვისის დამცრობა, სხვისით ზედმეტად სარგებლობა*

	ვერგამეტება		
ჯიქურ გამტანობა, თავხედობა	*საკუთარი ინტერესების გაზვიადება*	მოურიდებლობა, "სქელკანიანობა"	*სხვისი ინტერესების დამცრობა*

ცხრილში თითოეულ თვისებას შეესაბამება საპირისპირო თვისება, რომელიც ზნებრიობის მახასიათებელია. მაგალითად, პირველი უჯრედისთვის ესაა თავმდაბლობა.

თავკერძა ადამიანი სამართლიანი, ცხადია, არ არის. ის თავს ყოველთვის დაჩაგრულად გრძნობს, იმიტომ, რომ მეტი სურს. სულ შეწუხებულია და გონია, რომ ყველა ჩაგრავს.

თავკერძობის სახეობაა სიჯიუტე (განსხვავებით შეუპოვრობისგან, ძლიერი ნებისყოფისგან). ჯიუტს მხოლოდ თავისი აზრი ჰგონია მართებული. თავკერძას სამყაროს ცენტრად საკუთარი თავი მიაჩნია, მხოლოდ საკუთარი თვალსაზრისით ზომავს ყველაფერს და სხვაგვარი გააზრება არ ძალუძს! ჯიუტისათვის არაა მთავარი მტყუან-მართალი და მისთვის მთავარია მხოლოდ საკუთარი სიმართლის დამტკიცება და ის, რომ თავისი გაიტანოს.

თავკერძები ტლანქად და მოუქნელად აზროვნებენ. უხეშობა ზოგს ვაჟკაცობა ჰგონია, სინამდვილეში კი ის უზრდელობაა. დამნაშავეობის და უზნეობის სათავეც თავკერძობაა.

თავკერძა ადამიანი სულაც არ ნიშნავს ბოროტს. ის, უბრალოდ, სხვაზე არ ფიქრობს და არავინ ენაღვლება, მას ბოროტების გაკეთება შეიძლება არც სურდეს. თუმცა თავკერძობის ზოგი გამოვლინება ძალიან ახლოსაა ბოროტებასთან: მაგ.: ღვარძლი, შური...

თავკერძობის მთავარი გამოვლინებანია:

მეტყველება-აღქმა-აზროვნება-მსჯელობაში	II. შეფასება-ზნეობა-გრძნობებში:	III. ქცევაში:
ვერ დგება სხვის თვალსაზრისზე; ვერ უგებს სხვას; თავის აზრს სხვას ვერ აგებინებს, ("amiran gulSi..."); აბდაუბდობა; საკუთარ ნაკლს ვერ ხედავს = არა აქვს თვითკრიტიკა; (სიჯიუტე; უსამართლობა, "გონების სასწორი" გაფუჭებულია; მიკერძოებულია საკუთარი თავისკენ, "ეჩოსავით"; ზედმეტი თავდაჯერებულობა; საკუთარი თვისების მიწერა სხვაზე.	გულცივობა ("ღობეს ჩხირი...") "სქელკანიანობა" ღვარძლიანობა მედიდურობა ქედმაღლობა ზედმეტი თვითკმაყოფილება სიხარბე სხვისთვის სიძუნწე	უზრდელობა სიტლანქე სხვას აწუხებს მოურიდებლობა თავხედობა დამნაშავეობა სხვასი არმოსმენა ზედმეტი ლაპარაკი

ბავშვის ბუნებრივი ეგოცენტრიზმის თანდათანობით დასაძლევად საჭიროა დეცენტრაცია (დე+ცენტრ), ცნობიერების ცენტრში სხვისი თვალსაზრისის მოქცევა (ცხადია, დროებით). ბავშვი ამით თანდათანობით ეჩვევა "ათვლის წერტილის გადანაცვლებას სხვაგან", ანუ ვითარების განხილვას სხვადასხვა კუთხით, სხვა-დასხვა თვალსაზრისით. ე. ი. ბავშვის აზროვნება თანდათან უფრო და უფრო მოქნილი ხდება. მაგალითად: პირველკლასელი ადვილად პასუხობს შეკითხვას, თუ ვინ ან რა არის მის წინ, მაგრამ უჭირს სხვაგვარ შეკითხვაზე პასუხი, თუ ვის ან რის წინაა თვითონ. მეორე შეკითხვა გაცილებით რთული იმიტომა, რომ მოითხოვს "ათვლის წერტილის" გადანაცვლებას საკუთარი თავიდან სხვაზე, ანუ საკუთარი მდებარეობის დანახვას სხვისი თვალსაზრისით. საზოგადოდ, დეცენტრაციისთვის მთავარია: "შენ რომ მის ადგილას იყო..."

დეცენტრაციის უნარის გასავითარებლად კარგია როლური თამაშები, მხატვრული პროზის კითხვა, გემოვნებიანი ფსიქოლოგიური ფილმების ნახვა (ყოველივე ამით ადამიანი სხვის სამყაროში გარდაისახება) და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიის სწავლა. საზოგადოდ, საჭიროა, რომ ადამიანმა "სულის სარკეში ჩაიხედოს". ამის კლასიკური მაგალითი "ძველ აღთქმაშია": ებრაელთა საუკეთესო

მეფემ, დავითმა, ტრფიალის ვნებით დაბრმავებულმა, საშინელი ცოდვა ჩაიდინა; მღვდელმთავარმა სამუელმა მას არა საყვედურით, შეგონებებითა და ქადაგებით, არამედ იგავის საშუალებით დაანახა ეს ცოდვა. იგავ-არაკები უძველესი ხანიდანვე ასრულებდა "სულის სარკის" დანიშნულებას და სწორედ ამიტომ ჰქონდა და აქვს დიდი აღმზრდელობითი ძალა.

ზრდასრულთა თავკერძობის გამოვლინებაა აგრეთვე: "როგორ თუ ეს არ იცის?!" ბავშვის ასაკის გაუთვალისწინებლად; ანდა: "ამდენი არ უნდა ესმოდეს?! ნუთუ ამდენი შეგნება არ უნდა ჰქონდეს?!" ბავშვს იმ შეგნებას სთხოვენ, რომელიც ზრდასრულთა მესამედსაც კი არა აქვს!

ეგოიზმის დაძლევა ზნეობის საფუძველია. არსებითად, ესაა აღზრდის მთავარი ღერძი. მაგრამ უპირველესად უნდა დაიძლიოს თვით აღმზრდელთა ასაკობრივი თავკერძობა. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიწყოს აღსაზრდელის ეგოიზმის ძლევა.

ადამიანი იზრდება და თანდათან ეჩვევა მიმართებათა გააზრებისას ეგოიზმის დაძლევას, დეცენტრაციას. რაც უფრო მაღალია მიმართება, მით უფრო გვიანდელ ასაკში დაიძლევა ეგოიზმი. მაგ., სივრცით მიმართებათა აღქმისას I კლასშივე იწყება დეცენტრაცია. ხოლო ლოგიკურ და განსაკუთრებით, ზნეობრივ-მიზნობრივ მიმართებათა გააზრებისას დეცენტრაცია ზრდასრულთა უმრავლესობასაც კი ძალიან უჭირს, ხშირად არც ძალუძთ. ადამიანების ჩვეულებრივი შეცდომაა მართებულ-ჯეროვანის აღრევა სასურველში.

ამრიგად, დეცენტრაცია ანუ სხვა ადამიანის ცნობიერების თვალსაზრისზე დადგომის უნარი - ესაა ზრდილობის, შეგნებისა და ზნეობის ქვაკუთხედი. კულტურის განვითარების დაბალ საფეხურებზე ამ უნარზე, მსჯელობა ზედმეტი იქნებოდა, რადგან ადამიანები ძირითადად მხოლოდ ჩვეულებებითა და ჩვევებით ცხოვრობდნენ (მხოლოდ განწყობისეულ დონეზე) და კმაყოფილნიც იყვნენ. მაგრამ, საზოგადოებისა და ცნობიერების განვითარების კვალდაკვალ, საჭირო გახდა ზნეობის დასაბუთება, პასუხის გაცემა შეკითხვაზე: რატომ სჯობს ზნეობა ეგოიზმს?

ზნეობაში გამოვლენილი თავკერძობა - ეგოიზმია. იგი გამოწვეულია არა აზროვნების განუვითარებლობით (აზროვნების ეგოცენტრიზმით), არამედ სხვა ადამიანების ინტერესების უგულებელყოფით (ანუ ასოციალურობით). ამასთან, ეგოისტი, უფრო ხშირად, ზრუნავს არა მარტო საკუთარ, პირად ინტერესებზე,

არამედ იმ უახლოეს ადამიანებზეც, რომლებთანაც მიბმულია. ამიტომ ეს არ არის უანგარო ზრუნვა, მით უმეტეს, რომ ეგოისტი, როგორც წესი, ახლობლებსაც კი ვერ უგებს; მათზე საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ზრუნავს და მხოლოდ მისთვისა გასაგებ და მისაღებ ინტერესებს აკმაყოფილებს. არსებითად, ეგოისტურია ადამიანის მიერ ზნეობის შენარჩუნება სამოთხე-ჯოჯოხეთის რწმენით (ოღონდ, ცხადია, ძლიერ გადავადებულად. ძლიერი ნებისყოფაა საჭირო, შორეულმა მიზანმა წუთიერი ქცევები რომ მართოს). მაგრამ ბავშვი, გონებრივად ჩამორჩენილი ზრდასრული ან გონებასუსტი მოხუცი არ არიან ეგოისტები, ისინი უბრალოდ ეგოცენტრულნი არიან, სხვაგვარად არ ძალუძთ. ამასთან ისინი, არსებითად, მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ, (მაგ.: როცა პატარა ბავშვი ან მოხუცი კარგად იმისთვის იქცევა, რომ დედის, მომვლელის კეთილგანწყობა შეინარჩუნოს; ან როცა მოსწავლე კარგად კარგი ნიშნების გულისთვის სწავლობს.)

ზნეობის უმაღლესი (პოსტკონვენციური) დონეა სინდისი. იერარქიულად: დასჯის შიში ცხოველისთვისაა დამახასიათებელი, სასურველის დაკარგვის შიში - ადამიანისთვის, სირცხვილი - საზოგადოების სრულფასოვანი წევრისთვის, კანონის პატივისცემა - სამართლებრივი შეგნების მქონე მოქალაქისთვის, ხოლო სინდისი - პიროვნებისთვის! (სინდისის არსებით განსხვავებას სირცხვილისაგან კარგად გვიჩვენებს ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის დაკავებული ქალის ქცევა, სახის დამალვა ტელეკამერების წინ.)

სინდისიცა და სირცხვილიც ქცევამდე იჩენს თავს და ადამიანს შიგნიდან კარნახობს, თუ როგორ მოიქცეს.

სინდისის ქენჯნა ხშირად ისეთი მძაფრი და მტანჯველია, რომ ადამიანს საჯარო შერცხვენა და დასჯა შვებად ექცევა. ქენჯნა ზოგჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე სირცხვილის გრძნობა ან დასჯის შიში. თანაც სირცხვილი ხანმოკლეა, ქენჯნა კი შეიძლება სიცოცხლის ბოლომდეც სტანჯავდეს ადამიანს - ჩემი მტერი ჩემი სინდისია, ვერსად გავექეციო (ანდაზა).

ზრდასრული ადამიანისთვის სინდისის ქენჯნის სრული უქონლობა გონებრივი ჩამორჩენილობის მაჩვენებელია. მაგრამ თუკი ადამიანი ნორმალურია, ქენჯნაც თავს იჩენს, ოღონდ იგი შეიძლება ქვეცნობიერში განიდევნოს. სინდისის ქენჯნის (თუნდაც ქვეცნობიერის) მოშორების ერთადერთი გზაა აღიარება, გულწრფელი მონანიება და

საქმით გამოსწორება. ვისაც ეხებოდა შენი დანაშაული, ვის წინაშეც ხარ დამნაშავე, სწორედ მას უნდა მოუხადო გულწრფელი ბოდიში და საქმით გამოასწორო შენი დანაშაული, მხოლოდ ეკლესიაში მონანიება საკმარისი არ არის. (ზოგი ქურდი კი იმის ნაცვლად, რომ ნაქურდალი დაუბრუნოს იმას, ვისაც მოჰპარა და თან გულწრფელი ბოდიში მოუხადოს, ამ ნაქურდალით ეკლესიას აშენებს!).

სიმდისის ცნება ქრისტიანობის წიაღში წარმოიშვა. საყურადღებოა, რომ წარმართულმა ანტიკურმა კულტურამ, რომელმაც მრავალ საოცარ მწვერვალს მიაღწია, სინდისის ცნება მაინც ვერ გააცნობიერა (ისევე როგორც უსასრულობისა). მისთვის სირცხვილი იყო უზენაესი შინაგანი მსაჯული: "სირცხვილი სიკვდილზე უარესია“, - ამბობს ძველი ბერძნული აფორიზმი (შდრ. "სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი". ნაძრახი, ესე იგი, ხალხის მიერ გაკიცხულ-შერცხვენილი).

სირცხვილი, ხალხის წინაშეა, სინდისის ქენჯნა - საკუთარი თავის წინაშე. შესაბამისად, კანონმორჩილებასაც ორი დონე აქვს: სირცხვილისა და სინდისისა. სირცხვილის დონეზე ადამიანი კანონ-ბრძანებას არ არღვევს არა მარტო დასჯის შიშით, არამედ, უპირატესად, სირცხვილის გამო, რადგან ეს იმ საზოგადოებაში სამარცხვინოდაა მიჩნეული (ხოლო თუკი სხვა ქვეყანაში მოხვდება, სადაც კანონის უზენაესობა არაა, იქ ადვილად დარღვევს კანონებს). სინდისის დონეზე კი ადამიანი კანონს მთელი თავისი შენებით სცემს პატივს (და არა მხოლოდ სირცხვილის გამო), რადგან კანონმორჩილება ადამიანის პრინციპადაა ქცეული. ასეთი პიროვნება დარწმუნებულიც რომ იყოს, მის უკანონო საქციელს არავინ დაძრახავს, უფრო მეტიც, არავინ შეიტყობს, ის მაინც არ დაარღვევს კანონს, რადგან კანონ-სამართლის მოწიწება აქვს და მას არ შელახავს. ასეთი კანონმორჩილება აღარაა კონვენციური და ის პიროვნული მრწამსის ნაწილია.

უმაღლესი დონის ზნეობის მქონე ადამიანის უზენაესი განმგებელი არის არა დასჯის შიში (ღმერთისგან თუ საზოგადოებისგან, სულერთია), არა სირცხვილის გრძნობა, არა კანონმორჩილება, არამედ, საკუთარი სინდისის ხმა. სინდისის ქენჯნა მხოლოდ საკუთარი პიროვნული ღირსების წინაშე.

უსიცხვილო ადამიანი, ცხადია, არც სინდისის ქენჯნას აცნობიერებს, მას მხოლოდ შიში თუ შეაკავებს (მათ შორის სასურველის დაკარგვის შიში). თუმცა იშვიათია ისეთი დაცემული ადამიანი, რომელსაც მხოლოდ შიში აკავებს. ასევე

შედარებით იშვიათია ადამიანი, რომელსაც უპირატესად სინდისი მართავს. ბევრია ისეთი ადამიანი, რომელთათვისაც საზოგადოებრივი აზრია მთავარი და არა სინდისი.

გამოკვლეულია, რომ ადამიანს ვერ ექნება ზნეობრივი შეგნება, თუკი მისი აზროვნება სათანადოდ განვითარებული არ რის(მაგ. ბავშვის ან გონებაჩამორჩენილი ზრდასრულის შემთხვევაში). თუმცა, უმაღლესად განვითარებული აზროვნების მქონესაც კი, შესაძლოა, უდაბლესი ზნეობრივი შეგნება ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, აზროვნების განვითარება ზნეობრივი შეგნების განვითარებისთვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა.

კოლბერგს მიაჩნდა, რომ ჭეშმარიტი ზნეობა ორივეს მოიცავს - სამართლიანობასაც და თანაგრძნობასაც. ორივე მათგანი მოცემულია ახალი აღთქმის „ოქროს წესში“, რომლის პირველი ნაწილი სამართლიანობას უსვამს ხაზს, „მოეპყარი სხვებს ისე, როგორც გსურს, რომ სხვები მოგეპყრონ“, ხოლო მეორე - თანგრძნობას, „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.

საზოგადოება თითქოს ცდილობს, რომ სამართლიანობა, სიკეთე, კანონიერება და მაღალი ზნეობა დაამკვიდროს. სკოლა ცდილობს, რომ მოსწავლეები ღირსეულ მოქალაქეებად აღზარდოს. მაგრამ საამისოდ მხოლოდ ზერელე რაციონალურ საშუალებებს იყენებს და შედეგიც შესაბამისია: სიტყვა ცალკე რჩება, საქმე - ცალკე (როგორც ამ ანდაზაშია: „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო“).

განვიხილოთ კიდევ ერთი საყურადღებო შემთხვევა: მრავალი კერძო სკოლა იძულებულია, რომ დაჰყვეს მოსწავლეთა მშობლების სურვილებს. ერთ-ერთი ასეთი სურვილის შედეგია ის წესი, რომ დაწყებითი კლასების მოსწავლეები სკოლაშივე, გაკვეთილების შემდეგ ამზადებენ საშინაო დავალებებს, შინ გვიან ბრუნდებიან, ხოლო ჩანთას, რვეულებსა და წიგნებს სკოლაში ტოვებენ. დაწყებითი კლასების მოსწავლეს ჯერ არა აქვს აბსტრაქტული აზროვნების უნარი, მისთვის ცოდნა და სწავლა-განათლება ასოცირდება წიგნთან და, ზოგადად, სასწავლო ნივთებთან. მაგრამ ბავშვი ამ ყველაფრის მიმართ მშობლების უპატივცემულო დამოკიდებულებას გრძნობს და ფიქრობს, რომ წიგნი, რვეული და მისთანანი თითქოს ზედმეტი ნივთებია სახლისთვის! ცხადია, მშობლების ასეთი დამოკიდებულება სათანადოდ აისახება ბავშვზეც.

გარდატეხის ასაკამდე ბავშვის მისაბაძი პირები ძირითადად ოჯახის წევრები და მასწავლებლები არიან. ხოლო მოზარდი თვითდამკვიდრების ამბოხს იწყებს და ამიტომ ამ მოდელების დამხობას ცდილობს. თუმცა, ხშირად ამას ვერ ახერხებს, მაგრამ მაინც ებრძვის. მისი მოდელები ხდებიან მიმზიდველი და გავლენიანი თანატოლები ან უფროსი ახალგაზრდები, აგრეთვე ფილმებისა თუ ლიტერატურულ ნაწარმოებთა გმირები. სიჭაბუკეშიც დაახლოებით იგივეა მოდელები, ოღონდ ემატება საზოგადოებაში ცნობილი და გავლენიანი პირები. ცნობილი სპორტსმენი, მუსიკოსი თუ მსახიობი ხშირად ცნობილი ბიზნესმენით ან პოლიტიკოსით იცვლება.

ბავშვის აღზრდისთვის მნიშვნელოვანია დასწავლა სხვების პირადი მაგალითით (მიბაძვით სწავლა). ბავშვი აკვირდება და იმეორებს იმ ქმედებებს, რომლებსაც ხედავს ავტორიტეტულ გარშემომყოფებში და იძენს მსგავს უნარ-ჩვევებსა თუ ღირებულებებს. ეს პროცესი მრავალი ექსპერიმენტით იყო შესწავლილი და ამ ექსპერიმენტების შედეგები ბანდურას თეორიის ერთ-ერთ წანამძღვრად იქცა.

დაკვირვებისა და აღქმულის დამახსოვრების შემდეგ, პატარა ბავშვი ბაძავს სხვა ადამიანების (განსაკუთრებით, უფროსების) ქცევებს, ანუ იმეორებს მათ. ეს თავისთავად ხდება, რადგან ბავშვს უფროსთა მიბაძვის უძლიერესი თანდაყოლილი ინსტინქტი ამოძრავებს. ხოლო მოზარდობიდან დაწყებული კი მიბაძვა-გამეორებისთვის გადამწყვეტი ხდება ადამიანის თვითშეფასება, კერძოდ, საკუთარ შესაძლებლობათა შეფასება. თუკი ადამიანი დარწმუნებული არაა, რომ შესწევს ძალა ამა თუ იმ ქცევის შესასრულებლად, მაშინ მოდელირება არ ხდება. მაგ., მუსიკისმოყვარული თაყვანს სცემს მუსიკოს შემსრულებელს, ბაძავს მის მეტყველებას, ჩაცმულობასა და მიმოხრასაც კი, მაგრამ არ ბაძავს მთავარს, მუსიკის შესრულებას, რადგან მიაჩნია, რომ მისთვის ეს მიუწვდომელია (თუმცა საოცრად ბედნიერი იქნებოდა, ამ მხრივაც მიებაძა, თუნდაც ნაწილობრივ). საზოგადოდ, თაყვანისცემა მიბაძვას ყოველთვის არ იწვევს, მაგ., მეფის თაყვანისმცემელი გლეხი მეფის ქცევებს როდი იმეორებს. არასრულფასოვნების გრძნობა ძალიან ბოჭავს მოდელირებას.

თანამედროვე ხანაში ყველაზე მწვავე საკითხია ტელევიზიისა და კომპიუტერული თამაშებისა და სანახაობათა, გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, დამანგრეველი ზეგავლენა. სულიერი საწამლავის ეს ყოველდღიური წვეთები სპობს

ჯანსაღი დისპოზიციების განმტიცების შესაძლებლობას და უკეთურის განმტკიცებას იწვევს. როცა ამას ემატება მცირე განათლებისა და საეჭვო ზნეობის მქონე პირთა აღ-ზევება და მათი ცხოვრების წესის საყოველთაო პროპაგანდა, ზნეობრივ აღზრდაზე საუბარიც ზედმეტია. თუ ასე გაგრძელდა, ძალადობის განუხრელ მატებას, ნარკომანიასა და სულის გაუხეშებას არაფერი ეშველება.

ზნეობრივი აღზრდა ნებისყოფის აღზრდის პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს (ნებისყოფის აღზრდაზე იხ. ქვემოთ).

ამის პირველი საფუძველია დეცენტრაცია:

ამრიგად, ზნეობრივ აღზრდას მხოლოდ მაშინ აქვს მყარი საფუძველი, როცა მას სათანადო ღრმა დისპოზიციები ეფუძნება. ამ დისპოზიციათა ჩამოყალიბება კი არარაციონალური პროცესია და ქვეცნობიერად მიმდინარეობს, ბავშვობაში. მაგრამ ზნეობრივი აღზრდისთვის ეს არაა საკმარისი. კოლბერგის აზრით: მაღალ დონეზე საჭიროა ერთგვარი ფილოსოფიაც: ზნეობის გააზრება, მსჯელობა მორალურ საკითხებზე და პიროვნული მრწამსის გამომუშავება. ამის დაწყება 15-17 წლიდანაა უპრიანი, თუმცა სიბერეშია შესაძლებელია: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო.

ზნეობრივი აღზრდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკოლას. განათლების, კონკრეტულად კი სკოლის მესვეურებს არ უნდა დაავიწყდეთ ილიას სიტყვები, რომ პატიოსანი წყურვილი და ხერხი ქვეყანაში ერთ რამედ ყოფნისა, უნდა შესძინოს კაცს სკოლამ.

§ 4. რელიგიური აღზრდის პედაგოგიურ - ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები

მოზარდი თაობის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავია. რა ფუნქციის შესრულებაა შესაძლებელი ამ მიმართულებით და რამდენად შესაძლებელია ამის განხორციელება სასწავლო პროცესში?

საყოველთაოდ აღიარებულია შეხედულება, რომ მხოლოდ ინტელექტუალურმა აღზრდამ მსოფლიოს კარგი არაფერი მოუტანა. ემოციური აღზრდისა და ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბების გარეშე შეუძლებელია სრულფასოვანი პიროვნების, ოჯახისა თუ საზოგადოების არსებობა. სამყაროს მიმართ დამოკიდებულება, სამშობლოს განცდა, სიყვარული, მეგობრობა, თანადგომა, გულისხმიერება, აი, ღირებულებათა სისტემის უმნიშვნელოვანესი თემები. ამიტომაც, ბუნებრივია, ამაზე მნიშვნელოვანს სკოლა და საზოგადოება მოზარდს დასაწყისისათვის უკეთესს ვერაფერს მისცემს.

ღირებულებებსა და მათ დეფინაციაზე კამათი საზოგადოებაში განუწყვეტლივ მიმდინარეობს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი საზოგადოება სიტყვა „ღირებულების“ აღქმის საკითხში არაერთგვაროვანია. ის კონსტრუქციები, რომელიც თითოეულ ჩვენგანს წარმოუდგენია ამ სიტყვათშეთანხმების ქვეშ, ძალიან განსხვავებულია. კარგი იქნებოდა საზოგადოების დიდი ნაწილი შეთანხმებულიყო, თუ ღირებულებათა რა სისტემას ვაღიარებთ ჩვენი იდენტობის საყრდენად და მომავალი თაობების ზნეობრივ ორიენტირად.

რა არის ზნეობა და ზნეობრივი ღირებულებები, ამაზე ჩვენ უკვე ვრცლად ვისაუბრეთ (იხ. ზნეობრივი აღზრდა) და აღვნიშნეთ, რომ ფართო მნიშვნელობით „აღზრდის“ ცნებაში შედის განათლებაც, სწავლებაც, და აღზრდის ისეთი სახეებიც, როგორებიცაა გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და რელიგიური აღზრდა.

ზნეობრიობის პირველი გამოვლენაა აკრძალვა. ადამიანის ზნეობრივ არსებად, ადამიანად გახდომა დაკავშირებულია ამ აკრძალვებთან. იგი ვლინდება ადათში, ტაბუში , ტოტემში. ზნეობრივი ნორმები იყო ადამიანობის პირველი ნიშნები, რაც ადამიანს გამოყოფდა ცხოველთა სამყაროსაგან. ზნეობრივი ქცევის განხორციელების უნარი იყო გამოხატულება ადამიანის უნარისა, ეცხოვრა საზოგადოებაში, ადამიანებს შორის და დაემყარებინა მათთან ურთიერთობა, რომელიც ზნეობრივი ნორმების მეშვეობით მოწესრიგდებოდა. მეცნიერი, ფილოსოფოსი ვალერიან რამიშვილი ამბობს: „ადამიანი ვალდებულია შეასრულოს, დაემორჩილოს მორალური ტრადიციის ავტორიტეტს, ჩამოყალიბდა მორალი - ზნეობრივ ქცევის ნორმების, წესების, კანონების, როგორც აკრძალვათა ერთობლიობა, რომლებიც

განასხვავებენ სიკეთესა და ბოროტებას. მორალური ტრადიციის ზნეობრივი მოთხოვნები დაუფიქრებლად უნდა შეასრულო“. (ვ. რამიშვილი 2009: 354)

ადამიანმა უნდა იცოდეს, რაა სიკეთე და ბოროტება, რომ მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. გონიერი და ბრძენი არ ჩაიდენს ბოროტს. ადამიანმა თავის თავს უნდა აუხსანას, დაუსაბუთოს, თავისი ქცევის მოტივის ზნეობრიობა. ჩვენ ხშირად მოგვისმენია ამგვარი არგუმენტი: „ მე ჩემი სინდისის წინაშე მართალი ვარ,“ ან „აქა ვდგევარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“. (ვ. რამიშვილი 2009: 355).

მოიაზრება, რომ ზნეობრიობის პრინციპი - სიკეთის ქმნის უნარი ადამიანმა მიიღო ღმერთისაგან. პროფესორი გული შერვაშიძე ამბობს: „ღვთისაგან ნასწავლი ზნეობრივი სიბრძნე ადამიანს სულიერ, ინტელექტუალურ სრულყოფაში ეხმარება. მისი ურთიერთობა საზოგადოებასთან და სამყაროსთან კეთილგანწყობილი და გაწონასწორებული ხდება“. (გ. შერვაშიძე 2009: 150)

ერის სულიერი გადარჩენისათვის ქრისტიანული ზნეობის სწავლების აუცილებლობას ქადაგებს ეპისტოლეებში საქართველოს კათალიკოს - პატრიარქი ილია II. მას მიაჩნია, რომ ეს პრობლემა სწრაფად უნდა მოგვარდეს: „რა არის განათლება, თუ ადამიანისაგან არ მოდის ნათელი, ყველამ უნდა გავიზიაროთ, რომ რწმენასთან თანაზიარი ცოდნა გვხდის უფლის მეგობრად.“(ილია II 2010: 2).

წლების განმავლობაში, ადამიანებს ბავშვობიდანვე უნერგავდნენ იმ აზრს, რომ რელიგია და რწმენა მეცნიერებასა და რწმენას უპირისპირდება, მაშინ როცა ისინი ერთმანეთს ავსებენ. როგორც ცნობილი საეკლესიო მწერალი და მოაზროვნე კლიმენტი ალექსანდრიელი გვასწავლის, ცოდნის საწყისი რწმენაა; აქსიომები, რომელთაც მეცნიერება ეფუძნება, უკვე რწმენას გულისხმობს. ამავე დროს, მორწმუნე ცოდნის გარეშე მონაა, უფრო მეტიც, ცოდნის გარეშე რწმენა არ არსებობს, რადგან ადამიანი მოვალეა იცოდეს, რა სწამს. ის ვინც მორწმუნეცაა და მცოდნეც, იგი მეგობარია ღმერთისა. ყოველი ადამიანი სრულყოფის კიბეზე მაღლა ასვლისათვის უნდა ისწრაფოდეს, რათა ღმერთის მეგობარი გახდეს. („მადლის“ 1990 – 2010 წლების კრებული I : 36).

სწავლება ქრისტიანულ ზნეობაზე უძველესი დროიდან იღებს სათავეს. მსოფლიოს მრავალ წარმატებულ ქვეყანაში რელიგიურ განათლებას აღზრდის

ძირითად ნაწილად მიიჩნევენ. რწმენასთან თანაზიარი ცოდნა შეუძლებელია რელიგიური განათლების გარეშე. დასაშვებია თუ არა რელიგიის სწავლება საშუალო სკოლაში? სახელმწიფო სკოლებში რელიგიის სწავლება და ამ პროცესთან დაკავშირებული წინააღმდეგობრივი საკითხები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოშია აქტუალური. ამ სფეროს მკვლევარები პრობლემის ანალიზის საფუძველზე, სკოლებში რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით რამდენიმე ძირითად საკითხს გამოჰყოფენ: 1) რა იგულისხმება რელიგიურ სწავლებაში; 2) როგორ უნდა ისწავლებოდეს სკოლებში განსხვავებული რელიგიები.

რელიგია განსაკუთრებულ როლს თამაშობს ისტორიასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი სწავლება არსებითია ერისა და მსოფლიოს უკეთ გასაგებად. სასწავლო კურსიდან რელიგიის ამოგდება მოსწავლეს უქმნის მცდარ შთაბეჭდილებას, რომ რელიგია კაცობრიობისათვის უმნიშვნელოა. იწვევს ეჭვს ღმერთის არსებობის ჭეშმარიტებაზე. მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ყოველთვის, როცა ბუნებისმკვლევარნი ეწინააღმდეგებოდნენ ბიბლიურ წარმოდგენებს, ვინც ისწრაფვოდა, ბიბლია მითად გამოეცხადებინა ან მასში ალეგორიული აზრი მოეძებნა, გარკვეული დროის შემდეგ შერცხვენილნი რჩებოდნენ. წინააღმდეგობის ნამდვილ მიზეზს ყოველთვის წარმოადგენდა ან უზუსტობა ან მეცნიერული ცოდნის არასრულყოფილება. უფრო მეტიც, თვით დარვინსაც კი ძალიან კარგად ესმოდა, რომ მისი ნაშრომი - „სახეობების წარმოშობა ბუნებრივი შერჩევის გზით“ - ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდა და დაუმტკიცებელ ხასიათს ატარებდა. „თქვენ დიდ საგონებელში ჩავარდებით ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, ის იქნება წარმოუდგენლად ჰიპოთეზური“, - წერდა „წარმოშობის'' ავტორი ერთ - ერთ თავის კოლეგას 1858 წელს. (http\www.orthodoxy.ge)

ასევე, შუა საუკუნეების აზროვნების - ახალი ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი რენე დეკარტე (1596 – 1650) ამტკიცებდა ღმერთის ჭეშმარიტებას. საკუთარ და ღმერთის უტყუარ არსებობაში დარწმუნებული ფილოსოფოსი საგანგებოდ იკვლევდა საკუთარი შეცდომების ბუნებას, მათ მიზეზს. ახლოდან დააკვირდა საკუთარ თავს და დარწმუნდა: „შეცდომის მიზეზია არა ღმერთი, არამედ თავად ადამიანი. ღმერთი არ შეიძლება იყოს მატყუარა; იტყუება ის, ვინც სუსტი და ვერაგია, მაშასადამე - ნაკლოვანი. ღმერთი კი ყოვლად სრულყოფილი და

უსასრულო, აბსოლუტური ჭეშმარიტებაა“ (რ.დეკარტი 2010: 21). ყოველივე ეს ადასტურებს, რომ რელიგია და მეცნიერება თავიანთი დასაბუთებისათვის საჭიროებენ რწმენას.

სკოლებში რელიგიის, რელიგიის ისტორიისა და ცივილიზაციებთან მისი კავშირის სწავლება სრულყოფილი ცოდნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. განსხვავებული რელიგიების გაცნობით მოსწავლეებს განსხვავებული კულტურების მიმართ პატივისცემის გრძნობა და რელიგიურ ტოლორანტობა უყალიბდებათ. რელიგია, როგორც სასკოლო საგანი, უნდა ისწავლებოდეს, რადგან ის საშუალო სკოლაში ზოგადი განათლების მისაღებადაც არის აუცილებელი.

ჩვენ, ქართველებს უზარმაზარი კულტურა გვაქვს და ჩვენი მომავალი თაობები ამ კულტურაზე უნდა აღვზარდოთ, რადგანაც სწორედ კულტურას შეუძლია გაამთლიანოს ერი ურთიერთპატივისცემის ნიადაგზე, ერს კი სჭირდება ჭეშმარიტი სარწმუნოებით აღვსილი, სიყვარულით, ნებისყოფითა და პასუხისმგებლობის გრძნობით აღზრდილი ადამიანები. მიგვაჩნია, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა ჰქონდეს მჭიდრო კონტაქტი მეცნიერებთან და ის სასიცოცხლო და, შეიძლება ითქვას, საბედისწერო საკითხები, რომელებიც აღელვებს მსოფლიოს, ეკლესიის მიღმა არ უნდა დარჩეს. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს: „ჩვენს ცხოვრებას ძირითადად ჩვენს გულში მიმდინარე პროცესები განსაზღვრავს, აქ კი ნათელთან ერთად წყვდიადიც მკვიდრობს და მათ შორის მუდმივი დაპირისპირებაა. ხშირია შემთხვევა, როცა გვინდა ვიყოთ სიკეთის მხარეს, მაგრამ არ გვყოფნის ძალა ცოდვებთან საბრძოლველად და ვმარცხდებით. ასეთ სიტუაციაში მთავარია, არ შევურიგდეთ ცოდვას, არ მივიღოთ და არ შევიტკბოთ იგი. ცოდვა ბოროტისაგან მომდინარეობს და, თუ გულით მოვინდომებთ, მისგან აუცილებლად განვთავისუფლდებით (კათალიკოს -პატრიარქი ილია II 1998-2007: 155)

დადგა დრო, როდესაც თანამედროვე ცივილიზაციის პრობლემების საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური გადაწყვეტა სასიცოცხლოდ აუცილებელი შეიქმნა. ამ მხრივ ჩვენს ეკლესიაში პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ის ურთიერთობა, რომელიც ბოლო დროს ჩამოყალიბდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, უმაღლეს სასწავლებლებს, მეცნიერებათა აკადემიებსა და სხვა სამეცნიერო

-კულტურულ ცენტრებს შორის, იმედის მომცემია და, ვფიქრობ, კარგ შედეგს გამოიღებს.

არის იმის მცდელობებიც, რომ ამორალური ყოფა ჩვენში ადამიანური ურთიერთობების ნორმად იქცეს. ჩვენ უნდა ვასწავლოთ ადამიანებს სულიერი აღქმა მოვლენებისა, რათა მათ დამოუკიდებლად შეძლონ, სათანადო პასუხი გასცენ დროის გამოწვევებს: პირველ რიგში უნდა დავიცვათ ადამიანის სული, მისი ფსიქიკა და შინაგანი ბუნება (კათოლიკოს - პატრიარქი ილია II, 1998-2007: 156).

გამოსავალი ერთია, ჩვენ მოზარდებსა და ახალგაზრდებს ყოველივე ნეგატიურისა და უზნეობისადმი იმუნიტეტი უნდა გამოვუმუშაოთ და შევუქმნათ მყარი მორალური საფუძვლი. პატრიარქს არაერთგზის უთქვამს, რომ დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა კავშირი ოჯახს, სკოლასა და ეკლესიას შორის, რადგან, უპირველეს ყოვლისა, ოჯახი და სახელმწიფო უნდა გადაურჩეს მორალურ საფრთხეს. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ვიზრუნოთ ერის მომავალზე, თუკი გვსურს, ავაშენოთ განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფო, ზნეობრივი საფუძვლებით.

მსოფლიოს მრავალ წარმატებულ ქვეყანაში რელიგიურ განათლებას აღზრდის ძირითად ამოცანად თვლიან. რწმენასთან თანაზიარი ცოდნა შეუძლებელია რელიგიური განათლების გარეშე. ახალგაზრდობის რელიგიურ განათლებას დიდად უწყობს ხელს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი. ცენტრთან თანამშრომლობენ სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები, სტუდენტები და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები. ცენტრი ახალგაზრდებს ჯანსაღი ცხოვრების წესს სთავაზობს, ზრდის მათ პასუხისმგებლობას ერის წინაშე, უქმნის თვითრეალიზების ყველა პირობას (გ. შერვაშიძე 2009: 151).

მრავალწლიანმა გამოცდილებამ, დაკვირვებებმა და ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ რელიგია სახელმწიფო სკოლებში უნდა ისწავლებოდეს, როგორც სასწავლო საგანი, მაგრამ მიუღებელი იქნება, პედაგოგომა თავს მოახვიოს მოსწავლეს აზრი იმის თაობაზე, თუ რომელი რელიგიური აღმსარებლობაა ჭეშმარიტი, რადგან ასეთი სწავლება ლახავს სხვა რელიგიის მიმდევარი მოსწავლეების უფლებებს.

რელიგიის შესახებ სწავლება უნდა მოიცავდეს რელიგიის ისტორიასა და რელიგიათა შედარებით დახასიათებას, საქართველოსა და სხვა ქვეყნების ისტორიაში რელიგიის როლის მნიშვნელობას. მოსწავლეებს ასევე უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია რელიგიამ ხელოვნებაზე, მუსიკაზე, ლიტერატურასა და სოციალურ მეცნიერებაზე. თუ სწავლებისას ერთადერთ ჭეშმარიტ რელიგიდ რომელიმე კონკრეტულ რელიგიას განვიხილავთ, უდავოა, რომ სხვადასხვა რელიგიის მქონე ბავშვებს შორის შეიქმნება არაჯანსაღი დამოკიდებულება. ადვილი წარმოსადგენია იმ ბავშვის მდგომარეობა,რომელიც თანატოლების უმრავლესობის აზრს არ იზიარებს, გაკვეთილის დაწყების წინ ლოცვის სურვილი არ აქვს და, შედეგად, თანაკლასელებისაგან გარიყულად გრძნობს თავს, ან, უბრალოდ, უმრავლესობას ემორჩილება და საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ ლოცულობს. სწავლება სხვადასხვა რელიგიის შესახებ მიზნად ისახავს ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს მოსწავლეს და ტოლორანტობის პრინციპების დამკვიდრებას შეუწყოს ხელი.

ჩავატარეთ კვლევა. გამოკითხვა ჩატარდა ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტში. ამ სასწავლო დაწესებულებაში სწავლობს ბევრი სხვადასხვა ეროვნების სტუდენტი. არიან თურქები, ნიგერიელები, რუსები. ძალიან საინტერესოა კვლევის შედეგები. კითხვა იყო:

რას მოსაზრება გაქვთ იმის თაობაზე, რომ რელიგია ისწავლებოდეს როგორც საგანმანათლებლო საგანი. გამოვიკითხეთ 70 სტუდენტი.

გამოკითხულთა **80 %** - მა ჩათვალა, რომ უნდა ისწავლებოდეს.

20 % - მა კი უარი განაცხადა.

ჩემმა პედაგოგიურმა გამოცდილებამ ამ სპეციფიკური პროფესიის მქონე სტუდენტებთან, დამარწმუნა, რომ სასურველია რელიგიური აღზრდა, ოღონდ გარკვეული დოზით. რადგანაც ამ პროფესიის სტუდენტებს მთელი თავიანთი ცხოვრების გატარება მოუწევთ სხვადასხვა ერისა და რელიგიის მიმდევრებთან ერთად. მათ უნდა ჩამოუყალიბდეთ აღმსარებლობის, ტოლერანტობის, მოთმინების და მიტევების უნარი - ეს კი რელიგიის დახმარებით გაცილებით უფრო ადვილი მისაღწევი იქნება მათთვის.

ამასთან დაკავშირებით საინტერესო იქნება, თუ გავიზიარებთ სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილებებს და გადაწყვეტილებებს რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მსოფლიოს ხალხთა კულტურასა და რელიგიას.

XX საუკუნის დასაწყისში, გერმანიის მთავრობამ მიიღო ბრძანება რელიგიის გაკვეთილების გაუქმების შესახებ, რასაც მოყვა საზოგადოების პროტესტი და პედაგოგების დაპირისპირება პოლიტიკოსებთან. 1933 წლის 20 ივლისს გერმანულ სკოლებში განახლდა რელიგიის გაკვეთილები, რაშიც პაპ პიუსს (Pius) მიუძღვის წვლილი. ამ დროისათვის რელიგიის გაკვეთილები შემოიფარგლებოდა მხოლოდ მნიშვნელოვანი ბიბლიური ტექსტების, რამდენიმე ლოცვისა და შვიდი საიდუმლოს სწავლებით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანიის რესპუბლიკაში, გერმანიის ხელისუფლებამ სკოლებს რელიგიის გაკვეთილების ჩატარების საკითხში დამოუკიდებლობა მიანიჭა. დღეს ყველა სკოლაში სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. საჯარო სკოლებში მოსწავლეები, ასაკის მიუხედავად, თვითონ წყვეტენ, დაესწრონ თუ არა რელიგიის გაკვეთილებს. უმეტეს სკოლებში თოთხმეტ წლამდე ბავშვებს არ შეუძლიათ მშობლების დამოუკიდებლად უარი განაცხადონ რელიგიის გაკვეთილზე, ზოგიერთ სკოლაში კი ამის უფლება მოსწავლეებს მხოლოდ თვრამეტი წლის მერე ენიჭებათ.

გერმანიის მოქალაქეთა უმეტესობა თვლის, რომ ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს რწმენის თავისუფლება, აქედან გამომდინარე, ხელისუფლება ითვალისწინებს ხალხის მოთხოვნებს და მათ, ვისაც არ სურთ რელიგიის გაკვეთილებზე დასწრება, ასარჩევად სთავაზობენ ისეთ საგნებს, როგორებიცაა ეთიკა და ფილოსოფია.

რელიგიათმცოდნე, მეცნიერი და ფილოსოფიის დოქტორი დიანა ეკი (1945) აცხადებს, რომ ამერიკული საზოგადოებისათვის რელიგიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამერიკელები სწორედ თავიანთი რელიგიურობით და ღმერთის რწმენით უმკლავდებიან სტრესს, ყოველდღიურ პრობლემებს, დაძაბულობას, უგულვებელყოფენ სიძულვილს და ახალი ურთიერთობების იმედითა და ნათელი მომავლის რწმენით იმსჭვალებიან. ის ამბობს: „პატივი ვცეთ ყველა რელიგიურ

ტრადიციას, რაც გვაჩვენებს გზას მომავლისაკენ. თუმცა ქრისტიანები შეადგენენ უმრავლესობას და უნდა მოახერხონ ერის სულის ჩამოყალიბება“. (Eck 2002: 41).

ეკის აზრით, „ღმერთის აბსოლუტურობის და ადამიანის ბუნებასთან შესაბამისობის უცილობელი მტკიცებულებაა ის, რომ მსოფლიოში ყველაზე განათლებულ და თავისუფალ ერში რელიგიის როლი დღითიდღე მკვეთრად იზრდება’’(Eck 2002: 43).

ინტერნეტწყაროებით მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, ამერიკული ნორმის მნიშვნელოვანი მხარეა რელიგიური ორგანიზაციების რეალური თანასწორობა. ამიტომაც ამერიკაში, სახელმწიფოს მხრიდან არცერთ რელიგიურ ორგანიზაციას პრივილეგიები არა აქვს (სახელმწიფო არც ერთ რელიგიურ ორგანიზაციას არ უწევს არც პოლიტიკურ და არც ფინანსურ დახმარებას, და ამავე დროს, არც ხელს უშლის მათ საკუთარი მისიის განხორციელებაში http://www.politscience.ge/index13.html).

ნიუიორკის ერთი-ერთი სახელმწიფო სასწავლებლის (სახელწოდებით - „Cayuga Community College”) ერთ- ერთი საგამომცემლო ჟურნალის მოთხოვნათა ჩამონათვალში არის აღნიშვნა - Religious Holidays (რელიგიური დგესასწაულები), სადაც მითითებულია, რომ სტუდენტებს, რომლებიც, თავიანთი რელიგიური დღესასწაულების გამო, ვერ მოახერხებენ ლექციებზე დასწრებას, სამუშაოების შესრულებას, ან გამოცდების ჩაბარებას, გაცდენილი ყველა საათი ჩაეთვლებათ საპატიოდ და გაცდენილი კრედიტების ასანაზღაურებლად საფასურ არ გადაიხდიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქვთ გასაჩივრების უფლება და მათ ინტერესებს უმაღლესი სასამართლო დაიცავს. („Cayuga Community College” 1998-200: College Catalog).

საინტერესო იქნება, თუ გადავხედავთ XX საუკუნის ოცდაათიანი წლების ინგლისის გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, განათლების თეორეტიკოსის, მსოფლიოს მრავალი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის - რიჩარდ ლივინგსტონის (1880-1960) მოსაზრებებას, რომელიც აქტუალურია დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ თუ სოციალურ-კულტურულ ჭრილშიც. ლივინგსტონის შენიშვნა სოციალური ორგანიზაციის ძირითადი პრინციპებისა და ქრისტიანული ღირებულებების შეთავსების აუცილებლობის შესახებ, უპირველეს

ყოვლისა, საყურადღებოა პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწეობისათვის, მაგრამ ის არანაკლებ მნიშვნელოვანია განათლებისთვისაც. სოციალურ-პოლიტიკური იდეალების გვერდის ავლით სკოლა ვერ შეძლებს, შეასრულოს აღმზრდელობითი ფუნქცია. ლივინგსტონი წერდა, რომ იდეალები „წარმოადგენს ქმედების უდიდეს წყაროს, წარმოშობს რელიგიურ დინებებს, ახდენს ან ხელს უწყობს რევოლუციებს და შთააგონებს უდიდეს მოაზროვნეებს“. ამგვარად, ევროპული მოაზროვნის თვალთახედვით, სასულიერო განათლება წარმოადგენს არა მხოლოდ ზნეობრივ, არამედ ზნეობრივ - იდეოლოგიურ განათლებასაც, რომელიც აყალიბებს თანამედროვე ადამიანის ცხოვრების ფილოსოფიას. (ლივინგსტონი 1945: 135).

ლივინგსტონის აზრით, განათლება სამგანზომილებიანი ერთობაა, რომელსაც, პროფესიულისა და პირადულის გარდა, აქვს კიდევ ერთი მხარე - მოქალაქის აღზრდა. ადამიანებმა, - წერდა იგი, - უნდა ისწავლონ საკუთარი არსებობის უზრუნველყოფა, მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი სხეულის, გონებისა და ხასიათის სრულყოფილად განვითარების შანსი; მაგრამ, თუ განათლების ამ ასპექტებს გადავაჭარბებთ, ადამიანები შეიძლება გახდნენ ეგოისტურები, გულგრილები. განათლების პროფესიული და პიროვნული მხარეები სახიფათოდ ნაკლოვანია იმ დისციპლინის გარეშე, რომელიც მიუთითებს ადამიანებს საკუთარ როლზე სახელმწიფოში და უღვივებთ მათ ამ განცდას. (ლივინგსტონი 1945: 139).

ბოლოს გვსურს მიმოვიხილოთ ინგლისის სკოლაც, რომელიც მიისწრაფვის, აღზარდოს აქტიური სამოქალაქო პოზიციის მქონე დემოკრატები და არ იფარგლება რელიგიურ-ზნეობრივი განათლებით. 1931 წელს, დიდი ბრიტანეთის განათლების სამინისტრომ წამოჭრა საკითხი მოსწავლეთა საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებით აღზრდის შესახებ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ის აზრი, რომ თითოეული ინგლისელი არის არა მხოლოდ ბრიტანეთის, არამედ ევროპისა და მთელი მსოფლიოს მოქალაქე, მეტი დაბეჯითებით ინერგებოდა ახალგაზრდების ცნობიერებაში.

ბრიტანეთის სკოლის სასწავლო გეგმა არ არის გადატვირთული საგნებით, რომელებსაც ზნეობრივ - იდეოლოგიურ დატვირთვა აქვს. რელიგიის გაკვეთილები, რომლებსაც მოსწავლეთა ნაწილი არც ესწრება, ინგლისურ სკოლებში აღმზრდელობითი მიზნის მატარებელ ფაქტორად რჩება, მაგრამ ეს ხელს არ უშლის

ბრიტანულ სკოლას, იყოს მოსწავლეების სამოქალაქო აღზრდის ნიმუში. ის მიიღწევა ჩვეულებრივი სასწავლო საგნების სწავლების პროცესში. ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჰუმანიტარული საგნებს. თანამედროვე ინგლისურ პედაგოგიკაში წარმატებული განათლების საზომია არა იმ ცოდნის მოცულობა, რომლითაც ტოვებს მოსწავლე სკოლას, არამედ ის, თუ რამდენად ეხმერება სკოლა მოსწავლეს, იპოვოს საყრდენი წერტილი ამ სამყაროში.

თანამედროვე განათლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაა, ხოლო მოქალაქე, რელიგიური ქადაგების მიხედვით, ჰქვია მას, ვინც ფლობს უდიდესს საკუთრებას: სიცოცხლეს, მის მნიშვნელობასა და პასუხისმგებლობას. მოქალაქეობა გულისხმობს სულიერ ცხოვრებას, ბრძოლას საკუთარ თავთან, საკუთარ წრესთან და სიბნელესთან, იმ აზრებისა და პრინციპების განხორციელებისათვის, რომელიც მას აღელვებს. ეს კი მოითხოვს შეგნებას, პატიოსნებას, აზროვნებას, ფიქრს, მხნეობას, წინდახედულობას, განათლებას, სხვისი აზრების გაზიარებას, ადამიანში ადამიანის ძებნას და დაფასებას. მხოლოდ რელიგიურ რწმენასთან ნაზიარებ განათლებას შეუძლია, განაწყოს ადამიანი დროსა და სივრცესთან საბრძოლველად აგრესიის გარეშე.

§ 5. პიროვნული აღზრდის ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები

პროსოციალური ქცევა (სოციუმისკენ, საზოგადოებისკენ მიმართული, მის მიმართ დადებითად განწყობილი, საზოგადოებისთვის მისაღები ქცევა, (პრო+სოციუმ)) შეუძლებელია დეცენტრაციის გარეშე, ამიტომ იგი ზნეობრიობის საწყისია, მაგრამ მცდარია მასზე დაყვანა ზნეობრიობისა. ზნეობრიობის უმაღლესი დონე პიროვნულია. აღზრდის საბოლოო მიზანიც, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის მიხედვით, ისაა, რომ ბავშვი თვითმყოფად, თავისუფალ პიროვნებად გაიზარდოს: “განათლება გამიზნული უნდა იყოს ბავშვის პიროვნების, მისი ნიჭის, გონებრივ

და ფიზიკურ შესაძლებლობათა მაქსიმალურად განვითარებისკენ“, - ვკითხულობთ "ბავშვის უფლებათა საერთაშორისო კონვენციაში" (მუხლი 29).

მაგრამ ყველაზე ძნელი სწორედ პიროვნების აღზრდაა. ყოველ ეპოქას უზომოდ სურს ყავდეს დიდი, განსხვავებული პიროვნებები, რადგან მათშია მომავალი... მაინც ვინ არის პიროვნება? რა არის პიროვნების მახასიათებლები? ამ საკითხების გარკვევის გარეშე შეუძლებელია ვისაუბროთ პიროვნულ აღზრდაზე.

პიროვნება, ძლიერი თვითცნობიერების მქონე ადამიანი, სუბიექტი, რომელსაც აქვს პირადი შეგნება და მრწამსი, ნებელობა (გამოკვეთილი, განვითარებული და არა ჩანასახოვანი თუ წუთიერი) და შესაბამისად, პასუხისმგებლობის შეგნებაც. პიროვნების არსებითი თვისებაა ინდივიდუალიზმი (რომელიც ზოგჯერ ეგოისტურია, ზოგჯერ პირიქით). ამას კარგად გვიჩვენებს ამ ცნების უკრაინული შესატყვისი - особист, შდრ. особый. ამიტომ ეს ცნება უპირისპირდება პერსონას (ლათ. *ნიღაბი*), პირს, სოციალურ როლს.

პიროვნება უპირატესად საკუთარი მრწამსითა და შეგნებით მოქმედებს და არა წუთიერი გრძნობებითა ან ხალხის გავლენით.

შეგნება ადამიანის გაცნობიერებულ, გააზრებულ შეხედულებათა და დამოკიდებულებათა თანწყობაა, რომელიც მოიცავს უმნიშვნელოვანეს საკითხებს: ზნეობას, ახლობლებთან თუ სხვებთან ურთიერთობას, სამართლიანობას, საქმისადმი დამოკიდებულებას, სექსისადმი დამოკიდებულებას, მთავარი საზოგადოებრივი თუ პირადული ფასეულობებისადმი დამოკიდებულებას, ოჯახის, ერისა და ეროვნული კულტურის, საკუთარი თავისადმი დამოკიდებულებას... მრწამსი არის შეგნების ბირთვი, რომელიც ყველაზე ძირეულ საკითხებს მოიცავს: შეხედულებას სამყაროსა და სიცოცხლის შესახებ, ღმერთის, სიკეთისა და სიბოროტის, ცხოვრების საზრისისა და მიზნის შესახებ. მრწამსი შეიძლება იყოს კანონიკურ - რელიგიური, ან თავისუფალ-ფილოსოფიურ-რელიგიური, ან ათეისტური და სხვა. ყოველ ზრდასრულ და ჩამოყალიბებულ ადამიანს აქვს მოთხოვნილება, ჩანასახოვან მდგომარეობაში მაინც. სხვა საკითხია, რომ მხოლოდ მაღალგანვითარებული პიროვნება მოქმედებს უპირატესად შინაგანი მოთხოვნილებითა და შეგნებით და არა ვითარებისა და საზოგადოების გავლენით. (იხ. კონფორმიზმი ქვევით).

კოლბერგის თეორიის განხილვისას ჩვენ ვისაუბრეთ ე.წ. “შეთანხმებით

ზნეობაზე და აღვნიშნეთ, რომ შეთანხმებითი ზნეობა მრავალგვარი შეიძლება იყოს, მაგ., ადევს თუ არა ტაბუ ღორის ხორცის ჭამას ან ორშაბათობით დასაფლავებას; შეიძლება თუ არა, რომ მამაკაცს რამდენიმე ცოლი ჰყავდეს და ა. შ..

მაგრამ სხვადასხვა შეთანხმებითი ზნეობა მოიცავს ერთსა და იმავე არაშეთანხმებით, საყოველთაო, უნივერსალურ, მარადიულ ბირთვს, რომელიც ერთადერთია და რომელიც ადამიანის სულშია ჩანერგილი. მაგ.: "არა კაც კლა", "არა იპარო"; ანდა ქალისა და მამაკაცის, ზოგადად ქალური და ვაჟური საწყისების დაპირისპირება და დიალექტიკური წონასწორობა, ვითარც სიცოცხლისა და განვითარების უზოგადესი საფუძველი; ანდა შინაგანად თანდაყოლილი სამართლიანობის განცდის ის საფუძველი, რომელიც ბავშვს თავისთავად უვითარდება (თუკი არ ჩაუხშეს და არ გაუმრუდეს).

ზნეობრივი განვითარების უმაღლეს დონეზე სწორედ ეს ჰუმანისტური ეთიკის მარადიული ბირთვი ხდება პიროვნების შინაგანი მრწამსი და მოწოდება, მიუხედავად ყოველგვარი შეთანხმებითი ზნეობისა, მოდისა და ხალხის აზრისა.

შეთანხმებითი ზნეობა პიროვნებისთვის გარეგანია, მას უპირისპირდება ში-ნაგანი ზნეობა, დაფუძნებული საკუთარ მრწამსზე და საკუთარ (თუნდაც მცდარ და უკეთურ) პრინციპებზე.

პიროვნებას, მიუხედავად მისი ზნეობრიობისა, გაბედულება ახასიათებს, მას მკვეთრი გადაწყვეტილების მიღების და არც ამის თანამდევი პასუხისმგებლობის არ ეშინია (ამის მაჩვენებელია მაგ., მასწავლებელს აქვს თუ არა იმის უნარი და გაბედულება, რომ აირჩიოს არა ის სახელმძღვანელო, რომელსაც უმრავლესობა ირჩევს, არამედ საკუთარი პრინციპებით შეფასებულ-შერჩეული).

პიროვნება მხოლოდ კი არ ერგება გარემოს, არამედ ცდილობს, მეტ-ნაკლებად გარემოც მოირგოს, ის აქტიურად ზემოქმედებს გარემოზე მისი გარდაქმნის მიზნით.

“ადამიანის ქცევის მოტივაციაზე დროის რაც უფრო ფართო შუალედის (თვე, წელი, საუკუნე ...) და ფართო საზოგადოების ფარგლები ახდენს გავლენას, რაც უფრო შორეული მიზნებისთვის მოქმედებს ადამიანი, (ზრუნავს მომავალზე, იჯახზე, სამშობლოზე...) მით უფრო ძლიერია ის, როგორც პიროვნება. და პირიქით, რაც უფრო ხანმოკლეა ადამიანის ცნობიერებისა და ქცევის თვალსაწიერი, მით უფრო სუსტი პიროვნებაა ის, (მაგ. ლოთი ან ნარკომანი, რომელიც მხოლოდ წუთიერი იმპულსებით

იმართება, პიროვნულად ცხოველის დონეზეა). ვისაც "დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს ურჩევნია", ის პიროვნულად განუვითარებელია. ხოლო მაღალგანვითარებული პიროვნება ისაა, ვინც იმ ხეჭეჭურს რგავს, რომელსაც თვითონ ვერც მოესწრება; ვინც საშვილიშვილო საქმეს აკეთებს (ბრწყინვალეა თვით ქართული სიტყვა "საშვილიშვილო"). ვინც ყოველდღიურ წვრილმანებზე, ხალხის ფუსფუსსა და მითქმა-მოთქმაზე მაღლდება და მომავალზე გამიზნულ ძალისხმევას ეწევა, ის უმაღლესი ნებელობის მქონეა. მაღალგანვითარებული პიროვნება თითქმის ყოველდღიურად ფიქრობს შორეულ მომავალზეც და შორეულ წარსულზეც და, რაც მთავარია, ეს არაა ფარატინა ფიქრები, არამედ ქცევაზეც ახდენს მეტ-ნაკლებ გავლენას. პიროვნება ცხოვრობს არა მარტო აწმყოში, და არა მარტო უახლოესი წარსულის ინსტინქტურ ზემოქმედებას განიცდის, არამედ მართლა ცხოვრობს შორეულ წარსულშიც და შორეულ მომავალშიც” (ზ. ვახანია 2012: 6).

როგორც აღვნიშნეთ, სკოლისა და ზოგადად აღზრდის ერთ-ერთი მიზანი თითოეული ბავშვის პიროვნების განვითარებაა. ეს ბავშვის მეობის გაძლიერებასაც მოიცავს და, საბოლოო ჯამში, ადამიანის მიერ საკუთარი თავის აღმოჩენას უკავშირდება.

თავმოყვარე ადამიანს საკუთარი ღირსების შეგნება აქვს; არ იკადრებს უღირს საქციელს, არც სხვას ააგდებინებს თავს აბუჩად და არც თავს დააჩაგვრინებს (თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერზე უპასუხებს და სამაგიეროს გადაუხდის); ანუ თვითშეფასება აქვს მაღალი და ცდილობს მის შენარჩუნებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეტისმეტად მაღალი თვითშეფასება უაზრობასა და სიმახინჯეში გადადის; ისევე როგორც მეტისმეტი თავმოყვარეობა. გადაჭარბებულად თავმოყვარე ადამიანს პატარა, უმნიშვნელო რამეც სწყინს; მეტისმეტად მგრძნობიარეა ყველაფერ იმის მიმართ რაც პირადად მას შეეხება, ხოლო სხვა ყველაფერი მისთვის უმნიშვნელოა - ეს კი უკვე ეგოიზმია.

პიროვნული განვითარების ხერხემალია ნებისყოფა. რაგინდ მაღალზნეობრივი უნდა იყოს ადამიანი, თუ ნებისყოფა არა აქვს სათანადოდ განვითარებული, ვერ ვიტყვით, რომ იგი პიროვნებაა.

ცნება „ნებისყოფა“ პირდაპირ კავშირშია ცნებასთან „ნებელობა“.

ნებელობა, ადამიანის უმაღლესი დონის ნიშნეული გამოვლინება, რომელიც

არის არა თვისება, არამედ ქცევაში განხორციელებული გამოვლინება ნებელობითი თვისებებისა. ნებისყოფის ,,უმაღლესი დონის" შინაარსი ისაა, რომ იგი ყველაზე გვიანაა ჩამოყალიბებული როგორც ფილოგენეზის, ისე ონტოგენეზის თვალსაზრისით, იგი ადამიანურობის ყველაზე გვიანდელი და მახასიათებელია. მის გარეშე კაცი ვერ კაცობს (ილია: „კაცია ადამიანი“?), ანუ განსწავლული და თუნდაც ღრმად მოაზროვნე ადამიანი არ არის პიროვნება.

ნებელობითი თვისებებია: თვითფლობა და თავშეკავების უნარი, მოთმინება, ყურადღების მოკრების უნარი, შეუპოვრობა, სიბეჯითე, მიზანსწრაფულობა, სულიერი სიმტკიცე, დამოუკიდებლობა. ყველა ამ თვისების გამაერთიანებელი კრებითი თვისებაა ნებისყოფა - ცნობიერების უნარი, რომლის საშუალებითაც ადამიანს შეუძლია უკუგავლენა მოახდინოს განწყობაზე, ჩამოაყალიბოს იგი. ესე იგი, ნებისყოფამ უნდა მოთოკოს იმწუთიერი სურვილები და მავნე ჩვევები („რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“, რუსთაველი) და დასახული, მეტ-ნაკლებად შორეული მიზნისკენ ატაროს ადამიანი. არც ერთი ქცევა არ ხორციელდება სათანადო განწყობის გარეშე. განწყობა კი არაცნობიერია. მაგრამ მაშინ როგორღა ხდება შესაძლებელი, რომ ადამიანმა გონებით წარმართოს თავისი ქცევა? სწორედ ესაა ნებისყოფის არსი: ნებისყოფა - ესაა ადამიანის ცნობიერების მიერ განწყობის განპირობებისა და მართვის უნარი, ანუ ადამიანის თვისება, საჭირო, აუცილებლობით განსაზღვრული მიმართულებით წარმართოს საკუთარი განწყობა და თავად შეიქმნას ქცევის მოტივაცია.

იმპულსურ-ინსტინქტურ დონეზე ნებისყოფის ცნება აზრსაა მიკლებული. იგი მხოლოდ გაცნობიერებული ქცევის პირობებში იჩენს თავს.

ამრიგად, ნებისყოფა არის პოტენცია (უნარი, თვისება), რომელიც ვლინდება აქტუალურად, ნებელობის სახით, უფრო ზუსტად კი, შორეულ მიზანზე მიმართული ნებელობითი ქცევის სახით. სწორედ შორეული მოტივაცია (ანუ გადავადებული დაკმაყოფილება) არის ნებისყოფისა და, შესაბამისად, პიროვნული განვითარების მთავარი საზომი. სწორედ ამიტომ ნებისყოფა და მისი აღზრდა ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია პედაგოგიკაში, რაც ძველი დროიდანვე იცოდნენ (მაგ. "სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების!" დ. გურამიშვილი). არ არსებობს და ვერც იარსებებს ისეთი მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება

ყველაფრის სწავლება სახალისოდ, რათა სწავლება მხოლოდ მოსწავლის ინტერესს დაემყაროს. ესე იგი, ნებისყოფა, ერთი მხრივ, აუცილებელია იმისთვის, რათა მოსწავ-ლემ ნამდვილი აქტიური ცოდნა შეიძინოს. მეორე მხრივ, ნებისყოფის აღზრდა თავისთავად არის ზოგადი განათლების ერთ-ერთი მიზანი, რადგან, მის გარეშე, ზრდასრული ადამიანი ვერ იქნება ვერც სრულფასოვანი პიროვნება და ვერც საზოგადოების სრულფასოვანი წევრი.

ნებისყოფის აღზრდის მთავარი მეთოდი, ისევე როგორც საზოგადოდ აღზრდისა, ესაა თანდათანობითობა, ზომიერება და პირადი მაგალითი. ბავშვი აუცილებლად უნდა მიეჩვიოს ასაკის შესაბამის სიძნელეთა დამოუკიდებლად გადალახვას, უსიამოვნებათა ატანასაც და თავშეკავებასაც. მაგრამ, თუკი ეს პროცესი ზედმეტად ინტენსიური იქნება, მაშინ ის უკუქმედებას გამოიწვევს (ყოველ შემთხვევაში, მეორე გარდატეხის ასაკში მაინც). ბავშვი უნდა მიეჩვიოს იმას, რომ, ზომიერი დაძაბვისა და თავშეკავების ფასად, სასიამოვნო შედეგი დგება. ამიტომ, არაფრით არ შეიძლება ბავშვის ნამუშევრის (მაგ. საშინაო დავალების) უყურადღებოდ დატოვება ან გაქილიკება. სამართლიანი გაკრიტიკება - დასაშვებია, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია - უგულებელყოფა ან დამცირება. რაკი ბავშვს, ბუნებრივად, სუსტი ნებისყოფა აქვს, ამიტომ საჭიროა, რომ შეგნებული მოტივაცია მას გვერდით მყოფმა უფროსმა გააძლიეროს. საამისოდ საუკეთესო საშუალებაა უფროსთან ერთად რაიმეს კეთება, განსაკუთრებით კი შრომა. შრომას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბებისთვის. ამასთან, აუცილებელია ზომიერების დაცვა. დაუშვებელია ბავშვისთვის ძნელი და მძიმე საქმის დავალება, ან ისეთი რამის დავალება, რის მაგალითსაც თვითონ უფროსები არ იძლევიან. ბავშვს მოტივაციის განმტკიცება ხშირად სჭირდება და უფროსი ამას გაგებითა და მოთმინებით უნდა მოეკიდოს.

მეცნიერთა აზრით, ნებისყოფის აღზრდა 3-5 წლის ასაკიდან უნდა დაიწყოს, პირველი ჟინიანობის დაძლევისას (იხ. სამი მთავარი გარდატეხა ადამიანის ცხოვრებაში). სკოლაში ეს ბუნებრივად გრძელდება - მოსწავლე ხომ მეცადინეობას უნდა მიეჩვიოს. დაწყებით კლასებში ეს თავისთავად ხდება, ერთადერთი საფრთხეა ბავშვისთვის ზედმეტად ძნელი და ზედმეტად ბევრი დავალების დაკისრება, რაც გულაცრუებას იწვევს. აქვე უნდა ითქვას, რომ დაწყებით კლასებში ნებისყოფის

საკითხი არაა არსებითი, რადგან ამ ასაკის ბავშვი ბუნებრივადაა თვინიერი და ბეჯითად მეცადინეობას ცდილობს, თუკი სნეულების, ოჯახისა ან სკოლის გამო არ არის დათრგუნული.

გარდატეხის ასაკში ნებისმიერი მოზარდის ბუნებრივი მოთხოვნილებაა თანატოლებში აღიარება და თვითდამკვიდრება. ეს მოთხოვნილება უნდა იქნეს გამოყენებული ნებისყოფის აღსაზრდელად. საამისოდ, საჭიროა, სკოლაში შექმნილი იყოს ჯანსაღი კონკურენციით მოტივირებული გარემო და სისტემატიურად ხდებოდეს სწავლასა და ყოფაქცევაში გამორჩეული მოსწავლეების წახალისება (შექება, კონკურსებში გამარჯვება და სხვა). მთავარი კი მასწავლებელთა სათანადო დამოკიდებულებაა: მოსწავლეები უნდა გრძნობდნენ, რომ მასწავლებლები უპირველეს ინტერესს საქმისადმი, სწავლა-განათლებასა და ზნეობისადმი იჩენენ.

ცნობილია, რომ ნებისყოფას სასტიკად აჩლუნგებს კომპიუტერომანია. ეკრანი საშინელი მტერია როგორც ლოგიკურ-ცნებითი აზროვნებისა, ისე ნებისყოფისა. საჭიროა დაბალანსებული მიდგომა, სიმკაცრისა და დათმობის დაბალანსებით. ბავშვის ნებელობითი ქცევების გამუდმებული წახალისება (შექებით, ღიმილით, მოფერებით, ზოგჯერ დასაჩუქრებით) აუცილებელია. ბავშვი მასწავლებლისაგან სიყვარულს, ყურადღებას და სამართლიან დამოკიდებულებას უნდა გრძნობდეს. კარგი ანდაზაა: ბავშვი რომ გაგაბრაზებს, საკუთარი ბავშვობა გაიხსენეო.

გონება და ნებისყოფა, ესაა სწავლის ორი მთავარი საყრდენი და მამოძრავებელი. მაგრამ რატომღაც საქართველოში ნებისყოფის აღზრდას ყურადღებას არ აქცევენ. ამიტომაც ჩვენს ქვეყანაში ე. წ. "ძალიან ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი" ადამიანები ბლომად არიან. არადა, წინათ ქართველი კაცი, გამორჩეულად შრომისმოყვარე იყო (ამას ამტკიცებს ქვაში ნაკვეთი ჩუქურთმები, უმაღლეს დონეზე განვითარებული მეღვინეობა და ათასობით ხელნაწერი).

ზარმაცი, გარკვეულწილად უნიჭოც არის, რადგან მას არ შეუძლია თავისი შესაძლებლობების განვითარება. ცხადია, არც სიზარმაცე და არც გონებრივი სისუსტე ბავშვის ბრალი არაა (თანდაყოლილი მონაცემებისა თუ არაჯანსაღი აღზრდის ბრალია). მაგრამ არ შეიძლება, ზარმაცს, რომელსაც, მეტ-ნაკლებად სერიოზული ერთი საქმის წესიერად გაკეთებაც კი არ ძალუძს, უმაღლესი შეფასებები ჰქონდეს (საბჭოთა სკოლის ერთ-ერთი დიდი ნაკლი სწორედ ეს იყო და

ამჟამადაც თითქმის ასეა). ზარმაცი მხოლოდ ზერელე ინფორმაციული ცოდნითა და გონების სისხარტის იმედით გადის ფონს, ზოგჯერ გარკვეულ წარმატებასაც აღწევს, რის გამოც საკუთარ თავზე გაზვიადებული წარმოდგენა ექმნება. ადრე თუ გვიან კი ის რეალობას ეჯახება და საკუთრ თავზე შექმნილი წარმოდგენაც ეცვლება, ხშირად ამის გამო ადამიანი შურიანი და ღვარძლიანი ხდება.

ბავშვს უამრავი ისეთი დადებითი თვისება აქვს, რომლის ყველა ასაკში შენარჩუნებაც გააკეთილშობილებს ადამიანს: ცნობისმოყვარეობა, უშუალობა, შემოქმედებითობა, სილაღე, მაგრამ სხვა ბავშვური თვისებების შენარჩუნება პიროვნული ზრდის დაუსრულებლობას განაპირობებს. ეს ვლინდება, უპირველესად, ეგოიზმში; შემდეგ: უპასუხისმგებლობაში, უნებისყოფობაში, სიზარმაცეში, თავშეუკავებლობაში, შეუგნებლობაში, ანუ იმ თვისებათა განუვითარებლობაში, რომლებიც ყველაზე არსებითია პიროვნულობისთვის. შეუმდგარი ადამიანი მიჯაჭვულია "აქ და ამჟამად" კონკრეტულ ვითარებაზე, მომავალის, შორეულ ვითარებათა და აბსტრაქტულ ცნებათა გააზრება მასზე ვერ ახდენს ქმედით გავლენას; მას უჭირს საქმის ბოლომდე მიყვანა, უჭირს საკუთარი სურვილების მოთოკვა...

ბავშვისთვის ეს ყველაფერი ბუნებრივია, მაგრამ 25-30 წლის ადამიანისთვის ეს უკვე ფსიქოლოგიური დისფუნქციის ნაირსახეობაა. ზოგი ადამიანი 40 წლისაა, მაგრამ მისი "გრძნობების (ან ნებელობის) განვითარების წლოვანება" შეიძლება მხოლოდ 5-6 წელი იყოს. ასეთ დროს ადამიანი ვერ მართავს უაზრო და უსაფუძვლო მძვინვარებას, რომელიც უეცრად წამოუვლის ხოლმე, ისე როგორც პატარა ბავშვს წამოუვლის ხოლმე უაზრო ჭირვეულობა. მაგალითისათვის, ე. ფრომმა შეაფასა გერმანიის ხელისუფლების სათავეში მყოფი ჰიტლერის წლოვანება: "გრძნობების განვითარების", შრომისუნარისა და ეგოიზმის ძლევის მიხედვით მისი წლოვანება დაახლოებით 6-7 წელი ყოფილა.

ნებისყოფის მეორეული სისუსტის ანუ განუვითარებლობის ტიპური მიზეზია უნდილობა, მომწიფებაში ჩამორჩენა, სქესობრივი გარდატეხის ასაკის გაჭიანურება, რაც, უფრო ხშირად, ვაჟებს ემართებათ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამის მიზეზებია (თანდაყოლილთა გარდა): ოჯახის ზედმეტი მეურვეობა და ბავშვის დამოუკიდებლობის შეზღუდვა, ან, პირიქით, არასაკმარისი ყურადღება და სითბო,

დედასთან სიახლოვის ნაკლებობა; ,,ქუჩური ცხოვრების'' უარყოფითი გავლენა; ტელევიზიითა ან კომპიუტერით გატაცება.

სუსტი ნებისყოფის მქონეებს ახასიათებთ ტიპური დადებითი თვისებებიც, საკმაოდ ხშირად, თუმცა არა ყოველთვის: ალტრუიზმი, სიქველე, მზადყოფნა სხვის დასახმარელად (თანატოლის, მოხუცის, სუსტის, ცხოველისა...), ამ ფსიქოტიპის ადამიანებს არ უყვართ ჩხუბის ყურება, ისინი ჩხუბში ერევიან და სუსტის მხარეს იჭერენ, ხშირად, ამის გამო, უსიამოვნებაში ეხვევიან. აქვთ კარგი გონებრივი შესაძლებლობანი (სისხარტე, სწრაფი ათვისების უნარი, როცა არაა აუცილებელი ჩაღრმავება და მონოტონური შრომა).

შედეგები, მეორეული სიმპტომები:

1) დაბრკოლებები სწავლის პროცესში; პირველ ეტაპზე - სიძნელეები წერა-კითხვაში (ტექსტების დასაძლევად ხომ აუცილებელია მოთმინება, ყურადღების მოკრება, თანმიმდევრულობა); თუმცა სწავლაში პრობლემები შეიძლება ნაწილობრივ კომპენსირებულ იქნეს კარგი გონებრივი შესაძლებლობების წყალობით.

2) დაბალი თვითშეფასება, არასრულფასოვნების გრძნობა (შესაძლოა, გაუცნობიერებელი ან ჰიპერკომპენსირებული).

3) საზოგადოებისთვის, გარემოცვისთვის მიუღებელი ქცევა.

4) ხალხმრავალ გარემოსთან ძნელად შეგუება, თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობათა სიძნელენი.

5) ზოგჯერ: გართობის მეტისმეტი მოთხოვნილება.

ცნობილია, რომ სუსტი ნებისყოფის მქონეთა წილია აშშ-ში დაახლოებით 3-5%, გერმანიაში 6-10%, ხოლო საქართველოში - ბევრად მეტი. თუმცა, პროცენტები საკმაოდ პირობითია, რადგანაც ჭირს სუსტი ნებისყოფის მქონეთა მკვეთრი გამიჯვნა დანარჩენთაგან, თანაც მათი გამოვლენა დამოკიდებულია გარემოზე (მაგ., წინათ სუსტი ნებისყოფის მქონეთ თრგუნავდნენ სხვადასხვა მედიკამენტებით და ისინი ნაკლებად ჩანდნენ, ამჟამად კი უფრო თვალშისაცემნი არიან).

კონფორმიზმი (კონ+ფორმ), ესაა ადამიანის თვისება, მოერგოს საზოგადოებას იქონიოს ისეთი შეხედულებანი და მოიქცეს ისე, როგორც უმრავლესობა. ოღონდ ეს უმრავლესობა არის არა ყველა ადამიანთა უმრავლესობა, არამედ საზოგადოების ის ფენა თუ ჯგუფია, რომელსაც ადამიანი მიაკუთვნებს თავს, განსაკუთრებით კი ამ

ფენის ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენლები. ეს ფენა შეიძლება იყოს, მაგ.: სანათესაო, კოლეგები, დიდი ორგანიზაციის თანამშრომლები, მრევლი (ეს ჯგუფები ცალ-ცალკე ან ერთად), ხოლო სქესობრივი მომწიფების ასაკში, თანატოლთა და ცოტათი უფროსთა დაჯგუფებანი.

კონფორმიზმის გამოვლინებაა აგრეთვე უცხოური ენა-კულტურის პრესტიჟულობის კულტივირება და უცხოურის თაყვანისცემა. თვით ამ სიტყვის ეტომოლოგია ბევრზე მეტყველებს:

პრესტიჟი ლათ. პრაესტიგ *"წინ შეკვრა"* (*შეცვლა, მოჩვენებითობა, ხრიკი, მოტყუება, თვალებში ნაცრის შეყრა* (ფრანგ. პრესტიგე *ზეგავლენის მოხდენის უნარი, ავტორიტეტი, სახელი (ხალხში)* შდრ. იმიჯი. პრესტიჟულია ის, რაც ხალხის თვალშია დაფასებული, რასაც ბრბო შენატრის.

კონფორმიზმს უპირისპირდება ნონკონფორმიზმი - ძლიერი ინდივიდუალიზმი, იგივე მეთავისეობა (იხ. ზევით).

ინდივიდუალიზმის წახალისება პირველი გარდატეხის ასაკში იწყება, ბავშვის გაგებით და მისთვის საკმაო (თუმცა არა შეუზღუდავი) თავისუფლების მინიჭებით.

მაშასადამე, პიროვნულობის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დაწყებითი სკოლის ასაკს. სწორედ ამ ასაკში უნდა ჩაინერგოს ბავშვში ის უმთავრესი დადებითი თვისებები, რომელებიც მის პიროვნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. მოზარდობის ასაკში ბავშვი თანატოლებსა და მათ შორის აღიარებულ ,,ავტორიტეტებს" ბაძავს. ჩვენ ამ მისწრაფებას უნდა დავუპირისპირდებით, რადგან ბავშვის ლაბილური ფსიქიკის ჩამოყალიბებას არ შევუწყოთ ხელი. ამ ასაკის მოზარდთან უერთიერთობის დროს მოთმინება და წონასწორობის დაცვა გვმართებს. ბავშვი ჯანსაღად უნდა აღიზარდა. ახალგაზრდა რომელიც სწორად არის აღზრდილი, სწორი ფასეულობები უყალიბდება და ის მომწიფებისა და პიროვნებად ჩამოყალიბების შემდეგ არ ექცევა ცუდი ზეგავლენის ქვეშ. ასეთ პიროვნებას ნაკლებად აწუხებს თავსმოხვეული სისულელეები, ის ლაღი და თავისუფალია და ცხადია, თავს ბედნიერად გრძნობს (Маслоу 2008: 102).

ინდივიდუალურობის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია ლიტ.-ში, მაგ., ვაჟა-ფშაველა პოემებში (ვაჟა ზოგჯერ ხმარობს ტერმინს "სიკერპე"). "ალუდა ქეთელაური" და "სტუმარ-მასპინძელი" ნათლად გვიღწერს, თუ რაოდენ დიდი გაბედულება და

ვაჟკაცობა სჭირდება საზოგადოებასთან დაპირისპირებას, მისი გაკიცხვისა და გარიყ-ვის ატანას, საკუთარ თავთან მარტო დარჩენას და ამასთან, გონებისა და ზნეობის შენარჩუნებას.

არსებობს პიროვნულობის იერარქიულობა და "დაბალი-მაღალი დონე": ადამიანი, რომელიც სინამდვილეში არაა პიროვნება (რადგან ძალიან კონფორმულია და ვერ ახერხებს თავისუფალ ქცევებს), ცდილობს, თავისი ქცევები ისე წარმოაჩინოს, თითქოს ისინი თავისუფალი არჩევნით შესრულდა. რადგან იცის, რომ პიროვნებად ყოფნა ღირსების საქმეა, ამიტომაც სხვების წამხედურობას თაკილობს. ყველა ადამიანი ისწრაფვის გახდეს პიროვნება. თუმცა პიროვნებად ყოფნას დიდი ძალისხმევა სჭირდება და ამას ბევრი ვერ ახერხებს.

ამრიგად, აღზრდის საბოლოო მიზანი ისაა, რომ მოზარდი თვითმყოფად თავისუფალ პიროვნებად გაიზარდოს (და არა ხალხის ხმის მონად), პიროვნებად, რომელიც ჯანსაღია, წრფელია და, მაშასადამე, ბედნიერია.

ა. მასლოუს თანახმად, ახალგაზრდა ვერ იქნება უმაღლესი დონის პიროვნება. რადგან მას არა აქვს მყარი და ბრძნული მრწამსი (იხ. მრწამსი), რომელიც მხოლოდ დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეფუძნება (სხვებზე ზრუნვას, იმედგაცრუებას, მიღწევას, მარცხს, ტრაგედიას, ბედნიერებას...). ამიტომ მისი მრწამსი ან ზერელე და ყურმოკრულია, ან ილუზიური და მაქსიმალისტური. მოთმენა არ შეუძლია, არ ჰყოფნის გაბედულება დაუპირისპირდეს თანატოლებს, იყოს არამოდური და არაპოპულარული; უგულებელყოს სულელთა დაცინვა; ლაღად და დაუფარავად აკეთოს უანგარო სიკეთე. ჩატარდა ასეთი ექსპერიმენტი: ასი სტუდენტიდან თითოეულს უცნობმა ადამიანმა რაღაცის გაკეთება სთხოვა, ანაზღაურების გარეშე. სტუდენტების უმრავლესობამ უარი განაცხადა. ზოგი დათანხმდა, მაგრამ არ გააკეთა. ზოგმა გაკეთა, უანგაროდ, მაგრამ თანატოლებთან თქვა, რომ სარგებელი მიიღო, (ამ ახალგაზრდებმა უანგარო სიკეთე ითაკილეს, სულელად არ მიმიჩნიონო!) მხოლოდ რამდენიმემ ჩაიდინა სიკეთე, ხალისით და დაუფარავად (მასლოუ 2008: 102).

უმაღლესი ზნეობრივი შეგნების მქონე პიროვნებას ძალიან ბევრი უცნაურ და ახირებულ ადამიანად მიიჩნევს. პროსოციალურ ადამიანებს მისი გაგება და შეფასება ხშირად უჭირთ.

დაბალი დონის შეგნებისა და განვითარების ადამიანს, უმეტესწილად ნებისყოფაც სუსტი აქვს. ხოლო უმაღლესი, პოსტკონვენციური ანუ განვითარებული დონის პიროვნების ნებისყოფა ყოველთვის ძლიერია.

მაღალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება უსაზღვრო და ამოუწურავი პროცესია. რეალიზებული ადამიანი ჯანსაღია, მას არავისთან არაფერი აქვს გასაყოფი. ამიტომაცა ის ხალხის მიმართ კეთილმოსურნე.

მასლოუმ გამოჩენილ პიროვნებათა შორის გამოყო უმაღლეს მოთხოვნილებათა დონეზე მცხოვრები პიროვნებები: ლაო ძი, არისტოტელე, თომას მორი, სპინოზა, კანტი, გოეთე, ლევ ტოლსტოი, ალბერტ შვაიცერი, მაქს ვერტჰაიმერი, რუთ ბენედიქტი... (უკანასკნელი ორი მასლოუს მასწავლებლები იყვნენ და გადამწყვეტი გავლენა იქონეს მასლოუს თეორიის ჩამოყალიბებაზე). ქართველთა შორის ამგვარი პიროვნებები პროცენტულად უფრო მეტია, რადგან სიცოცხლის სიყვარული და გულწრფელობა ქართული ხასიათისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი თვისებაა. ასეთები იყვნენ: ფარნავაზი, გრიგოლ ხანძთელი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, სულხან-საბა, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი, გაბრიელ ქიქოძე, ილია, ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე და სხვა მრავალი.

პიროვნების შინაგანი შესაძლებლობანი ყველაზე სრულად თავისუფალი ქცევის დროს ვლინდება; პიროვნების ნამდვილი და უმაღლესი დონის ქცევა - შეგნებული თავისუფალი ქცევაა.

ადამიანის თავისუფალ ქცევას განაპირობებს შინაგანი სურვილები (ანუ ინდივიდუალური დისპოზიციური განწყობები) და არა გარე, იძულებითი; ადამიანს გაცნობიერებული აქვს და იცის, რას შვრება (თუნდაც არ იცოდეს, რამ აღძრა ეს ქცევა). თავისუფალ ქცევად არ ითვლება ისეთი ქცევა, რომელიც მხოლოდ გარეგნულად ჰგავს მას. მაგ., გალიიდან გაშვებული ჩიტის ფრენა, გონებადაბინდული გიჟის თავაშვებული ქცევა (თავისი მდგომარეობის გამო, გიჟი ვერ იქნება თავისუფალი). ცხოველისა თუ ადამიანის ასეთი ქცევის მართებული მსაზღვრელია არა თავისუფალი, არამედ ლაღი (ოღონდ გაუცნობიერებელი). ქართული სიტყვა "თავის - უფალი" კარგად გვიჩვენებს, რომ არსებითია სწორედ მეობა: ადამიანი თვითონ უნდა იყოს საკუთარი თავის უფალი ანუ ბატონ - პატრონი.

ადამიანს ხშირად აქვს ხოლმე შინაგანი გაორება. ამიტომაც ორი საპირისპირო ქცევიდან თავისუფალი ორივე შეიძლება იყოს. თავისუფალი ქცევის მიმდინარეობა ყოველთვის გაცნობიერებულია, ხოლო მისი საწყისი შეიძლება გაუცნობიერებელიც (იმპულსური) იყოს.

თუკი თავისუფალ ქცევას ახლავს პასუხისმგებლობის შეგნება (პიროვნული და არა ჯგუფური), მაშინ: "ჩემი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი," და თუკი ეს წესი დავარღვიე, მაშინ მე პასუხს ვაგებ. ხოლო თუკი თავისუფალ ქცევას პასუხისმგებლობა არ ახლავს, მაშინ ეს თავნება ქცევაა (უფრო მძაფრ შემთხვევაში თავხედური, უკიდურეს შემთხვევაში კი - მტარვალური).

პასუხისმგებლობა არის ადამიანის გააზრებული ცოდნა იმის, რომ მას ამა თუ იმ საქციელზე სხვა ადამიანთა წინაშე პსუხისგება მოუწევს. ადამიანის თვისებაა, იფიქროს საკუთარი ქცევების შედეგებზე და გაითვალისწინოს ისინი, კეთილსინდისიერად შეასრულოს მოვალეობანი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონ იქნება დამნაშავე (და არ სცადოს სხვებზე, ან გარემოებაზე გადაბრალება).

მასლოუს თანახმად, ადამიანების დიდი უმრავლესობა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე საკუთარი გულითა და გონებით კი არ აზროვნებს, არამედ ითვალისწინებს სხვების შეხედულებს, ძირითადად პრესტიჟის გამო. ასეთები რატომღაც „დინჯ და საღ მოაზროვნეებად“ მიაჩნიათ, თუმცა, ა. მაასლოუს აზრით, ეს მსუბუქი ფსიქოპათოლოგიაა, რომლის მიზეზია ნევროზული შფოთვა, დაუცველობა, ანდა გონების სიზარმაცე. ე. ფრომმა ამას უწოდა “გაქცევა თავისუფლებიდან“.

რაც უფრო მაღალგანვითარებულია პიროვნება (ნამდვილი "ელიტა"), მით უფრო მაღალი მოთხოვნილებანი აქვს მას, მით უფრო იტანს უკმაყოფილებლობას უფულობას, უპატივცემულობას, გარიყულობას, ზოგჯერ წამებასაც კი... და მით უფრო მაღალია მისი პასუხისმგებლობა. მრავალია ისეთი პიროვნება, რომელიც ქვედა დონეებზე დიდად არ ზრუნავს და მთელი ძალისხმევა მხოლოდ ზედა დონეებისკენ აქვს მიმართული, მაგ.: ბერი, მეცნიერი, ესთეტი, ხელოვანი, საზოგადო მოღვაწე, გმირი, შემოქმედი... უბრალო მთამსვლელიც ყველა დაბალი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უგულებელყოფს (მან ხომ წინასწარვე იცის, რომ მთაში საშინლად დაიღლება, შესცივდება, შეიძლება დაიღუპოს კიდეც). მაგრამ საქმე

ისაა, რომ ჯერ საჭიროა ამ მაღალგანვითარებული და ძლიერი პიროვნების დონის მიღწევა, საამისოდ კი საჭიროა ჯანსაღი აღზრდა, ანუ ძირეულ მოთხოვნილებათა კანონზომიერი დაკმაყოფილება: ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოება და დაცულობა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური სითბო, დედის (ან მისი შემცვლელი ერთი ქალის) სიახლოვე და ალერსი; აქტივობა, თვითდამკვიდრება და პიროვნებად აღიარება... ამის შემდეგ, როცა პიროვნება ძლიერი და ჩამოყალიბებულია, მას ხელეწიფება მისი "აღმზრდელი" ფსიქოლოგიური კანონზომიერების ადვილად უკუგდება, ანუ დაბალ მოთხოვნილებათა მეტ-ნაკლებად უგულებელყოფა და უმაღლეს მოთხოვნილებათა გულისთვის ცხოვრება.

ხდება პირიქითაც: ქვედა დონის მოთხოვნილებანი შეიძლება გაზვიადდეს და ადამიანის ტრანსცენდენტაციის მთავარ მიმართულებად იქცეს. ამ შემთხვევაში ადამიანის პიროვნული განვითარება, არსებითად, ჩერდება, მისი მაღალი მოთხოვნილებანი თითქმის აღარ ვითარდება (მაგ. ლუარსაბ თათქარიძეობა).

“აღზრდის მთავარი შინაარსი უნდა იყოს ბავშვის წრფელი ბუნების გახსნა და განვითარება და არა უფროსთათვის სასურველად გადაკეთება და "ცოდნითა და ზნეობით" ამოვსება. კარგი აღმზრდელი კეთილ მებაღეს ჰგავს, რომელიც თავს ევლება მცენარეებს, რწყავს, უვლის; სარეველებს, მავნებლებსა და ზედმეტ წანაზარდებს აცილებს და მცენარის ბუნებრივ განვითარებას უწყობს ხელს. მებაღე ყვავილსა თუ ხილს ვერ შექმნის, მან მხოლოდ პირობები უნდა შექმნას მცენარის ბუნებრივად გასაზრდელად. კეთილმა მებაღემ კიდევ ერთი რამ იცის: თუ გვსურს, რომ ნერგი მსხმოიარე და გამძლე მსხლის ხედ გაიზარდოს, მაშინ სანამ ის პატარაა, განსაკუთრებული გაფრთხილება და მოფერება სჭირდება. ჭიგოც სჭირდება ქარისგან დასაცავად, თუმცა როცა გაიზრდება და გაძლიერდება, თვითონ შეეძლება სხვა მცენარეთა დაცვა ქარისგან. ბავშვის აღზრდაც ოჯახურ წალკოტშია კარგი, ზღაპრებსა და მოძრავ თამაშებში. არაა საჭირო მისი ნაადრევი "დაბრძენება" და მისთვის ამქვეყნიურ უკეთურობათა ჩვენება (რაც ეკრანის კიდევ ერთი დამანგრეველი ზეგავლენაა!). ეს ბავშვს სამყაროსადმი ნდობას უნგრევს და ბავშვი ეჭვიანი, შეშინებული, შეჭირვებული იზრდება. რაც უფრო ადრე შევაჯახებთ ბავშვს ნამდვილ ცხოვრებას, მით უფრო ნევროზული, უსულგულო და მწირი სულისა გაიზრდება ის. როგორც ა. შოპენჰაუერი ამბობს, ნაადრევად დაბრძენებული, მოზრდილთა

სამყაროში ნაადრევად ჩაძირული არცერთი ბავშვი არ აღზრდილა კეთილშობილ პიროვნებად. ღირსეული და სულიერად ჯანსაღი პიროვნება ბავშვობისას იმ სამ-ყაროში იმყოფებოდა, რომელიც დასახლებულია ყურცქვიტებითა და ჩიტუნებით, სათნო მზეთუნახავებით, ქველი ვაჟკაცებითა და ბოროტი ავსულებით, ლორწოვანი გომბეშოებით, ლამაზი ბაღებითა და გადახლართულ-გადაბარდული ეკლიანი ვარდებით“.(ზ. ვახანია, „განათლების ფსიქოლოგია“. ნაწ. 5. გვ. 13.).

ბავშვს უნდა ვაცალოთ წრფელად, ჯანსაღად, ლაღად და ბედნიერად გაზრდა (ეს არ ნიშნავს გაფუფუნებასა და განებივრებას!), უნდა ვაცალოთ პიროვნებად ჩამოყალიბება. ამის შემდეგ ცხოვრების სირთულეებთან შეჯახება მისთვის რთული კი იქნება, მაგრამ ეს ახალგაზრდის სულს გამოაწრთობს და გააძლიერებს.

თუკი ადამიანი ჯანსაღად აღიზარდა, ანუ ძირეულ მოთხოვნილებათა კანონზომიერი, ასაკობრივად და ინდივიდუალურად შესაბამისი თანმიმდევრობით, ის, როგორც წესი, ჩამოყალიბდება გაწონასწორებულ, ჰარმონიულ და ძლიერ პიროვნებად, რომელსაც ხელეწიფება "კაცურკაცობა" (ილია) ანუ "კაიყმობა" (ვაჟა), ანუ დაბალ მოთხოვნილებათა ალაგმვა მაღალთა გულისთვის. მას ხელეწიფება მეგობრობის, სიყვარულის, სამშობლოს თუ რაიმე მრწამსის მტკიცე ერთგულება; საზოგადოების დაცინვის, გარიყვის, წამების გაძლებაც კი.

ადამიანი ადვილად იღებს ახლობელი ადამიანისაგან მწარე კრიტიკასაც კი, როცა დარწმუნებულია, რომ ეს სიყვარულითა და პატივისცემით ხდება და მის ღირსებასა და დაცულობას არ ემუქრება. ბავშვი, რომელიც მუდმივად გრძნობს დედის სითბოსა და ზრუნვას, მთელი სამყაროს მიმართ ნდობითაა გამსჭვალული და ზოგჯერ საოცრად ადვილად უძლებს მძიმე გასაჭირს, დასჯასა თუ მკაცრ რეჟიმს. ეს იმიტომ, რომ მის ძირეულ მოთხოვნილებებს არაფერი ემუქრება.

როგორც მრავალი მეცნიერი აღნიშნავს, პიროვნების ჯანსაღი განვითარებისთვის ყველაზე მთავარი მაინც სიყვარულია!

პიროვნება ყველა ასაკში პიროვნება უნდა იყოს და ახალგაზრდების გულწრფელ პატივისცემას უნდა იმსახურებდეს. დიმიტრი უზნაძის თანახმად, ახალგაზრდის მოწოდებაა, რომ წინა თაობათა ღირსეული საქმენი ღირსეულად განაგრძოს. წინა თაობა უნდა იყოს მისთვის მაგალითი პიროვნულობისა, ღირსებისა, შრომა - რუდუნებისა, მამულიშვილობისა, ჰუმანიზმისა, სიცოცხლის სიყვარულისა და

დამსახურებული ბედნიერებისა. მხოლოდ ასე აღიზრდება ჯანსაღი მომავალი თაობა.

დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევები საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. განათლების მთავარ პრობლემად XXI საუკუნეშიც ცალმხრივი რაციონალიზმი რჩება, რომელიც ეპოქის ცალმხრივი რაციონალიზმ-ტექნიციზმ-პრაგმატიზმის შედეგია. ცალმხრივად რაციონალისტური განათლება ძლიერ უარყოფითად ზემოქმედებს ეპოქაზეც. ეს კი, თავის მხრივ, აძლიერებს განათლების სისტემის ცალმხრივობას და ასე იკვრება "მანკიერი წრე".

2. თანამედროვე განათლების სისტემაში დაწყებულია მცდელობები ცალმხრივი განათლების დასაძლევად. სწავლების მეთოდიკის უახლესი მიმართულებაა "დიფერენცირებული სწავლება“. მისი დედააზრია ცალმხრივი რაციონალიზმის უკუგდება და კონკრეტული საგნების სწავლებაში მრავალმხრივი მეთოდების დამკვიდრება, მათ შორის ისეთებისა, რომლებიც ემყარება მოსწავლის არა ლოგიკურ, ენობრივ და სხვა რაციონალურ უნარებს, არამედ ხატოვან, ესთეტიკურ, მუსიკალურ, კინესთეტიკურ, სოციალურ-ინტერპერსონალურ უნარებს.

3. მრავალმხრივი განათლება უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ პრიორიტეტული საგნების განსაკუთრებულ პირობებში ჩვენებას, არამედ ყველა სასწავლო დისციპლინის თანაზომიერად და თანმიმდევრულად შესწავლას.

4. სწავლებისა და აღზრდის დაშორებამ საგანმანათლებლო სივრცეში სავალალო შედეგი მოგვიტანა. მრავალმხრივი განათლება მიზნად ისახავს სწავლებისა და აღზრდის სინთეზს.

5. მრავალმხრივი განათლება შეუძლებელია აზროვნების განვითარების კანონზომიერების გათვალისწინების გარეშე. სწავლება და აღზრდა მას უნდა დაეფუძნოს და წარიმართოს: კონკრეტულიდან - აბსტრაქტულისკენ,

ასოციაციიდან - ლოგიკისკენ, აღქმიდან - მეტყველება-აზროვნებისკენ, წარმოდგენიდან - საზრისისკენ, ხატებიდან - სიტყვა-ცნებისკენ.

6. ესთეტიკური აღზრდა, უნდა დაეფუძნოს ძირითადად ცნობისმოყვარეობისა და ახალ შთაბეჭდილებათა მიღების მოთხოვნილებას, რომელსაც გააძლიერებს პიროვნული თვითდამკვიდრების მოთხოვნილება (რაც ვლინდება შექებაში, კარგ ნიშნებში, გამარჯვებებში).

7. ჯანსაღი აღზრდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ შრომას. ფიზიკური შრომა არის არა მხოლოდ სხეულის გამაჯანსაღებელი, არამედ სულის. ფიზიკური შრომა ხელს უწყობს ადამიანის სასიცოცხლო ძალების მობილიზებას და შესაბამისად, სხეულის გაძლიერება-გაჯანსაღებას; აგრეთვე ამტანობის, ნებისყოფის, პასუხისმგებლობის გამომუშავებას.

8. საზოადოების დიდი ნაწილი თვლის, რომ მომავალი თაობის აღზრდაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ოჯახს და არა სკოლას. მაგრამ ტრანსცენდეტაციისათვის სათანადო სარბიელის შესაქმნელად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორედ სკოლას. სასკოლო საქმიანობის შედეგები მნიშვნელოვნად განაპირობებს ბავშვის თვითშეფასებას.

9. აღზრდაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეგოცენტრიზმის ძლევას და დეცენტრაციის მიღწევას. შეიძლება ითქვას, რომ დეცენტრაცია აღზრდის ძირითადი ღერძია .

10. აღზრდისთვის მნიშვნელოვანია სწავლა სხვების პირადი მაგალითით - მიბაძვით. ქცევის შეთვისებისა და განხორციელებისთვის მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ პირდაპირ განმტკიცებას (როგორც ეს ესმოდა ბიჰევიორიზმს), არამედ არაპირდაპირ განმტკიცებასაც, ესე იგი სხვისი ქცევის შედეგების გათვალისწინებას .

11. მრავალმხრივი განათლების უზრუნველსაყოფად საჭიროა არა მხოლოდ ორიენტირებული, არამედ მრავალნხრივ უნართა სწავლება (საპირისპიროდ საგანზე ორიენტირებული სწავლებისა).

12. სწავლება ეფექტური და პროდუქტიულია, როცა იგი ეფუძნება სწავლების აქტიურ მეთოდებს (განსაკუთრებით კონსტრუქცივიზმსა და ევრისტიკულ მეთოდს).

13. სწავლა-აღზრდისას უპირველესი მნიშვნელობა აქვს მოტივაციას, განსაკუთრებით - შინაგან მოტივაციას. სწავლა მნიშვნელოვანი ხდება მოსწავლისთვის, თუკი იგი მის პიროვნულ ინტერესებს შეესატყვისება განყენებული საკითხების სწავლა კი, მხოლოდ გარეგან მოტივაციას ემყარება.

14. მოტივაციის ყველაზე ღრმა წყარო და საბოლოო საფუძველი არის მოთხოვნილება, ამიტომ სწავლა-აღზრდისას მეტად მნიშვნელოვანია მოთხოვნილებათა იერარქიის გათვალისწინება .

15. ყველა სულიერს თანდაყოლილი აქვს არა მარტო ნაირგვარი ორგანოები და ძალები (შესაძლებლობები), არამედ თითოეული მათგანის აქტიურობის მოთხოვნილებაც. ამას ფუნქციონალური ტენდენცია ეწოდება.

ფუნქციონალური ტენდენცია ყოველ ასაკში სათანადო შინაგანი ძალების ამოქმედებისა და გაშლის მოთხოვნილებას აჩენს (ფუნქციონალური მოთხოვნილება), ამიტომ მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მრავალმხრივი განათლების განხორციელებისთვის; ესაა ის საძირკველი, რომელსაც უნდა დაემყაროს სწავლება და აღზრდა ნებისმიერ ასაკში.

16. ინდივიდის ქცევა და განცდა მიმდინარეობს არა უშუალოდ, არამედ, მხოლოდ განწყობისეულად. განწყობა წარმართავს ინდივიდის განცდების მიმდინარეობასაც და თვით ქცევასაც. აქედან გამომდინარე, სწავლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა განწყობით ხდება იგი.

17. უნარჩვევათა, ზოგადად ჩვევათა, გამომუშავება და განმტკიცება აღზრდა-განათლების ერთერთი უმთავრესი მიზანია. მათ გარეშე არ არსებობს არც კულტურა და არც პროფესიონალიზმი; მაგრამ მეტისმეტად ჭარბი ან მეტისმეტად ხისტი ჩვევები განვითარებას აფერხებს.

შემოქმედებითობის გასავითარებლად (ნიჭის გარდა) საჭიროა შემოქმედებითი სწავლება. შემოქმედებითი სწავლების დაკონკრეტებაა ევრისტიკული, კვლევა-ძიებითი მეთოდი, შემოქმედებითი სწავლების დროს სწავ-ლება უნდა აიგოს შემოქმედებით მიდგომაზე – და არა სტანდარტულ, გახევებულ პროცედურებზე, რათა მთავარი იყოს მოსწავლის არა გაწვრთნა, არამედ მრავალმხრივი განვითარება.

18. მთავარია, აღქმისა და აზროვნების დაპირისპირება. პირველი მხოლოდ თვალსაჩინო ინფორმაციას იღებს, ხოლო მეორე – განყენებულ-ცნებითს. ცნება არაა სურათოვან გრძნობიერი, არამედ სიტყვიერ - ლოგიკურია. ამიტომაცაა ძნელად მისაღები და ამიტომაც სჭირდება მას გათვალსაჩინოება.

19. დეცენტრაცია, ანუ სხვა ადამიანის ცნობიერების თვალსაზრისზე დადგომის უნარი, ესაა ზრდილობის, შეგნებისა და ზნეობის ქვაკუთხედი. ამ უნარის განვითარება პიროვნების აღზრდის ერთ-ერთი მთავარი საზრისია.

20. უმაღლესი დონის ზნეობის მქონე ადამიანის უზენაესი განმგებელი არის არა დასჯის შიში (ღმერთისგან თუ საზოგადოებისგან, სულერთია), არა სირცხვილის გრძნობა, არა კანონმორჩილება, არამედ, საკუთარი სინდისის ხმა. სინდისის ქენჯნა მხოლოდ საკუთარი პიროვნული ღირსების წინაშეა. სინდისის (პოსტკონვენციურ) დონეზე ხორციელდება მაღალგანვითარებული პიროვნების გათავისუფლება კოლექტივიზმისგან და არა ზნეობისგან! და წრფელი პიროვნული მიღმასწრაფება.

21. ადამიანს ვერ ექნება ზნეობრივი შეგნება, თუ მისი აზროვნება წინასწარ სათანადოდ არაა განვითარებული (მაგ. ბავშვის ან გონებაჩამორჩენილი ზრდასრულის შემთხვევაში). თუმცა უმაღლესად განვითარებული აზროვნების მქონესაც კი, შესაძლოა, უდაბლესი ზნეობრივი შეგნება ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, აზროვნების განვითარება ზნეობრივი შეგნების განვითარებისთვის აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი.

22. ნებისყოფა და მისი აღზრდა ერთერთი უმთავრესი საკითხია პედაგოგიკაში. უძველესი დროიდანვე იცოდნენ, რომ არ არსებობს და ვერც იარსებებს ისეთი მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც ყველაფრის ხალისით სწავლება იქნება შესაძლებელი. ნებისყოფა, აუცილებელია იმისთვის, მოსწავლემ ნამდვილი აქტიური ცოდნა რომ შეიძინოს. ნებისყოფის აღზრდა თავისთავად არის ზოგადი განათლების ერთ-ერთი მიზანი, რადგან მის გარეშე ზრდასრული ადამიანი სრულფასოვანი ვერც პიროვნება და ვერც საზოგადოების წევრი იქნება.

23. აღზრდა - განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი პიროვნულობის ინდივიდუალიზაცია და ბუნებრივ თავისებურებათა განვითარებაა. ინდივიდუალიზაცია არ ეწინააღმდეგება სოციალიზაციასა და

პროსოციალურობას, თუმცა ზოგჯერ მათი დროებითი შეჯახება გარდაუვალია. სწორედ ამგვარ შეჯახებებში ვითარდება, იზრდება, იწრთობა პიროვნულობა.

პრაქტიკული რეკომენდაციები

ჩატარებულმა კვლევებმა საშუალება მოგვცა, გაგვეკეთებინა არა მხოლოდ დასკვნები, არამედ შეგვემუშავებინა პრაქტიკული რეკომენდაციებიც, რომლებიც ხელს შეუწყობს მრავალმხრივი განათლების დამკვიდრებას განათლების სისტემაში.

1. მეტისმეტად გადატვირთული სქოლასტიკური სასწავლო პროგრამები იწვევს მოსწავლეთა დაბალ თვითშეფასებას, რის შედეგადაც ახალგაზრდებს გული უცრუვდებათ სწავლაზე და იწყებენ ტრანსცენდენტაციის სარბიელის ძებნას სკოლის გარეთ, ქუჩაში. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა აქტიური სწავლების მეთოდების (ევრისტიკული, კონსთრუქციზმი, აქტიური მზაობის) რეალურად დანერგვა, გადატვირთული სასკოლო პროგრამების შემცირება (ანუ ექსტენსიური სწავლების შეცვლა ინტენსიური (გაღრმავებული) სწავლებით.

2. ფუნქციონალური ტენდენციიის გასაძლიერებლად (რომელიც ვლინდება თამაშის უძლიერეს მოთხოვნილებაში), ასევე დეცენტრაციისათვის საუკეთესო საშუალებაა "ვითომობანა" ანუ როლური თამაში. „ამ დროს ბავშვი, წარმოსახვით, თვითონ შეუზღუდავად იქმნის ნებისმიერ ვითარებას, რომელიც კი მოეწადინება, ამოქმედებს შინაგან ძალებს... ამიტომ სწორედ "ვითომობანა" უნდა იყოს ბავშვის ჯანსაღი განვითარების მთავარი საშუალება“ (განსაკუთრებით დაწყებით კლასებში).

3. სწავლება უნდა აიგოს არა გამზადებული გონებრივი საზრდოს მიწოდებაზე, არამედ შემოქმედებითობაზე (ცხადია, წლოვანების შესაბამისად). მოსწავლეს მხოლოდ ამ გზით თუ შეექმნება სათანადო სარბიელი ტრანსცენდენტაციისთვის. გარდა ამისა, მხოლოდ ამ გზით მიიღწევა ნამდვილად გაშინაგანებული, ღრმად ათვისებული და ქმედითი, აქტიურ-გამოყენებადი ცოდნა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს კლასგარეშე საქმიანობასაც – გაკვეთილებზე არანაკლებ აუცილებელია მოსწავლეთა წრეები (საგნობრივი თუ

შემოქმედებითი).

4. 10-11 წლამდე ბავშვისთვის აუცილებელია მოძრაობის ბუნებრივი სენსომოტორული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. უამისოდ ბავშვის ფიზიკური განვითარება შეფერხდება. უფრო მეტიც: ფერხდება მისი აზროვნების განვითარებაც. სკოლამდელისთვის და დაწყებითი კლასის მოსწავლისათვის მავნებელია დიდხანს გაუნძრევლად ყოფნა, რაც კარგად უნდა შეიგნონ ბავშვის მშობლებმა და აღმზრდელებმაც. მოძრაობის იმპულსების შეკავების უნარის განვითარების დონეა განმსაზღვრელი სასკოლო მზაობისა – და არა აზროვნების განვითარების დონე (რომლითაც 5 წლის ბავშვი დიდად არ განსხვავდება 6 წლის ბავშვისაგან). ამიტომ მიგვაჩნია, (და მიაჩნია ბევრ ფსიქოლოგს) არასწორად 5 წლის ბავშვის სკოლაში შეყვანა.

5. სენსომოტორული აქტივობის მოთხოვნილებას უნდა დაემყაროს ფიზიკური აღზრდა არა მხოლოდ დაწყებით, არამედ მომდევნო კლასებშიც; ამის საუკეთესო საშუალებაა ის მრავალფეროვანი ხალხური თამაშები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავლადაა ჩაწერილი. მათგან თავისუფლად შეიძლება შეირჩეს ისეთები, რომლებსაც დაწყებით კლასებში გამოვიყენებთ, და ისეთებიც, რომლებიც უფროსი კლასების მოსწავლეებს შეესაბამება.

6. ბავშვის ჯანსაღი ფიზიკური აღზრდისთვის ხელისშემშლელი, უფრო ზუსტად კი მავნებელია კომპიუტერისა თუ ტელევიზორის ეკრანთან მიჯაჭვა, რამდენიმე მიზეზის გამო: 1. იზღუდება ბავშვის სენსომოტორული აქტივობა, რაც აფერხებს მის სხეულებრივ (და არა მარტო სხეულებრივ) განვითარებას; 2. ზიანდება ბავშვის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ხერხემალი; 3. ზიანდება მხედველობა და ფსიქიკა. ამიტომ რაც უფრო ნაკლებ დროს გაატარებს მოსწავლე (განსაკუთრებით დაწყებითი კლასის) კომპიუტერთან, მით უფრო უფრო ჯანსაღად აღიზრდება.

7. ფიზიკური აღზრდა დიდად არის დამოკიდებული სასწავლო გარემოზე. მოსწავლის (განსაკუთრებით დაწყებითი კლასის მოსწავლის) ნორმალური ფიზიკური განვითარებისთვის ხელისშემშლელი და უფრო მეტიც – მავნებელია საკლასო სივრცის სივიწროვე. ეს პირდაპირაა დაკავშირებული ტრანსცენდენტაციასთან (ბიოლოგიურ დონეზე). როცა ბავშვს შეზღუდული აქვს

სენსომოტორული აქტივობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება, რომელიც 9-10 წლამდე წამყვანია და რომელიც მისი ფიზიკური (და აგრეთვე სხვა სახის) განვითარების საფუძველია, როცა მას არა აქვს სათანადო სარბიელი მოძრაობისთვის, ეს იწვევს გაუცნობიერებელ აგრესიას, ნევროზულ მდგომარეობას, დათრგუნვას. ეს უნდა გაითვალისწინონ განათლების სისტემის მესვეურებმა, როცა ახდენენ სკოლების ან კლასების ოპტიმიზაციას. დაუშვებელია კლასების გადატვირთვა მოსწავლეებით (ან თუნდაც საკლასო ავეჯით).

8. ფრიად მნიშვნელოვანია სკოლებში შრომითი სწავლების მიზანმიმართულად და სრულფასოვნად წარმართვა. გარდა სკოლისა, ბავშვი ოჯახშიც უნდა ეჩვეოდეს ზომიერ ფიზიკურ მუშაობას. ამისთვის მნიშვნელოვანია მშობლის პირადი მაგალითი და მისი დამოკიდებულება შრომის მიმართ, რადგან ბავშვები ახდენენ არა მარტო ქცევის მოდელირებას (ა. ბანდურა), არამედ განწყობის მოდელირებასაც (დ. უზნაძე).

9. მოსწავლის ყოველგვარი შემოქმედებითი საქმიანობა, წვრილმანიც კი, მცდარიც კი, უნდა წახალისდეს. როგორი ჩამხშობ - დამთრგუნველ-დამაჩლუნგებელიცაა სკოლამდელის მოუსვენრობისა და მოძრაობის მოთხოვნილების შევიწროება, ისევეა მოზარდის სულიერი მოუსვენრობისა და მოძრაობის მოთხოვნილების, დუღილისა და ძიების, მიღმასწრაფების შეხუთვა.

10. მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლეთა შეკითხვები, უაზრო და მცდარი შეკითხვაც კი არ უნდა გაკიცხოს! შემოქმედებითი სწავლება მოითხოვს, რომ ყოველი შემოქმედებითი მიგნება თუ მონდომება საგანგებოდ წახალისდეს, კერძოდ, მასწავლებელმა საგანგებოდ უნდა აღნიშნოს და შეაქოს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ გავითვალისწინოთ მოსწავლის მიერ დავალების არაჯეროვანი შესრულება და მას აუცილებლად მაღალი შეფასება დავუწეროთ. არა. გამოსავალი ადვილია: აუცილებელია მრავალკომპონენტიანი შეფასება რუბრიკებით, და მათ შორის უნდა იყოს რუბრიკა "შემოქმედებითობა"; მასწავ-ლებელმა შემოქმედებით მოსწავლეს სწორედ ამ რუბრიკაში უნდა დაუწეროს მაქსიმალური ქულა, ხოლო სხვა რუბრიკებში – რაც ეკუთვნის მიუკერძოებლად. საბოლოო ქულა კი ფორმალური წესით გამოითვლება.

11. დაწყებით კლასებში უაღრესად მნიშვნელოვანი ბავშვის ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე, სრულ წინადადებათა ჩამოყალიბებაზე მუშაობაა. საამისოდ საუკეთესო საშუალებაა ზღაპარზე მუშაობა.

12. ყოველგვარი აღზრდის მთავარი შინაარსი უნდა იყოს ბავშვის წრფელი ბუნების გახსნა და განვითარება – და არა უფროსთათვის სასურველად გადაკეთება.

13. ესთეტიკური აღზრდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოზარდში მშვენიერების აღქმას. ამისთვის კი საჭიროა: აბსტრაქტული ფუჭსიტყვაობის, მექანიკური რეპროდუქციის, ზერელობისა და სქოლასტიკურობის აღკვეთა; აქტიური და გაღრმავებული სწავლება; აქტიური მეცადინეობით მდიდარი კონკრეტული გამოცდილების დაგროვება; წარმოსახვისთვის ფართო სარბიელის მინიჭება; შემოქმედებითი სწავლება და შემოქმედებითობა; ზედმეტი ჩარჩოების უკუგდება; გუმანის შემზღუდავი რაციონალურობის მოთოკვა, მეტი სილაღე და გაბედულება.

14. ყოველი ახალი ნასწავლი რამ, რაც ბუნებაში არსებობს ბავშვებს (ასეთი კი ბევრი რამაა), აუცილებლად მრავალჯერ უნდა ვაჩვენოთ და გავამეორებინოთ. მაგ: ღელე, კორდი, ხევი, ჭალა, რიყე...ზოგი რამ კლასში უნდა გვქონდეს: რკო, გირჩა, კაჟი, წიწიბო...ზოგი რამ მასწავლებელმა ხელებით, პანტომიმურად და გამომეტყველებით უნდა წარმოადგინოს ან მოსწავლეებს წარმოადგენინოს. ერთი სიტყვით, ხელოვნების (აგრეთვე ისტორიისა თუ ეკოლოგია-ბუნებისმცოდნეობის) სწავლებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვალსაჩინოებას და სასურველია, იგი იყოს მდიდარი და რაც შეიძლება ფერადოვან-სურათოვანი. საამისოდ კი შეუცვლელია კომპიუტერული თვალსაჩინოება და სასწავლო კომპიუტერული პროგრამები. (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებითად სხვაგვარადაა თეორიული მეცნიერებითვის (მათემატიკა, ლოგიკა, გრამატიკა, ფიზიკა...). ამ დარგებისთვის ჭარბი და ფერადოვან-სურათოვანი თვალსაჩინოება არათუ ზედმეტი, არამედ ხელისშემშლელიცაა, რადგანაც აფერხებს განზოგადებას, და, ესე იგი, სწავლებას).

15. სწავლების მეთოდიკაში საჭიროა გათვალსაჩინოების ზომიერების დაცვა. მაგ. მავნებელია საკლასო ოთახის გადატვირთვა თვალსაჩინოებით. გარდა იმისა,

რომ ეს იწვევს ყურადღების გაფანტვას, აგრეთვე ხდება შეჩვევა, გაჩვეულებრივება და აღარ იწვევს ემოციებს.

16. მთლიანი სწავლება ბავშვის ცნობიერებისათვის გასაგებად და ბუნებრივად უნდა აიგოს; აუცილებელია აზროვნების განვითარების ასაკობრივ და აგრეთვე ზოგად კანონზომიერებათა მკაცრი დაცვა. ეს კანონზომიერებები პედაგოგიკურ ფსიქოლოგიაშია დადგენილი (უპირველესად პიაჟეს სამეცნიერო სკოლის მიერ). აღზრდისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ახერხებს მასწავლებელი ამა თუ იმ ასაკის ბავშვის ცნობიერებისთვის ბუნებრივი სამყაროს შექმნას; რამდენად ქმნის იმის პირობებს, რომ ბავშვის ცნობიერება გაღრმავდეს, გამდიდრდეს, შინაგანად ბუნებრივად განვითარდეს და გაიფურჩქნოს,

17. როცა სწავლის მოტივაცია მხოლოდ ჯილდოს, კარგ ნიშანს ანდა გამოცდის ჩაბარებას უკავშირდება, მაშინ ნასწავლი ჩაბარების შემდეგ მალევე გვავიწყდება, ყველაზე მყარი დასწავლილი მაშინაა, როცა თვით საკითხი გვაინტერესებს, ანუ გვაქვს შინაგანი მოტივაცია.

18. უნდა გვახსოვდეს, რომ აღზრდის არსი, სათანადო დისპოზიციათა ჩამოყალიბება - განმტკიცებაა. ბავშვის ინდივიდუალური შინაგანი მისწრაფებები ჩვენზე არაა დამოკიდებული, მაგრამ აღმზრდელობით ზეგავლენას მაინც უდიდესი ძალა აქვს. თანაც მთავარია არა სიტყვიერი ზემოქმედება, არამედ თითქმის ყოველდღიური პირადი მაგალითი - სათანადო ქცევები და თუნდაც შეუმჩნევლად გამჟღავნებული დამოკიდებულებები.

ზნეობრივი აღზრდა ნებისყოფის აღზრდის პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს.

მნიშვნელობა აქვს სიბეჯითესაც. სწორედ უფრო სიზარმაცე და უნებისყოფობა, ვიდრე გონებრივ „სწავლების კარგი მეთოდიკა ისე უნდა იყოს აგებული, რომ "ძალიან ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი" მოსწავლე კარგ შედეგებს ვერ აღწევდეს. და თუკი აღწევს, ესე იგი, სწავლება ზერელობაზეა აგებული (მაგ. "გაკვეთილის მოყოლაზე", ანდა ზერელე პასუხებზე, მხოლოდ მიხვედრილობაზე, თუნდაც ჯგუფურ მუშაობებში). რამდენი მნიშვნელობაც აქვს გონებრივ მონაცემებს, იმდენივე მნიშვნელობა აქვს ნებისყოფას. ნებელობით მონაცემთა ნაკლებობა, იწვევს სიძნელეებს სწავლაში, საქმეში და უფრო მეტიც

- ცხოვრებაში...

19. მასწავლებელმა ნიშანი უნდა დაწეროს მხოლოდ შედეგის მიხედვით და არა იმის მიხედვით, თუ რა "შეუძლია" მოსწავლეს! ზარმაცს უფრო მეტად "არ შეუძლია", ვიდრე საშუალო გონებრივ მონაცემთა მქონეს! ამის გარდა, აუცილებელია მრავალფეროვანი დავალებები, მათ შორის რთული, კომპლექსური, რამდენიმე ნაბიჯიანი ამოცანები ისეთები, რომელთა ამოხსნა შეუძლებელია თანმიმდევრულობის (ე.ი. ნებისყოფის) გარეშე, რაგინდ სხარტი გონება ჰქონდეს მოსწავლეს!“ (ზ. ვახანია, „განათლების ფსიქოლოგია“, ნაწ. 6. გვ. 25).

20. აღზრდის მთავარი შინაარსი უნდა იყოს ბავშვის წრფელი ბუნების გახსნა და განვითარება და არა უფროსთათვის სასურველად გადაკეთება და "ცოდნითა და ზნეობით" ამოვსება. აღზრდა ოჯახურ წალკოტშია კარგი, ზღაპრებში და მოძრავ თამაშებში, არაა საჭირო მისი ნაადრევი "დაბრძენება" და მის მიერ ამქვეყნიურ სიბინძურეთა ხილვა (რაც ეკრანის კიდევ ერთი დამანგრეველი ზეგავლენაა!). ეს ბავშვს სამყაროსადმი ნდობას დაუნგრევს და ბავშვი ეჭვიანი, შეშინებული, შეჭირვებული გაიზრდება.

ბიბლიოგრაფია

1. **ავრელიუსი 1984:** ავრელიუსი მ. „ფიქრები",თბილისი;
2. **ალენი 1948:** ალენ გ. „პოლიტიკა და განათლება", პარიზი;
3. **ბაბანსკი 1988:** ბაბანსკი ი. „პედაგოგიკა", მოსკოვი;
4. **ბალანჩივაძე 1997:** ბალანჩივაძე რ. „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები", თბილისი;
5. **ბალანჩივაძე 2011:** ბალანჩივაძე რ. „ანთროპოლოგიური პედაგოგიკა", თბილისი;
6. **ბარამიძე 2008:** ბარამიძე რ. „აქსელერაცია და შორეული მოტივაციური ქცევა" გამომცემლობა „აჭარა", ბათუმი;
7. **ბიბილეიშვილი 2011:** ბიბილეიშვილი ი. „პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები"
8. **გაგუა 1966:** გაგუა ვ. „მოსწავლეთა მორალური აღზრდა", თბილისი;
9. **გაგუა 1982:** გაგუა ვ. „ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა პედაგოგიკური იდეები", ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება", N 7;
10. **გაგუა 1997:** გაგუა ვ. „კოლხეთის (ფაზისის) აკადემია", თბილისი;
11. **გაფრინდაშვილი 1969:** გაფრინდაშვილი რ. „ზნეობრივი აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლების შესახებ", თბილისი;
12. **გობრონიძე 2000:** გობრონიძე ა. „პედაგოგიკა", გამომცემლობა „აჭარა", ბათუმი;
13. **დანელია 1978:** დანელია ს. „ნარკვევები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიისათვის", თბილისი;
14. **დეკარტი 2010:** დეკარტი რ. „მსჯელობა მეთოდის შესახებ. მეტაფიზიკური მედიტაციები", გამომცემლობა „carpe diem", თბილისი;
15. **დიმიტრიადისი 2010:** დიმიტრიადისი გ. კამბერელისი ჯ. „თეორია განათლებისათვის", გამომცემლობა „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი", თბილისი;
16. **ერქომაიშვილი 1989:** ერქომაიშვილი ვ. „ადამიანის თავისუფლება და

პასუხისმგებლობის პრობლემა“, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი;

17. ერქომაიშვილი 1994: ერქომაიშვილი ვ. „ ფილოსოფია“, გამომცემლობა „კვირა“, თბილისი;

18. ვასაძე 1998: ვასაძე ნ. „პედაგოგიკის ისტორია“, თბილისი.

19. ვახანია 2008: ვახანია ზ. „კოგნიტივიზმის მთავარი პოსტულატი კრიტიკა“, გამომცემლობა „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე“, თბილისი;

20. ვახანია 2009: ვახანია ზ. „ქართული ფილოლოგია“, თბილისი.

21. ვახანია 2009: ვახანია ზ. „განწყობა, გადატანა, ინტუიცია და ნიჭიერება“,გამომცემლობა „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე“, თბილისი.

22. ვახანია 2009: ვახანია ზ. მახარაძე თ. „ქართული ფილოლოგია“, თბილისი.

23. ვახანია 2010: ვახანია ზ. „ქართული ენის შემოქმედებითი სწავლება“, თბილისი.

24. ვახანია 2012: ვახანია ზ. „განათლების ფსიქოლოგია“, თბილისი.

25. თავზიშვილი 1974: თავზიშვილი გ. „რჩეული ნაწერები“, თბილისი.

26. თევზაძე 1974: თევზაძე გ. „იმანუელ კანტი“, თბილისი;

27. იმედაძე 2009: იმედაძე ი. „ფსიქოლოგიის ისტორია“, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი.

28. იმედაძე 2004: იმედაძე ი. „XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები“, თბილისი.

29. იმედაძე ....2011: იმედაძე ნ. „განვითარებისა და სწავლების თეორიები“, თბილისი;

30. იუნგი 1995: იუნგი კ. „ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები - სიზმრები“, თბილისი.

31. კიკნაძე 1999: კიკნაძე ო. „საუბრები აღზრდის შესახებ“, თბილისი;

32. კილაძე 1978: კილაძე ვ. „ოჯახი, ზნეობა, ინტელექტი“, თბილისი;

33. კორინთელი 2010: კორინთელი რ. „ფსიქოთერაპიის და სოციალური ფსიქიატრიის ნეირობიოლოგიური ასპექტები“, გამომცემლობა „საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე“, თბილისი.

34. ლეკვეიშვილი 1980: ლეკვეიშვილი გ. „ესთეტიკური აღზრდა და პიროვნების ჩამოყალიბება“, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“;

35. ლორთქიფანიძე 1969: ლორთქიფანიძე დ. „პედაგოგიკა“, თბილისი;

36. ლორთქიფანიძე 1981: ლორთქიფანიძე დ. „დიდაქტა“, თბილისი;

37. მალაზონია 2001: მალაზონია შ. „პედაგოგიკა“, თბილისი;

38. მაჭავარიანი 1969: მაჭავარიანი დ. „ფიზიკური აღზრდის მეთოდიკა“, თბილისი;

39. მეგრელაძე 1998: მეგრელაძე ც., პედაგოგიკა – პარიზის წმინდა სერგის სახელობის მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების ინსტიტუტის პროფესორ პროტოპრესვიტერ ვ. ზენკოვსკის წიგნიდან „პედაგოგიკა“, ბათუმი

40. მეგრელაძე 2003: მეგრელაძე ც. „რელიგიურ–ეთნიკური ნორმების ცოდნის სასწავლო პრეცესში ჩართვის გზები და საშუალებები“, ბათუმი;

41. მენთეშაშვილი 2003: მენთეშაშვილი ლ. „გონებრივი აღზრდა – პედაგოგიკის მეცნიერების აქტუალური პრობლემა“, ჟურნ. „პრომეთე“, N 1–2 (13014);

42. ნადირაშვილი 2001: ნადირაშვილი შ. „განწყობის ანთროპული თეორია“,თბილისი.

43. ნუცუბიძე 1956: ნუცუბიძე შ. „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, თბილისი;

44. ობოლაძე 1965: ობოლაძე უ. „მოსწავლე–ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდა“, თბილისი;

45. პეტროვსკი 1977: ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია პროფ. ა.ვ. პეტროვსკის რედაქციით, თბილისი;

46. რამიშვილი 2009: რამიშვილი ვ. „ფილოსოფია“, თბილისი;

47. როგავა 1978: როგავა ნ. „ზნეობრივი ქცევა და მისის ფორმირების კანონზომიერებანი სასკოლო ასაკში“, თბილისი;

48. სარიშვილი 1974: სარიშვილი ტ. „ახალგაზრდობის აღზრდის აქტუალური საკითხები“, თბილისი;

49. უზნაძე 1964: უზნაძე დ. „ზოგადი ფსიქოლოგია“, შრომები, ტ. 3–4, თბილისი;

50. უზნაძე 1964: უზნაძე დ. „ბავშვის ფსიქოლოგია“, თბილისი;

51. უზნაძე 1977: უზნაძე დ. „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“, შრომები, ტ. 6, თბილისი;

52. უზნაძე 2003: უზნაძე დ. „ბავშვის ფსიქოლოგია“, თბილისი;

53. უზნაძე 2003: უზნაძე დ. „სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია“, თბილისი;

54. ფარცხალაია 2010: ფარცხალაია ნ. „იაკობ გოგებაშვილი რელიგიური აღზრდის შესახებ“, თბილისი;

55. შერვაშიძე 2009: შერვაშიძე გ. „განათლების ფილოსოფიის შესავალი“, შრსუ–ს გამომცემლობა, ბათუმი;

56. შრომები 2012: „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“, აწსუ–ს გამომცემლობა, ქუთაისი;

57. ჩვენი.... 2009: „ჩვენი სულიერების ბალავარი“, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი.

58. ჩხარტიშვილი 1964: ჩხარტიშვილი შ., „ნებისყოფა და მისი აღზრდა“, თბილისი.

59. ცუცქირიძე 1997: ცუცქირიძე ზ., ლექციების კურსი პედაგოგიკაში, 1–ლი ნაწილი (აღზრდის თეორია), თბილისი;

60. ცუცქირიძე 2005: ცუცქირიძე ზ., ორჯონიკიძე ნ. „განათლების თანამდეროვე

თეორიები“, თბილისი;

61. ძამაშვილი 2009: ძამაშვილი ა. „ფილოსოფია“, თბილისი;

62. წერეთელი 1960: წერეთელი ა. „თხზულებები“, ტ. 12, თბილისი;

63. წერეთელი 1955: წერეთელი გ. „თხზულებები“, ტ. 4, თბილისი;

64. წოწონავა 1988: წოწონავა ნ. „სამართლიანობისა და პატიოსნების აღზრდა ოჯახში“, თბილისი

65. ჭავჭავაძე 1938: ჭავჭავაძე ი. „პედაგოგიური თხზულებანი“, თბილისი;

66. ჭავჭავაძე 1941: ჭავჭავაძე ი. „პედაგოგიური თხზულებანი“, ორ ტომად, თბილისი;

67. ჭკუასელი 1968: ჭკუასელი ი. „პლატონის პედაგოგიკური იდეები“, თბილისი;

68. ხალხური 1972: „ხალხური სიტყვიერება“, თბილისი;

69. ჯანაშვილი 1980: ჯანაშვილი რ. „პედაგიგიურ აღზრდაზე“, ჟურნ. „დროება“, N 74;

70. ჯანაშია 2011: ჯანაშია ნ., იმედაძე ნ., გორგოძე ს. „განვითარების და სწავლების თეორიები“, ბათუმი;

71. ჯანელიძე 1979: ჯანელიძე პ. „მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდა“, თბილისი;

72. ჯიბლაძე 1974: ჯიბლაძე გ. „პედაგოგიკადამეთოდიკა“, თბილისი;

73. ჯიბლაძე 1980: ჯიბლაძე გ. „ესთეტიკური აღზრდის პრინციპები“, თბილისი;

74. Горфункель 1980: А.Х. Горфункель. Философия эпохи Возрождения. М.,1980;

75. Кукушин 2002: Кукушин В.С. „Теория и Методика воспитательной работы“, Ростов-на-Дону;

76. Маслоу 2008: Маслоу Абрахам, „Мотивация и личность“, Петербург, "Питер".

77. Словарь 1991: Современная западная философия, Словарь, М,199 1;

78. Соколов 1997: В.В. Соколов, Средневековая философия, М.,1979;

79. Фрейд 1969: З. Фрейд. "Я" и "Оно" в сб. "Избранное", т. 1 (ред. Е.Жиглевич), Лондон, 1969;

80. Фромм 1994: Фромм Эрих, „Анатомия человеческой деструктивности“, Москва, "Республика“, 1994;

81. Энциклопедия 1960-1970: Философская Энциклопедия, т. 1-5, М., 1960-1970.

82. Eck 2001: Eck. DIANA L, "A New Religious America. How A Christian Country Has Become The World's Most religiously Diverse Nation.", Harper Collins publisher, 2001;

83.

84. Livingston 1945: Livingston Hill Rut, "On Education", "New York", 1945;

85. Cayuga 2000: Cayuga Community College, "Student Life", College Catalog, 1998-2000;

86. Dictionary 1974: Webster's New World Dictionary. N.Y., 1974;

87. Kohlberg 1984: L. Kohlberg. "Essays on moral development", vol.1, vol.2. N. Y., Harper & Row., 1981, 1984;

88. Petty 2004: Petty G., "Teaching Today – Differentiation", N.Y., 2004;

89. Rorty 2009: Rorty R. "Philosophy and the mirror of nature", published by " "Princeton University Press";

90. Tomlnson 2000: Tomlinson, C. A., & Allan, S. Leadership for differentiating schools and classrooms, Alexandria, VA: ASCD., 2000;

ელექტრონული დოკუმენტი ინტერნეტიდან

ეროვნული სასწავლო გეგმა:

http://eqe.ge/geo/textbook_approval/textbook_approval_2011).

http://www.orthodoxy.ge/metsniereba/tsargvna/1-metsniereba_r